

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის

მასალების კრებული

**ეღვრადი განვითარების
თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები**

**CURRENT ECONOMIC TRENDS OF
SUSTAINABLE DEVELOPMENT**

PROCEEDINGS OF MATERIALS

of International Scientific Internet Conference
Dedicated to the 105th birth anniversary of Academician Avtandil Gunia

თბილისი TBILISI

2017

ეღვრადი განვითარების თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები
CURRENT ECONOMIC TRENDS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT
|
მასალების კრებული
PROCEEDINGS OF MATERIALS

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი
საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციის
მასალების კრებული

მღბრადი ბანკოთარების
თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციები
(1 ნომბერი – 28 დეკემბერი)

Proceedings of Materials
of International Scientific Internet Conference
Dedicated to the 105th birth anniversary of Academician Avtandil Gunia

**CURRENT ECONOMIC TRENDS OF
SUSTAINABLE DEVELOPMENT**
(November 1 – December 28)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi
2017

UDC (შპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში 2017 წელს გამართულ საეთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ-კონფერენციაზე წარდგენილი მასალები

Materials presented at the international scientific internet-conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2017

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, თ. ჩხეიძე

Scientific-editorial Board: R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, V. Papava, S. Partycki, S. Pavliashvili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი, მ. ბაღათურია

Organizing Group of the Conference:

T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili, M. Bagaturia

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, 2018

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2018

ISBN 978-9941-13-686-3

ექვნიება აკადემიკოს
ავთანდილ გუნიას დაბადებიდან
105-ე წლისთავს

**Dedicated to 105th anniversary of
Academician Avtandil Gunia**



აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ლევანის ძე გუნია არცთუ დიდი ხნის წინ ისევ ჩვენს გვერდით იყო და გვაგვსებდა თავისი განუმეორებელი ადამიანური სითბოთი, დახვეწილი ინტელექტით, გამორჩეული ნიჭიერებითა და ერუდიციით, მდიდარი გამოცდილებით, განუმეორებელი ოპტიმიზმითა და სიცოცხლისადმი დაუოკებელი ლტოლვით. იგი 85 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და დატოვა კვალი ნათელი, რომლითაც სამართლიანად იამაყებს არა მარტო ქართველ ეკონომისტთა მრავალათასიანი არმია, არამედ მთელი ქართველი ერი. ალბათ ძნელად თუ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთნაირი წარმატებით შეძლებენ მოღვაწეობას ქვეყნის სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურულ, მეცნიერულ თუ პედაგოგიურ ასპარეზზე. ბატონი ავთანდილი სწორედ ასეთ გამონაკლის ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს ინტელიგენტის ოჯახში. მამა – ლევან ლევანის ძე გუნია – უაღრესად განათლებული პიროვნება და საუკეთესო მოქალაქე, სპეციალობით ეკონომისტი იყო. მის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სახელოვანი კოლექტივის ისტორიაში. დედა – ალექსანდრა გიორგის ასული ირემიძე, რომელსაც ასევე შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული, დიასახლისი იყო. მან მთელი თავისი ცხოვრება შვილებზე ზრუნვას დაუთმო. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მშობლებმა იქონიეს უდიდესი გავლენა ბატონი ავთანდილის განათლებულ, ინტელექტუალურ და ზნემადალ ადამიანად ჩამოყალიბებაში, იმ დიდ ნათესაურ წრესთან ერთად, რომელთაგან მისი ბაბუის – თავისი დროის შესანიშნავი მოღვაწის, ქ. ფოთის თავის – ლევან გუნიას, ბიძაშვილის – ცნობილი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის – ქეთევან ირემიძის, ბიძის – გამოჩენილი ქართველი მსახიობის, რეჟისორის, დრამატურგის, კრიტიკოსის, თეატრალური მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის ვალერიან გუნიას დასახელებაც კი საკმარისია. ქვეყნის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ასევე ბატონი ავთანდილის ძმას, ცნობილ კინორეჟისორს – გოგი გუნიას, ბიძაშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, უმშვენიერეს ქალბატონს – ნონა გუნიას, ბიძაშვილისშვილს, სახალხო მხატვარს და კულტურის ორგანიზატორს – გოგი გუნიას.

1925 წელს ბატონმა ავთანდილმა დაამთავრა საშუალო სკოლის 6 კლასი და სწავლა გააგრძელა სამხედრო სასწავლებელში ქ. ბაქოში, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. 1929 წელს სასწავლებლად შედის ქ. თბილისის ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს იგი პირველად იწყებს შრომით საქმიანობას თავისი სპეციალობით, კერძოდ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საძიებო პარტიის ტექნიკოსად, სადაც 1934 წლამდე მუშაობს. ზემოთ აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლამ და პირველმა შრომითმა საქმიანობამ დიდი როლი ითამაშა ბატონი ავთანდილის, როგორც პიროვნების ფორმირებაში, მისი ნებისყოფიანი და მიზანსწრაფული ხასიათის ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი,

გადაწყვეტილებას იღებს, დაეუფლოს უმაღლეს განათლებას ეკონომისტის სპე-სპეციალობით და 1934 წელს სასწავლებლად მიდის ქ. მოსკოვში პლესხანოვის სახ-სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1939 წელს. იმავე წელს ბატონ ავთანდილს საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობას ანდობენ. იგი ინიშნება ქ. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად. როგორც უნარიან ორგანიზატორს, ენერგიულ და ერუდირებულ პიროვნებას, სულ ერთ წელიწადში აწინაურებენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორად. მალე მას აგზავნიან მოსკოვში უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელსაც 1942 წელს ამთავრებს. უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლის დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, ერუდირებულმა, ენერგიულმა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა პიროვნებამ, რის გამოც მას აღნიშნული სკოლის დამთავრებისთანავე სამუშაოდ სკკპ ცკ-ს აპარატში აგზავნიან, კერძოდ, იგი ინიშნება სკკპ ცკ-ს პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს ინსტრუქტორად. მაშინ ბატონი ავთანდილი მხოლოდ 30 წლის იყო. 1945 წლიდან იგი ამავე სამმართველოს სექტორის გამგეა, ხოლო აღნიშნული სექტორის გამსხვილების შემდეგ – სექტორის გამგის მოადგილე. ამ თანამდებობაზე მან 1952 წლამდე დაჰყო.

მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდმა ბატონი ავთანდილის ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვა, შესძინა რა მას დიდი ცოდნა, გამოცდილება, პრინციპულობა, მოვლენებისადმი მასშტაბური, სახელმწიფოებრივი ხედვის უნარი, ასევე მეგობარ-თა შესანიშნავი წრე. ამ დროისათვის იგი უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ. მოსკოვში სწავლის დროს მას ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის გამოჩენილ ადამიანებთან. ბატონ ავთანდილს ლექციებს უკითხავდნენ აკადემიკოსები – ასტრავიტიანოვი, კოზლოვი, ალექსანდროვი, პროფესორი ლაპინი და სხვები. პარტიულ სკოლაში იგი სწავლობდა საქართველოში შემდგომში ცნობილ სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეებთან – როსტომ წულუკიძესთან, დავით რომელაშვილთან, დიმიტრი ქვლივიძესთან, პეტრე ჩხეიძესთან, მამია ზოდელავასთან და სხვებთან ერთად. მოსკოვში მუშაობის დროს მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა პრესის, კულტურისა და ხელოვნების ისეთ გამოჩენილ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: რეჟისორი გიორგი ალექსანდროვი, მსახიობი ლიუბოვ არლოვა, პოეტი სერგეი ხარლამოვი, დრამატურგი გიორგი მდივანი და სხვები. მას ასევე, რასაკვირველია, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ მაღალი თანამდებობის პირთან.

1952 წელს ბატონი ავთანდილი სამუშაოდ თავის მშობლიურ ქალაქს – თბილისს უბრუნდება. იგი მუშაობას იწყებს თბილისის რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში პოლიტიკური ეკონომიის ლექტორად, იმავე წელს იგი პირველად იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მრეწ-ველობის ეკონომიკის განყოფილების გამგედ, თუმცა, იმავე წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსად დანიშნვის გამო, იგი ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობას თავს ანებებს. 1953 წელს ბატონ ავთანდილს ჯერ საქართველოს კპ ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრად ნიშნავენ. 1954-1958 წწ. ბატონი ავთანდილი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საქართველოს კულტურის მინისტრად ბატონმა ავთანდილმა 1957 წლამდე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი გააკეთა საქართველოს კულტურის აღმავლობისათვის. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი ყოველთვის იზრუნდა პრინციპულობას, მხარს უჭერდა ნიჭიერი კადრების მოზიდვას და ჭეშმარიტად შემოქმედებითი კოლექტივების წინსვლას. იგი იყო საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების პირველი გამოფენის ორგანიზატორი, მისი მტკიცე მხარდაჭერით გადაურჩა აკრძალვას ქართული თეატრის არაერთი სპექტაკლი, ბატონი ავთანდილი იყო ორგანიზატორი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისა, რომელიც 1958 წელს ქ. მოსკოვში გრანდიოზული წარმატებით ჩატარდა.

კულტურის მინისტრად მუშაობის წლებში ბატონ ავთანდილს ახლო, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების არა ერთ კორიფესთან: მიხეილ ჭიაურელთან, ლადო გუდიაშვილთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, აკაკი ხორავასთან, სერგო ზაქარიაძესთან, ოთარ თაქთაქიშვილთან, უჩა ჯაფარიძესთან, ს. ქობულაძესთან, მედეა ჯაფარიძესთან, რევაზ თაბუკაშვილთან, ლია ელიავასთან, ოთარ კობერიძესთან, მარინე თბილელთან და სხვებთან. მას ხშირად სტუმრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია.

1957 წელს უკვე საბოლოოდ, ბატონი ავთანდილი ისევ იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში პოლიტეკონომიის განყოფილების გამგედ, 1960 წლიდან იგი ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან კი დირექტორი. დირექტორად მუშაობის წლებში ბატონმა ავთანდილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ამაღლებულიყო ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი და შენარჩუნებულიყო ის ტრადიციები, რასაც საფუძველი ინსტიტუტის დამაარსებელმა – აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ჩაუყარა.

ბატონმა ავთანდილმა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობის წლებში დაიწყო. იგი 1944-1950 წწ. სკკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი სკოლის პოლიტეკონომიის უფროსი მასწავლებელია შეთავსებით. 1950 კი იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1962 წელს სადოქტორო დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1967 წლიდან შეთავსებით მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგედ, ხოლო შემდეგ პროფესორად. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს ნამდვილ წევრად.

ბატონმა ავთანდილმა თავისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა ეკონომიკური კვლევის ახალი მიმართულება ეკონომიკური განვითარების ტემპებისა და პროპორციების პრობლემის დამუშავების სახით. თუმცა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას კვლევის თვალსაწიერი უფრო ფართოა. იგი იკვლევს გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების, სამუშაო ძალის აღწარმოების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკის, წარმოების კონცენტრაციისა და საწარმოს ოპტიმალური ზომის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, საქართველოს ინდუსტრიული განვითარების, ეკონომიკური რაიონების ეკონომიკური გამოთანაბრების, დაგეგმვისა და მართვის,

ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერული საფუძვლების, სამეურნეო-სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის, საბაზრო მექანიზმის ფორმირების პრობლემებს და სხვ.

არაერთი მეცნიერი გამოეხმაურა აკადემიკოს ა. გუნიას შრომებს. მათგან აღსანიშნავია აკად. ი. მიქელაძე, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა, პროფესორები: ვ. დათუკიშვილი, არჩ. თეთრაული, გ. ხასია, ა. ბრეგვაძე, ა. ხარგარიანი (ბაქო), ს. კირკე (მოლდავეთი), მ. ტიხომროვი (მოსკოვი) და სხვ.

აკადემიკოს ა. გუნიას შრომები ქვეყნდებოდა როგორც რესპუბლიკურ გამომცემლობებში, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვში, ბაქოში და სხვ.

აკადემიკოსი ა. გუნია თავის ძირითად სამუშაოს სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც უთავსებდა. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში იყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოადგილე, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სხვადასხვა სადისერტაციო საბჭოების წევრი, ჟურნალ საქართ. მეცნ. აკადემიის „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ეკონომისტის“ კოლეგიის წევრი, საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე. იგი მოხსენებებითა და სიტყვებით გამოდიოდა სხვადასხვა წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე ყრილობებზე, პლენუმებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებებსა და პრეზიდიუმის სხდომებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელ სხდომებზე, გამოდიოდა ტელევიზიით, რადიოთი. იგი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ საკავშირო სიმპოზიუმებში, თათბირებსა თუ სკოლა სემინარებში, რომლებიც იმართებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. არაერთხელ იყო მიწვეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელ აქტივთან სხვადასხვა საკითხებზე ლექციების წასაკითხად. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა არაერთი სამეცნიერო წიგნი. აღსანიშნავია ბატონ ავთანდილ გუნიას პუბლიკაციები რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში საერთოდ კულტურის, და კერძოდ, საქართველოში კულტურის განვითარების საკვანძო პრობლემებზე.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს აკადემიკოს ა. გუნიას ღვაწლი მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად ყოფნის დროს იგი ყველა პირობას ქმნიდა როგორც ასპირანტების, ისე თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ პერიოდში მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია.

აკადემიკოს ა. გუნიას საქმიანობა შეუძნეველი არ დარჩენილა ქართველი ხალხისა და მთავრობის მიერ. იგი დაჯილდოებული იქნა მედლებით: „მამაცური შრომისათვის 1941-1945წწ. დიდ სამამულო ომში“ (1945), “მოსკოვის დაცვისათვის” (1946), მოსკოვის დაარსების 800 წლისთავთან დაკავშირებით (1947), “მამაცური შრომისათვის” (1970). იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ (1982) და „საქართველოს დირსების ორდენით“ (1997), 1980 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1991 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აკადემიკოსი ა. გუნია საქ. მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექციის მრჩეველია. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი უშურველად არიგებდა იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მან თავისი დიდი მოღვაწეობის პერიოდში შეიძინა. ამასთან, იგი აგრძელებდა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. თავისი მეცნიერული გამოკვლევებით ბატონი ავთანდილი გამოეხმაურა იმ გარდაქმნებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1992 წლიდან ხორციელდება.

ბატონი ავთანდილი მადლიერი და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სამუდამო სასუფეველში დაიდო ბინა, მაგრამ იგი იქ მარტო არ არის. მასთან ერთად განისვენებენ მისი თანამშრომლები, ქართული ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლები. მასთან ერთად განისვენებს მისი საყვარელო მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი – ბელა გუნია, რომელთანაც თავისი ცხოვრების 50 ბედნიერი წელი გაატარა. ისინი ხომ მართლაც სამაგალითო მეუღლენი იყვნენ.

ბატონმა ავთანდილმა შესანიშნავი შთამომავლობა დატოვა: ვაჟი, ვალერიან გუნია – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ქალიშვილი, ნათელა გუნია – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასევე ორი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ ორი წლისაა.

ბატონი ავთანდილის დიდ დამსახურებასა და კაცურ კაცობაზე მეტყველებს ის, რომ დღეს მისი დაბადებიდან მე-100 წლისთავს ქართული საზოგადოება ღირსეულად და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

**თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

MODERN GLOBAL TRENDS AND PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

Annotation. Requirements of sustainable development exert a great influence on all elements of economic system: on the physical and human capital, technologies, institutions and forms of ownership. In the real work current trends of sustainable development and its global problems are studied.

Keywords: sustainable development; environmental problems; coevolution; neosphere

Introduction

Today the mankind rigidly faces problems of exhaustion of resources and violations of natural processes. This problem has drawn attention of the whole world since the end of the 60s and the beginning of the 70s of the 20th century to what not one international action has been devoted (the international conferences devoted to environmental issues and development - Stockholm "The zero growth" of 1972 and Rio de Janeiro "The agenda of the 21st century" of 1992), the report of the international commission for the environment and development (1987) - "Our common future" and others where concern has been expressed on the fact that the mankind is threatened by disaster in case of preservation of the existing rates of economic growth and production technologies. Therefore, the concept of sustainable development the essence of which consists in continuation of development of economy for meeting requirements of present generation without damage of future generations has been accepted. For this purpose it is necessary to make a rational metabolism and energy between society and the nature that the development of economy should be based on strict regularities of self-reproduction of the nature, that is there has to be a coevolution of society and the nature during which there is a transition of the biosphere of our planet to new quality – to the neosphere, thinking cover where people reduce results not only of them, but of destructive natural power of negative impact on the biosphere (R. Abesadze, 2008).

Modern trends of sustainable development

From current trends of sustainable development it should be noted that they gradually become more and more global, more and more states and the international organizations are involved in this process. Decisions of the international organizations in this direction become obligatory for all countries. However the role of the countries in this direction strongly differs. It is natural that in this direction the developed countries are on the advanced positions as their impact on the environment is the biggest and at the same time they have the greatest possibility of implementation of nature protection actions. From current trends of sustainable development it is also extremely important that accounting of its requirements exerts deep impact on economic growth (on growth of scales of economy) and economic development (on transition to qualitatively new more perfect state of the economy). Besides, if it is in a certain contradiction with economic growth, then it is in full consent with economic development. Sustainable development means a certain restriction not of economic development, but of economic growth. Compensation of this restriction happens due to economic development, as a result of growth of comfort of society. As a result of economic development the achievement of sustainable development is possible. Sustainable development demands compliance of rates of economic growth with natural regularities, but not in the conditions of reduction of satisfaction of more and more growing

requirements of society, and in the conditions of growth of human welfare on the basis of perfection of quality indicators of life. As a result, economic growth, perhaps, will replace the term – "growth of human welfare" the measurement indicators of which generally will be indicators of essential high-quality changes. Requirements of sustainable development lead to changes in distribution of resources and a deal of capacities, economic structure, the physical and human capital, quality of products, etc. The most part of resources arrives for providing actions for environmental protection while distribution of production capacities is better where more rational use of resources and the requirements of environment protection is provided. For the solution of problems on environment protection there are new areas which cause essential structural changes in economy. The same requirements generate new material-both energy saving and other ecological devices and technologies services of which are connected with emergence of new professions (environmental engineers, economist-ecologists, ecological experts, etc.). These requirements also lead to changes in institutes (in laws, governing bodies of economy, human habits, traditions, etc.). Therefore, as a result of taking into account the requirements of sustainable development the economy passes completely into a new state which high-quality changes almost in all its elements are followed by.

From current trends of sustainable development the recognition of problems of sustainable development by economic agents is also important that is stipulated by personal interests of the state environmental policy. The large companies observe requirements of sustainable development, also make a research of sustainable development (Research... 2014)

One of the main tendencies of sustainable development is that despite growth of intensity of nature protective measures, at the modern level of development of the technique the negative impact on the environment isn't always possible to avoid. Increase in economic scales and development of new technologies after all increases the size of negative impact on the nature. But the mankind can't stop production. Therefore, carrying out production of material welfare, society always makes a certain ecological pure. Despite it we deal with a certain paradox – in the past products were environmentally friendly and the negative impact on the nature was minimum, but the standard of living quite low, and life expectancy shorter, than today.

Important current trend of sustainable development is also that economic activity of people is strongly extended by new spheres. For example, development of the world ocean, polar zones, space and other.

Important tendency is that concentration of innovative activity in the small countries with developed economy, except some developing countries (China, Brazil, India) proceeds that will naturally be reflected on unequal development of the countries.

The world has achieved important success in the direction of sustainable development, but continuation of this process in the future by the existing rates is insufficient. There is a number of economic, social, technological, demographic and environmental problems without the solution of which constant inequality, demographic fluctuations, degradation of the environment and other problems will not be eradicated.

Global problems of sustainable development

In the way of implementation of the idea of sustainable development the world faces not only one problem of global and local value which carry both economic, and not economic character. Though all these problems are closely connected with economy and their decision generally depends on economic development.

Special attention was paid to global problems from 50s of the last century. Today they already strongly influence on both national and the world economy and considerably is defined by the prospects of sustainable development. We have to consider global problems of sustainable development the problems of big scales which solution is possible only by joint actions of the countries.

First of all, have to be emphasized global ecological problems¹:

Destruction of geofund and impoverishment. It is a huge world environmental problem. Scientists have established that within the last 200 years 9 000 species of plants and animals have been lost, the amount of minerals is gradually reduced.

Problem of the world ocean. The world ocean covers 2/3 part of the earth's surface. Its chemical pollution is very dangerous as it can cause strong reduction of water and food resources and violation of oxygen balance in the atmosphere. Pollution of the World Ocean strongly grows by products of power, chemical and war industry.

Atmospheric pollution. The number of harmful emissions increases and it extends on all atmosphere and accepts global character, acid rains cause extensive damage to the wood. Global economic problems are also pollution of surfaces of a natural landscape and its distortion.

Violation of an ozone layer. Violation of an ozone layer is quite dangerous as it protects people from deadly ultra-violet radiation. The first such hole was found in 1982. Later it has become clear that the ozone layer is collapsed by jet engines of planes, spaceships and satellites.

Climate change. It can cause changes of sunlight, terrestrial orbit and bent of an axis, transparency of the atmosphere, concentration of greenhouse gases, abilities of reflection of the earth's surface, etc. It can cause the global negative phenomena: reduction of humidity of landscapes; movement of climatic and vegetable zones; thawing of ice, glaciers and eternal glaciers; rise in global ocean level; violation of circulation of oceanic water and a full hydrological cycle on earth and other.

From global problems of non-ecological character it is possible to underline:

Problem of development of the human capital. In the modern world there are still such countries where education level is very low. According to bank of reconstruction and development the training duration in the Western Africa is only 2 years, and in tropical Africa less than 3 years, in Eastern Africa about 4 years. Thus, in the world there still is a problem of elimination of illiteracy. In Africa and the Southern Asia the quantity of illiterates at adult population is 40%².

Space exploration problem. The astronautics gives the real chance of creation of a new view on the world and solutions of important economic tasks: improvement of the international communication systems, long-term forecasting of weather, development of marine and air transport and other. But still there are many problems the solution of which will promote the solution of many ther global problems - for example, creation of space devices which will be able to process solar energy, to transfer the power-intensive enterprises to space and many other things.

Problem North-South. It is a problem of the economic relations between the developed and developing countries. As the standard of living between the North and the South very strongly differs from each other there are various problems, having global character. For example, the large-scale compelled migration from developing in the developed countries, an external debt, danger of diffusion of infectious diseases in the world and another³.

¹ <http://greenologia.ru/eko-problemy/globalnye.html>

² <http://textbook.news/ekonomika-mirovaya/148-problema/razvitiya-chelovecheskogo.html>

³ <http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/problema-sever-yug/html>

Poverty problem. It is not only a national, but also global problem because of large scales of poverty around the world, especially, in developing countries. It constitutes larger danger to sustainable development⁴. By 2017 the number of the world population was 7,5 billion people. From here more than 800 million people have income less than \$1,25, and more than 2,7 million people – less than \$2,2, that is 36 percent of all population. The poorest countries of the world are those, where gross domestic product of population per capita fluctuates only from 600 to 1500 US dollars: Republic of the Central Africa, Burundi, Democratic Republic of the Congo, Nigeria, Valavi, Mozambique, Guinea, Eritrea, Madagascar⁵.

Alimentary problem. Is one of the most ancient global problems of mankind. Its most serious result is hunger. In recent years scales of hunger were reduced, but by 2017 they were enlarged and were more than 800 million people, that is 11% of the world population. Reason for that is climate change and augmentation of number of the military conflicts⁶.

Achievements of modern science cause augmentation of alimentary production on the basis of augmentation of fertility of the earth, use of biological resources of the seas and oceans, achievements of genetics and selection and breeding of more production species of cattle.

Power problem. It is bound to providing with fuel and energies of mankind. It became a global problem from 70s of the last century when the energy crisis because of sharp increase in prices for oil began (by 14,5 times in 1972-1981). Crisis accelerated exploration works and introduction of energy saving technologies that softened its results⁷.

The power problem exists because the energy resources are exhaustive. World reserves of oil according to 2016 make $1706.7 \cdot 10^9$ barrel, natural gas - 3551.6 billion cubic meters (BP Statistical ... 2017) that in case of preservation of volume of consumption will be sufficient only within 50-56 years.

Problem of growth of number of the world population. Growth of the population has bilateral influence on economic growth, both positive, and negative. From the positive moments it is possible to mark out: 1. Growth of the population increases the number of labor of the country (manpower) that is necessary for expansion of production, increase in the state power. 2. In the country with surplus population, the probability that more people with distinctive talent will be born (the scientist, the businessman, the art critic, etc.) is higher, than in that country where population number is low. From negative sides It should be noted: 1. Growth of the population demands the corresponding growth of economy that has negative effect on environment; 2. As natural resources are limited, in the conditions of the infinite growth of the population, it, perhaps, will be insufficient for satisfaction of the growing requirements. Generally, the problem of growth of the population is a common world problem, but each country has to solve it independently as they face absolutely different problems. For example, if China worries about the problem of rapid growth of the population, in Georgia the situation is opposite. According to demographers, since 1990 besides separate exceptions, the number of the population in Georgia decreases (R. Abesadze, 2013). From global problems it is also possible to underline: security concerns, preservation of peace, the termination of arms and disarmament, not militarized space problems, etc.

From global problems it is also possible to allocate: security concerns, preservation of peace, termination of arms and disarmament, problem of not militarization of space, etc.

⁴ <http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/problema-bednosti.html>

⁵ <http://hochusvalit.com/khochu-svalit/samye-bednye-strany-mira>

⁶ <https://ria.ru/world/20170915/1504839896.html>

⁷ <http://www.grandars.ru/student/mirovaya-ekonomika/energeticheskaya-problema.html>

The decisions made by the United Nations indicate much attention paid to the problems of sustainable development. In 2000 "Millennium Declaration" in which 8 sustainable development goals are transferred and which implementation was followed by many positive results has been adopted. Though many problems are still to be solved. Therefore, on September 25, 2015 193 members of the UN countries have agreed about the document of sustainable development on the agenda with the title – "Transforming our world: the agenda of 2030 for sustainable development". This agenda contains 17 goals and 169 targets. These goals are: end poverty in all its forms everywhere, end hunger, achieve food security and improved nutrition and promote sustainable agriculture; ensure healthy lives and promote well-being for all at all ages; ensure inclusive and quality education for all and promote lifelong learning; achieve gender equality and empower all women and girls; ensure access to water and sanitation for all; promote inclusive and sustainable economic growth, employment and decent work for all; reduce inequality within and among countries, make cities inclusive, safe, resilient and sustainable, take urgent action to combat climate change and its impacts, promote just, peaceful and inclusive societies, revitalize the global partnership for sustainable development.

Conclusion

From current trends of sustainable development should be noted:

1. They gradually become more and more global, more and more states and the international organizations are involved in this process. In this direction the developed countries are on the advanced positions as their impact on the environment is the biggest and at the same time they have the greatest possibility of implementation of nature protection actions.

2. They have deep impact on economic growth and economic development. Besides, if it is in a certain contradiction with economic growth, then it is in full consent with economic development.

3. Lead to changes in distribution of resources and a deal of capacities, economic structure, the physical and human capital, quality of products, etc. The most part of resources arrives for providing actions for environmental protection while distribution of production capacities is better where more rational use of resources and the requirements of environment protection is provided. For the solution of problems on environment protection there are new areas which cause essential structural changes in economy. The same requirements generate new material- both energy saving and other ecological devices and technologies services of which are connected with emergence of new professions (environmental engineers, economist-ecologists, ecological experts, etc.). These requirements also lead to changes in institutes (in laws, governing bodies of economy, human habits, traditions, etc.).

4. Recognition of problems of sustainable development by economic agents is also important that is stipulated by personal interests of the state environmental policy. The large companies observe requirements of sustainable development; also make a research of sustainable development (Research...2014).

5. Increase in economic scales and development of new technologies after all increases the size of negative impact on the nature. But the mankind can't stop production. Therefore, carrying out production of material welfare, society always makes a certain ecological pure.

6. The world has achieved important success in the direction of sustainable development, but continuation of this process in the future by the existing rates is insufficient. There is a number of economic, social, technological, demographic and environmental problems without the solution of

which constant inequality, demographic fluctuations, degradation of the environment and other problems will not be eradicated.

In the way of implementation of the idea of sustainable development the world faces not only one problem of global and local value decision of which solution is possible only by joint actions of the countries. These problems are: global economic problems: atmospheric pollution, problem of the World Ocean, climate change, violation of an ozone layer, destruction of geofund and impoverishment; global problems not of ecological character: human development, power, poverty, space exploration, problems of growth of number of the world population, problem North-South. The decisions made by the United Nations indicate much attention paid to the problems of sustainable development. In 2000 "Millennium Declaration" in which 8 sustainable development goals are transferred and which implementation was followed by many positive results has been adopted. Though many problems are still to be solved. Therefore, on September 25, 2015 193 members of the UN countries have agreed about the document of sustainable development on the agenda with the title – "Transforming our world: the agenda of 2030 for sustainable development". This agenda contains 17 purposes and 169 aims, the most of which is directed to the solution of the above-mentioned problems.

References

1. R. Abesadze, 2008, sustainable economic development – a global challenge of the 21st century. "Collection of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economy", volume I, Tb., "Publishing house of Paata Gugushvili Institute of Economy".
2. R. Abesadze, 2013. Economic development and growth of the population. Collection of works of the international conferences, Kutaisi, "Publishing house of Akaki Tsereteli State University".
3. BP Statistical Review of World Energy. June 2017
<https://www.bp.com/content/dam/bp/en/corporate/pdf/energy-economics/statistical-review-2017/bp-statistical-review-of-world-energy-2017-full-report.pdf>
4. V.M. Klaptsov. Environmental problems of sustainable development.
<https://riss.ru/analitics/982/>
5. Emerging trends in sustainable development: an ecosystem service approach
<https://www.silvacom.com/wp-content/uploads/2016/03/Silvacom-Emerging-Trends-in-Sustainable-Development-White-Paper.pdf>
6. Esuna Dugarova and Nergis Gulasan. 2017, Six megatrends that could alter the course of sustainable development. <https://www.theguardian.com/global-development-professionals-network/2017/apr/14/six-megatrends-that-could-alter-the-course-of-sustainable-development>
7. Trends and future of sustainable development. 2015.
https://www.utu.fi/fi/yksikot/ffrc/julkaisut/e-tutu/Documents/eBook_2011-15.pdf
8. Research ASSA has revealed tendencies of sustainable development, 2014
<http://www.b-soc.ru/theory-and-practice/materials/material/corpsocotv/75>
9. Space exploration problem. Global problems of mankind, 2017
<http://www.globaltrouble.ru/drugieglobalnyeproblemy/problemaosvoeniakosmosa.html>

**მდგრადი განვითარების თანამედროვე
გლობალური ტენდენციები და პრობლემები**

ანოტაცია. მდგრადი განვითარების მოთხოვნები უდიდეს გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტზე: ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალზე, ტექნოლოგიებზე, ინსტიტუციებზე და თვით საკუთრების ფორმებზე.

ნაშრომში გამოკვლეულია მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და გლობალური პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება; ეკოლოგიური პრობლემები; კოევილუცია; ნეოსფერო; ეკოლოგიური დათმობა

შესავალი

დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მკაცრად დგას პრობლემა ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და ბუნების კვლავწარმოების პროცესების დარღვევისა. ამ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა, რასაც არაერთი საერთაშორისო ღონისძიება მიეძღვნა (1972 წლის სტოკჰოლმის (“ნულოვანი ზრდა”) და 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს (“დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის”) გარემოსა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, გაეროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კომისიის მოხსენება (1987) – “ჩვენი საერთო მომავალი” და სხვ., რომლებზედაც გამოითქვა შეშფოთება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული ტემპებისა და წარმოების არსებული ტექნოლოგიების შენარჩუნების შემთხვევაში, კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრებოდა. შედეგად მიღებული იქნა მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უნდა გაგრძელდეს ეკონომიკის უწყვეტი განვითარება ახლანდელი თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ოღონდ მომავალი თაობების არსებობისათვის ზიანის მიყენების გარეშე. ამისათვის აუცილებელია განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯიის რაციონალური გაცვლა, რომ ეკონომიკის განვითარება დაემყაროს ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს, ანუ მოხდეს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების **კოევილუცია**, რომლის დროსაც ხდება ჩვენი პლანეტის **ბიოსფეროს** გადასვლა ახალ თვისებრიობაში – **ნეოსფეროში**, **მოაზროვნე გარსში**, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებული უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს (აბესაძე რ., 2008).

მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციები

მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან უნდა გამოიყოს ის, რომ იგი თანდათან ღებულობს სულ უფრო და უფრო გლობალურ ხასიათს, ამ პროცესში რეალურად ერთეობა მეტი და მეტი სახელმწიფო. მსოფლიო ორგანიზაციების გადაწყვეტილებები ამ მიმართულებით ნებაყოფილებით სავალდებულო ხდება ყველა ქვეყნისათვის. თუმცა, ქვეყნების როლი ამ მიმართულებით ძლიერ განსხვავებულია. ბუნებრივია, ამ მხრივ მოწინავე პოზიციებზეა განვითარებული

ქვეყნები, ვინაიდან სწორედ მათი ზემოქმედებაა გარემოზე ყველაზე დიდი და ამავე დროს მათ აქვთ ყველაზე დიდი შესაძლებლობა ბუნებისდაცვითი ღონისძიებების განხორციელებისა.

მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან ასევე უმნიშვნელოვანესია ის, რომ მისი მოთხოვნების გათვალისწინება დიდ გავლენას ახდენს როგორც ეკონომიკურ ზრდაზე (ეკონომიკის მასშტაბების გადიდებაზე), ისე ეკონომიკურ განვითარებაზე (ეკონომიკის თვისებრივად ახალ უფრო სრულყოფილ მდგომარეობაში გადასვლაზე). ამასთან თუ იგი ეკონომიკურ ზრდასთან გარკვეულ წინააღმდეგობაშია, ეკონომიკურ განვითარებასთან სრულ თანხვედრაშია. მდგრადი განვითარება გულისხმობს არა ეკონომიკური განვითარების, არამედ ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის გარკვეულ შეზღუდვას. ამ შეზღუდვის კომპენსირება ხდება სწორედ ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, საზოგადოების კომფორტის ზრდის შედეგად. სწორედ ეკონომიკური განვითარების შედეგად არის შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიღწევა. მდგრადი განვითარება მოითხოვს ეკონომიკური ზრდის ტემპების შესაბამისობას ბუნების კანონზომიერებებთან, მაგრამ არა საზოგადოების სულ უფრო მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემცირების, არამედ ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას პირობებში თვისებრივ მაჩვენებელთა სრულყოფის საფუძველზე. საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ტერმინმა – „ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა“, რომლის გაზომვის მაჩვენებლები ძირითადად იქნება თვისებრივი ცვლილების გამომსახველი მაჩვენებლები.

მდგრადი განვითარების მოთხოვნები იწვევს ცვლილებებს რესურსების გადანაწილებასა და სიმძლავრეთა განლაგებაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში, პროდუქციის ხარისხში და ა.შ. რესურსების დიდი ნაწილი მიედინება ბუნების დაცვის ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად, ხოლო საწარმოო სიმძლავრეების განლაგება უმჯობესია იქ, სადაც ყველაზე ოპტიმალურად იქნება დაცული რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და გარემო ბუნების დაცვის მოთხოვნები. ბუნებისდაცვით პრობლემათა გადასაჭრელად წარმოიშობა შესაბამისი დარგები, რომლებიც ეკონომიკაში მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს იწვევენ. იგივე მოთხოვნები წარმოშობს პრინციპულად ახალ მასალა- და ენერგოდამზოვ უნარჩენო და სხვა ეკოლოგიურ მოწყობილობებს და ტექნოლოგიებს, რომელთა მომსახურება დაკავშირებულია ახალი პროფესიის (ინჟინერ-ეკოლოგები, ენერგო-ეკოლოგები, ეკონომისტ-ეკოლოგები, ეკოლოგიური ექსპერტები და სხვა) კადრების წარმოშობასთან. აღნიშნული მოთხოვნები ასევე იწვევს ცვლილებებს ინსტიტუციებშიც (კანონებში, ეკონომიკის მართვის ორგანოებში, ადამიანის ჩვევებში, ტრადიციებში და ა.შ.). მაშასადამე, მდგრადი განვითარების მოთხოვნათა გათვალისწინების შედეგად ეკონომიკა გადადის სრულიად ახალ მდგომარეობაში, რომელსაც მოჰყვება თვისებრივი ცვლილებები მის თითქმის ყველა ელემენტში

მდგრადი განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკური აგენტები მიერ მდგრადი განვითარების პრობლემათა აღიარება, რაც განპირობებულია პირადი ინტერესებით და სახელმწიფოს ეკოლოგიური პოლიტიკით. მსხვილი კომპანიები იცავენ რა მდგრადი განვითარების მოთხოვნებს, ასევე აწარმოებენ აღრიცხვას მდგრადი განვითარების შესახებ (Исследование... 2014).

ერთერთი მთავარი ტენდენცია მდგრადი განვითარებისა არის ის, რომ, მიუხედავად ბუნებისდაცვითი ღონისძიებების ინტენსივობის გაზრდისა, ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე ყოველთვის შეუძლებელია მთლიანად ავიცილოთ გარემო ბუნებაზე მაინც გავლენა. ეკონომიკის მასშტაბების გადიდება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება მაინც ზრდის ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედების სიდიდეს. მაგრამ, ამის გამო არ შეიძლება კაცობრიობამ შეწყვიტოს საწარმოო პროცესი. მაშასადამე, ახორციელებს რა მატერიალური დოვლათის წარმოებას, საზოგადოება ყოველთვის მიდის გარკვეულ ეკოლოგიურ დათმობაზე. მიუხედავად ამისა, საქმე გვაქვს გარკვეულ პარადოქსთან – წარსულში პროდუქტებიც ეკოლოგიურად სუფთა და ბუნებაზე ნეგატიური ზემოქმედებაც მინიმალური იყო, მაგრამ ცხოვრების დონე ძალზე დაბალი და სიცოცხლის ხანგრძლივობაც ძალზე ხანმოკლე, ვიდრე დღეს.

მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი თანამედროვე ტენდენციაა ასევე ის, რომ ძლიერ ფართოვდება ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობა ახალი სფეროებით. მაგალითად, მსოფლიო ოკეანის, პოლარული ზონების, კოსმოსის ათვისება და სხვა.

მნიშვნელოვანი ტენდენციაა ის, რომ გრძელდება მსოფლიოში ინოვაციური საქმიანობის თავმოყრა განვითარებული ეკონომიკის მქონე მცირერიცხოვან ქვეყნებში, გარდა რამოდენიმე განვითარებადი ქვეყნისა (ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი), რაც ბუნებრივია, აისახება ქვეყნების უთანაბრო განვითარებაზე.

მსოფლიომ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს მდგრადი განვითარების მიმართულებით, მაგრამ შემდგომში არსებული ტემპებით გაგრძელება არასაკმარისია. არსებობს რიგი ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური პრობლემებისა, რომელთა გადაჭრის გარეშე ვერ აღმოიფხვრება მუდმივი უთანასწორობა, დემოგრაფიული რყევები, გარემოს დეგრადაცია და სხვ.

მდგრადი განვითარების გლობალური პრობლემები

მდგრადი განვითარების იდეის განხორციელების გზაზე მსოფლიოს წინაშე დგას არაერთი გლობალური და ლოკალური მნიშვნელობის პრობლემა, რომელთაც აქვთ როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათი. თუმცა, ყველა ეს პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკასთან და მათი გადაჭრა ძირითადად ეკონომიკურ განვითარებაზეა დამოკიდებული.

გლობალურ პრობლემებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გასული საუკუნის 50-ნი წლებიდან. დღეისათვის ისინი უკვე დიდ გავლენას ახდენენ როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკაზე და მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მდგრადი განვითარების პერსპექტივებს. გლობალურ პრობლემებად მდგრადი განვითარებისა უნდა მივიჩნიოთ დიდი მასშტაბის მქონე პრობლემები, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყნების ერთობლივი მოქმედებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს **გლობალური ეკოლოგიური პრობლემები⁸**:

გეოფონდის განადგურება და გადარიბება. ეს მთელი მსოფლიოს უზარმაზარი ეკოლოგიური პრობლემაა. მეცნიერებმა გამოთვალეს, რომ ბოლო 200 წლის

⁸ <http://greenologia.ru/eko-problemy/globalnye.html>

განმავლობაში დაიკარგა 9 000 სახეობის მცენარე და ცხოველი, თანდათან მცირდება სასარგებლო წიაღისეულთა რაოდენობა.

მსოფლიო ოკეანის პრობლემა. მსოფლიო ოკეანეს უჭირავს დედამიწის ზედაპირის 2/3-დი ნაწილი. მისი ქიმიური დაბინძურება ძლიერ საშიშია, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს წყლისა და საკვები რესურსების ძლიერი შემცირება და ჟანგბადის ბალანსის დარღვევა ატმოსფეროში. ძლიერ იზრდება მსოფლიო ოკეანის დაბინძურება ენერგეტიკის, ქიმიური და სამხედრო მრეწველობის პროდუქტებით.

ატმოსფეროს დაბინძურება. იზრდება მავნე გამონატყორცნების რაოდენობა და იგი ვრცელდება მთელ ატმოსფეროში და ღებულობს გლობალურ ხასიათს, მუავე წვიმები დიდ ზარალს აყენებს ტყეს. ასევე გლობალურ ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს ბუნებრივი ლანდშაფტების ზედაპირების დაბინძურება და დამახინჯება.

ოზონის ფენის დარღვევა. ოზონის ფენის დარღვევა ძლზე საშიშია, ვინაიდან იგი იცავს ადამიანებს მომაკვდინებელი ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან. პირველი ასეთი ხვრელი აღმოაჩინეს 1982 წელს. შემდეგ გაირკვა, რომ ოზონის ფენა ნადგურდება თვითმფრინავების, კოსმოსურ ხომალდთა და თანამგზავრთა რეაქტიული ძრავების მიერ.

კლიმატის ცვლილება. კლიმატი მოიცავს შემდეგ მახვენებლებს: საშუალო ტემპერატურა, ნალექის რაოდენობა, მზიანი დღეების რაოდენობა და სხვა. კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს მზის ნათების, დედამიწის ორბიტისა და ღერძის დახრილობის, ატმოსფეროს გამჭვირვალობის, **სათბური გაზების** კონცენტრაციის, დედამიწის ზედაპირის ამრეკლი უნარისა და სხვათა ცვლილებებმა. მან შეიძლება გამოიწვიოს გლობალური ნეგაყიური მოვლენები: ლანდშაფთა ტენიანობის შემცირება; კლიმატური და მცენარეული ზონების გადაადგილება; ყინულების, მყინვარებისა და მარადი გაყინულობის ღღობა; მსოფლიო ოკეანის დონის აწევა; ოკეანეთა წყლის ცირკულაციის და მთლიანი ჰიდროლოგიური ციკლის დარღვევა დედამიწაზე და სხვ. .

არა ეკოლოგიური ხასიათის გლობალური პრობლემებიდან შეიძლება გამოიყოს:

ადამიანისეული პოტენციალის განვითარების პრობლემა. თანამედროვე მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ქვეყნები, სადაც განათლების დონე ძალიან დაბალია. რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეფასებით, დასავლეთ აფრიკაში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს მხოლოს 2 წელიწადს, ხოლო ტროპიკულ აფრიკაში 3 წელზე ნაკლებს, აღმოსავლეთ აფრიკაში დაახლოებით 4 წელს. მაშასადამე, მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებობს წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის პრობლემა. აფრიკასა და სამხრეთ აზიაში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა მოზრდილ მოსახლეობაში 40%-ს შეადგენს⁹.

კოსმოსის ათვისების პრობლემა. კოსმონავტიკამ რეალური შესაძლებლობა შექმნა ჩამოყალიბებულიყო ახალი შეხედულება სამყაროზე და გადაწყვეტილიყო მნიშვნელოვანი სახალხომეურნებრივი ამოცანები: კავშირგაბმულობის საერთაშორისო სისტემების სრულყოფა, ამინდის გრძელვადიანი პროგნოზირება, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის განვითარება და სხვა. მაგრამ ჯერ კიდევ რჩება ბევრი

⁹ <http://textbook.news/ekonomika-mirovaya/148-problema-razvitiya-chelovecheskogo.html>

პრობლემა, რომლის გადაჭრაც ხელს შეუწყობს ბევრი სხვა გლობალური პრობლემის მოგვარებას – მაგალითად, კოსმოსური მოწყობილობების შექმნა, რომლებიც მიიღებენ და გადაამუშავებენ მზის ენერჯიას, კოსმოსში ენერგოტექვადი საწარმოების გატანა და ბევრი სხვ. (Проблема освоения ... 2017).

პრობლემა **ჩრდილოეთი-სამხრეთი**. ეს არის განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემა. ვინაიდან ცხოვრების დონე ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ერთმანეთისაგან ძლიერ დანსხვავდება წარმოიშობა სხვაფასხვა პრობლემა რომელთაც აქვთ გლობალური ხასიათი. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში მასშტაბური იძულებითი მიგრაცია, საგარეო ვალის გადაუხდელობა, ინფექციური დაავადებების მსოფლიოში გავრცელების საფრთხე და სხვ¹⁰.

შვედეთის მრეწველობის განვითარების ინოვაციურ გზაზე გადაყვანა თავისთავად გულისხმობს ეკონომიკის შეედური მოდელის მხარდაჭერას, რამდენადაც ინოვაციური სპეციალიზაცია ამჟამად გვევლინება ყველაზე ხელსაყრელად მსოფ-

ლიო ბაზარზე დამყარებული საფასო პროპორციების თვალსაზრისით. საერთაშორისო გაცვლაში მონაწილეობისას ეს შვედეთს აძლევს ე.წ. „ტექნოლოგიური რენტის“ ამოქაჩვის შესაძლებლობას. ადამიანისეული პოტენციალის განვითარების გამოცდილება, რომელიც შვედური ეკონომიკური მოდელის განუყოფელი ნაწილია, სულ უფრო მეტად იქცევა მეცნიერებატევად სპეციალიზაციაზე გადასვლის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსად.

ქვეყნის მრეწველობის ინოვაციურ საწყისებზე გადაყვანა ხორციელდება ამ პროცესში სახელმწიფოს აქტიური ჩარევით, რაც მიიღწევა ინოვაციების დამუშავებისა და დანერგვის საქმეში სახელმწიფო საშუაშაველო სტრუქტურების – სამეცნიერო და სამრეწველო პარკების, ბიზნესინკუბატორების, სამეცნიერო-სამრეწველო კლასტერებისა და სხვ. შექმნის საფუძველზე. ამის საუკეთესო მაგალითია აქციებსა და ვენჩურულ კაპიტალში კერძო დაბანდებების შვედური ასოციაცია, რომლის მსგავსი სტრუქტურები იქმნება სახელმწიფო კაპიტალის საფუძველზე კერძო კომპანიებთან პარიტეტულ საწყისებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავისთავზე იღებს ინოვაციური განვითარების პასუხისმგებლობას და ინაწილებს კერძო ბიზნესთან ვენჩურულ რისკებსა და ფინანსურ დატვირთვას.

შვედეთში ვენჩურულ კაპიტალს წარმოადგენს სამრეწველო ფონდი და კერძო დაბანდებებისა და აქციების ასოციაცია. ესენი და მათი მსგავსი სტრუქტურები, ქმნიან რა რეგიონულ განყოფილებებს, ფაქტობრივად მოიცავენ ქვეყნის მთელ ტერიტორიას. შვედური ინოვაციური სააგენტო – „ინოვაციური ხიდი“ ქმნის სასტარტო კაპიტალს ინოვაციური კომპანიებისათვის და ასტიმულებს როგორც მთლიანად მრეწველობას, ისე განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ საქმიანობას. ქვეყნის ინოვაციური სააგენტო, „ინოვაციურ ხიდთან“ ერთად, ახორციელებს ქვეყანაში ბიზნესის ინკუბატორების განვითარების ათწლიანი პროგრამის რეალიზაციას.

როგორც უკვე აღინიშნა, შვედეთის ეროვნული სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა წარმოადგენს, რაც იმითაა განპირობებული, რომ ქვეყნის საწარმოთა საერთო რაოდენობაში ასეთ საწარმოებს უკავიათ 90%-ზე მეტი, რომელთა წილად მოდის ეკონომიკაში დასაქმებულთა 1/3 და მშპ-ს დაახლოებით ნახევარი [3,8].

გარდა ზემოაღნიშნულისა, მცირე და საშუალო საწარმოების საქმიანობა უფრო მეტად ატარებს ინოვაციურ ხასიათს, რადგან ისინი უფრო მოქნილად რეაგირებენ მოთხოვის, ტექნოლოგიებისა და გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურის ცვლილებებზე, მათ უნარი შესწავთ, უკეთ დააკმაყოფილონ ცალკეული კატეგორიის მომხმარებელთა მოთხოვნები, რომელთაც თანამედროვე პირობებში გააჩნიათ ინდივიდუალიზაციის აშკარად ზრდის ტენდენციები.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერაზე შვედეთში იხარჯება დაახლოებით 4% იმ თანხებისა, რომელიც გამოიყოფა სამრეწველო პოლიტიკის განხორციელებაზე, მათი დიდი ნაწილი რეალიზდება ადგილობრივ და რეგიონალ დონეზე, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს საკოორდინაციო პოლიტიკას და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მცირე ბიზნესის განვითარებისათვის. დარგობრივ ჭრილში კი ასეთი საწარმოები ჭარბობს გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაში, რესტორნებისა და სასტუმრო ბიზნესში.

შვედეთში წარმატებით ხორციელდება პროგრამები, რომლებიც ორიენტირებულია მიზნობრივი ჯგუფებისათვის (ახალგაზრდების, ქალი-მეწარმეების, უმუშევრების, იმიგრანტების) მეწარმეობის მხარდაჭერაზე. ქვეყანაში ყოველწლიურად იქმნება ათეულ ათასობის მცირე და საშუალო საწარმო, რომელთა 20% მოდის 30 წლამდე ახალგაზრდებზე, 30% – ქალებზე, 20% – უმუშევრებზე და ასევე 20% – იმიგრანტებზე. ამ პროგრამების წარმატებით რეალიზაციისა და მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის თანმიმდევრული გატარებით ასეთი საწარმოების დიდი ნაწილი ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და შემდგომში განაგრძობს თავის არსებობას.

შვედეთში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება საერთო სამრეწველო და რეგიონული ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში, რომლებიც ასეთ საწარმოებზეა ფოკუსირებული. ორგანიზაციულად ამის პასუხისმგებლობა აკისრია მრეწველობის, დასაქმებისა და კომუნიკაციების სამინისტროს. ასეთი საწარმოებისათვის დაწესებულია რეგისტრაციის შედარებით მარტივი პროცედურა. ამისათვის ნებართვა გაიცემა ერთი თვის განმავლობაში, ყველა ფორმალობის შესასრულებლად საჭირო დანახარჯები განისაზღვრება ერთ სულზე მპშ-ს 1%-ის ფარგლებში. რეგისტრაციის ყველა პროცედურა ხორციელდება ერთი სარკმლის მეშვეობით, სადაც საწარმო დგება საგადასახადო აღრიცხვაზე და გადის სახელმწიფო რეგისტრაციას.

შვედეთის ეროვნული ინოვაციური სამრეწველო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა დარგის მართვაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. ეს იმითაც გამოიხატება, რომ მასობრივი პრივატიზაციის, ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებშიც კი, შვედეთის მთავრობა თავის ხელში ინარჩუნებს მრეწველობის განვითარების უმთავრეს ბერკეტებს. ქვეყნის მრეწველობის განვითარების მართვაში მოხდა პირდაპირი მეთოდების ირიბ ინსტრუმენტებთან და სტრუქტურული პოლიტიკის ინტეგრაციულ და ინოვაციურ კომპონენტებთან სიმძიმის ცენტრის შერწყმა. ამჟამად შვედეთის სახელმწიფო გვევლინება სამუშაო ძალის უდიდეს დამქირავებლად და ფასიანი ქაღალდების უმსხვილეს მფლობელად. იგი ინარჩუნებს ქვეყნის 54 უდიდეს სამრეწველო კომპანიაზე კონტროლს.

შვედეთის თანამედროვე სამრეწველო სტრატეგიის დამახასიათებელი ნიშნებია: რეგიონული და ინოვაციური პოტენციალის გამოყენების ზრდა; ეროვნული ინოვაციური სისტემის მონაწილეთა შორის კოორდინაციის, აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკური სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაძლიერება; პროფესიული მომზადების დონის ამაღლება და ადამიანისეული პოტენციალის ზრდა; რეგიონების სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და სტრატეგიული რეგიონთაშორისი კოოპერაციის განვითარება; ბიზნესზე საგადასახადო დატვირთვის შემცირება, მაგრამ არა მისი სოციალური, ინოვაციური და ეკონომიკური ორიენტაციის საზიანოდ.

შვედეთში სისტემატურად ხორციელდება მრეწველობის მართვის სრულყოფის ღონისძიებები. ქვეყნის მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვანი ნიშან-თვისებაა მისი შრომატევადი საქონლის წარმოებაზე თანდათანობით გადასვლა. ამჟამად ინტენსიურად ხორციელდება მრეწველობის ინოვაციურ რელსებზე გადაყვანა, რომელიც სულ უფრო მეტად ეფუძნება ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენებას,

მდგრად განვითარებას, პროდუქციის წარმოების პროცესში ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკის გამოყენებას.

შვედეთის მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას ახალ (არანახშირწყალბადოვან) ენერგეტიკაზე გადასვლა წარმოადგენს. ამ მიზნით ქვეყანაში დამუშავდა სახელმწიფო პროგრამა და მის საფუძველზე ახალი ენერგეტიკული სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს ნახშირწყალბადოვან ენერგეტიკაზე თანდათანობით უარის თქმას და მის მაგივრად ბიოსაწვავის გამოყენებას. იგი კარგა ხანია ფართოდ გამოიყენება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე, ბინების თბომომარაგებაში და ა.შ. ჯერ კიდევ 1971-2007 წწ. ქვეყანაში ბიოსაწვავის მოხმარება 2,8-ჯერ გადიდა, ხოლო ნახშირწყალბადოვანი ენერჯის მოხმარება 42%-მდე შემცირდა, ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის მოხმარება კი 35%-მდე ამაღლდა [3,3].

ალტერნატიულ წყაროებზე გადაყვანის პროგრამის განსახორციელებლად მთავრობა ატარებს არაერთ მასტიმულირებელ ღონისძიებას. მაგალითად, ავტომწვობელებს, ეკოლოგიურად სუფთა საწვავის გამოყენებისას ეძლევათ საგადასახადო შეღავათები, ბენზინგასამართ სადგურებს კი დაეკისრათ, ტრადიციულ ბენზინთან ერთად, ივაჭრონ ენერჯის ახალი წყაროებითაც. შედეგად ქვეყანაში ახლად დარეგისტრირებული ავტომობილების 36% ჯერ კიდევ 2008 წ. გამოიყენებდა არატრადიციულ საწვავს. ალტერნატიულ ენერგეტიკაზე გადასვლა შვედეთში მიმდინარეობს არა სპონტანურად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის თანმიმდევრულად და ეტაპობრივად განხორციელების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გელიტაშვილი მ., შვედეთის ეკონომიკა, www.sociom.ge/index
2. Глобальный инновационный индекс 2016г.
http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2016/article_0008.html
3. Инновационная политика Швеции ,<http://re fold.ru/look/270717>.
4. Экономика Швеции: История успеха, <https://sweden.ru/ljudi/ekonomika-shvecii-istoriya-uspeha/>
5. Эффективность промышленной политики Швеции в научно- технической и инновационной сфере , <http://retdb. ru/look/2701717-p10.html>

Revaz Javakhishvili

SWEDISH NATIONAL INNOVATION INDUSTRIAL POLICY

Summary

The Swedish national innovation industrial policy is an integral part of the economic policy of the country, as it is developed under the influence of measures that are oriented on the whole economy. The paper analyzes the main aspects of Sweden's Industrial Policy Strategy: Significant increase in the use of regional and innovative potential; Strengthen coordination, scientific-technical specialization and co-operation between participants of national innovation industrial systems; Increase the level of professional training and increase human capacity; Intensive transportation of the product of labor-intensive goods and innovative development, which is increasingly based on the use of intellectual potential, sustainable development and the use of ecologically clean energy sources in the production of products.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების (საქართველო) გადასახადების
შეღარებითი ანალიზი

ანოტაცია. ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთიანი საგადასახადო სისტემა არსებობდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ბაზაზე დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამოყალიბების შემდეგ, თითოეულ ქვეყანაში სპეციფიკური საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა. მიღებული იქნა შესაბამისი სპეციფიკური კანონები, რომლებიც ხშირ ცვლილებებს განიცდიდა. საქმე ისაა, რომ პოსტსაბჭოურ პერიოდში ბევრი ქვეყანა ფინანსების უმწვავეს დეფიციტს განიცდიდა. დეფიციტის დაძლევა დიდწილად დამოკიდებული იყო ევექტიან საგადასახადო პოლიტიკაზე. მას ხელი უნდა შეეწყო, ერთი მხრივ, მეწარმეობის განვითარებისა და მეორე მხრივ, ბიუჯეტში თანხების მობილიზებისათვის. ორივე ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა რთულ და ხანგრძლივ პროცესს მოითხოვდა. საგადასახადო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებები წინ უსწრებდა მათ მეცნიერულ გააზრებას. სახელმწიფოს სისუსტე გადასახადების მობილიზებას ხელს ვერ უწყობდა. შედეგად ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული და ადგილი ჰქონდა „გადასახადების დამალვას“. საქმის გამოსწორებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დამხმარე როლი მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადაწყვეტი იყო. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლები ზოგადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ბევრ მათგანში დიდი სხვაობებია GDP-ში გადასახადების წილის (%) მიხედვით, რაც ხშირად გადასახადებისაგან თავის არიდების ტენდენციებზეც მიუთითებს. ანალიზი ცხადყოფს, რომ: მსოფლიო ჯამურ GDP-ში გადასახადების %-ული წილი სტაბილურია; პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ესტონეთსა და საქართველოს, გაცილებით ნაკლები – ყაზახეთს, რუსეთს და ბელორუსს, ხოლო ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის მაჩვენებლები მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება; საქართველოში GDP-ში გადასახადების წილით (%) უახლოეს მეზობელ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა, ბიუჯეტის შემოსავლების ძირითადი ნაწილი გადასახადებია, რომელთაგან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უკავია დღგ-სა და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს.


შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ბაზაზე დამოუკიდებელი ქვეყნების ჩამოყალიბების შემდეგ თითოეულ ქვეყანაში სპეციფიკური საგადასახადო სისტემა ჩამოყალიბდა. მიღებული იქნა შესაბამისი სპეციფიკური კანონები, რომლებიც ძალიან ხშირად იცვლებოდა. ბევრი ქვეყანის მწვავე ფინანსური დეფიციტის დაძლევა დიდწილად დამოკიდებული იყო ევექტიან საგადასახადო პოლიტიკაზე. ქმედით საგადასახადო სისტემას შეეძლო ხელი შეეწყო, ერთი მხრივ, მეწარმეობის განვითარებისა და მეორე მხრივ, ბიუჯეტში თანხების მობილიზებისათვის. ორივე ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა რთულ და ხანგრძლივ პროცესს მოითხოვდა. პარალელურად საჭირო იყო სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარება. საგადასახადო პოლიტიკაში შეტანილი ცვლილებები წინ უსწრებდა მათ მეცნიერულ გააზრებას. საჭირო იყო სხვადასხვა ეკონომიკური დოქტრინის ღრმად გააზ-

რება და მათი მისადაგება არსებულ რეალობასთან (სუსტი სახელმწიფოები, როგორც წესი, გადასახადების სათანადო მობილიზებას ვერ ან არ ახერხებენ). შედეგად ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული და ადგილი ჰქონდა „გადასახადების დამალვას“. საქმის გამოსწორებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დამხმარე როლი იყო მნიშვნელოვანი, მაგრამ არა გადამწყვეტი. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში საგადასახადო შემოსავლები ზოგადად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ ბევრ მათგანში დიდი სხვაობებია GDP-ში გადასახადების წილის (%) მიხედვით, რაც ხშირად გადასახადებისაგან თავის არიდების ტენდენციებზეც მიუთითებს.

ზოგადი ანალიზი

გადასახადების მობილიზება გავლენას ახდენს როგორც ცალკეული ქვეყნის, ასევე მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. ბოლო წლებში მსოფლიო ჯამურ GDP-ში გადასახადების წილის (%) მაჩვენებლები დიდი სხვაობებით არ ხასიათდება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფინანსური კრიზისის შედეგებს (ნახაზი 1).



ნახაზი 1. გადასახადების წილი GDP-ში

(%, მსოფლიო ქვეყნების საშუალო ჯამური მაჩვენებელი), 2005-2015 წწ.

შედგენილია: <https://data.worldbank.org/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS> 03.12.2017.

ნახაზი 1-ის მონაცემებიდან შეიძლება გაგვაკეთოთ შემდეგი დასკვნა განხილულ წლებში:

1) საანალიზო მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილურია ბოლო ათწლეულებში და მერყეობს 14,4%-დან 15,3% -ის ფარგლებში (1972წ. = 13,477%);

2) ბოლო ათწლეულებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს;

3) ბოლო ათ წელიწადში და 1972 წლიდან ყველაზე მინიმალური მაჩვენებელი ფიქსირდება 2009 წელს – მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში;

4) 1972 წლიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირებულია 1995 წელს (16.019%).

პოსტსაბჭოთა ქვეყნები

განსხვავებული გზებით ვითარდებოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნები, თუმცა ბევრ მათგანს საერთო მახასიათებლებიც ჰქონდა (Aleschenko, V., Nedelea, A., Nedelea, O.: 2009; Silagadze, A., Atanelishvili, T.: 2010; Силагадзе, А.: 2010), ამის შესახებ წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 1-ის მონაცემები.

ცხრილი 1

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში გადასახადების წილი GDP-ში (%), 2005-2015წწ.

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სომხეთი	14.336	14.396	15.963	17.322	16.506	17.07	17.219	17.492	-	21.599	20.979
აზერბაიჯანი	-	-	-	16.421	14.107	12.158	12.225	12.779	13.388	14.213	15.603
ბელარუსი	20.15	22.223	23.727	25.353	19.26	16.321	14.509	14.663	13.355	12.698	14.173
ესტონეთი*	30.0	30.5	31.3	31.4	34.9	33.3	31.5	31.7	31.7	32.8	33.9
საქართველო	12.11	15.448	17.715	23.809	23.139	22.139	23.833	24.118	23.42	23.488	23.774
ყაზახეთი	-	-	-	-	-	15.712	18.258	13.312	16.03	14.198	9.836
ყირგიზეთი		14.218	16.396	16.509	15.036	15.03	16.128	18.117	17.567	17.706	16.802
ლატვია	21.541	22.249	21.545	20.494	18.328	19.029	19.287	20.309	20.667	21.053	21.36
ლიტვა**	17.27	17.89	17.59	17.315	13.90	13.33	13.43	13.61			
მოლდოვეთი	18.485	19.571	20.567	20.446	17.685	18.195	18.28	18.645	18.397	19.82	19.505
რუსეთის ფედერაცია	16.623	16.568	16.551	15.818	12.956	13.048	14.051	13.996	13.292	13.227	10.624
ტაჯიკეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
თურქმენეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
უკრაინა	17.123	17.748	16.485	17.863	16.372	15.571	18.515	18.317	17.561	17.294	20.451
უზბეკეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-

შედგენილია: <https://data.worldbank.org/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS>

*<https://www.oecd.org/tax/revenue-statistics-estonia.pdf>;


**<http://www.indexmundi.com/facts/lithuania/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS> 03.12.2017.

დასკვნა:

1) 2015 წლის მონაცემებით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ესტონეთს და საქართველოს, რომელიც წლების განმავლობაში ზრდადი ტენდენციებით ხასიათდებიან;

2) მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე დაბალი მონაცემები აქვს: ყაზახეთს, რუსეთს და ბელარუსს;

3) ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის მაჩვენებლები მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება.




1	აღმოსავლეთ-ტიმორი	39,9
2	დანია	34,1
3	ნამიბია	33,4
4	სოლომონის კუნძულები	29,8
5	მაკაოს ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეული, ჩინეთი	28,9
6	სეიშელის კუნძულები	28,3
7	ახალი ზელანდია	27,5
8	სამხრეთ აფრიკა	27,3
9	ავსტრია	27,1
10	შვედეთი	27,1

ნახაზი 2. 2015 წლის მონაცემებით, GDP-ში გადასახადების მაღალი წილით (%) გამოირჩევიან რიგი ქვეყნები

შეღვენილია: <https://data.worldbank.org/indicator/GC.TAX.TOTL.GD.ZS> 04.12.2017.

საქართველო

საქართველოში გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა, გადასახადების ამოღების მაჩვენებლები აშკარად გაუმჯობესდა, GDP-ში გადასახადების წილით (%) ქვეყანა უახლოეს მეზობლებს შორის საკმაოდ კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა (ნახაზი 3).




- 1 სომხეთი
- 2 აზერბაიჯანი
- 3 საქართველო
- 4 რუსეთის ფედერაცია
- 5 თურქეთი

ნახაზი 3. გადასახადების წილი GDP-ში (%) საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, 2015

დასკვნა:

- 1) საქართველოს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს;
 - 2) ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდება რუსეთში, რაც შესაძლებელია კორუფციის მაღალ დონეს უკავშირდება;
 - 3) აზერბაიჯანი მესამე ადგილზეა, არასტაბულოდობით გამოირჩევა და მსოფლიო საშუალო მაჩვენებელთან ახლოსაა, თუმცა აქაც პოტენციური სათანადოდ რეალიზებული არ არის (1995 წ. = 9.85 (მინიმალური დონე), 2008წ. = 16.421);
 - 4) სომხეთი მეორე ადგილზეა და შესამჩნევია მისი პროგრესი (2004 წ.=13.996)
 - 5) თურქეთში განსაკუთრებით ბოლო წლებში მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია შეინიშნება (2010წ. = 19.405 - მაქსიმალური დონე).
- სისტემატურად იზრდება საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები. მათ შორის გადახრა დასაშვებ ნორმებს არ აღემატება.



1. შემოსავლები; 2. ხარჯები; 3. ბიუჯეტის საოპერაციო საღლო.

1 ლარის კურსი მერყეობდა დაახლ. 1.70-2.50-ის ფარგლებში.

ნახაზი 4. საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები (მლნ ლარი*), 2006-2016 წწ. (მლნ ლარი)

http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo 03.12.2017.

ბოლო მონაცემებით, საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლებში ძირითადი წილით (90.8%) წარმოდგენილია გადასახადები.

ცხრილი 2

საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლებში - გადასახადები, მლნ ლარი, 2012-2016წწ.

წლები	2012	2013	2014	2015	2016
შემოსავლები	7,560.00	7,434.30	8,118.90	8,963.30	9,675.50
შემოსავლები%	100.00	98.30	107.40	118.60	128.00
გადასახადები	6,671.00	6,659.30	7,241.60	8,010.80	8,786.10
გადასახადები, %	100.00	99.80	108.60	120.10	131.70
საშემოსავლო გადასახადი	26.50	29.00	26.80	27.80	27.50
მოგების გადასახადი	12.8	12.1	11.4	12.80	12.00
დღგ	45.60	42.80	45.50	43.80	37.40
აქციზი	9.9	10.8	11.2	10.9	12.20
იმპორტის გადასახადი	1.4	1.3	1.3	0.9	0.8
ქონებაზე გადასახადი	3.4	3.5	3.4	3.6	4.1
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები	0.5	0.4	0.3	0.3	6

http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo 03.12.2017.

გადასახადებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (%) უკავია დღგ-სა (45.6%) და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს (26.5%). ბოლო პერიოდში

მიღებული კანონით, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება რეფინანსირების თანხები.

დასკვნა

მსოფლიო ჯამურ GDP-ში გადასახადების %-ული წილი სტაბილურია და მერყეობს 14-15 %-ის ფარგლებში; ბოლო მონაცემებით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ ესტონეთსა და საქართველოს, გაცილებით ნაკლები - ყაზახეთს, რუსეთს და ბელორუსს, ხოლო ტაჯიკეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის მაჩვენებლები მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზაში არ ფიქსირდება; საქართველოში გადასახადების რაოდენობა 21-დან 6-მდე შემცირდა, გადასახადების ამოღების მაჩვენებლები აშკარად გაუმჯობესდა, GDP-ში გადასახადების წილით (%) ქვეყანა უახლოეს მეზობლებს შორის პირველ ადგილზეა, ბოლო ადგილზე კი რუსეთი; სისტემატურად იზრდება საქართველოს ნაერთი (კონსოლიდირებული) ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები. მათ შორის გადახრა დასაშვან ნორმებს არ აღემატება - ბიუჯეტის შემოსავლებში ძირითადი წილით (90.8%) წარმოდგენილია გადასახადები. გადასახადებს შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (%) უკავია დღგ-სა (45.6%) და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს (26.5%). ბოლო პერიოდში მიღებული კანონით, მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება რეფინანსირების თანხები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ათანელიშვილი, მ. ჩიკვილაძე, ნ. სილაგაძე. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის შესახებ, ტომი 6, № 1, 2017.
2. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვილაძე, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. "არადანი", თბილისი.
3. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე, საგადასახადო საქმე, თბ., 2007.
4. თ. ზუბიტაშვილი, ლ. სილაგაძე, საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი ასპექტები მოცემულ ეტაპზე. ჯ. ეკოფორიმი ტომი. 5. №2, გვ. 70-73, 2016.
5. თ. კოპალეიშვილი, მ. ჩიკვილაძე, გადასახადები და დაბეგვრა, თბ., 2011.
6. ა. სილაგაძე, თ. ათანელიშვილი, ეკონომიკური დოქტრინების ასპექტები საქართველოში. ბიზნესი და ინფორმეტიკა, სან-ფრანცისკო (აშშ) 2010.
7. ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა. „ნეკერი“, თბ., 2011.
8. მ. ჩიკვილაძე, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგნოზი და რეალობა. ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, გვ. 64-66, თბ., 2016.
9. Aleschenko, V., Nedelea, A., Nedelea, O. (12/2009). "Economic Growth in Russia Regions: Key Factors," The Annals of the "Stefan Cel Mare" University of Suceava. Fascicle of the Faculty of Economics and Public Administration, vol. 9, pp. 35-40.
10. Силагадзе, А.Н., Сидоров, В.А., Ядгаров, Я.С. (2016). Феномен рыночного хозяйства: фундаментальные и прикладные основы. Тбилиси: Изд.-во «Универсал», 2016 – 252 с.

**COMPARATIVE ANALYSIS OF TAXES
IN THE POST SOVIET COUNTRIES (GEORGIA)**

Summary

There was an unified tax system in the former Soviet Union. After the collapse of the Soviet Union and the establishment of independent states on its base, the specific tax system was established in each country. The relevant specific laws have been adopted, which have been subject to frequent changes. The point is that in the Post-Soviet period many countries have suffered a severe shortage of finances. Deficit overcoming process was largely depended on effective tax policy. It should be facilitated on the one hand for entrepreneurship development and on the other hand to mobilize funds in the budget. Successful solving of the both tasks required a difficult and long term process. The changes in the tax policy were preceded by their scientific understanding. The weakness of the state has not promoted mobilization of taxes.

As a result, there was a lot of mistakes and there was "hidden taxes". The role of an international financial organization in rectifying the case was important, but not decisive. Tax revenues in the Post-Soviet countries are generally characterized by a tendency of growth, but many of them have big differences in the GDP per share (%), which often indicates the tendencies of avoiding taxes. Analysis reveals that: Share in percentages of taxes in the the world's total GDP % is stable; Estonia and Georgia have the highest rates among Post-Soviet countries, Kazakhstan, Russia and Belarus have much less, but Tajikistan, Uzbekistan and Turkmenistan are not listed in the World's Bank data base; The share of taxes in GDP in Georgia (%) is in the first place among the nearest neighboring countries, the main part of the budget revenue is taxes, the largest share of which is the income tax of VAT and individuals.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ვიქტორია რევიშვილი*

**სტრატეგიული მენეჯმენტის პრობლემატიკა
ქართულ და უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში**

ანოტაცია. საქართველოს დღევანდელი ეკონომიკა, განსაკუთრებით კი მრეწველობა კრიზისს განიცდის. მრეწველობის ზოგიერთი დარგის უმოქმედობა და წარმოების ეფექტიანობის საკმაოდ დაბალი დონე განაპირობებს საქართველოს არასახარბიელო სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

მრეწველობის განვითარების ტენდენციები, ფაქტორები საკმაოდ დეტალურად არის შესწავლილი მსოფლიო და ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, თუმცა განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, ისევე, როგორც საქმიანობის ყველა სხვადასხვა სფეროში, მრავალი საკითხი მოითხოვს ახლებურად გაანალიზებას ახალი მეცნიერული და იმპერიული ცოდნის საფუძველზე.

საქართველოს მრეწველობის განვითარება და ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში დამკვიდრება მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სწორად დასმას და მათ მიკროეკონომიკურ დონეზე გადაწყვეტას, შესაბამისად, აუცილებელია სტრატეგიული მენეჯმენტის (მართვის) სრულყოფის მექანიზმების

შესაძლებლობათა მეცნიერული კვლევა და მათი გამოყენების ობიექტური აუცილებლობის დასაბუთება.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ეკონომიკა, მრეწველობა.

შესავალი

მრეწველობის განვითარების საკითხებზე უამრავი მეცნიერი მუშაობს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, განსაკუთრებით კი ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებში. მრეწველობის განვითარება პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული სტრატეგიული მენეჯმენტის ფუნქციათა სწორ განხორციელებაზე, ამიტომ სტრატეგიული მენეჯმენტის, როგორც ცალკე მეცნიერების, განვითარება მუდმივად აქტუალური საკითხია.

მიუხედავად ამისა, ქართულ ლიტერატურაში ძალიან მწირი ინფორმაცია მოიძებნება ამ თვალსაზრისით, თუმცა გვაქვს შესაძლებლობა, გავეცნოთ ბევრ უცხოურ ლიტერატურას სტრატეგიული მენეჯმენტის შესახებ. მოკლედ განვიხილოთ ამ საკითხებზე მომუშავე ზოგიერთი ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები.

* * *

მ. თევდორაძე, ნ. ნასყიდაშვილი, ნ. ლოლაშვილი, თ. ზაზაშვილი, ნ. პატიაშვილი. გამოქვეყნებული წიგნი დასახელებით „მენეჯმენტი“ [1], როგორც დასათაურებიდან ჩანს, ეძღვნება მენეჯმენტის აქტუალური საკითხების განხილვას. წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ზოგადი მენეჯმენტის საკითხები. განხილულია მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები, მენეჯერთა დონეები და მათი როლი მართვაში. განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორც არის მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. აღწერილია შემდეგი პრაქტიკული საკითხები: ახალი საწარმო-ორგანიზაციის შექმნა, მისი ბიზნესგეგმის შემუშავება და უშუალოდ ბიზნესის მართვა. დახასიათებულია ბიზნესის ეთიკის საკითხები და ორგანიზაციის სოციალური როლი საზოგადოებაში. წიგნის მეორე ნაწილში განხილულია მცირე და მსხვილი საწარმოს მართვის საკითხები. დახასიათებულია საწარმოო პროცესები და მათი ტიპები. განხილულია ხარისხის მართვის საკითხები და გარანტიები. აღწერილია საწარმოო სისტემების პროექტირების პრობლემები.

მესამე ნაწილში მოცემულია სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი საკითხები, კერძოდ, სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და ამოცანები, სტრატეგიის დაგეგმვის პროცესი, დონეები და ეტაპები. განსაზღვრულია ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნები. განხილულია კონკურენტული ანალიზის საკითხები. წარმოდგენილია სტრატეგიის რეალიზაციის ინსტრუმენტები და მისი კონტროლის ორგანიზება. ნაშრომი რეფერატული ხასიათისაა და მასში ადგილი არ აქვს დათმობილი მეცნიერული კვლევის საკითხებს.

ასეთივე დანიშნულებისაა ბ. რამიშვილის წიგნი „სტრატეგიული მენეჯმენტი“, რომელიც შედგება ცამეტი თავისგან [2]. წიგნში მოცემულია ისეთი საკითხები, როგორცაა დარგის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები, ხუთი ძალის მოდელი, ბიზნეს-ლანდშაფტის შეფასების პროცესი.

დარგი ანუ ინდუსტრია არის ერთი და იმავე სამომხმარებლო მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი, მსგავსი საქონლის მწარმოებელ კომპანიათა ერთობლიობა. თუ დარგში მოღვაწე რომელიმე კომპანიას სურს, იყოს ეფექტიანი, მან კარგად უნდა გაიაზროს ის თავისებურებები, რაც მოცემულ ინდუსტრიას გააჩნია. დარგები, სხვა ფაქტორებთან ერთად, ფრაგმენტიზაციის ხარისხითაც განსხვავდებიან. ზოგიერთ მათგანში შესაძლებელია არსებობდეს ერთი ან რამდენიმე სტრატეგიული ჯგუფი. სხვადასხვა კომპანიის სტრატეგია რაც უფრო ჰგავს ერთმანეთს, მით უფრო მწვავეა კონკურენცია მათ შორის. უმრავლეს დარგებში კონკურენტები შეიძლება დაიყოს ეგრეთ წოდებულ სტრატეგიულ ჯგუფებად. სტრატეგიული ჯგუფი ეწოდება ერთი დარგის რამდენიმე კომპანიას, რომლებიც მოცემულ მიზნობრივ ბაზარზე ერთი და იმავე ან მსგავს სტრატეგიებს ახორციელებენ.

გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი, ფ. წოწკოლაური წიგნში „მენეჯმენტის საფუძვლები“ – მიმოიხილავენ ისეთ საკითხს, როგორცაა ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა [3].

ნაშრომი შედგება: 1) სტრატეგიული მენეჯმენტისგან - განხილულია ორგანიზაციის სტრატეგიის დაგეგმვა და სტრატეგიის რეალიზაციის მართვა. 2) საინოვაციო მენეჯმენტისგან - განხილულია ახალშემონადები (სიახლე) როგორც საინოვაციო მენეჯმენტის ობიექტი და საინოვაციო პროექტების ექსპერტიზა და მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის ორგანიზაციის კონცეფცია. 3) შრომითი რესურსების მართვისგან - შედგება შრომითი რესურსების ფორმირების, შრომითი რესურსების განვითარებისა და შრომითი ცხოვრების ხარისხის ამაღლებისგან.

უცხოური ავტორების სია მრავალფეროვანია, ლიტერატურა არის როგორც რუსულ, ასევე ინგლისურ ენაზე. შეგვიძლია აღვნიშნოთ რულიევი ვ.ა., გუტკევიჩი ს.ო. „მენეჯმენტი“ [4]. წიგნში განხილულია სტრატეგიული მენეჯმენტის სახეები. ავტორები სტრატეგიებს პირობითად ყოფენ ორ ჯგუფად - ფუნქციონირებისა და განვითარების სტრატეგიად. ასევე განხილულია ფოკუსირების სტრატეგია, განვითარების სტრატეგია, ზრდის სტრატეგია, ზომიერი ზრდის სტრატეგია.

ჩამოთვლილი საბაზო სტრატეგიები წარმოადგენს ვარიანტებს ძირითადი - ერთიანი სტრატეგიისათვის.

ე.ა. სავინოვას ნაშრომში „სტრატეგიული მართვა მრეწველობაში და მისი ეფექტურობის გაზრდის გზები“ ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდა, რის შედეგადაც მოიაზრება მრეწველობის განვითარება [5].

ავტორი მიიჩნევს, რომ სტრატეგიული მართვის შედეგი ერთობლიობაში, ორგანიზაციის სტრატეგიული მმართველობის შემოთავაზებული პრინციპების ფარგლებში სხვადასხვა დონეზე, უნდა იყოს კომბინაცია ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის თავისუფლებასა და მენეჯერების ინდივიდუალურ ინიციატივას შორის.

ფილიპ კოტლერი, როლანდ ბერგერი, ნილს ბიკჰოფი ნაშრომში „სტრატეგიული მენეჯმენტი კოტლერისგან“ აღნიშნავენ: “კომპანიებს ესაჭიროებათ სტრატეგია, რათა სწორად განსაზღვრონ პრიორიტეტები რესურსების გადანაწილებისას. გარდა ამისა, მათ ის სჭირდებათ, რომ ადეკვატური რეაგირება მოახდინონ გარემოს ცვლილებებზე, კონკურენტების ქცევაზე, ასევე იმისთვის,

რომ აუხსნან თავის თანმაშრომლებს, მომხმარებლებს და აქციონერებს, თუ რომელ მხარეს მიემართებიან“ [6].

ეს წიგნი განკუთვნილია, პირველ რიგში, მენეჯერებისთვის, რომელთა პასუხისმგებლობა მოიცავს სტრატეგიის ფორმირებას. წიგნი შედგება სამი ძირითადი ნაწილისგან. პირველი მოიცავს ძირითად საფუძვლებს. მეორეში დეტალურადაა განხილული უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტები სტრატეგიის განვითარებისთვის. მესამე ეძღვნება ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან კანცეფციას სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროში.

ა.ა. ტომპსონი და ა. ჯ. სტრიკლენდი უმცროსი „სტრატეგიული მენეჯმენტი. კონცეფციები და სიტუაციები ანალიზისთვის“ [7].

ეს არის კლასიკური სახელმძღვანელო. წიგნი რამდენჯერმე დაიბეჭდა, მაგრამ მაინც არ კარგავს პოპულარობას მასში წარმოდგენილი მასალის აქტუალურობის გამო. დღეს, ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში არც ერთი კომპანია არ შეიძლება არსებობდეს კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგიის გარეშე. ავტორებს მიაჩნიათ, რომ იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იყო წარმატებული კომპანიის შექმნა საღი აზრისა და სპეციალიზებული ცოდნის მინიმუმით, წარსულს ჩაბარდა. ახლა მცირე ბიზნესიც კი კონკურენტებისგან განადგურების რისკის ქვეშ არის, თუ არ აქვს შეგნებული თავისი პოზიცია დარგში და არ განსაზღვრავს თავის გრძელვადიან პერსპექტივებს კონკურენტების ქმედებების გათვალისწინებით არა მხოლოდ უშუალოდ მეზობლებთან, არამედ იმ კომპანიებთან მიმართებაშიც, რომლებიც არიან მსოფლიოს მეორე მხარეს. აღნიშნულს განაპირობებს ინტერნეტის და ქსელური ტექნოლოგიების არნახული განვითარება.

წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი, თეორიული, მოიცავს ძირითად დებულებებს, კონცეფციებს და ცნებებს. განხილულია არსებული ბიზნესი, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვალა ელექტრონულმა ტექნოლოგიებმა. ავტორებმა მთელი თავი დაუთმეს ბიზნესმოდელების და სტრატეგიების განვითარებას ინტერნეტეკონომიკისთვის. მეორეში წარმოდგენილია სიტუაციები ანალიზისთვის, აღჭურვილი ცხრილებით და დიაგრამებით. განხილულია სხვადასხვა დიდი და პატარა კომპანიების ისტორიები, რომლებიც წარმატებულია ან განადგურების პირასაა და ჩატარებულია მათი ანალიზი.

სტრატეგიული მენეჯმენტის საკვანძო ტერმინია სტრატეგია. ნებისმიერ ორგანიზაციაში სტრატეგია მეტწილად მუშავდება უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ, მაგრამ მის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს მართვის ყველა დონე.

მრავალი წლის განმავლობაში საქმიან ლიტერატურაში მიმდინარეობს დებატები სტრატეგიის არსის შესახებ, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება თქმა, რომ სტრატეგიის საბოლოო მიზანია ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც მომხმარებლების მოთხოვნილებების შესაბამისი იქნება და კომპანიას მოგების გაზრდის საშუალებას მისცემს. გამომდინარე აქედან, სტრატეგიაში მოცემული უნდა იყოს მისია და მისი მიღწევის საშუალებები. ერთ-ერთი კომპაქტური დეფინიციაც სწორედ ამგვარად წყვეტს სტრატეგიის არსის პრობლემას, განმარტავს მას, როგორც მისიის მიღწევის სამოქმედო გეგმას.

სტრატეგიული გეგმა შეიძლება განიხილოს როგორც საწარმოო პროგრამა, რომლითაც იგი წარმართვას თავის საქმიანობას ხანგრძლივი პერიოდისათვის სათანადო კორექტირების პირობებში. დღესდღეობით, სწრაფად ცვალებად

გარემოში სტრატეგიული დაგეგმვა მომავალი პრობლემებისა და შესაძლებლობების გათვალისწინების ერთადერთი საშუალებაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მაღალ დონეზე შედგენილი სტრატეგიული გეგმის პირობებშიც შეიძლება განიცადოს ორგანიზაციამ წარუმატებლობა, თუ არ იქნება სათანადოდ განხორციელებული მენეჯმენტის დანარჩენი ფუნქციები. სტრატეგიული დაგეგმვა ეხმარება ხელმძღვანელობას მოქმედების გზების დაზუსტებაში. დასაბუთებული საგეგმო გადაწყვეტილების მიღება ამცირებს პრაქტიკაში არასწორი გადაწყვეტილების მიღების რისკს.

მაშასადამე, საქმიანობა სტრატეგიული მენეჯმენტის სფეროში მიმართულია სტრატეგიული პოზიციის უზრუნველყოფაზე. სტრატეგიაზე პირდაპირ დამოკიდებულია ორგანიზაციის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ცვალებად პირობებში. კომერციულ ორგანიზაციაში მენეჯერი, რომელიც დაკავებულია სტრატეგიული პრობლემებით მუდმივად უზრუნველყოფს რენტაბელობის პოტენციალს. მისი ამოცანაა: გამოავლინოს აუცილებლობა და გაატაროს სტრატეგიული ცვლილებები ორგანიზაციაში; შექმნას პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს სტრატეგიულ ცვლილებებს; შეარჩიოს და აღზარდოს კადრები, რომლებიც გაატარებენ სტრატეგიულ ცვლილებებს.

განასხვავებენ სტრატეგიულ და ოპერატიულ მენეჯმენტს. ნორმალური ფუნქციონირებისათვის როგორც სტრატეგიული, ასევე ოპერატიული მენეჯმენტი საჭიროებს განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნასა და შენარჩუნებას, კადრების შერჩევასა და აღზრდას. მაგრამ ეს ელემენტები განსხვავებულია მართვის დასახელებული ტიპებისათვის. ოპერატიული მენეჯმენტისგან განსხვავებით, სტრატეგიული მენეჯმენტი გამიზნულია ცვლილებებზე და არის მოქნილი. მენეჯერი, რომელიც ახორციელებს სტრატეგიულ მართვას, მისწრაფვის ცვლილებებისაკენ, აქვს რისკზე წასვლის მიდრეკილება და მართვის ჩვევები ახალ მიმართულებათა ათვისებით. ხოლო მენეჯერი რომელიც ახორციელებს ოპერატიულ მენეჯმენტს, ცვლილებათა წინააღმდეგია, არ აქვს მიდრეკილება რისკისაკენ, კომპეტენტურია რთული საქმიანობის ანალიზში, ორგანიზაციასა და კონტროლში.

სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა შედგება ურთიერთშემავსებელი ქვესისტემებისაგან: 1) ორგანიზაციის სტრატეგიის ანალიზი და დაგეგმვა; 2) სტრატეგიული პრობლემების მართვა დროის რეალურ მასშტაბში.

ორგანიზაციის სტრატეგიულ შესაძლებლობათა მართვა, საქართველოს პირობებში მთელი მისი აქტუალობის მიუხედავად, განხილული უნდა იქნეს, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის გარდამავალი ფორმა.

სტრატეგიული მენეჯმენტი კონკურენტულ ბრძოლაში წარმატებული გადარჩენის უმნიშვნელოვანესი პირობაა, მაგრამ ორგანიზაციათა მოქმედებებში მუდმივად შეიმჩნევა ხოლმე არასტრატეგიულობა, რაც ხშირად იწვევს მათ დამარცხებას კონკურენციაში. არასტრატეგიულობა ვლინდება ორი ფორმით: 1) ორგანიზაციები გეგმავენ თავიანთ საქმიანობას იმ ვარაუდით, რომ გარე გარემო ან საერთოდ არ შეიცვლება, ან მასში არ მოხდება არსებითი ცვლილებები. 2) გრძელვადიანი გეგმების შედგენისას უმთავრესად ემყარებიან გარე გარემოს ფაქტორების წინა წლების ანალიზისა და მდგომარეობის ექსტრაპოლაციას.

დღესდღეობით ფირმები, რომლებიც ორიენტირებულია საბაზრო მექანიზმსა და სტრატეგიული მენეჯმენტის სტრუქტურების შექმნაზე, იძენს ოპტიმალური სტრუქტურების ძიების ფორმას მმართველობითი ფუნქციების ცენტრალიზაციასა და დეცენტრალიზაციას შორის. ცენტრალიზებულ და დეცენტრალიზებულ მართვას შორის ოპტიმალური თანაფარდობის პოვნის სურვილი განაპირობებს სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემის შექმნის აუცილებლობას, რომელიც ხასიათდება სტრატეგიისა და ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალიზებული დამუშავებით და დეცენტრალიზებული ოპერატიული მართვით.

დასკვნა

ორგანიზაციის სტრატეგიულ შესაძლებლობათა მართვა, საქართველოს პირობებში მთელი მისი აქტუალობის მიუხედავად, განხილული უნდა იქნეს, როგორც სტრატეგიული მენეჯმენტის გარდამავალი ფორმა.

მრეწველობის განვითარება პირდაპირპროპორციულადაა დამოკიდებული სტრატეგიული მენეჯმენტის სწორ მიზანმიმართულ განხორციელებაზე. სტრატეგიაზე პირდაპირ დამოკიდებული ორგანიზაციის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა ცვალებად პირობებში.

სტრატეგიის საბოლოო მიზანია ისეთი პროდუქტის შექმნა, რომელიც მომხმარებლების მოთხოვნილებების შესაბამისი იქნება და კომპანიას მოგების გაზრდის საშუალებას მისცემს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თევდორაძე მ., ნასყიდაშვილი ნ., ლოლაშვილი ნ., ზაზაშვილი თ. პატიაშვილი ნ., 2009. მენეჯმენტი. თბილისი. III ნაწ. გვ. 6-19, 96-107.
2. რამიშვილი ბ., 2013. სტრატეგიული მენეჯმენტი. თბილისი. V თავი. გვ. 15-25.
3. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., 2008. მენეჯმენტის საფუძვლები. თბილისი. თავი XIX, გვ. 25-27.
4. Рульев В. А. Гуткевич С.О., 2011. Менеджмент. Центр учебной литературы. с. 312.
5. Савинова Е. А., 2009. Стратегическое управление в промышленности и пути повышения его эффективности. Журнал Вестник Брянского государственного университета № 3. с. 36.
6. Kotler Ph. Berger R. Bickhoff N., 2010. The Quintessence of Strategic Management. Springer-Verlag Berlin Heidelberg. st.141-156.
7. Thompson Arthur A. Strickland III Jr., A.J., 2007. Strategic Management. Concepts and Cases. Published by McGraw-Hill (first published January 1st 1981) st.46.

**PROBLEMATICS OF STRATEGIC MANAGEMENT
IN GEORGIAN AND FOREIGN SCIENTIFIC LITERATURE**

Summary

Today Georgian economy is experiencing a crisis, especially in industry. Inactivity in some industries and a low level of production efficiency determine unfavorable social-economical situation in the country.

Tendencies and factors of development of the industry have been thoroughly studied in the World and Georgian economic literature, however, at each new stage of development, as in all kinds of activities in various fields, many questions require a new way of analysis on the basis of new scientific and empirical knowledge.

The industrial development of Georgia and the country's self-assertion in the world economic space requires a correct definition of socio-economic tasks and their solution at the microeconomic level. Therefore, scientific research is needed to improve the mechanisms of strategic management (manage) and objective justification in the need for their application.

სოლომონ პავლიაშვილი

ზურაბ გარაყანიძე

**სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების
შიდაუწყებრივი კოორდინაციის მექანიზმი**

ანოტაცია. სტატიაში განხილულია აგროსამრეწველო და პოსტინდუსტრიული ტერიტორიებისათვის უწყებრივი ეკოლოგიური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მექანიზმის შემუშავების კონცეპტუალური ჩარჩო. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს იმ ეკონომიკური პრინციპების ეფექტურ დანერგვას/განვითარებას, რომლებიც ემსახურება აგრარულ-ინდუსტრიული ტერიტორიების სოციალური და ეკონომიკური გარემოს მდგრად განვითარებას და მათ ტრანსფორმაციას ეკოლოგიზაციისა და რევიტალიზაციის გზით.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიზაცია, რევიტალიზაცია, სტრატეგიის მექანიზმი, იმპლემენტაცია, აგროინდუსტრიული რეგიონები, პოსტინდუსტრიული რეგიონები, მდგრადი განვითარება.

შესავალი

სოფლის მეურნეობისა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების ერთ უწყებად გაერთიანებამ ქართულ პრესაში და ექსპერტულ საზოგადოებაში ამ ორი სფეროს კოორდინაციის საკითხებზე აზრთა მნიშვნელოვანი დაპირისპირება გამოიწვია.

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა მხარეც არის საქართველო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული პოლიტიკის ფორმირების პროცესში. საქართველო არის გლობალური და რეგიონული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმების, მათ შორის 18 კონვენციის, მათი ოქმების, დამატებების და შეთანხმებების მხარე. ერთ-ერთი ასეთი ხელშეკრულება, რომელიც

გავლენას ახდენს გარემოსდაცვით მმართველობაზე ეროვნულ დონეზე და ხელს უწყობს საქართველოში უკეთესი გარემოსდაცვითი დემოკრატიის განვითარებას, არის მაგალითად, ორჰუსის კონვენცია. იცავს რა მოსახლეობის გარემოსდაცვით უფლებებს, ორჰუსის კონვენცია იძლევა გარემოსდაცვითი მმართველობის სფეროს შემდგომი გაუმჯობესების მყარ საფუძველს. ამის გამო ზოგიერთი პოლიტიკოსი ეჭვქვეშ აყენებდა ორი უწყების გაერთიანებას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

საუკეთესო ევროპული პრაქტიკა

ბევრი ექსპერტი დაგვიხატავს ცვლილებებში ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეებსაც ხედავდა და მიაჩნდა, რომ როცა მომხმარებელი და მარეგულირებელი ერთ უწყებაშია, აქ ინტერესთა კონფლიქტია. მათი აზრით, ამ სტრუქტურული ცვლილებით შესაძლოა მოხდეს გარემოს დაცვის სისტემების დასუსტება, რაც თითქოსდა ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით, გაეროს „გარემოს დაცვის პროგრამის“ აღმასრულებელი დირექტორის, აქიმ შტაინერის პოზიციაზე გაახმოვანეს. აღნიშნა, რომ შეხვედრაზე, რომელიც მისი ინიციატივით გაეროში საქართველოს მუდმივმოქმედ წარმომადგენლობაში შედგა, აქიმ შტაინერი დაინტერესდა, ხომ არ გამოიწვევს გარემოს დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გაერთიანება ქვეყანაში გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაქვეითებას.

ბატონი ა. შტაინერის ზემოაღნიშნული მოსაზრების განსახილველად ამ სტატიაში ჩვენ შევეცდებით გავაშუქოთ იმ ქვეყნების სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების შიდაუწყებრივი კოორდინაციის მექანიზმები, რომლებიც მსგავსი სტრუქტურებით ხასიათდება. მიგვაჩნია, რომ სწორედ უსაფრთხოებაა ის საერთო ინტერესთა სფერო, რომელიც ახდენს სასურსათო და ეკოლოგიური ინტერესების არა კონფლიქტს, არამედ თანხვედრას.

ავსტრია

ავსტრიას აქვს სოფლის მეურნეობის, ტყის, გარემოს დაცვის და წყლის საკითხების მართვის ფედერალური სამინისტრო. ფედერალური მინისტრის დაქვემდებარებაშია ცენტრალური აპარატი, რომელიც ძირითადად უწყების ფუნქციონირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს კურირებს. ამავდროულად, ფედერალურ მინისტრს ექვემდებარება 5 გენერალური დირექტორი, რომელთა შორის ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურული ქვედანაყოფები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

1. გენერალური დირექტორი I - გარემოს დაცვისა და კლიმატის საკითხებში. ეს მიმართულება რამდენიმე სფეროს მოიცავს, მათ შორის არის გარემოზე ზემოქმედების შეფასების, ინტეგრირებული ნებართვის გაცემის საკითხები, დაცული ტერიტორიების მართვა, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება, კლიმატისა და ჰაერის დაცვის საკითხები, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ენერგეტიკული და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები.

2. გენერალური დირექტორი II - სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საკითხებში. ეს მიმართულება მუშაობს სოფლის მეურნეობის ცალკეული

დარგების პოლიტიკის შემუშავებისა და განვითარების, პრაქტიკაში იმპლემენტაციის საკითხებზე.

3. გენერალური დირექტორი III - აქ არის მხოლოდ სატყეო სექტორის მიმართულება ცალკე აღებული, რომელსაც კურირებს გენერალური დირექტორი. გასათვალისწინებელია, რომ გარდა სატყეო სექტორის, როგორც დარგის პოლიტიკის განვითარებისა, აქ შედის აგრეთვე კონტროლის საკითხებიც (როგორც ჩვენთან არის, ანუ სატყეო სააგენტო, როგორც ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო მართავს მისთვის გადაცემულ ტყეებს და ამავდროულად ახორციელებს კონტროლის ფუნქციებსაც).

4. გენერალური დირექტორი IV - რომელიც მხოლოდ წყლის მართვის საკითხებზე მუშაობს. ის ეხება წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებას, წყალდიდობების პრევენციას და კონტროლს და წყლის მართვასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს.

5. გენერალური დირექტორი V - რომელიც კურირებს ნარჩენების მართვის, მათ შორის, ქიმიურ ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებს და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებას.

თუ დავაკვირდებით სტრუქტურას, სამინისტროში გარემოსდაცვით საკითხებთან, განსაკუთრებით კი ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით უფრო მეტი გენერალური დირექტორი მუშაობს და ფუნქცია-მოვალეობებიც თემატურად მათ შორის არის გადანაწილებული, ვიდრე ეს სოფლის მეურნეობის საკითხებს ეხება. შესაბამისად, შექმნილია ცალკე სტრუქტურული ერთეული თითოეული იმ გარემოსდაცვითი სფეროს დასარეგულირებლად, რაც საქართველოშიც თითქმის ანალოგიურად გვაქვს; ანუ გვაქვს ცალკე დაცული ტერიტორიების სააგენტო, ეროვნული სატყეო სააგენტო, ნარჩენების მართვის სამსახური (ავსტრიაში მნიშვნელოვანად გაძლიერებული), გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ინტეგრირებული მართვის დეპარტამენტი, კლიმატის სამსახური, წყლის სამმართველო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო პოლიტიკის სამსახური, რომელიც თითქმის იდენტურია იმ სტრუქტურებისა რაც ავსტრიაში არსებობს. შესაბამისად, პრაქტიკულად, ერთი ფედერალური სამინისტროს დაქვემდებარებაში არის სასურსათო უსაფრთხოების მიმართულება, რომელიც, თავის მხრივ, ისეთი საქმიანობების განხორციელებას უკავშირდება, რაც ეკოლოგიური სისუფთავის თვალსაზრისით შესწავლას საჭიროებს. თუმცა იმავე სტრუქტურაშია გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან საკუთარი გენერალური დირექტორის წინაშე და ისინი, თავის მხრივ, ფედერალური მინისტრის წინაშე, საბოლოოდ გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობას მიკუთვნებულ საკითხებზე მიიღება ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ამ ორი სფეროს ფუნქციონირება სრულიად შესაძლებელია ერთი უწყების ქვეშ, ერთი სამინისტროს სისტემაში და ისეთ განვითარებულ ქვეყანაში (გარემოსდაცვითი თვალსაზრისით) როგორც ავსტრიაა, გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით გაცილებით მაღალი პრიორიტეტი იკვეთება სამინისტროს სტრუქტურული მოწყობიდან გამომდინარე. ამიტომ აუცილებელია, აქცენტი გაკეთდეს, რომ ყველა ის პრიორიტეტული მიმართულება, რაც გარემოსდაცვით სფეროს

გააჩნია ნარჩენების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულყოფილი სისტემის განვითარება, სატყეო სექტორის გაუმჯობესება, დაცული ტერიტორიების მართვა, ინტეგრირებული სანებართვო სისტემის დანერგვა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, წყლის რესურსების მდგრადი მართვა და გარემოსდაცვითი მიმართულებით ეფექტიანი კონტროლი, საქართველოს მთავრობის ახალი სტრუქტურის პირობებში შესაძლებელი იქნება, რომ ეტაპობრივად შესრულდეს “ასოცირების ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებები და დარგმა შეუფერხებლად გააგრძელოს განვითარება.

ესპანეთი

ესპანეთს ეროვნულ დონეზე აქვს სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს სამინისტრო. სამინისტრო პასუხისმგებელია სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის შემდეგ სფეროებში: კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა, ბუნებრივი მემკვიდრეობის, ბიომრავალფეროვნებისა და ზღვის დაცვა, წყლის რესურსები, სოფლის განვითარება, სასოფლო რესურსები, მეცხოველეობა და მეთევზეობა, სურსათის ინდუსტრია. თუმცა რეგიონების დონეზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ორგანოები ცალ-ცალკე ფუნქციონირებენ. გარემოს დაცვის რეგიონული ორგანოები გასცემენ ნებართვებს, ლიცენზიებს, არეგულირებენ ყველა გარემოს დაცვის საკითხს რეგიონის მასშტაბით, ახორციელებენ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის ფუნქციასაც. ამდენად, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის სამინისტრო არის სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელი უწყება. მისი ფუნქციებია:

- სახელმწიფო კანონმდებლობის შექმნა წყლის, სანაპიროების, გარემოს, მთების, მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საკითხებში. სოფლის მეურნეობის, თევზჭერისა და სურსათის მრეწველობის პოლიტიკის შესახებ მთავრობისთვის ზოგადი რეკომენდაციების მიწოდება და განხორციელება;

- ჰიდრაულიკური, საზღვაო და ხმელეთის საზოგადოებრივი ქონების მართვა. სამინისტროს თანამშრომლები ამ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციებში წარმოადგენენ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა და თანამშრომლობის სამინისტროს კომპეტენციის შეუზღუდავად;

- სამინისტროს თანამშრომლები კოორდინაციას უწევენ იმ ქმედებებს, თანამშრომლობასა და პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე მუნიციპალიტეტებში, საჯარო ადმინისტრაციულ კომპეტენციებში, ხელს უწყობენ მათ ჩართულობას ორგანიზაციებისა და შესაბამისი რესურსების მეშვეობით;

- ეს სამინისტრო აერთიანებს გარემოს დაცვის ყოფილი სამინისტროს და ყოფილი სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის სამინისტროს ფუნქციებს. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების საქმეში.

დიდი ბრიტანეთი

უწყების სახელია დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს გარემოს დაცვის, სურსათისა და სასოფლო საკითხების დეპარტამენტი. ეს დეპარტამენტი პასუხისმგებელია გარემოს დაცვის, სურსათის, ფერმერული მრეწველობისა და სოფლის ეკონომიკის ხელშეწყობაზე. დეპარტამენტის მიზანია სურსათისა და ფერმერობის, ბუნებისა და რეგიონების

ეკონომიკური პოტენციალის განვითარება/გაძლიერება, გარემოს დაცვა და სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფებისაგან, ცხოველებისა და მცენარეების დაავადებებისაგან დაცვა. დეპარტამენტის პრიორიტეტებს წარმოადგენს: სუფთა და ჯანსაღი გარემო, მსოფლიოში წამყვანი სურსათის წარმოება და ფერმერული მრეწველობა, სოფლის ეკონომიკის ხელშეწყობა და ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ რეაგირებისა და დაცვის შესაძლებლობების გაძლიერება. დეპარტამენტში დასაქმებულია 2000 თანამშრომელი: პოლიტიკის შემმუშავებლები, მეცნიერები და მკვლევარ-სპეციალისტები. დეპარტამენტი შედგება 33 სააგენტოსა და საჯარო ორგანოსგან.

კვიპროსი

კვიპროსის სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და გარემოს დაცვის სამინისტრო დაყოფილია 3 სექტორად:

- სოფლის მეურნეობა/თევზჭერა
- ბუნებრივი რესურსები
- გარემოს დაცვა

1. სოფლის მეურნეობა/თევზჭერა

- ევროკავშირის განყოფილება
- სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი
- ვეტერინარიის დეპარტამენტი
- თევზჭერისა და საზღვაო კვლევის დეპარტამენტი
- მიწის კონსოლიდაციის დეპარტამენტი
- სოფლის მეურნეობის კვლევის ინსტიტუტი

2. ბუნებრივი რესურსები

- საერთაშორისო ურთიერთობები
- დეპარტამენტები/სამსახურები:

• წყლის განვითარების (ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და გეოტექნიკური საქმიანობა, წყლის დაბინძურება) ინფრასტრუქტურული საქმიანობა. ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობები

- სატყეო
- გეოლოგიური კვლევის
- სამთო მოპოვების სამსახური
- მეტეოროლოგიური სამსახური
- დისტანციური ზონდირების ცენტრი

3. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვის დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობები:

• გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი პროგრამების კოორდინაცია;

• პოლიტიკის განხორციელების და ევროპის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ზედამხედველობა;

• გარემოზე ზემოქმედების შეფასების ხელმძღვანელობა;

• მყარი და სახიფათო ნარჩენების მართვასა და წყლის დაბინძურების კონტროლთან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობა;

• გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

დეპარტამენტი წარმოადგენს ე.წ. გარემოს საბჭოს ადმინისტრაციულ ფრთას და არის საერთაშორისო მრავალმხრივი შეთანხმებების და ორგანიზაციების ეროვნული პასუხისმგებელი უწყება.

ზემოაღნიშნულიდან იკვეთება, რომ მაქსიმალური აქცენტები გაკეთებულია გარემოსდაცვის მიმართულებაზე, ამას სტრუქტურაც ცხადყოფს. სოფლის მეურნეობის კომპონენტი ჰარმონიზებულია გარემოს დაცვის მიმართულებასთან და ბუნებათსარგებლობა ხორციელდება მდგრადობის და გარემოსდაცვითი პრინციპების გათვალისწინებით.

ქვემოთ მოცემულია იმ ქვეყნების პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა, სადაც ბუნებრივი რესურსების მართვა განიხილება ეკონომიკის სფეროს ნაწილად და შესაბამისად იგი განეკუთვნება ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციებს.

პოლანდია

პოლანდიის „წიაღის შესახებ აქტის“ შესაბამისად (აღნიშნული კანონი მოქმედებს 2010 წლის ცვლილებების გათვალისწინებით) წიაღით სარგებლობის ლიცენზიას გასცემს ეკონომიკის მინისტრი (მუხლი 1). ლიცენზიას საბაღოს შესწავლაზეც ასევე გასცემს მინისტრი.

წიაღით სარგებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს შესაბამისი კომპეტენტური ორგანო (სააგენტო), რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრის წინაშე. აღნიშნულ კომპეტენტურ ორგანოს ხელმძღვანელობს გენერალური ინსპექტორი. მისი ძირითადი ამოცანაა განახორციელოს მონიტორინგი ბუნებრივი რესურსების მოპოვებაზე. ასევე, კონკრეტულ შემთხვევებში მინისტრის გადაწყვეტილებით ასეთი ზედამხედველობის ფუნქცია შეიძლება დელეგირდეს სხვა პირებზეც.

2017 წლიდან სამინისტროს სახელწოდებაა “ეკონომიკურ საქმეთა და კლიმატის პოლიტიკის სამინისტრო”. ამ სამინისტროს დაქვემდებარებაში მოქმედებს აღნიშნული ზედამხედველობის ორგანო, რომელიც დამოუკიდებლად არეგულირებს მინერალურ რესურსებს და ზედამხედველობს მის უსაფრთხო და გარემოსდაცვითი ნორმების გათვალისწინებით მოპოვებას. დამატებით აღსანიშნავია, რომ სააგენტოს აქვს მინისტრისთვის მოპოვებით აქტივობებზე რეკომენდაციების გასცემის ფუნქციაც, რისთვისაც გაჩნია შესაბამისი სფეროს ექსპერტებით დაკომპლექტებული შტატი.

პორტუგალია, ირლანდია

პორტუგალიაში წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცემა პორტუგალიის ეკონომიკის, გეოლოგიისა და ენერგეტიკის სამინისტროს მიერ.

ირლანდიაში ლიცენზიას გასცემს ეკონომიკის დეპარტამენტი. ირლანდიის პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ მაქსიმალურად შეისწავლონ ქვეყანაში არსებული მინერალური რესურსები, მათი ეკონომიკური ღირებულება, რათა მაქსიმალურად გაიზარდოს სამთო მოპოვებითი სექტორის წვლილი ეკონომიკაში.

იტალია

მოპოვების ლიცენზიასთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანო არის რეგიონი. თუმცა კონტინენტურ შეღწეულ დაკავშირებით ან ტერიტორიულ ზღვასთან მიმართებით კომპეტენტურია ეკონომიკის განვითარების სამინისტრო გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ გეოთერმულ რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობისას, რომელიც ხორციელდება ტერიტორიულ ზღვაში ან კონტინენტურ შეღვზე, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად გასცემს ლიცენზიას.

გერმანია

გეოთერმული ენერჯია მიიჩნევა ბუნებრივ რესურსად და მისი გამოკვლევა და მოპოვება შესაძლებელია ლიცენზიის მეშვეობით, რომელსაც გასცემს ექსკლუზიურად გერმანიის ფედერალური ეკონომიკის სამინისტრო.

წიაღით სარგებლობა ორეტაპიანი პროცესია. გეოთერმულ მოპოვებასთან დაკავშირებით მომპოვებელს შეუძლია პირველ რიგში მოიპოვოს მოპოვების ლიცენზია და შემდეგ დაამტკიცოს დამუშავების გეგმა შესწავლისთვის. პირი პირველ რიგში მოიპოვებს ლიცენზიას და შემდეგ ამტკიცებს დამუშავების გეგმას მოპოვებისთვის.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ სამთომოპოვებითი საქმიანობა განიხილება ქვეყნის ეკონომიკური სექტორის განვითარების ერთ-ერთ მიმართულებად. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. შესაბამისად, შემუშავებულია საინვესტიციო სტრატეგიები (მაგ., კანადა), სადაც სამთომოპოვებითი სექტორი ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად არის მიჩნეული. წიაღითსარგებლობის პროცესში გათვალისწინებულია მდგრადობის პრინციპები და გარემოსდაცვითი კომპონენტი. ამავდროულად, საინვესტიციო პაკეტები სამთომოპოვებითი სექტორით დაინტერესებული ინვესტორებისათვის, როგორც წესი, თანხმდება ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელიც, ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებს ქვეყნისათვის აუცილებელი ეკონომიკური და სოციალური პროექტების განხორციელებას ინვესტორის მიერ ინვესტიციის განხორციელების პარალელურად.

უწყებრივი კოორდინაციის მექანიზმი

ორი დარგის – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ერთ უწყებად გაერთიანების ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება ერთიანი, შიდაუწყებრივი სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების კოორდინაციის მექანიზმის შექმნა. ამ მხრივ საინტერესოა “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია”, „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წწ“. და „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ“. დებულებების ურთიერთშეღებვა.

“გარემოს დაცვის მესამე ეროვნულ პროგრამაში” გამოყოფილია სამინისტროები, რომლებიც ჩართულები არიან იმ სოციალურ-ეკონომიკური სექტორის განვითარების დაგეგმვაში, რომელიც ყველაზე დიდ ზეწოლას ახდენს გარემოზე ან მნიშვნელოვან როლს თამაშობს გარემოსდაცვითი გამოწვევების პრევენცია/რეაგირებაში: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ენერჯეტიკის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და მის მმართველობაში შემავალი სსიპ - შემოსავლების სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ეს სტრუქტურები წარმოადგენენ ძირითად

უწყებებს გარემოსდაცვითი მიმართულებით („საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ“. თბილისი, 2017, გვ. 15-16).

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და მისი შესრულების კონტროლის განხორციელება. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო კოორდინაციას უწევს გლობალური კლიმატის ცვლილების გამოვლინებების პრევენციისა და მათთან ადაპტაციის ღონისძიებების შემუშავების პროცესს. სურსათში, სასმელ წყალში, ცხოველთა საკვებში და ნიადაგში რადიონუკლიდების შემცველობაზე კონტროლს ახორციელებს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ამავე დროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეკოლოგიური უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებაც ევალება. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის 167 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია“ გარემოსდაცვით საკითხებს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილავს. დოკუმენტის სტრატეგიული მიმართულება 3.7 ეძღვნება კლიმატის ცვლილებას, გარემოს დაცვას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული კიდევ ერთი დოკუმენტი „სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020 წწ“. სამი პრიორიტეტული სფეროდან ერთ-ერთს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა წარმოადგენს. კერძოდ, ეს სფერო მოიცავს შემდეგ ამოცანებს: 1. წყლის, ტყისა და სხვა რესურსები; მიზნობრივ სოფლის ტერიტორიებზე წყლის, ტყისა და სხვა რესურსების მართვის გაუმჯობესება; 2. ნარჩენების მართვა, სოფლად ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემების განვითარების ხელშეწყობა; 3. კლიმატის ცვლილება, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური გავლენის შერბილების ღონისძიებების განხორციელება, რისკების შეფასება. შესაბამისი ღონისძიებები მოცემულია სტრატეგიის განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმაში.

სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს მიეკუთვნება სარწყავი წყლის არამდგრადი გამოყენება (156 მილიონი მ3 2013 წელს), რომლის დროსაც წყლის დანაკარგი 50%-ს აჭარბებს; ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი (ნიტრატები, ფოსფატები და პესტიციდები). ფოსფატებთან დაკავშირებული დაბინძურების პრობლემა არ ფიქსირდება; თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, აზოტის ნაერთების (განსაკუთრებით ამონიუმის აზოტის) კონცენტრაცია დადგენილ ზღვარს აჭარბებს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლის სტანდარტებსა და ნორმებს, ხოლო სასმელი წყლის ხარისხის კონტროლი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციაში შედის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო შპს „საქართველოს მელიორაცია“ პასუხისმგებელია სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მართვაზე, ასევე სისტემების მომხმარებლებისაგან შესაბამისი გადასახადის შეგროვებაზე საკუთარი რეგიონული ოფისების საშუალებით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სმს) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან (გბრდს) ერთად კანონმდებლობით დადგენილი წესით არეგულირებენ და ზედამხედველობას ახორციელებენ სამედიცინო და ცხოველური ნარჩენების მართვაზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო ერთ-ერთი მთავარი სახელმწიფო უწყებაა ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში. სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია აგროქიმიკატებისა და პესტიციდების რეგისტრაციასა და რეგისტრირებული პესტიციდების და აგროქიმიკატების სახელმწიფო კატალოგის წარმოებაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციებში შედის: პესტიციდების და აგროქიმიკატების იმპორტის, ეტიკეტირების, შენახვის, წარმოების (დაფასოების), ტრანსპორტირების, რეალიზაციის და უსაფრთხო გამოყენების წესების დაცვის კონტროლი; სარეალიზაციოდ გამიზნული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი; ქიმიკატებით და პესტიციდებით ვაჭრობისას დარღვევების გამოვლენა და კონტროლი. სამინისტრო პასუხისმგებელია წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის განხორციელებაზე როტერდამის კონვენციის რეგულირების სფეროში შემავალი ქიმიური ნივთიერებების (პესტიციდების) იმპორტის შემთხვევაში.

საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაციის სისტემის სრულყოფა, აგრეთვე ქვეყანაში ამჟამად მოხმარებაში არსებული პესტიციდების ჩამონათვალის განახლება ადამიანისა და გარემოსათვის ნაკლებ ტოქსიკური პესტიციდების შერჩევის მიზნით საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის 167 განკარგულებით დამტკიცებული “საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიის” ერთ-ერთი პრიორიტეტია.

სახეობათა განადგურებისა და ჰაბიტატების (ეკოსისტემების დეგრადაციის) ფრაგმენტაციის გამომწვევ მთავარ მიზეზად ინტენსიური სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, უკანონო ნადირობა, თევზჭერა და ხე-ტყის მოპოვება, გარემოს დაბინძურება, არამდგრადი ტურისტული და რეკრეაციული პრაქტიკა და ა.შ. ითვლება. მაგალითად, 1995-2005 წლებში კალმახის პოპულაციები, სულ მცირე, 30%-ით შემცირდა. საქართველოში ბეჭობის არწივის მხოლოდ 15 საბუდარი აღვილია შემორჩენილი. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასევე სვაიც - მსოფლიოსა და საქართველოში ერთ-ერთი უიშვიათესი ლემიჭამია ფრინველი, რომელზეც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება იქონია საბუდარი ადგილების დეგრადაციამ, ადამიანების მხრიდან ხელყოფამ და ნადირობამ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღნიშნულ სფეროში ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანოს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია ცხოველთა და მცენარეთა აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე. აღნიშნულ ფუნქციას სამინისტრო ახორციელებს 2014 წელს დაარსებული სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის საშუალებით. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში შედის საქართველოში აკვაკულტურის განვითარებაც. ხოლო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს აკვაკულტურის განვითარების სამართლებრივი ასპექტების რეგუ-

ღირებაში, ასევე ახორციელებს აღსრულების სახელმწიფო გარემოსდაცვით კონტროლს.

ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ასპექტები ასახულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის 167 განკარგულებით დამტკიცებულ „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგიაში“.

სტრატეგიის თანახმად, კლიმატის ცვლილება, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს (სტრატეგიული მიმართულება 3.7). კერძოდ, დოკუმენტში სათანადო ყურადღება ეთმობა კარგ სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და მდგრად გარემოსდაცვით პროგრამებს, გენეტიკური ბანკის შექმნას/მართვას აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით და კლიმატგონიერი სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას.ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაცია და ფრაგმენტაცია მცენარეთა და ცხოველთა სახეობების პოპულაციების შემცირების მთავარი მიზეზია. ბოლო წლებში ენერგეტიკის (მაგ., ჰიდროელექტროსადგურები), სოფლის მეურნეობის (მაგ., ჭარბი ძოვება) და ინფრასტრუქტურის (მაგ., გზები) დარგების ინტენსიურმა განვითარებამ გააძლიერა ზეწოლა ბუნებრივ ჰაბიტატებზე. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება მიღებული სათანადო და დროული ზომები, გარდა ფრაგმენტაციისა, შესაძლებელია მოხდეს ბუნებრივი ჰაბიტატების დაბინძურებაც (მაგ., პესტიციდებითა და სასუქებით).

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კიდევ ორი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომლებიც, მიწის გამოყენებასთან დაკავშირებით, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულნი არიან ტყის მართვაში.

ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ სრულყოფილი მონაცემების ნაკლებობის გამო საქართველოში არ არსებობს რუკები, რომლებზედაც ასახულია დამლაშებული ან მძიმე ლითონებით დაბინძურებული ტერიტორიები. არსებობს მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2013 წელს მომზადებული ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის მიმართ მგრძნობიარე ტერიტორიების ტერიტორიების, გამჟავებული ნიადაგებისა და ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობის ამსახველი თემატური რუკები (1:500000). მიწისა და ნიადაგური რესურსების დაცვის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე, ნიადაგის ნაყოფიერებაზე, მცენარეთა დაცვაზე, მეცხოველეობის განვითარებაზე და სოფლის მეურნეობის მექანიზაციაზე. გარდა ამისა, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შპს „საქართველოს მედიორაცია“ ახორციელებს სარწყავი სისტემების მართვას და სახელმწიფო კონტროლს. 2013 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მედიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტში შეიქმნა ნიადაგის რესურსების მართვის სამმართველო. სამინისტროს სტრუქტურაში შედის სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, რომელიც ახორციელებს ნიადაგის დეგრადაციის სამეცნიერო კვლევას.

ლაბორატორია ფერმერული მეურნეობებისათვის ატარებს ნიადაგის ანალიზს და თანამშრომლობს საქართველოს რეგიონებში შექმნილ ექსტენციის სამსახურებთან.

საქართველოში ნიადაგის კვლევას ახორციელებს რამდენიმე სხვა ლაბორატორიაც, მათ შორის აგრარულ უნივერსიტეტში არსებული ა(ა)იპ აგრარული უნივერსიტეტის „ფერის“ სახელობის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორია და კერძო ლაბორატორია „მულტი ტესტი“. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია განსაზღვრავს ნიადაგებში მძიმე ლითონების შემცველობას.

ნიადაგის დაცვის კიდევ ერთ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის 167 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2015-2020 წლების სტრატეგია წარმოადგენს. სტრატეგიის თანახმად, მიწის რესურსების დეგრადაცია საქართველოში სოფლის მეურნეობის მართვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. პესტიციდებისა და სასუქების არასწორი მოხმარება, სამელიორაციო სისტემების გაუმართაობა და ნარჩენების არასწორი მართვა, აგრეთვე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, მიწის რესურსების ნაყოფიერების შემცირების ძირითად მიზეზებად სახელდება. დოკუმენტში წარმოდგენილია მდგომარეობის გამოსწორებისკენ მიმართული შემდეგი ღონისძიებები: პესტიციდებისა და სასუქების სათანადო მართვა, ნარჩენების მონიტორინგი, სამელიორაციო სისტემების გაუმჯობესება და ბუნებრივი კატასტროფების მართვაში ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვა (იქვე, გვ. 114). გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება „საქართველოს სოფლის განვითარების 2017-2020 წწ. სტრატეგიის“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

ქართა და წვიმით გამოწვეული ნიადაგის ეროზია, აგრეთვე ნიადაგის დატკეპნა (რაც ამცირებს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და ხელს უშლის ნიადაგში წყლის ინფილტრაციას) და ნიადაგის ნაყოფიერების შემცირების კლება საქართველოს ნიადაგების ძირითად საფრთხეებს წარმოადგენს.

სათბურის აირების ეროვნული ინვენტარიზაციის ბოლო ანგარიშის თანახმად, სათბურის აირების ემისიების მოცულობამ 2013 წელს შეადგინა 16,301 ათასი ტონა CO₂-ის ეკვივალენტებში. ქვეყანაში ემისიების მხრივ პირველ ადგილზეა ენერჯეტიკა, რომლის წილიც ემისიების მთლიან მოცულობაში 57%-ის ტოლია. მეორე ადგილზეა მრეწველობა 18%-იანი წილით, მას მოსდევს სოფლის მეურნეობა (17%) და ნარჩენები (8%).

კლიმატის ცვლილება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის დარგებზე, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაზე. საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. საქართველოში ფერმერებმა უნდა შეასრულონ საკვანძო როლი საზოგადოების ფუნდამენტური საჭიროების - უსაფრთხო, დაცული და ხელმისაწვდომი საკვებით უზრუნველყოფაში. ეს ფაქტი ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობაზე კლიმატის ცვლილების გავლენასა და სასურსათო უსაფრთხოებას შორის არსებული დამოკიდებულების მნიშვნელობას. ბოლო ათწლეულების მანძილზე კლიმატის ცვლილების გამოვლინებების უარყოფითმა ზემოქმედებამ (ტემპერატურის მატება, ქარების გაძლიერება და წყლის რესურსების შემცირება) მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქტიულობა სოფლის მეურნეობის დარგში.

სოფლის მეურნეობის დარგში წარმოქმნილი, გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების ძირითადი მიზეზი ნალექების რეჟიმისა და ჰაერის ტემპერატურის ცვლილებაა, რაც, განსაკუთრებით სოფლად, ხარჯების ზრდას იწვევს. 2000 წელს ძლიერმა გვალვებმა თითქმის მთლიანად გაანადგურა მარცვლეულის მოსავალი, დაახინა 400000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ბოლო ათი წლის მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოში გახშირდა გვალვები. ძლიერი გვალვა, რომელსაც თან მაღალი ტემპერატურა ახლავს (40-42 გრადუსი) ყოველწლიურად ფიქსირდება. ჰაერის მაღალი ტემპერატურა რეგიონში ძლიერი გვალვების სიხშირეს აორმაგებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციისა და გარემოს დაცვის მეცნიერული შესწავლა XXI საუკუნის გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესები პირდაპირ არის დაკავშირებული სამეურნეო მასშტაბების ზრდასთან, რომლებმაც გამოიწვია დედამიწის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და გარემოს დაბინძურების იმ დონემდე გადიდება, რომ ადამიანი არჩევანის წინაშე დააყენა ან უნდა შეიცვალოს განვითარების გზები, ან საკუთარი თავი გაწიროს. XXI საუკუნის მთავარ ამოცანას ყველა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მდგრადი განვითარების რელსებზე გადაყვანა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური მდგრადობის განმტკიცებას და გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას.

თანამედროვე აგროქიმიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს მინერალური სასუქების ეფექტურობის გადიდება და გარემოზე სოფლის მეურნეობის ინტენსიური ქიმიზაციის ეკოლოგიური ზემოქმედების შესწავლა. სასუქების გამოყენების თვალსაზრისით, გარემოს დაცვის პრობლემამ თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული სიმწვავე შეიძინა დასავლეთ საქართველოს უხვნალექიან ზონებში და სარწყავი მიწათმოქმედების პირობებში, სადაც ქიმიზაციის განვითარების სწრაფი ტემპები შეთანაწყობილია ნიადაგის წყლით გამორეცხვის რეჟიმთან, მეცხოველეობის ინტენსიურ განვითარებასთან და სასუქების შესანახი საწყობების არასაკმარის რაოდენობასთან. ამასთან, ზოგიერთ ზონაში მრავალი წლის განმავლობაში სასუქების ინტენსიური გამოყენებით შეიქმნა აზოტის, ფოსფორისა და კალიუმის დადებითი საწყისი ბალანსი, რის გამოც მინერალური სასუქების გამოყენების ტემპები მნიშვნელოვნად ჭარბობს მოსავლით საკვები ელემენტების გამოტანას. მიუხედავად ამისა, მომავალშიც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების მთავარ საშუალებად კვლავ დარჩება მინერალური სასუქების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს მოსავლის 50 %-იანი ნამატის მიღებას ზოგიერთი მწვანე მასის მომცემ მცენარეში (მაგალითად, ჩაი და სხვ. 80%).

მინერალური სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა გამოიწვევს სურსათის წარმოების კატასტროფულ შემცირებას. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზაა არა სასუქების გამოყენებაზე უარის თქმა, არამედ მინერალური სასუქების გამოყენების ტექნოლოგიის ძირეული გაუმჯობესება. სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს განსხვავებული მოთხოვნილება აქვს ძირითად საკვებ ელემენტებზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ვიცოდეთ თუ როგორი გამოტანა ახასიათებთ მათ ერთი და იმავე მოსავლიანობის პირობებში, შემდგომში რომ შევაფასოთ რამდენად სწორად შევიტანეთ სასუქი,

მცენარის ბიოლოგიური თავისებურებების, კლიმატურ-ნიადაგური პირობების და მოსავლის დონის გათვალისწინებით, რათა საჭიროების შემთხვევაში განვახორციელოთ სათანადო კორექტივები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასურსათო და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა, ენერჯის ახალი წყაროების გამოყენების და სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად მიეკუთვნება მსოფლიოს იმ გლობალურ პრობლემათა რიცხვს, რომელთა გადაჭრაზე ბევრადაა დამოკიდებული კაცობრიობის მომავალი (რომის დეკლარაცია, 2012) ამდენად, ამ საფრთხეების თავიდან ასარიდებლად ბრძოლა ერთიანი სტრატეგიითაა საჭირო.

ერთიანი სტრატეგიის შექმნის აუცილებლობა

სულ უფრო მეტი მეცნიერი, პრაქტიკული მუშაკი და პოლიტიკური მოღვაწე თვლის, რომ მალე ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების პრობლემა საერთაშორისო კრიზისამდე მიგვიყვანს. ექსპერტების აზრით, სუფთა სურსათზე მოთხოვნის ზრდა განპირობებული იქნება ორი გარემოებით: დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდითა და ყველა ქვეყნის მისწრაფებით, გაზარდოს თავისი მოსახლეობის კვების კალორიულობა და ეკოლოგიური ხარისხი. გაანგარიშების თანახმად, დედამიწის მოსახლეობა 2030 წლისათვის მიაღწევს 8.9 მლრდს. სხვადასხვა ქვეყნებს შორის კვების ხარისხისა და კალორიულობას შორის განსხვავების ლიკვიდაცია ასევე იქნება ეკოლოგიურად სუფთა სურსათზე მოთხოვნის ზრდის მძლავრი ფაქტორი. ექსპერტების ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, თუ ამოსავალ პუნქტად მხოლოდ პლანეტის მოსახლეობის აღნიშნულ ზრდასა და კვების თანამედროვე ნორმებს მივიჩნევთ, მაშინ მარცვლეულის დეფიციტი 2030 წლისათვის იქნება 526 მლნ ტონა, ხორცის - 40 მლნ ტონა, ზღვის პროდუქტების - 68 მლნ ტონა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიო სასურსათო ორგანიზაციის, ფაო-ს ხელმძღვანელი ჟაკ დიუფი თვლიდა, რომ თუკი არ მოხდება სურსათის წარმოებასა და ნიადაგის ნაყოფიერებაში ტექნოლოგიური გარღვევა, XXI საუკუნის პირველივე ნახევარში უკვე შეიძლება დაიწყოს უმძლავრესი სასურსათო კრიზისი.

აღნიშნულ სფეროში სიტუაციის მოსალოდნელ გართულებასთან დაკავშირებით შესაძლებელია ცალკეულ ქვეყნებში მოხდეს ეროვნული სტრატეგიების გადასინჯვა სურსათის ეკოლოგიური უსაფრთხოების კუთხით. განვითარებული ქვეყნების ერთი ნაწილი უკვე მუშაობს ამ მიმართულებით. მათ გადახედეს სურსათის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ადრინდელ შეხედულებებს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდის შესახებ.

ტერმინი „სასურსათო უსაფრთხოება“ საერთაშორისო პრაქტიკაში შემოდებულია XX ს. 70-იანი წლებიდან, მარცვლეულის ღრმა კრიზისის შემდეგ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის - ფაო-ს ეგიდით შექმნილია საერთაშორისო სასურსათო უსაფრთხოების მუდმივმოქმედი კომიტეტი.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემებს დიდი ყურადღება ექცევა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. აღნიშნული საკითხები მთავრობების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი საგანია და ამ საკითხებიდან გამომდინარე ისინი აყალიბებენ იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს

მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემების გადაჭრას (კრისტოფ კორდონი, 2010; ვინსენტ ვოლკჰარტი, 2008).

ამჟამად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას აქვს სასურსათო უსაფრთხოების საკუთარი საკანონმდებლო ბაზა. ასე მაგალითად, აშშ-ში კანონს „სასურსათო უსაფრთხოების შესახებ“ აქვს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია. გერმანიაში ჯერ კიდევ 1955 წელს მიიღეს კანონი „გერმანიის სოფლის მეურნეობის შესახებ“ რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ვალდებულია სასურსათო მომარაგების პრობლემა განიხილოს როგორც სტრატეგიული ამოცანა, აუცილებლობის შემთხვევაში მოახდინოს სასურსათო ფონდების ფორმირება, გამოიყენოს ეკონომიკური სტიმულირებისა და მხარდაჭერის ღონისძიებების მთელი კომპლექსი და არ დატოვოს სასურსათო პრობლემა მესამე ქვეყნებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში.

სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაცია განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკურ განვითარებაში აქტიური ჩარევის, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო საქონლის მწარმოებლების მიმართ თანადგომის გზით. სახელმწიფოს მხრივ მხარდაჭერას აქვს მრავალ-ასპექტიანი ხასიათი. ესაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, ფასების რეგულირება, აგრარული წარმოებისთვის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე კვოტის დაწესება, საქონელმწარმოებელთა დაცვა საზღვარგარეთიდან უფრო იაფი სურსათით ინტერვენციისგან, სოციალური პროგრამების დაფინანსება და ა.შ. დასავლეთის ბევრი მთავრობა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ბაზრის რეგულირებას ახდენს სათესი ფართობების დაგეგმვის, სახელმწიფოს მიერ საქონლის ნამატის შენახვისა და შემდგომი რეალიზაციის გზით, ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საგარეო ბაზრების გაფართოებას, უზრუნველყოფს მისი ხარისხის კონტროლს, ატარებს ბუნების დაცვის ღონისძიებებს და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრატეგიის განხორციელების მექანიზმი განიხილება როგორც ორგანიზაციული სტრუქტურების, სპეციფიკური პრინციპების, ასევე მართვის მეთოდების და სამართლებრივი სტანდარტების ერთობლიობა, რომელთა დახმარებით უნდა მოხდეს აგროსამრეწველო და პოსტ-ინდუსტრიული ნიადაგების რევიტალიზაცია.

აგროსამრეწველო და პოსტინდუსტრიული ნიადაგების რევიტალიზაციის სტრატეგია რამდენიმე მთავარ პრინციპს დაეფუძნება: ფინანსური რესურსების ინტეგრაცია, ინტერესთა ბალანსი, პასუხისმგებლობა, ეფექტური მენეჯმენტი, რესურსების მიზნობრივი გამოყენება და ა.შ. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

ფინანსური ინტეგრაციის პრინციპი გულისხმობს ყველა შესაძლო დაფინანსების წყაროს მოძიებას, რათა განხორციელდეს ინვესტირება, მაგალითად, იმერეთის მარგანეციტ მდიდარი ნიადაგების ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგრადი განვითარების პროექტებში.

ფინანსური ინტეგრაციის პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული ინტერესთა ბალანსის პრინციპთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმ ორგანოების განსაზღვრას, რომლებიც ჩართულნი არიან (ან აქვთ რაიმე სახის დაინტერესება) აგრარულ-ინდუსტრიული რეგიონების განვითარების პროექტებში.

პასუხისმგებლობის პრინციპი გულისხმობს სტრატეგიის ფარგლებში გაწერილი პროექტის განხორციელების პროცესში (პროექტები, რომლებიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას ან სხვა სახის დავალებებს) შესაბამისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა-გადანაწილებას შესაბამის ინდივიდებზე ან ორგანიზაციებზე.

შემოწმების პრინციპი გულისხმობს სტრატეგიის ფარგლებში გაწერილი საქმიანობის შედეგების მონიტორინგსა და კონტროლს. ამ მიზნით უნდა მოხდეს გამჭვირვალე საინფორმაციო სისტემის შექმნა და დაინერგოს ეკოლოგიური და ეკონომიკური კონტროლის ინტეგრაციული სქემა.

ეფექტური მენეჯმენტის პრინციპი გულისხმობს სტრატეგიის ფარგლებში გაწერილი საქმიანობის შედეგების მონიტორინგის/კონტროლის მეთოდების შერჩევას კონკრეტული სიტუაციის მიხედვით.

რესურსების მიზნობრივი გამოყენების პრინციპი გულისხმობს მწირი ბუნებრივი, მატერიალური ან ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებას რეგიონის ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის.

სამიზნე ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილების პრინციპი გულისხმობს ადგილობრივი ხელისუფლებისა და კომპანიების მიზანმიმართულ ქმედებებს საქონლისა და სერვისების მომხმარებელთა სამიზნე ჯგუფების (აგრარულ-ინდუსტრიულ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ) საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.

სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში არანაკლები ყურადღება ეთმობა ეკოლოგიურ მენეჯმენტს, რომელიც უზრუნველყოფს დასახული ეკოლოგიური ამოცანების ეფექტურ განხორციელებას. არსებობს ეკომენეჯმენტის რამდენიმე საშუალება. თუმცა, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სამი ჯგუფი: ეკონომიკური, ორგანიზაციული და ადმინისტრაციული (მოიცავს სოციალურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც) საშუალებები.

დასკვნა

ეკოლოგიური მენეჯმენტის სრულყოფისთვის საჭიროა შემდეგი ზომების მიღება: აგრარულ-ინდუსტრიული რაიონების ეკოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგის გაუმჯობესება, საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესება, ფისკალური პოლიტიკის სტიმულირება, გარემოსდაცვითი ეკოფონდის შექმნა, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, გარემოსდაცვითი აქტივობების დანერგვა, ადგილობრივი ხელისუფლების მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობა.

მომავალი სტრატეგიის განხორციელების უმნიშვნელოვანესი მიზნებია: დაბინძურებული ნიადაგების დარეგისტრირება (მოცემული ტერიტორიის პასპორტის შემოწმება), გამჭვირვალე საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ინვესტიციების მოზიდვა, რევიტალიზაციის სხვადასხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება, ბუნებრივი კაპიტალის მომხმარებელთათვის პასუხისმგებლობის დაწესება, სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Римская декларация по всемирной продовольственной безопасности. Архивировано из первоисточника 24 марта 2012.

2. იხ. მაგალითად: კრისტოფ კორდონიე, ევროკავშირის საექსპორტო ბაზრების მდგომარეობა ქართული აგროპროდუქციის კონკურენტული უპირატესობის რეალიზაციისათვის, სამუშაო მასალები, 2010; ვინსენტ ვოლკჰარტი, “ვაჭრობის პოლიტიკა და ქართული ექსპორტი”, ქართული ეკონომიკის ტრენდი 2008.

3. ნ. მოდებაძე, ზ. გარაყანიძე. სასურსათო უსაფრთხოების ზოგიერთი პრობლემა საქართველოში. თბ., 1998, პ. კოლუაშვილი – საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები. თბილისი. „კოლორი“ 2004; სასურსათო პრობლემიდან-სასურსათო უსაფრთხოებამდე / პ. კოლუაშვილი, კ. გიორგაძე, ბ. რამიშვილი [რედ.: გიორგი ზიბზიბაძე, პაატა კოლუაშვილი]; საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. ზაურ თეთრუაშვილი; ქარდავა მაია თბ., 2006 და ა.შ.

4. Климова Н.В. ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ – ОСНОВА ОБЕСПЕЧЕНИЯ ЭКОНОМИЧЕСКОЙ БЕЗОПАСНОСТИ РЕГИОНА // Фундаментальные исследования. – 2012. – № 9-1. – С. 214-219.

URL: <http://www.fundamentalresearch.ru/ru/article/view?id=30206> (дата обращения: 05.04.2016).

5. Ефимов А.Б. Организационно-экономические аспекты достижения продовольственной безопасности в России. Автореферат диссертации на соискание звания кандидата экономических наук (დოც) (2009). Архивировано из первоисточника 24 марта 2012. Новоселова Н.Н. Управление функциональным развитием регионального зернопродуктового комплекса. Автореферат диссертации на соискание звания кандидата экономических наук (დოც) (2009). Архивировано из первоисточника 24 марта 2012.

Solomon Pavliashvili

Zurab Garakanidze

THE INTRA-BRANCH MECHANISM OF COORDINATION OF THE FOOD AND ECOLOGICAL SECURITY

Summary

In the article, the conceptual approaches of the formation of implementation mechanism of intra-branch ecological and economic development strategy for agro-industrial and postindustrial territories are defined and grounded. This presupposes the effective interaction of participants of the regional eco-innovative processes aimed at transforming the social and economic environment of the agro-industrial region through ecologization and revitalization of industrial territories and the transition to sustainable management in terms of sustainable development. These principles have been defined as the basic ones.

თეა ლაზარაშვილი

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში და
ქვეყნის მდგრადი განვითარება**

ანოტაცია. ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს ფორმირება, როგორც მიკრო-, ისე მაკროეკონომიკაზე, მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული პროცესების ზეგავლენის შედეგად ხორციელდება.

საქართველოში ინვესტიციური გარემოს ერთმნიშვნელოვნად შეფასება საკმაოდ რთულია. საინვესტიციო გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია კომპლექსური ფაქტორების დამუშავება და ანალიზი, მათ შორის ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის საკითხის გათვალისწინება.

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას დისპროპორციები რეგიონული განვითარების კუთხით, რისთვისაც საჭიროა განვახორციელოთ ისეთი საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც ჩამორჩენილ რეგიონებში გაზრდის მოტივაციას ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს კი დაგვეხმარება, აღვადგინოთ და ეფექტიანად ავამუშაოთ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დარგები.

ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია, შემცირდეს სხვაობა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და შიგა ინვესტიციებს შორის. აგრეთვე ძალზე მნიშვნელოვანია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მობილიზება ქვეყნის რეალურ სექტორში განხორციელდეს.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო პოლიტიკა, საქართველოს ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, მდგრადი განვითარება.

შესავალი

საქართველოში ინვესტიციური გარემოს შეფასებისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი მდგომარეობის, ფინანსური რესურსების, სოციალური სფეროს, პოლიტიკური გარემოს, მეურნეობის ზოგადი სტრუქტურის შესწავლა და სხვა.

დღესდღეობით მსოფლიოში უცხოური დაბანდებების განხორციელების მრავალი ფორმა და მეთოდი გამოიყენება, თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რადგანაც საქართველოში უცხოური კაპიტალის შემოდინების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა სწორედ პირდაპირი რეალური ინვესტიციებია. ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და მათი რაციონალური გამოყენება წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე დამოკიდებული საქართველოს ეკონომიკის რეალური ზრდა და მისი ჩართულობის დონე მსოფლიო მეურნეობაში.

* * *

ყურადღება უნდა გავამახვილოთ უცხოელი ინვესტორების მოტივაციაზე, რომელიც ყველაზე მეტად გამოკვეთილია თანამედროვე ეტაპზე. ესაა, პირველ

რიგში, ინვესტირებად ქვეყანაში რესურსებზე არსებულ რეალურზე უფრო დაბალი ღირებულება. ახალი ბაზრების დაპყრობა და სხვა.

როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების გავლენაზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე, აქ გასათვალისწინებელია მთელი რიგი ფაქტორები: პირველ რიგში თუ რამდენადაა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკა, როგორია საბაზრო მექანიზმების განვითარების ხარისხი, რამდენადაა მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა და სხვა. იმისდა მიხედვით, თუ ეკონომიკის რომელ სექტორში ხდება ინვესტირება და ინვესტიციების რა ფორმები და მეთოდები გამოიყენება ეკონომიკაზე სხვადასხვანაირად აისახება. ინვესტიციების გავლენა შეიძლება გამოვლინდეს: ეკონომიკის ზრდის ტემპში, ინვესტიციური აქტიურობის გამოცოცხლებაში, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდაში, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში და სხვა.

ინვესტიციების დადებით ეფექტს წარმოადგენს ისიც, რომ ის არა მარტო იმ დარგის განვითარებას იწვევს, სადაც იდება ინვესტიციები, არამედ მომიჯნავე დარგებისაც.

ინვესტიციების მოზიდვისას ქვეყანაში შემდეგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი:

1. თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში.
2. საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა.
3. ეკონომიკური ფაქტორები.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად უნდა მოხდეს ხელსაყრელი კლიმატის და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭირო მექანიზმების ჩამოყალიბება. როდესაც ქვეყანა განიცდის საკუთარი სახსრების დეფიციტს, შიდა ინვესტიციების განხორციელებისათვის ერთადერთი გზა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა რჩება. აგრეთვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს ქვეყანა, რადგანაც სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა რაოდენობის ინვესტიციები შემოვა და როგორ მოხდება მათი ეფექტიანად გამოყენება. სწორედ ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა განსაზღვრავს მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას.

როდესაც საუბარია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ქვეყანაში, პირველ რიგში მნიშვნელოვანია ეს ინვესტიციები მიიმართოს ეკონომიკის რეალურ სექტორში. მთლიანობაში, უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე. თანაც, აუცილებელია ინვესტიციებმა უზრუნველყოს ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყანაში, დაინერგოს ინოვაციები, ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული, აგრეთვე ეკოლოგიური უსაფრთხოება იქნეს დაცული. ყოველივეს გათვალისწინებით ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორი ინვესტიციური პოლიტიკის განსაზღვრას, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებს. სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურად მოხდეს ინვესტირებისადმი მხარდაჭერა იმ დარგებსა და რეგიონებში, რომელთა განვითარება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საწინდარია. მეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის გატარების გარეშე შეუძლებელი იქნება მათ ეფექტიანობაზე საუბარი.

ინვესტიციების მოზიდვისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება უცხოელი ინვესტორებისათვის სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები კანონით იქნება დაცული. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი გარემოს მთავარი მიზანია ისეთი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება, რომელშიც კერძო სექტორი თავისუფალი იქნება გადაწყვეტილებების მიღებაში, მაქსიმალურად იქნება დაცული საკუთრების უფლება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია კერძო სექტორი იყოს თავისუფალი და მთავრობის საქმიანობა იყოს გამჭვირვალე და ეფექტური. ამისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუციური გარემო ჩამოყალიბდეს, სადაც საკუთრების უფლება იქნება მაქსიმალურად დაცული, კორუფციის დონე იქნება დაბალი და სხვა.

საქართველო უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ქვეყანაა შემდეგი გარემოებების გამო: აქ მიმზიდველი ეკონომიკური გარემოა, მოქმედებს ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალურია საგადასახადო კოდექსიც, აქტიურად ხდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია. აქვს სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაა.

როდესაც ვსაუბრობთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე საქართველოში, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მსოფლიო ბანკის კვლევებზე, მისი ერთ-ერთი პროექტი „Doing Business“ უკვე რამდენიმე წელია იკვლევს მსოფლიო უმეტესობა ქვეყნებს ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შეფასების თვალსაზრისით. ამ კვლევის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილზე იმყოფება. საქართველო წინა წელთან შედარებით რვა პოზიციით დაწინაურდა. ამ დაწინაურების მიზეზი 2015-2016 წლებში გატარებული რეფორმებია, რომელიც ეხება ქონების რეგისტრაციას, კერძოდ გაუმჯობესდა თბილისში მიწის ადმინისტრირება კერძო მფლობელობაში არსებული ნაკვეთების რუკაზე დატანით, რამაც საქართველოს პოზიცია მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივით გააუმჯობესა და მესამე ადგილი დაიკავა.

საქართველოში აგრეთვე გაძლიერდა მცირე ინვესტორების დაცვა მინორტარ აქციონერთა უფლებების და როლის გაზრდით კორპორაციული გადაწყვეტილებების მიღებაში, რის გამოც მეშვიდე ადგილი დაიკავა.


ელექტრონული დამუშავების სისტემის გაუმჯობესებამ ექსპორტისა და იმპორტის დოკუმენტების უფრო სწრაფად წარდგენის საშუალება მოგვცა, აგრეთვე დაინერგა წინასწარი ელექტრონული დოკუმენტების წარდგენის შესაძლებლობა. ყოველივე ამან საგარეო ვაჭრობის სიმარტივის მიმართულებით საქართველო 54-ე ადგილზე გაიყვანა. საგადასახადო სისტემის კუთხით საქართველო 22-ე პოზიციას იკავებს.

კვლევის მეთოდოლოგიის ცვლილების გამო საქართველომ 2016 წელს 9 პოზიციით უკან დაიხია და 24-ე ადგილი დაიკავა, თუმცა 2006 წელს მას 98-ე ადგილი ეკავა.

თუ დავეყრდნობით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების

მოცულობამ 2016 წელს 1645 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 22%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

2012-2016 წლების მონაცემები მოცემულია პირველ დიაგრამაზე.



დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2012-2016 წწ. (მლნ აშშ დოლარი)

მნიშვნელოვანია როგორ გამოიყურება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების ათეული (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

ცხრილი №4. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2016 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	912	942	1,758	1,564	1,645
მათ შორის:					
აზერბაიჯანი	59	82	341	550	578
თურქეთი	81	43	63	73	272
გაერთიანებული სამეფო	94	55	108	386	121
ნიდერლანდები	35	153	374	155	95
ჩეხეთი	8	44	52	17	93
ლუქსემბურგი	42	143	110	106	79
პანამა	10	26	71	10	78
აშშ	20	45	182	18	45
კვიპროსი	39	-106	-5	-29	38
დანარჩენი ქვეყნები	524	459	464	279	246

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2016 წელს შემდეგი სურათი გვაქვს (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი №5. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012-2016 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)

	2012	2013	2014	2015	2016*
სულ	912	942	1758	1564	1645
მათ შორის:					
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	73	140	434	585	645
ენერჯეტიკა	179	245	190	124	203
მშენებლობა	42	50	317	111	163
საფინანსო სექტორი	163	166	115	179	136
დამამუშავებელი მრეწველობა	168	100	205	67	120
სასტუმროები და რესტორნები	18	-13	125	139	111
უძრავი ქონება	53	42	139	90	70
სამთომოპოვებითი მრეწველობა	5	44	43	88	38
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	18	1	-10	140	27
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	16	12	12	15	10
დანარჩენი სექტორები	178	156	188	28	122

*წინასწარი მონაცემები.

დასკვნები

სტატისტიკურ მონაცემს თუ დავეყრდნობით, ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი:

- ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სტაბილური საკანონმდებლო გარემო. ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები აფრთხობს ინვესტორებს;

- საკმაოდ გაჭიანურდა შრომის კოდექსის რეფორმირების პროცესი;

- ახალი რეგულაციები საფოსტო მომსახურებასა და შრომითი მიგრაციის სფეროში;

- საქართველოში აგრეთვე არ არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ეკონომიკის ყველა სფეროს.

საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით შექმნილი „ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს“ საქმიანობა უფრო მეტად გამჭვირვალე უნდა გახდეს, რაც მის საქმიანობას უფრო მეტად ეფექტურად წარმართავს.

საჭიროა ქვეყანაში ისეთი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გატარება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს საქართველოში და უფრო მეტად გაზრდის ინვესტორების ნდობას.

აუცილებელია ქვეყანაში გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას. ამისკენაა მიმართული სწორედ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიზანს იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მდგრად განვითარებას.

ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით მთავრობა წაახალისებს იმ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ახალი ტექნოლოგიების შემოღებაზე. განსაკუთრებით ეს გარემოსდაცვით და რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებს შეეხება, რაც „მწვანე“ ეკონომიკის განვითარებასაც წაახალისებს. თუმცა, ჩვენი აზრით, საჭიროა ისეთი

ინვესტიციების წახალისებაც, რომელიც ქვეყნის რეალურ სექტორში ჩაიდება და ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. 2009. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი.
2. ვლ. პაპავა, თ. თაფლაძე. 2013. საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ. ჟ. „ეკონომისტი“, N 2.
3. <https://idfi.ge/ge/world-bank-development-report-2016-georgia>.
4. www.nbg.gov.ge
5. www.mfa.gov.ge
6. www.geostat.ge

Tea Lazarashvili

DIRECT FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF THE COUNTRY

Summary

Formation of the investment environment in the country, both in micro and macro -economy is carried out as a result of the impact of a number of interrelated processes. It is quite difficult to strongly estimate the investment environment in Georgia. For the investment environment evaluation it is necessary, processin and analyse complex factors. Among them it is important to study economic potential of the country, organizational and legal status, financial resources, social sphere, political environment, general structure of farming etc. It is important to consider the country's economic sovereignty issue whem attracting foreign investments in Georgia.

It is important for sustainable economic development of the country to eradicate disproportions in regional aspect. This requires the realization of such an investment policy that will increase the incentives for attracting investment in the lagging regions. This will help us to restore and effectively enact economic sectors important for the country.

For effective investment policy it is necessary to reduce the difference between foreign direct investment and domestic investment. Equally important is the mobilization of the direct foreign investments to be implemented in the real sector of the country.

In order to evaluate the investment environment in Georgia it is necessary to study the economic potential of the country, organizational-legal status, financial resources, social sphere, political environment, general structure of the economy etc.

Today, many forms and methods of foreign investment in the world are used. However, we will focus directly on foreign investments, as one of the major forms of inflow of foreign capital in Georgia is direct real investment.

Important problem of economic reform in Georgia is to attract foreign investments and use then rational. The solution to this problem depends on the real growth of the Georgian economy and the level of its involvement in the world economy.

It is important to pay attention to the motivation of foreign investors, which is most relevant in the modern stage. First of all, the resources invested in the country are less expensive than the actual resources. Conquer new markets and more.

When talking about the impact of foreign investments on our country's economy, there are a number of factors to consider: first of all how the country's economy is developed, what is the quality of development of market mechanisms, how well is regulated legislation base and other. Depending on which sector of the economy is invested and what forms and methods of investment are used, the economy will be different. Influence of investments can be expressed: in the growth rate of the economy, the recovery of investment activity, the growth of technological progress, the development of country infrastructure, the effective use of labor resources, etc.

The positive effect of investment is that it leads not only to the development of the sector where investments are made, but also the development of neighboring sectors.

In attracting investments, in the country the following facts should be considered:

1. What socio-economic policies are imposed on foreign direct investments.
2. Promote investment business.
3. Economic factors.

In order to attract foreign investments in the country, it is necessary to create favorable climate and formulate mechanisms for its efficient use. When the country experiences its own resource deficit, the only way to make internal investments is to attract direct foreign investments. It is also important to note what investment policy is being implemented by the country, because it depends on it how many investments will come into and how they will be effectively used. Effective investment policy determines the creation of attractive investment climate.

When it comes to attracting foreign investments in the first place it is important that these investments take place in the real sector of the economy. Overall, the effectiveness of foreign investments depends on the quality and quantity of attracted investments in the country. It is also important that investments provide new technologies in the country, introduce innovations, consider national interests, and provide ecological safety. Taking into consideration everything it should be very important to determine the correct investment policy, as the market mechanisms are always in favor of our country's interests. The state must support investments in the areas and regions the development of which is the prerequisite of economic growth of the country. It is impossible to talk about their efficiency without the knowledge of scientifically substantiated investment policy.

In attracting investments, it is no less important to give foreign investors legal guarantees that their investments will be protected by law. The main objective of support of FDI is the establishment of an institutional environment in which the private sector will be free to make decisions, and the right to property will be reserved.

The private sector must be free to create an environment that facilitates direct foreign investment, and the government's activities must be transparent and effective. For instance, it is important to establish an institutional environment where property rights are maximally reserved corruption levels are low and others.

Georgia is an attractive country for foreign investments due to the following circumstances: attractive economic environment, liberal economic reforms, liberal tax code, active privatization of state property, strategic geographical area, as well as the fact that Georgia is a country with ancient culture and traditions.

When we talk about attracting foreign investments in Georgia, it is important to pay attention to the World Bank's research, one of its projects "Doing Business" has been studying most of the world countries over many years in terms of assessing favorable environment for business. According to the report of the 2017, Georgia is in the 16th place among the 190 countries in the simplicity of doing business. Georgia has advanced with eight positions in comparison with the

previous year. The reason for this promotion is the reforms implemented in 2015-2016, concerning property registration, in particular improving in Tbilisi land management, plotting on the map private lands this has improved Georgia's position in terms of property registration simplicity in the world and setting on the third place.

In Georgia the protection of small investors has grown, too due to the growth of shareholders' rights and role in corporate decisions, resulting the seventh place.

The improvement of the electronic processing system enabled us to introduce export and import documents more quickly, as well as the introduction of preliminary electronic documents. All of this brought Georgia to the 54th place in the direction of foreign trade simplicity. In terms of the tax system Georgia occupies the 22nd position.

Due to the change of the research methodology, Georgia retreated 9 positions in 2016 and took 24th place, though in 2006 it was ranked 98th.

According to the data of the National Statistics Office of Georgia, the volume of direct foreign investments in Georgia amounted to \$ 1645 million in 2016, which is 22% higher than the previous year's data.

Based on statistical data a number of positive steps were done to attract foreign investments in recent years, but there are still many things to do:

- There is still no stable legislative environment in the country. Frequent legislative changes threaten investors;
- The process of reform of the Code of Labor reform is quite complicated;
- New regulations in postal services and labor migration;
- There is no unified state policy for foreign investments in Georgia, including all sectors of economy.

The activities of the National Investment Agency established in order to facilitate attracting investments in Georgia should be more transparent, which will be more efficient in carrying out its activities. It is necessary to carry out such monetary and fiscal policy in the country, which will improve the investment environment in Georgia and will increase the trust of investors more.

It is necessary to take such measures that will promote science, technology and innovation in the country.

მამუკა ხუსკივაძე

**საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა
მდგრადი განვითარების კონტექსტში**

ანოტაცია. ნაშრომში ჩატარებულია საქართველოში ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ანალიზი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისიდან დღემდე მდგრადი განვითარების კონტექსტში და შეფასებულია მისი თანამედროვე მდგომარეობა. გამოვლენილია ის პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებები, რომლებიც აფერხებს ეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში რაციონალური რეგულირების მექანიზმის ფორმირებას. აღნიშნულია, რომ ეკოლოგიას ჯერ კიდევ არ უჭირავს სათანადო ადგილი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში, რისი შედეგიც იქნება ეკოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება საქართველოში. გაანალიზებულია მდგრადი განვითარება,

როგორც ახალი გამოწვევა და პარადიგმა საქართველოსათვის და გაშუქებულია სირთულეები, რაც უკავშირდება მის ტრანსფორმაციაზე გადასვლას. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია მდგრადი განვითარების კონტექსტში ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ძირითადი თეორიული და პრაქტიკული გზები საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური პოლიტიკა, მდგრადი განვითარება, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

შესავალი

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებისთანავე საქართველოს წინაშე გაჩნდა ახალი გამოწვევები და დღის წესრიგში დადგა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის ფორმირებისა და რეალიზაციის აუცილებლობის საკითხი. ამგვარი სტრატეგიის მთავარი მიზანი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება უნდა ყოფილიყო, რაც მოსახლეობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ინტერესების ოპტიმალური შეთანაწყობითა და დაკმაყოფილებით იქნებოდა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის, ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, არანაკლებ აქტუალური იყო ეკოლოგიური უსაფრთხოების ეროვნული ინტერესის დაკმაყოფილების საკითხიც, ვინაიდან საქართველო პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყისს შეხვდა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემებით, რომელთა გენეზისი მოხდა გეგმური ეკონომიკური სისტემის პირობებში. იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული ეკონომიკური სისტემისათვის მთავარი იყო ინდუსტრიული ზრდა, ეკოლოგია არ განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების სისტემაში. შესაბამისად, ბუნებრივ რესურსებზე საზოგადოებრივმა საკუთრებამ და გარემოსდაცვითი მოთხოვნების უმრავლეს შემთხვევაში იგნორირებამ, საფუძველი ჩაუყარა აღდგენადი რესურსების ზეექსპლუატაციასა და დეგრადაციას, არააღდგენადი რესურსების ამოწურვას, გარემოს სისუფთავის მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებას და ზოგადად ეკოლოგიური წონასწორობის რღვევას.

გარდა ამისა, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში საქართველოში გაჩნდა ე. წ. „ეკოლოგიური იმპერიალიზმის საფრთხე“, როდესაც ქვეყნებს, სადაც მოქმედებს მკაცრი გარემოსდაცვითი სტანდარტები, „ჭუჭყიანი“ საწარმოები გადააქვთ იმ ქვეყნებში, სადაც ეკოლოგიური შეზღუდვები სუსტია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მხრიდან მიზანმიმართული საქმიანობის განხორციელების აუცილებლობის საკითხი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში. მაშასადამე, საჭირო გახდა ისეთი ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირება, რომლის სტრატეგიული მიზანი უნდა ყოფილიყო ეკოლოგიური სისტემების მდგრადობის მიღწევა მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და რომელიც გადაჭრიდა ორ უმთავრეს ამოცანას:

- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების უზრუნველყოფა და მისი კვლავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

- გარემოზე უარყოფითი ანთროპოგენური ზემოქმედების შემცირება გაჭუჭყიანების მინიმიზაციისა და ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის მეშვეობით.

მდგრადი განვითარება, როგორც ახალი პარადიგმა საქართველოსთვის

მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრიდან, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გააქტიურების პარალელურად, მნიშვნელოვნად დაჩქარდა მსოფლიო ეკონომიკური განვითარება. საწარმოო პროცესების მასშტაბების გაფართოებით, რაც ძირითადად ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის შეუზღუდავმა გამოყენებამ განაპირობა, მრავალ ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ეკონომიკური ზრდის ტემპები. სხვადასხვა კვლევის შედეგების მიხედვით ბოლო ასი წლის განმავლობაში მსოფლიოში შრომისმწარმოებლურობა გაიზარდა საშუალოდ 5-ჯერ, მათ შორის განვითარებად ქვეყნებში 6-ჯერ, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში - 6,5-ჯერ.

ამავე პერიოდში მომპოვებელი მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მეურნეობის ჯამურმა პროდუქციამ მსოფლიო მშპ-ის მიახლოებით 12-15% შეადგინა და ამჟამადაც ხასიათდება ზრდის ტენდენციით. აღნიშნული ნათლად ადასტურებს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების გაძლიერებას, რისი შედეგიც გახდა პლანეტაზე ეკოლოგიური წონასწორობის რღვევა და ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. კიდევ უფრო გაღრმავდა ისტორიულად ჩამოყალიბებული დისბალანსი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მათი კვლავწარმოების მასშტაბებს შორის.

პრაქტიკულად ჩამოყალიბდა ტექნოგენური განვითარების ტიპი და კაცობრიობა შეეჯახა ისეთ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს, როგორცაა: ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, მუავური წვიმები, გაუდაბნობა, ბიომრავალფეროვნების შემცირება და სხვა. დედამიწაზე სასიცოცხლო პირობების მკვეთრი გაუარესების გამო ეკონომიკური ზრდის ტრადიციული მოდელი სულ უფრო და უფრო ვეღარ უზრუნველყოფდა საზოგადოების განვითარების აქტუალური პრობლემების გადაჭრას. ეკონომიკის ეკოლოგიზაციისა და სოციალიზაციის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა მსოფლიო სოციუმისათვის განვითარების ახალი მოდელის შექმნის საკითხი, რომელსაც შეეძლებოდა პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნება და საზოგადოების შემდგომი დინამიკური განვითარების უზრუნველყოფა.

სწორედ განვითარების ახალი მოდელისა და პრინციპების შემუშავების მიზნით, 1987 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და განვითარების კომისიის მოხესნებაში „ჩვენი საერთო მომავალი“ შემოთავაზებულ იქნა მდგრადი განვითარების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი ეკონომიკური განვითარების ვექტორს, რომელიც შეძლებდა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მომავალი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მშპ-ის ზრდას ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

უფრო მოგვიანებით, 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გაეროს ეგიდით ჩატარებულ წარმომადგენლობით კონფერენციაზე აღინიშნა, რომ ეკონომიკური ზრდის არსებული მოდელის, აგრეთვე ეკოტევადი განვითარების შენარჩუნების პირობებში ცივილიზაციის მონაპოვარი, საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ჩათვლით, განწირულია გაქრობისათვის და მონაწილე ქვეყნების მიერ მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების კონცეფციის მიღებისა და მისი პრინციპ-პრინციპების რეალიზაციის აუცილებლობის შესახებ. მთავარ ეკოლოგიურ პრობლემებად მოხსენებაში „გლობალური ეკოლოგიური პერსპექტივა-2000“ დასახელდა: კლიმატის ცვლილება, მტკნარი წყლის დეფიციტი და მისი სისუფთავის ხარისხი, ტყის მასივების შემცირება და გაუდაბნოების მასშტაბების ზრდა, ბიომრავალფეროვნების შემცირება და დეგრადაცია, ურბანიზაცია და ბუნებრივი რესურსების ამოწურვის საფრთხე.

მდგრადი განვითარების მოდელის იდეებმა განსაკუთრებული გავრცელება პოვა ბოლო ათწლეულებში. პრაქტიკულად, მრავალი საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიები შეიცავს დებულებას მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რაც ითვალისწინებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური განვითარების აქტიუზაციას, რათა თაობებიდან თაობებამდე არ დაქვეითდეს ადამიანების ცხოვრების ხარისხი, უსაფრთხოება და გადაწყდეს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიული განვითარების, ანუ კოევივოლუციის ამოცანა.

ამჟამად, მრავალ ქვეყანაში მიღებულია მდგრადი განვითარების კონცეფცია მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით, სრულყოფას განიცდის სამართლებრივი ბაზა, იქმნება სხვადასხვა კომისიები და ა.შ. მდგრადი განვითარების ტრექტორიაზე გადასვლის მიზნით სულ უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს მდგრადი წარმოებისა და მდგრადი მოხმარების მოდელები და მატულობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის (მეცნიერების, ბიზნესმენების და სხვათა) მონაწილეობის ხარისხი მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრაში.

მდგრადი განვითარების არსებული მდგომარეობის შესაფასებლად გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ შემოთავაზებულ იქნა მეთოდოლოგია, რომლის კრიტერიუმები და ინდიკატორები ახასიათებს მდგრად განვითარებას ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ინსტიტუციურ ასპექტებში.

აღნიშნული მეთოდოლოგიით მდგრადი განვითარება ეკონომიკურ ასპექტში იზომება ორი მაჩვენებლით:

ა) კონკურენტუნარიანობის ინდექსით, რომელსაც აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი [8].

ბ) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით, რომელსაც ქვეყნებისათვის განსაზღვრავს The Hezitage Foundation-ის ცენტრი [7].

მდგრადი განვითარების შეფასება ეკოლოგიურ ჭრილში ხდება ეკოლოგიური მდგრადობის ინდექსით, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს იელის უნივერსიტეტის ეკოლოგიური კანონმდებლობისა და პოლიტიკის ცენტრი [6].

სოციალური-ინსტიტუციური თვალსაზრისით მდგრადი განვითარება ხასიათდება ორი ინდექსით:

ა) ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება გაეროს მიერ [9].

ბ) ცხოვრების ხარისხი, რომელსაც ყოველწლიურად აქვეყნებს საერთაშორისო ორგანიზაცია International Living [5].

შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო გარდაქმნების პერიოდში, განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე, საქართველოს ხელისუფლება უპირატესად ორიენტირებული

იყო ეკონომიკური შედეგების მიღებაზე და არასათანადო ყურადღება ექცეოდა მდგრადი განვითარების პრინციპებისათვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მორგებას. მდგრადი განვითარების იდეების მხარდაჭერა ზოგიერთ დოკუმენტში მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში არ მომხდარა იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა შეექმნა წანამძღვრები მდგრადი განვითარების ტრექტორიაზე გადასვლისათვის. კერძოდ, საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება ან არასათანადო დონეზე ხდებოდა ისეთი პრიორიტეტების გამოყოფა, როგორცაა:

- ეფექტიანი მდგრადი წარმოებისა და მდგრადი მოხმარების მოდელებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმების შემუშავება;
- ეკოტექნოლოგიური მოდელების გამოყენება;
- ენერგორესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებისა და ენერგო-დაზოგვის უზრუნველყოფა;
- სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება;
- ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის დეგრადაციის სხვადასხვა სახის გამოვლინების ნეიტრალიზაცია;
- ეფექტიანი გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარება;
- ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელის შექმნა;
- ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ეკოსტრუქტურული მოდერნიზაცია და ეკოლოგიურად ორიენტირებული ინფრასტრუქტურის შექმნა;
- განათლებისა და მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ა.შ.

აღნიშნული არც არის გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ გამხდარა აქტუალური მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება და მისი განხორციელების მექანიზმების ფორმირება. მოგვიანებით, საქართველომ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით აიღო მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ვალდებულება, თუმცა ეს საკითხი დღემდე არ გადაჭრილა. მიმდინარე პერიოდში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით ჩვენს ქვეყანას უფრო მეტი ვალდებულება და პასუხისმგებლობა ეკისრება მდგრადი განვითარების მიმართულებით საქმიანობის აქტივიზაციისათვის. ევროკავშირის ქვეყნები და მათი მოსახლეობა, ეკონომიკური კეთილდღეობის გარდა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დიდ ყურადღებას აქცევს ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებასა და ჯანსაღ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრებას. ამიტომ ლოგიკურად უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში უახლოეს პერიოდში აუცილებლად დადგება მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავების აუცილებლობის საკითხი.

მდგრადი განვითარების ზემოთ აღნიშნული ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალურ-ინსტიტუციური კრიტერიუმების მიხედვით, სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების კვლევების შედეგების თანახმად საქართველოში მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. განსაკუთრებით საგაღალო მდგომარეობა მდგრადი

განვითარების აღიარებული კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს გააჩნია ეკოლოგიურ ჭრილში.

როგორც ცნობილია, ამჟამად მსოფლიო შესულია განვითარების ახალ - გლობალიზაციის სტადიაში და ადგილი აქვს გლობალიზაციის შეუქცევად პროცესებს, რომელშიც საქართველო გარკვეული დოზით არის ჩართული. გლობალიზაციის პროცესი ზრდის გარემოზე უარყოფით ანთროპოგენურ ზემოქმედებას და კიდევ უფრო ზრდის დამოკიდებულების მასშტაბებს ბიოსფეროსა და ადამიანს შორის. აღნიშნული პროცესი საქართველოს წინაშე ახლებურად აყენებს ეკოლოგიური პროცესების რეგულირებისა და მდგრადი განვითარების მოდელის რეალიზაციის საკითხებს. ეს კი, თავის მხრივ მოითხოვს ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ახლებური პრინციპების გათვალისწინებას და ამგვარი პოლიტიკის ეკოლოგიის სფეროში ლიდერ ქვეყნებთან კონვერგენციის აუცილებლობას.

ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების სტრატეგია და პრიორიტეტები საქართველოში

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველ წლებში (1991-1995) ადგილი ჰქონდა ხელისუფლების არაკომპეტენტურობას ეკოლოგიის სფეროში და ხორციელდებოდა მხოლოდ ერთეული, მეცნიერულად დაუსაბუთებელი გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ამ ეტაპს შეიძლება ვუწოდოთ „ეკოლოგიური უხელი-სუფლებობის პერიოდი“.

ამ პერიოდში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება ერთი მხრივ შეანელა იმ გარემოებამ, რომ ეკონომიკური კავშირების მოშლამ, გასაღების ბაზრების დაკარგვამ და ახალი ინტეგრაციული ურთიერთობების ჩამოყალიბების ნელმა ტემპებმა გამოიწვია ეკონომიკური აქტიურობის დაქვეითება, რის შედეგადაც საგრძნობლად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ მოხმარებული დაბინძურებული წყლებითა და სასოფლო-სამეურნეო შესამქიმიკატებით წყლის რესურსების გაჭუჭყიანება, იკლო აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბებმა. თუმცა, საავტომობილო გზების, საკანალიზაციო და სხვა კომუნალური სისტემების, ჩამდინარე წყლების ფილტრაციის და სხვა სისტემების მოშლამ გაზარდა ეკოლოგიურ პროცესებზე არასამრეწველო სექტორის ზეგავლენა. ფაქტობრივად გაუქმდა საყოფაცხოვრებო და პირადი ნარჩენების შეგროვების სისტემა და შეუძლებელი გახდა მათი მართვის პროცესის განხორციელება. ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული სახელმწიფო კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების გაუარესების გამო საფუძველი ჩაეყარა ბუნებრივი რესურსების ზეექსპლუატაციას და მისმა გამოყენებამ მიიღო შეუზღუდავი და სტიქიური ხასიათი. გაფართოვდა ნიადაგის ეროზიისა და გაუდაბნობის მასშტაბები და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაყოფიერება. უკვე გაჩნდა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსების პრობლემები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გამო. როგორც ცნობილია, მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებისას პირველი მსხვერპლი ხდება დანახარჯები გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაფინანსებაზე. უფრო მეტიც, საქართველოს 1993-94 წლებში საერთოდ არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტიც კი. ამდენად, გარემოს დაცვამ მიიღო სტიქიური ხასიათი. ამ პერიოდში

საერთოდ მოიშალა სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემა გარემოს დაცვის სფეროში.

საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის დასაწყისში ეკოლოგიურ დესტაბილიზაციას, საბაზრო მექანიზმების ჩანასახოვან სტადიაში არსებობისა და გარემოსდაცვითი პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად, ხელი შეუწყო ახალმა ინსტიტუციურმა პარადიგმამ. კერძოდ, ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების უფლების განუსაზღვრელობამ, მათზე ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის საკუთრების უფლების არასწორმა განაწილებამ ხელი შეუწყო არასწორ ფას-წარმოქმნას შემცირების მიმართულებით. ამან გაზარდა მოთხოვნა ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალზე და საფუძველი ჩაუყარა არარაციონალურ ბუნებათ-სარგებლობას, დააჩქარა მისი დეგრადაცია და ზეექსპლუატაცია.

1995 წელს, ხელისუფლების მიერ მეტ-ნაკლებად იქნა რა გაცნობიერებული ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობ-ლემები და ჯანსაღი ეკოლოგიური მდგომარეობის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში, კონსტიტუციაში ადამიანის ერთ-ერთ უფლებად ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება განისაზღვრა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლამდე საქართველო შეუერთდა რამდენიმე კონვენციას. პირველი კანონი გარემოს დაცვის სფეროში, კერძოდ საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მხოლოდ 1996 წელს იქნა მიღებული. ამ კანონით განისაზღვრა ბუნებრივი რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპები და რეგულაციები ჩვენს ქვეყანაში, ასევე გარემოს დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების ყოველ 5 წელიწადში მომზადება და მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავება, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არის შესრულებული. შემდეგ წლებში გაგრძელდა ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება და მიღებულ იქნა კანონები: ცხოველთა სამყაროს შესახებ (1996), ნარჩენების ტრან-ზიტისა და იმპორტის შესახებ (1995), დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1996), წიადის შესახებ (1997), წყლის შესახებ (1997), გეოდეზიური და კარტო-გრაფიული საქმიანობის შესახებ (1998), ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ (1999), კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და დაცვის შესახებ (1998). მიღებულ იქნა, აგრეთვე, საქართველოს ტყის კოდექსი (1999). ამ კანონების მიღება იყო დროული და ძირითადად პასუხობდა დარგის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ზოგიერთი კანონი გარკვეულწილად პასუხობდა კიდევ ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეგულაციებს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კანონით ჩამოყალიბდა მხოლოდ ზოგადი ნორმები და პრინციპები, მათი გაშლა კანონქვემდებარე აქტებით აღარ მომხდარა და არც რეალიზაციის მექანიზმები შემუშავებულა.

2000 წელს გარემოს დაცვის სამინისტროს დაამტკიცა, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2000-2004 წლებს. ეს დოკუმენტი ასახავდა 5 წლიან გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმას და თავისი დანიშნულებით იყო საკმაოდ პროგრესული. ამ გეგმის მიხედვით, ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სფეროში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო წყლის რესურსების, ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა, ნარჩენების მართვა და სხვა. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის

მოქმედებათა პირველ ეროვნულ პროგრამაში შემავალი ღონისძიებების უმრავლესობის განხორციელების პერსპექტივა, ქვეყანაში არსებული საფინანსო-საბიუჯეტო პრობლემებიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ასეც მოხდა, განხორციელდა მხოლოდ ის გარემოსდაცვითი საქმიანობები, რომლებიც სხვადასხვა დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით დაფინანსდა.

1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა დოკუმენტი- „ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებათა შესახებ“. მასში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეკოლოგიის სფეროში ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორც იყო: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის რაციონალური გამოყენება, დაცვა და მათი კვლავწარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გარემოსდაცვითი საქმიანობის ინტეგრირება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, საერთაშორისო ინტეგრაციის აქტივიზაცია გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიზნით, საზოგადოების ეკოლოგიური განათლებისა და ეკოლოგიური კულტურის ამაღლება და სხვა. ამ ამოცანების გადაჭრის მიზნით შემუშავდა მიზნობრივი პროგრამები, რომელთაგან 5 აისახა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინდიკატურ გეგმებში.

შემუშავდა ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების სტრატეგიული გეგმა, რომლის ფარგლებშიც, ძირითადად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ასევე (რამსარის კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში) შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი.

ბენზინის წვისას გაფრქვეული ტყვიის გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირებისა და ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული პროგრამა „საქართველოში ტყვია-შემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების შესაძლებლობათა შესწავლის შესახებ“. ოზონის შრის დაცვის პრობლემური საკითხების გადაჭრასთან მიმართებაში შემუშავდა „ოზონდამშლელ ნივთიერებათა ხმარებიდან ამოღების ეროვნული პროგრამა“, რომელიც მოწონებულ იქნა და დამტკიცდა მონრეალის ოქმის მრავალმხრივი ფონდის სახედამხედველო საბჭოს მიერ.

ეკოლოგიის სფეროში საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და ეკოლოგიური პრობლემების კოორდინირებულად დაძლევის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ ხელი მოეწერა ორმხრივ ხელშეკრულებას აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან და საბერძნეთთან. საქართველო მიუერთდა 22 საერთაშორისო კონვენციას და აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა საერთაშორისო გარემოსდაცვის პროგრამებთან. მათგან შეიძლება გამოიყოს: გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გაეროს პროგრამა, მსოფლიო ბანკი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია და ა.შ.

გარემოზე ზემოქმედების პრევენციის, ეკოლოგიური პრობლემების იდენტიფიცირებისა და სტატისტიკური აღრიცხვიანობის პრობლემების გადაჭრის მიზნით, დაიწყო მუშაობა საქართველოს გარემოს მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნაზე.

ამ პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ 1972 წელს შემოტანილი პრინციპის „გამჭვირებადი იხდის“ დამკვიდრების მცდელობას, რითაც ქვეყნის ხელისუფლებამ, ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელების პირდაპირი რეგულირების მეთოდთან ერთად, გადაწყვიტა საბაზრო რეგულატორების დამკვიდრება და შეეცადა მათი ოპტიმალური შეთანაწყობის მოდელის მოძებნას. 1999 წელს შემუშავდა ინსტრუქცია მანვე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახდის გამონაგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ. ამავე წელს შემუშავდა აგრეთვე ინსტრუქცია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის გადასახდის გამონაგარიშებისა და გადახდის წესი. 1996-2000 წლებში, საქართველოს მაშინდელი ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში ჩაირიცხა 20, 5 მლნ ლარი, ხოლო მანვე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადებიდან ბიუჯეტში თავმოყრილი თანხების მოცულობამ კი შეადგინა 39, 5 მლნ ლარი.

გარდა უკვე აღნიშნული ღონისძიებებისა, ამ პერიოდში ხელისუფლების მიერ დეკლარირებული იყო ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სრულყოფის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ენერგოეფექტურობის გაზრდისა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების პროგრამების მომზადება; აგრობიომრავალფეროვნების აღდგენის, კონსერვაციისა და მდგრადი გამოყენების კონცეფციის მომზადება; საყოფაცხოვრებო და საწარმოო ნარჩენების გადამუშავების საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში წარდგენა; პროექტის „მდინარე მტკვრის წყლის ხარისხის მონიტორინგი და შეფასება აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ერთად“ განხორციელება; შავი ზღვის სანაპირო ზოლის ინტეგრირებული მართვის პროექტის განხორციელება; შავი ზღვის დაცვის და რეაბილიტაციის სტრატეგიულ მოქმედებათა ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების მომზადება და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისათვის წარდგენა; გარემოსდაცვითი განათლების სისტემის განვითარების პროგრამის მომზადება და რეალიზაცია და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებების უმრავლესობის განხორციელება იმ დროისათვისაც, ისე, როგორც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირველ წლებში, ქვეყანაში არსებული ფინანსური წესრიგისა და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იყო არარეალისტური და ვერც განხორციელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაცია დაიწყო ეკონომიკური და სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით და განხორციელდა გარკვეული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობა კვლავ არასახარბიელო რჩებოდა და კიდევ უფრო მწვავედებოდა გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები.

2003 წელს ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელისუფლებამ მთავარ ამოცანად მიიჩნია ეკონომიკური განვითარება. ეკოლოგია, დეკლარირებული განცხადებების მიუხედავად, არც ამჟამად აღმოჩნდა პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტი და საფუძველი ჩაეყარა ლიბერალურ ეკოლოგიურ პოლიტიკას. ეს მაშინ როცა ეკონომიკური პროცესების გააქტიურებამ გაზარდა მრეწველობის, ენერგეტიკის, საავტომობილო ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის უარყოფითი ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და მიწის რესურსების სისუფთავის

მდგომარეობაზე, არ შემცირებულა არც პირადი, საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით გარემოს გატუჭყიანების მასშტაბები და არ შექმნილა ნარჩენების მართვის ეფექტიანი მოდელი.

2005 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია, სადაც შეფასდა საქართველოს წინაშე არსებული ეკოლოგიური გამოწვევები, განისაზღვრა ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა და მისი პრიორიტეტები. კერძოდ, გარემოს გატუჭყიანების მინიმიზაციის მიზნით ღონისძიებების გატარება, ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის გატუჭყიანების წყაროებზე კონტროლის დაწესება, საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან, საკვების უსაფრთხოების ურუნველყოფა და ეკოლოგიის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროპისა და გაეროს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. აქვე აღნიშნულია საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვაში საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ.

ეკოლოგიის სფეროში სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიმართულებით მიღებული იქნა შემდეგი კანონები: ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007), გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007), თბილისის ეროვნული პარკის შესახებ (2007), ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთვის მოსაკრებლის შესახებ (2004), ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ (2007), ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ (2012), საქართველოს ტყის ფონდის მართვის შესახებ (2011) და სხვა. მოხდა ისეთ ახალ კონვენციებსა და ოქმებთან მიერთება, როგორცაა: კერძოდ, კიოტოს ოქმი, გაეროს კონვენცია მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოსაფრთხოების კარტახენას ოქმი, შეთანხმება საქართველოსა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობასთან დაკავშირებული გარანტიების თაობაზე და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2006 წელს დამტკიცებული საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ფორმულირდა საქართველოს გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიმართულებებიც. ამ დოკუმენტის მიხედვით განისაზღვრა ისეთი მიზნები, როგორცაა: გარემოს დაცვის მმართველობის შესაბამისი პირობების შექმნა, გარემოს დეგრადაციის პრევენციისათვის ღონისძიებების განხორციელება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური მოხმარება და სხვა. და, რაც მთავარია, გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დასახელდა მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამ გეგმის მიხედვით, საქართველო ყოველწლიურად ანგარიშს უგზავნის ევროკავშირს, რომელიც მის საფუძველზე იძლევა შემდგომ რეკომენდაციებს.

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვის შესახებ“ შესაბამისად, პოლანდიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, 2012 წელს მიღებულ იქნა გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2012-2016 წლებს. ამ პროგრამაში 11 თემატური სფეროსათვის (წყლის რესურსები, ატმოსფერული ჰაერი, ნარჩენები, შავი ზღვა, ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები, ტყე და სატყეო მეურნეობა, მინერალური რესურსები, კატასტროფები, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება და კლიმატის ცვლილება) გაანალიზებულია ძირითადი პრობლემები და მათი გამომწვევი მიზეზები, გაშუქებულია განხორციელებული

გარემოსდაცვითი ღონისძიებები, მიმოხილულია ეროვნული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი პროცესები და მოცემულია სამართლებრივი ბაზის შეფასება. პროგრამით განისაზღვრა მთელი რიგი გრძელვადიანი მიზნები, რომლებიც უკავშირდება ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვას, ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის მაღალი ხარისხის მიღწევას, ტყეების საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოს უნიკალური ეკოსისტემების, სახეობათა მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების დაცვას, საქართველოს მთელი მოსახლეობის უსაფრთხო სასმელი წყლით უზრუნველყოფასა და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ამ პროდუქტით საერთაშორისო ბაზარზე შესვლის გზით და ა.შ. მასში აგრეთვე დეკლარირებულია მდგრადი განვითარების უაღტერნატივობა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში და საერთაშორისო ეკოლოგიური ინტეგრაციის აუცილებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის ხელისუფლებამ აირჩია ლიბერალური ეკოლოგიური პოლიტიკის მოდელი, რომელიც იმპერატიულად ეფუძნება ადმინისტრაციული მეთოდებით გარემოსდაცვითი პროცესების რეგულირებას და მის მიერ იქნა დეკლარირებული ქვეყნის ეკოლოგიური კანონმდებლობის საერთაშორისო, განსაკუთრებით ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაციის მიღწევა. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტებთან ეტაპობრივი დაახლოების ნაცვლად, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, პირიქით, შორდებოდა მას. ამის მაგალითებს წარმოადგენს ცვლილებები კანონში „ნებართვების შესახებ“, კანონში „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“, რის საფუძველზეც გაუქმდა წყალაღებისა და წყალჩაშების ნებართვა. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედებისა და მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ სუბიექტს სამინისტროსთან მოლაპარაკებებისა და გარკვეულ თანხაზე შეთანხმების საშუალება ეძლეოდა, რაც, ცხადია, ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა კორუფციული სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, კრიზისული ეკოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად, გაგრძელდა და დღემდე გრძელდება ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პირდაპირი რეგულირების მექანიზმის გამოყენება და შენარჩუნდა ლიბერალური ეკოლოგიური პოლიტიკა.

სამართლებრივი დოკუმენტებიდან და პროგრამებიდან პირველ რიგში უნდა გამოიყოს 2013 წელს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, რომელშიც განსაზღვრულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში პრიორიტეტული მიმართულებები. კერძოდ, ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით რეკომენდებული გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვა, ეკოლოგიური საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვა, სატყეო რეფორმის გატარება და სხვა.

ეკონომიკის ეკოლოგიზაციის აუცილებლობა, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, „მწვანე ეკონომიკის“ განვითარების მოდელის სტიმულირება, მყარი ნარჩენებისა და ბუნებრივი კატასტროფების ეფექტიანი მართვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების ნეიტრალიზება და ტყის რესურსების რაციონალური

გამოყენებისა და დაცვის პრაქტიკის დანერგვა არის დეკლარირებული ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტში, როგორცაა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტში ეკოლოგიური პრობლემები, მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებები და მოსალოდნელი შედეგები არ არის სათანადო მასშტაბით წარმოდგენილი.

გარდა ამისა, ამ პერიოდში იქნა მიღებული ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორცაა: საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (მოიცავს 2014-2020 წლებს), ქვეყნის გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (მოიცავს 2014-2022 წლებს) და საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხელისუფლებამ გაიაზრა რა, რომ ეკოლოგიურ პრობლემებს გააჩნია რეგიონული და ინტერსექტორული ხასიათი, დაიწყო გარემოსდაცვითი საკითხების ასახვა სექტორული განვითარების გეგმებში, ასევე რეგიონების განვითარების პროგრამებში. კერძოდ, გარემოსდაცვითი ღონისძიებები აისახა 2012-2013 წლების მთავრობის მიერ დამტკიცებულ რეგიონული განვითარების სტრატეგიებში. 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამაში ასახულია კატასტროფების მართვასთან, ძველი სამრეწველო ობიექტების ტერიტორიების გაჭუჭყიანების შემცირებასა და მდგრადი სატყეო სტრატეგიის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობები.

საქართველოს ხელისუფლებამ გააგრძელა საერთაშორისო თანამშრომლობის აქტივიზაციის პროცესი გარემოს დაცვის სფეროში და ხელი მოაწერა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირსა და საქართველოს შორის 2014 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებას. ამ დოკუმენტით უნდა მოხდეს ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივი ჰარმონიზაციის პროცესის უზრუნველყოფა. ის მოიცავს ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, სატყეო მეურნეობის დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს.

დღეისათვის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროს სამართლებრივი ბაზის სრულყოფა ძირითადად ხორციელდება უკვე არსებულ კანონებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, თუმცა გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულია და საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია რამდენიმე კანონპროექტი.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეკოლოგიური პოლიტიკის ფარგლებში დეკლარირებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა იყო ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების საწყის ეტაპზე. ხელისუფლება პირდაპირ აცხადებდა სხვადასხვა ეკოლოგიური პროგრამების განხორციელებლობის მიზეზად საბიუჯეტო დაფინანსების უკმარისობას. შემდეგ

პერიოდში სიტუაცია ოდნავ გამოსწორდა, ხოლო თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო მოიმატა ბიუჯეტის ხარჯებმა გარემოსდაცვითი ღონისძიების დაფინანსებაზე. თუმცა, ის მკვეთრად ჩამორჩება ევროკავშირისა და მსოფლიოს ეკოლოგიურად მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს და ამ ფაქტორის გათვლისწინებითაც შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკოლოგია ჯერ კიდევ ვერ გახდა ხელისუფლების ეკონომიკური და პოლიტიკური პრიორიტეტების სფერო, რაც ოპტიმალური ეკოლოგიური წონასწორობის მიღწევის ამოცანას გადაჭრის.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა (მისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ინსტიტუციური (განსაკუთრებით ბოლო სამთავრობო სტრუქტურული ცვლილების შედეგად ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებით) ასპექტები) არსებითად ვერ უზრუნველყოფს ეკოლოგიური გამოწვევების გამკლავებას და მდგრადი განვითარების მოდელის რეალიზაციის უზუნველყოფას. აუცილებელია მისი ევროკავშირისა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ანალოგიურ პოლიტიკებთან კონვერგენცია და ჰარმონიზაცია. ამ მიზნით საჭიროა სხვადასხვა სახის კონცეპტუალური და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა. კერძოდ: ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებაში მიზნობრივი და სისტემური მიდგომების ფართოდ გამოყენება, რაც გულისხმობს კონკრეტული ეკოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას და უშუალოდ მის დაძლევაზე მიმართული ინოვაციური მექანიზმის შემუშავებას; ტექნიკურ-ეკონომიკურ, პროდუქტულ, ორგანიზაციულ, მარკეტინგულ და სოციალურ ეკოლოგიურ ინოვაციებზე მოთხოვნის ზრდის სტიმულირება (სახელმწიფო „მწვანე“ შესყიდვები, ახალი სამშენებლო ნორმების ფართოდ დანერგვა ენერგოეფექტიანობის გაზრდის მიზნით და სხვა); გაჭუჭყიანების უფლებათა ბაზრის ფორმირება; გარემოს გაჭუჭყიანების ნორმებისა და სტანდარტების ოპტიმიზაცია; ეკოლოგიური და ეკოლოგიური ინოვაციების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის შექმნა; ეკოლოგიური ექსპერტიზის, ეკოლოგიური აუდიტის, ეკოლოგიური დაზღვევის, ეკოლოგიური სერტიფიკაციის და ბუნებათსარგებლობის მართვის სხვა ინსტრუმენტების დანერგვა ეკოლოგიური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში; ეკონოვაციების სფეროში კვლევების აქტივიზაციისათვის საგრანტო სისტემის შემოღება და ზოგადად ეკონოვაციების სტიმულირების ახალი ფინანსური ინსტრუმენტების (შეღავათიანი დაკრედიტება, საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და სხვა) ფართოდ გამოყენება; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების სტიმულირება; ეკოლოგიური სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და ეკოლოგიური პროგრამების, კონცეფციებისა და სტრატეგიების შემუშავება (მდგრადი განვითარების კონცეფცია, ეკოლოგიური დოქტრინა, ეკოლოგიური განვითარების სტრატეგია და სხვა) და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება - XXI საუკუნის გამოწვევა. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. 1, თბ., “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2008.

2. აბესაძე რ. მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები. აკადემიკოს პაატა გუგუშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების აქტუალური პრობლემები“, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2015.
3. თოდუა ლ., მურღულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები. http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf
4. ჩხეიძე თ., ხუსკივაძე მ. მდგრად განვითარებაზე გადასვლის ზოგიერთი აქტუალური საკითხი. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. „ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. თბ., 2007.
5. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პირობებში საქართველოში (თანაავტორობით). თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომათა კრებული, თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2014.
6. ხუსკივაძე მ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრობლემები და პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია”. თბილისი, “თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2012.
7. ხუსკივაძე მ. ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და ტენდენციები საქართველოში. 2015.
8. გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (2014-2022). 2014.
9. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმება. 2014.
10. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2020. 2013.
11. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) (2012-2016), 2012.
12. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (2014-2020 წლები).
13. საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია. 2015.
14. Власов Е.Я. Инновационные технологии природопользования в решении экологических проблем урбанизированных территорий. 2012.
15. Земцова Л.В. Экологические инновации и устойчивое развитие. 2014.
16. Колонтаевская И.Ф. Экологические инновации как фактор повышения качества жизни. 2013.
17. Магомадова Х.А. Экологические инновации как фактор устойчивого социально-экономического развития. 2014.
18. Матвеева Е.В. Экологическая политика Евросоюза. 2010.
19. Мохаммад С.М. Экологическая политика Европейского Союза как пример системы международного экологического управления, 2013.

20. Новая рамочная политика европейского союза в области климата и энергетики до 2030 года, Евразийский Журнал N3 (70), 2014.
21. Инновационная политика в поддержку «зелёных» технологии, руководство для директивных органов стран с переходной экономикой в Европе и Центральной Азии - Европейская Экономическая Комиссия Организации Объединённых Наций.
22. Яковец Ю.В. Эпохальные инновации XXI века, 2004.
23. Leflaive, X. Eco-Innovation Policies in Japan. OECD, 2008.
24. Quality of Life Index // International Living. [Электронный ресурс]. – <http://www.il-ireland.com/il/qofl2015/>
25. 2015 Environmental Performance Index (EPI) // Sedac socioeconomic data and applications center [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://sedac.ciesin.columbia.edu/es/epi/downloads.html>.
26. Explore the Data // The Heritage Foundation [Электронный ресурс]. – Режим доступа: <http://www.heritage.org/index/explore?view=by-region-country-year>
27. Global Competitiveness Report 20014-20015 // World economic forum [Электронный ресурс]. – http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_-10.pdf
28. Human development statistical tables // Human Development Reports. [Электронный ресурс]. - http://hdr.undp.org/en/media/HDR_2010_EN_Tables_reprint.pdf.
29. http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1
30. geostat.ge
31. moe.gov.ge

Mamuka Khuskivadze

ECOLOGICAL POLICY OF GEORGIA IN THE CONTEXT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT

Summary

The work analyzes the ecological policy formation in Georgia in the context of sustainable development from the beginning of the post-Communist transformation to the present and its current condition is assessed.

It has been revealed political and economic circumstances that hinder the establishment of effective ecological policies, the use of natural resources and the mechanism of rational regulation in the field of environment protection. It is noteworthy that ecology still does not have a proper place in the country's political and economic priorities, which will result in further deterioration of ecological conditions in Georgia.

Sustainable development is analyzed as a new challenge and paradigm for Georgia and the difficulties that are related to its trajectory. Due to the current situation, the main theoretical and practical ways of ecological policy formation in the context of sustainable development in Georgia are offered.

ТРАНСФОРМИРОВАННЫЕ ПРОЦЕССЫ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ И НОВЫЕ ВЫЗОВЫ НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Эпоха глобализации поставила перед сложным выбором государственность Грузии. Мгновенный распад Советского Союза привел к катастрофическим результатам экономики. Для того, чтобы страна вновь не оказалась во мраке прошлого, пришлось искать прочные пути новой ориентации. Исторический опыт подсказывал, что существует более светлая перспектива на пути к европеизму, основанием которого являлась правильно продуманная ориентация наших великих предшественников. Еще в 19-м веке, с момента зачатия капитализма, менталитет грузинской производственной силы, по существу, приспособился к его идеологии, принципы рыночной экономики обрели глубокие корни в общественно-экономическом развитии.

С 20-х годов XX в. так-же мгновенно разрушилось естественное общественное развитие и народ и страна оказались в плену марксистской идеологии. Фактически, более 7 десятков лет строилась автократическая государственная система, которая не имела аналога в истории. Она имела много положительных, но еще больше – отрицательных особенностей, что окончательно завершило существование советской системы. Страна оказалась перед дилеммой, должна была вернуться назад, к тому историческому уровню, где находилась полтора века назад. Свойственно, что тогдашние капиталистические, т.е. рыночные отношения во многом подходили на сегодняшние и стране не было нужно изобретать что-либо новое, но и заглядывать в прошлое не хотелось никому и: «подражая другим» начала искать более простые и легкие пути.

Страна сделала свой выбор – западная ориентация. Этому способствовало признание Европой Грузии, что выражалось в поддержке внешней политики. Еще в 19-м веке об европеизме писал великий грузинский мыслитель и «отец нации» Илья Чавчавадзе: «В нашей истории больше корней единения, чем раздела и потому наш долг способствовать первому и искоренять другое»... (И. Чавчавадзе, 1).

После признания независимости страны, за последние 25 лет интересно сформировалось положение Грузии. Созидание страны, несмотря на серьезные прорывы, проходит с перебоями. Уровень жизни населения, самый наглядный критерий могущества страны, низкий – по ВВП на душу населения находимся на 116-м месте [5]. Это результат множества внутренних вызовов, таких, как: бедность, безработица, неграмотность, проблемы здоровья и равенство [2].

Интересным является тот факт, что в стране сформировались контрастные тенденции. На одной стороне оказался слой богатых и имущих, группа малочисленная, но определяющая вектор развития страны.

На другой стороне оказалась большая часть населения, которые потеряли и имущество, и веру. Нигилистический настрой поставил им основной целью самосохранение.

Если посмотреть на статистические данные, мы увидим, что доля населения ниже черты бедности, т.е. зарегистрированная бедность с 6,4% 2007 г. в 2010 г. достигла 9,7%, а в 2014 г. – 11,6%. Это указывает на то, что уровень жизни снижается [5]. Ясно, что привилегированная часть населения имеет высокий доход, а большая часть общественности бедные и эта тенденция еще более усугубляется.

Анализ социально-экономических условий страны за последние годы показывает, что мы оказались перед декларированной «кажущейся свободой» (Илья Чавчавадзе 1). Исторически известно, что каждая страна на земле более или менее имеет собственный национальный феномен. А в Грузии наши великие предки оставили нам три нетронутых постулата: язык, отчизна и вера. Эта наша историческая визитная карточка, чем мы можем остаться в анналах истории. Это та особенность и отличительная черта, чем нация не похожа на других. Мы считаем, что именно свойственными нам особенностями должны войти в цивилизованное содружество. По словам И. Чавчавадзе, нация это сообщество людей, которых объединяет духовное единство, и которая должна сказать свое слово перед человечеством именно воедино и собственным интеллектуальным капиталом. Только этот интеллектуальный ресурс может вывести на новую траекторию страну.

Сложными оказались трансформационные процессы в экономике. Здесь можно выделить 4 основных этапа. I этап – 1991-1995 гг., II этап – 1996-2003 гг., III этап - 2004-2012 гг., IV этап - с 2013 года (Н. Читанава. 3).

На I этапе произошел процесс мгновенного разрушения полученных по наследству политических и экономических систем. В результате получили, что ВВП составил только 27,8% 1988г., промышленное производство упало на 85 процентных пунктов, производство сельско-хозяйственной продукции упало в 2 раза. Надо отметить и то обстоятельство, что уровень производства в среднем на 45 лет отодвинулся назад. В результате экономика страны вошла в системный кризис (Н. Читанава. 3).

Второй этап уже характеризуется высокими темпами ВВП. Однако, ВВП к 1990 г. составил 46,8% [5].

На этом этапе была осуществлена приватизация государственного имущества, в результате чего сформировалось резко дифференцированное общество. Именно это и является на сегодня основой поляризации богатства между разными слоями населения.

На третьем этапе осуществилась работа по укреплению связей с международными структурами. Однако, в течение этого периода вошел в новую фазу процесс окончания приватизации, известный под именем «агрессивная приватизация».

В этот период экономическая трансформация характеризуется некоторыми особенностями – оживлением, депрессией, функционированием принципами открытой экономики и спонтанными попытками защиты отечественных интересов и подъема мотивации грабежа национального богатства.

На четвертом этапе уже наблюдаются позитивные сдвиги. Расширились процессы интеграции, экономического протекционизма и др. Однако, это только симптомы выздоровления и пока не сформировалось, как тенденция.

В условиях открытой рыночной экономики, в которых оказалась экономика Грузии, она естественно превратилась в объект экзогенных факторов. Из-за бедного интеллектуального потенциала, полученного по наследству, было трудно определить стратегию преобразования экономики. Это было связано с существованием двух исторических эпицентров – начало процесса реальной независимости и необходимость перехода на рыночные экономические отношения.

За получением независимости последовало разложение экономических процессов, а именно, потеря и аннулирование рабочих мест. Потом произошла денежная реформа и начался весьма медленный процесс жестокого разрушения старого менталитета и формирования среднего класса. Для этого есть много причин в обществе. Нельзя опираться

на создание благоприятных условий для автоматического возникновения рыночных форм предпринимательства. Главное – это создание благоприятных условий для трудоустройства и экономического роста. На сегодняшний день развитие малого бизнеса тормозит низкий уровень их организации. Для этого необходимо интеграционное единство больших и малых предприятий, которое нуждается в поддержке со стороны государства. Именно от развития малого и среднего бизнеса существенно зависит формирование среднего класса. Тем не менее, роль и место среднего класса определяет собственность, потенциал его высокоэффективного использования.

Если посмотреть на статистику, получим следующую картину: в 2015 г. в бизнес-секторе Грузии произведена продукция на 30 млрд. лари (12 млрд. \$). Из этого доля малых предприятий составила 3 млрд., т.е. 10%, средних – так-же 3 млрд., т.е. 10%. По трудоустройству на малые предприятия приходилось 27%, на средние – 6%. На малых предприятиях оплата труда составляла 443 лари (150 \$), на средних – 650 лари (280 \$), на крупных – 1130 лари (450\$). Полностью в бизнес-секторе 900 лари (400 \$). Следовательно, оплата труда на малых предприятиях составляла только 49 % оплаты труда в сфере бизнеса (Н. Читанава, 4).

Все это свидетельствует о том, что роль среднего класса является особенно важным в современных условиях. В целях сохранения этого процесса, для того, чтобы избежать дестабилизации общества, необходимо использовать различные экономические рычаги.

Как было отмечено выше, Грузия после обретения независимости встала перед лицом многих вызовов. Для их решения были зафиксированы три концептуальных и методологических подхода трансформации национальной экономики.

Первым был перевод советской экономики на модель классического капитализма начала двадцатого века, который опирался на механизмы частной собственности – антипода общественной собственности и саморегулирования – антипода централизованного планирования.

Второй подход был неофициальным, которым предлагалась массовая приватизация государственной собственности, незамедлительная дезинтеграция субъектов сельского хозяйства, немедленная ликвидация существующих структур государственного управления, что являлось чрезвычайно радикальным.

Третий опирался на постепенную трансформацию национальной экономики в смешанную, многосубъектную экономическую систему, на ведущую роль государственного регулирования экономики, на создание правовых, материальных и организационных основ новой системы.

Все вышеперечисленное позволяет нам сказать, что экономика Грузии оказалась в процессе трансформации, что объективный процесс – переход на рыночные принципы – оказался разрушительным фактором. В отличие от этого, наоборот, когда происходил переход на социалистические принципы, экономика стремительно развивалась. Тогда функция государственного регулирования имела решающее значение, а при переходе на рыночную экономику главным оказался синдром «невидимой руки». В конечном счете получили «дикий капитализм» и систему, действующую по принципам «социального дарвинизма».

Прошедший период характеризуется сочетанием системы благоприятных факторов. Здесь следует отметить влияние геополитики и геоэкономики на трансформацию

экономики. Очевидно, что государственная политика должна основываться на долгосрочной стратегии социально-экономической системы.

В конечном счете определилось, что экономика страны стала социальной ориентации. Вместе с этим, налаживается рыночный менталитет. Однако, результатом трансформации экономики является то, что пока все еще слабая рыночная экономическая система, тем не менее, при сравнении негативных и позитивных аспектов, можно сделать вывод, что перевешивают положительные. Это стратегия будущего нашей страны.

Использованная литература

1. Чавчавадзе И. Сочинение, Тбилиси, 1989.
2. Читанава Н. Информационно-аналитическое агенство "IVERIONI", 2.03.2017.
3. Читанава Н. Информационно-аналитическое агенство "IVERIONI", 6.03.2017.
4. Читанава Н. Информационно-аналитическое агенство "IVERIONI", 14.03.2017.
5. Geostat.ge

Murman Kvaratskhelia

GEORGIA'S TRANSFORMATION PROCESSES AND NEW CHALLENGES IN THE MODERN STAGE

Summary

The article discusses the transformation process of the Georgian economy in the transition from market economy to transition to market relations and how the level of living has changed. There are shown its four phases and peculiarities.

In addition, the author emphasizes the three conceptual-methodological approach to these processes.

In addition, the article notes the main and new challenges faced by Georgia during the globalization period.

Лина Датунашвили

РЕАБИЛИТАЦИЯ ШЕЛКОВОДСТВА ЯВЛЯЕТСЯ ПУТЕМ УСТОЙЧИВОГО РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ СТРАНЫ

Аннотация. В статье рассмотрены народнохозяйственное значение и краткая история шелководства в мире и Грузии. Приведены взгляды известных исследователей этой отрасли. Проанализированы состояние производства шелковичного кокона и инфраструктуры отрасли в 50-х годах прошлого века, когда отрасль находилась на высоком уровне производства. Показано, какое отрицательное воздействие оказали на состояние отрасли проблемы, существующие в тутоводстве – в кормовой базе шелкопряда (распространение микроплазмозного заболевания тутовых насаждений мелколистной курчавости с начала в Западной, а затем и Восточной Грузии), также, общие для всей экономики страны, проблемы, возникшие в 90-х годах и вызвавшие общий спад экономики. С учетом того, что оживление шелководства является значительным путем устойчивого развития экономики страны, в статье подчеркнута значительность тех мероприятий, практическая реализация которых поможет последующей реабилитации отрасли.

Ключевые слова: шелководство, шелковичные коконы, грена, кормовая база шелковичного червя – тутоводство.

Введение

Рыночные отношения выдвигают на передний план тесное экономическое сотрудничество между странами на демократической основе. Грузия с древнейших времен была включена в торговые и экономические отношения со странами Востока (Китай, Индия, Персия, Средняя Азия) и Запада, что было обусловлено ее геополитическим положением и проходящим через нее Великим шелковым торговым путем. В этой торговле Грузия принимала активное участие посредством продажи изготавливаемых здесь шелковых изделий, которые, благодаря своему высокому качеству, пользовались популярностью как в восточных, так и в западных странах.

Шелководство представляет собой одну из древнейших и традиционных отраслей сельского хозяйства Грузии, корни которого идут из глубины веков. Усиленный интерес к шелководству был обусловлен ценными свойствами для здоровья человека изготовленной из шелковичного кокона пряжи и большим спросом на нее отраслей народного хозяйства.

* * *

Натуральный шелк по своей красоте, легкости, изящности и гигиеничности представляет собой один из самых ценных видов сырья для текстильной промышленности. Он выделяется «крепкостью, эластичностью, равномерностью, изяществом и стойкостью» [Иашвили Н., 1940]. «шелк _ это самая ровная, самая прочная и самая великая среди тканей» [Очерки экономики...1928], так характеризуют натуральный шелк итальянцы.

კონტრაქტების თეორია ერთი მხრივ ოპერირებს საკმაოდ აბსტრაქტული მოდელებით და ტიპური სამეცნიერო ნაშრომები ამ სფეროში აჭრელებულია ლემებითა და თეორემებით, ისევე, როგორც სტატია მათემატიკაში; მეორე მხრივ, მოდელის აგების მოტივაციას ემსახურება რეალური ცხოვრებისეული საკითხები, დასკვნები და შედეგები კი პრაქტიკაში გამოიყენება. მაგალითად, საქმიან პრესაში ხშირად შეიძლება ნახოთ ცნობები ტოპმენეჯერების ძალზე მაღალი ხელფასების თაობაზე, განსაკუთრებით აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, რომელიც ბევრ კითხვას ბადებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად სამართლიანია ასეთი მაღალი გასამრჯელო, რომელიც ხშირად დაბალანაზღაურებადი კოლეგების ხელფასს ათეულჯერ აღემატება? აქ, რა თქმა უნდა, მარტივი პასუხები არ არსებობს, მაგრამ კონტრაქტების თეორია შესაძლებელს ხდის მისი დაწვრილებითი ანალიზის განხორციელებას.

როგორც ირკვევა, ყველაზე უნივერსალური მოდელი კონტრაქტების თეორიის ჩარჩოებში არის სრულიად მარტივი მოდელი, რომელსაც სახელად „პრინციპალი – აგენტი“, ანუ „უფროსი – დაქვემდებარებული“ ჰქვია, ამ მოდელში მხოლოდ ორი პირი მოქმედებს, რომელთაგან თითოეულს თავისი გარკვეული ინტერესები ანუ უპირატესობები გააჩნია და იმისათვის, რომ სიტუაცია საინტერესო გახდეს, ეს ინტერესები რაღაცა ზომით სხვადასხვა უნდა იყოს, ანუ ადგილი ჰქონდეს კონფლიქტს.

ეს კონფლიქტი არ ნიშნავს, რომ საქმე ეხება თამაშს ნულოვანი თანხით, როცა დაქვემდებარებული ცდილობს უფროსისათვის ზიანის მიყენებას ან პირიქით, მაგრამ ასეთ პირობებში, თანამშრომლობის გარდა, შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობებიც. მაგალითად, უფროსს ძალიანაც უნდა რომ დაქმევდებარებულმა მეტი იმუშაოს და ნაკლები მიიღოს; დაქვემდებარებულის სურვილი საპირისპიროა – ცოტა მუშაობა და მაღალი ანაზღაურება. ასეთ სიტუაციაში უფროსის წინაშე დგება საკითხი: როგორ შეუძლია მას დაქვემდებარებულისათვის მოქმედების სტიმულების შექმნა უფროსის ინტერესების სასარგებლოდ?

შესაძლებელია ლამაზი აბსტრაქტული გადაწყვეტაც: უფროსს შეუძლია პროექტი დაქვემდებარებულს მიჰყიდოს, ანუ განახორციელოს თავისებური ფრანშიზა. დაქვემდებარებული უფროსს გარკვეულ თანხას გადაუხდის და თვითონ გახდება ამ პროექტის საბოლოო ბენეფიციარი. შესაბამისად მიიღებს ყველა სარგებელსაც და ყველა ხარჯს. ქაღალდზე ყველაფერი ლამაზად გამოიყურება მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას, რეალიზაციის პრობლემების გარდა, მნიშვნელოვანი წუნიც გააჩნია. საქმე ისაა, რომ მსგავს შემთხვევაში დაქვემდებარებული თავის თავზე იღებს პროექტთან დაკავშირებულ ყველა რისკს, მაშინ როცა უფროსი რისკისაგან მთლიანად თავისუფალია. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ, ჩვეულებრივ, დაქვემდებარებულის დამოკიდებულება რისკისადმი უფროსთან შედარებით ბევრად უფრო უარყოფითია. ამიტომ უფრო გონივრული იქნებოდა, რომ რისკის არსებითი ნაწილი თავის თავზე აეღო უფროსს და არა დაქვემდებარებულს. უფროსს რომ შეეძლოს დაქვემდებარებულის ძალისხმევის გაკონტროლება, შესაძლოა პრობლემა არც წარმოქმნილიყო, რამდენადაც ის აიძულებდა დაქვემდებარებულს, ემოქმედა უფროსის ინტერესების შესაბამისად. მაგრამ ცხოვრებაში ასე არ ხდება და ბევრ

სიტუაციაში დაქვემდებარებული მოქმედებს საკუთარი და არა უფროსის ინტერესებით.

კონტრაქტების თეორიაში საკმაოდ ცნობილი თეორემის (თეორემა საკმარისი სტატისტიკის შესახებ) თანახმად, რომელიც სწორედ ბენგტ ჰოლმსტრომს ეკუთვნის, ოპორტუნისტი თანამშრომლის მიმართ უფროსმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დაქვემდებარებულის მოქმედების შეფასებაში. ამასთან, მან კომპენსაციის განსაზღვრაში არ უნდა ჩართოს ის ფაქტორები, რომლებიც ქვემდგომზე დამოკიდებული არ არის, რამდენადაც მას ზედმეტი რისკის გაწვევას დააკისრებს და მისი მოქმედების სტიმულირებაზე კი ვერ იმოქმედებს.

ამ კლასიკური მოდელის გარდა, ბევრია ისეთი სიტუაცია, რომელშიც ასეთი შედეგებით მარტივი სქემით ვერაფერს გახდები. მაგალითად სიტუაციაში, რომელშიც დაქვემდებარებული ერთდროულად რამდენიმე ისეთ დავალებაზე მუშაობს, რომელთა შესრულებასაც სხვადასხვაგვარი ძალისხმევა ესაჭიროება.

როცა საქმე ეხება მრავალგანზომილებიან ძალისხმევას, სტიმულირების სქემები თვითონ უფროსისთვისაც სხვადასხვა რისკთან არის დაკავშირებული. ავიღოთ ასეთი მაგალითი, თუ სკოლის მასწავლებლის ხელფასი უშუალოდ იქნება დამოკიდებული კურსდამთავრებულთა შედეგებთან მისაღებ გამოცდებზე უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებლები მთელ ძალისხმევას ამ მიმართულებით წარმართავენ და დაივიწყებენ, რომ, პირველ რიგში, მათ თავიანთ მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნება უნდა ასწავლონ და ბევრი ისეთი რამე, რომელთა გაზომვა ძალზე რთული ან სულაც შეუძლებელია. ასეთივე სირთულეები შეიძლება შეიქმნას მაშინაც, როცა საჭიროა სტიმულების შექმნა „აგენტების“ მთელი გუნდისათვის, რომელთა ინდივიდუალური წვლილის შეფასება უფროსს არ შეუძლია. სირთულეები წარმოიქმნება სიტუაციაშიც, როცა შრომის შედეგების ობიექტური შეფასების კრიტერიუმები არ არსებობს, რამდენადაც ის, რაც ძალზე მნიშვნელოვანი და კარგია ერთისათვის, მეორისათვის შეიძლება სრულიად უმნიშვნელო იყოს. კონტრაქტების თეორიაში საუბრობენ ე.წ. ურთიერთობით კონტრაქტებზეც, რომლებიც წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, როცა უფროსს და ხელქვეითს ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქვთ ურთიერთობა და დიდად უფროსილდებიან ერთმანეთს შორის არსებულ ნდობას.

2016 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის ოლივერ ჰარტისა და მისი თანაავტორების მიერ შექმნილ ერთ-ერთ მიმართულებას კონტრაქტების თეორიაში წარმოადგენს არასრული კონტრაქტების თეორია, რომლის ძირითადი იდეაა ის, რომ ცხოვრება მეტისმეტად რთულია იმისათვის, რომ კონტრაქტების შედგენა ყველაფერზე შესაძლებელი იყოს. ასეთ შემთხვევაში საკანძო როლი უნდა შეასრულოს მოლაპარაკებებმა მონაწილეთა შორის, რომელმაც უნდა შეავსოს საბაზო ჩარჩო- ხელშეკრულებაში არსებული ცალკეული ხარვეზები ახლად წარმოქმნილი სიტუაციების გამო. აქ ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევაც, თუ ვის ეკუთვნის იმ გადაწყვეტილებების მიღების უფლება, რომლებიც აძლიერებს მონაწილეების შესაძლებლობებს მოლაპარაკებების დროს და, საბოლოო ანგარიშით, მათ სურვილს, განახორციელონ „სპეციფიკური ინვესტიციები“ პარტნიორულ ურთიერთობებში.

არასრული კონტრაქტების თეორია გამოსაყენებლად ხელსაყრელი აღმოჩნდა ორგანიზაციების თეორიასა და კორპორაციული ფინანსების თეორიაში, იმის დასადგენად, თუ როგორ ავაგოთ სწორად საჯარო კომპანიის კაპიტალი; როგორი უნდა იყოს ოპტიმალური თანაფარდობა აქციონერულ და ნასესხებ კაპიტალებს შორის; როგორ უნდა იყოს ორგანიზებული გაკოტრების პროცედურა; როგორ განვახორციელოთ სწორად თანამშრომელთა ანაზღაურება, რომელიც მოიცავს როგორც ანაზღაურების სიდიდეს, ისე იმის გადაწყვეტას თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს – ნაღდი ფულით, კომპანიის აქციებით თუ ოპციონით აქციების ყიდვის უფლებაზე და ა.შ.

პერსონალის მართვის უფლების გარდა, კონტრაქტების თეორიის გამოყენების მნიშვნელოვან სფეროს მიეკუთვნება რეგულირების ეკონომიკა, უკვე ნახსენები კორპორაციული ფინანსები, კორპორაციული მართვა და თვით აუქციონების თეორიაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი უშუალოდ კონტრაქტების თეორიას არ მიეკუთვნება და უფრო ინფორმაციული ეკონომიკის სფეროს წარმოადგენს.

კონტრაქტების თეორიის განვითარებასთან ერთად 1980–1990-იან წლებში, აქტიურად ვითარდებოდა აგრეთვე ეკონომიკაში ამჟამად პოპულარული **საქციელური ეკონომიკაც**, რომელიც, ერთი მხრივ, ითვალისწინებს ადამიანების გადახრებს რაციონალური ქცევიდან, მეორე მხრივ კი ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, რომ ადამიანები მოტივირებულნი არიან არა მარტო **მატერიალური ჯილდოთი**, არამედ იმითაც, თუ როგორ გრძნობენ თავს გარემომცველი ადამიანები, როგორია სამართლიანობის შეგრძნება, საზოგადოებრივი კეთილდღეობა და ა.შ.

2016 წლის ნობელის პრემია ეკონომიკაში აგრძელებს ბოლო წლებში ჩამოყალიბებულ ტენდენციას – ჯილდოს იღებს გამოკვლევები, რომლებიც ახლოს დგანან „რეალურ სამყაროსთან“ და რომელთანაც შესებას ადამიანები ყოველდღიურ პრაქტიკაში ახორციელებენ. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯასტინ ვულფერსმა აღნიშნა, რომ ჰარტისა და ჰოლმსტრომისათვის ნობელის პრემიის მინიჭება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ ეკონომიკური თეორეტიკოსები როგორ გაერთიანდნენ რეალურ სამყაროსა და ყველა მის ნაკლოვანებასთან. ჰარტმა და ჰოლმსტრომმა რეალურ ცხოვრებაში არსებული კონტრაქტების გასაგებად შეიმუშავეს ახალი თეორიული ინსტრუმენტები, ხოლო ოპტიმალური კონტრაქტული ხელშეკრულებების მათ მიერ გაკეთებულმა ანალიზმა საფუძველი მოამზადა ბევრ სფეროში პოლიტიკისა და ინსტიტუტების შესამუშავებლად გაკოტრების კანონმდებლობის ჩათვლით – აღნიშნულია კომიტეტის განცხადებაში. კონტრაქტის კლასიკური მოდელი ასეა აღწერილი: პრინციპალსა და მის აგენტს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აგენტი ასრულებს მოქმედებას პრინციპალის ინტერესების შესაბამისად, რაც ქმნის „მორალურ რისკს“, რამდენადაც პრინციპალს არ შეუძლია აგენტის მოქმედებისათვის თვალის მიდევნება, აგენტს კი უჩნდება არაკეთილსინდისიერი ქცევის სურვილი, ანუ მოქმედება საკუთარი ინტერესების შესაბამისად. მაგალითად: ფირმის მესაკუთრე მენეჯერს ანიჭებს უფლებამოსილებას ბიზნესის მართვასთან დაკავშირებით, მენეჯერი ხშირად იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ხელსაყრელია მოგების მიღებისა და საკუთარი ანაზღაურებისათვის, მაგრამ სარისკოა ბიზნესის გრძელვადიანი სტაბილურობის თვალსაზრისით. სწორედ ეს სახელდებოდა

2008–2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად. „ტოპ-მენეჯერების ანაზღაურების სისტემა, რომელიც შემუშავებული იყო იაფი ფულის, ძლიერი კონკურენციის და მსუბუქი რეგულირების პირობებში, ძალზე ხშირად აქეზებდა დაუფიქრებელ გარიგებებს, მოკლევადიან სარგებელს გრძელვადიანი შედეგების ადეკვატური განხილვის გარეშე“ – აღნიშნავდა აშშ კომისია თავის დასკვნით მოხსენებაში 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის მიზეზების გამოკვლევის დროს.

იდეაში, ანაზღაურება, რომელსაც პრინციპალი აგენტს უხდის, უნდა ეფუძნებოდეს დაკვირვებულ და შემოწმებულ ცვლადებს, მაგრამ პრაქტიკაში არც ერთი ასეთი კრიტერიუმი, კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის ან მისი წმინდა მოგების მსგავსი, ვერ უზრუნველყოფს ოპტიმალურ შედეგებს ორივე მხარისათვის. თუ აგენტს უხდიან ხელფასს, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული, რასაკვირველია ის უბრალოდ გააკეთებს იმას, რაც მას მოსწონს. სტიმულების შესაქმნელად კი საჭიროა მისი კომპენსაცია (ანაზღაურება, სამსახურში დაწინაურება, გათავისუფლების რისკი), რომელიც მგრძობიარე იქნება მისი შრომის შედეგებისადმი. თუმცა, ამასთან ერთად, მისთვის ჩნდება რისკიც, რადგანაც ის ვერ აკონტროლებს მთლიანად შედეგს, ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია შემთხვევითობაც, კოლეგების მუშაობაც და ა.შ.

1979 წ. ბერნტ ჰოლმსტრომმა ჩამოაყალიბა „ინფორმაციულობის პრინციპი“, რომელიც გულისხმობს, რომ აგენტის შრომის ანაზღაურება დამოკიდებული უნდა იყოს ცვლადებზე (სიგნალებზე), რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციას მის მოქმედებებზე იმ შემთხვევითი ფაქტორების („ხმაური“) ჩამოშორებით, რომლებიც აგენტის მოქმედებებზე დამოკიდებული არ არის. თუ აგენტის ანაზღაურება დამოკიდებული იქნება აბსოლუტურ პარამეტრებზე (მაგალითად, გამოშვების ან გაყიდვების მოცულობა, ფირმის კაპიტალიზაცია), მაშინ „ცუდმა“ აგენტმა შეიძლება მოიგოს იმის გამო, რომ ბაზარი ან ეკონომიკა კარგ მდგომარეობაშია, ხოლო „კარგმა“ აგენტმა წააგოს ეკონომიკაში ცუდი მდგომარეობის გამო. ჰოლმსტრომის პრინციპი მენეჯერების ანაზღაურების მაგალითზე ნიშნავს, რომ საკმარისი არ არის ხელფასის მიბმა აქციების ღირებულებაზე მხოლოდ ამ კომპანიის მიხედვით, რამდენადაც კოტირება ბევრად არის დამოკიდებული მენეჯმენტის კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებულ ფაქტორებზე. უფრო სწორი იქნება გადაწყვეტილება, რომელიც გაითვალისწინებს იმავე დარგის სხვა კომპანიების აქციების ღირებულებასაც.

ამის გარდა, მეცნიერმა შეიმუშავა **დინამიური სტიმულების თეორია**, რომელშიც, კონტრაქტების კლასიკური თეორიისაგან განსხვავებით, გათვალისწინებულია სიტუაცია, როცა მუშაკისათვის შეუძლებელია სტიმულების შექმნა, მაგრამ ის მაინც ბევრს მუშაობს, რათა კარგი რეპუტაცია შეიქმნას, ბაზარზე შთაბეჭდილება მოახდინოს და შეიცვალოს სამუშაო შესაძლებლობების ამოწურვის პირობებში. ბევრი მუშაკი შეგნებულად არ ავლენს თავის ყველა შესაძლებლობას, რათა ხელმძღვანელობას არ მისცეს საფუძველი ამ კომპეტენციების უფრო მეტი ექსპლუატაციისათვის.

მეორე ლაურეატის, ოლივერ ჰარტის გამოკვლევებმა 1980-იან წლებში შესაძლებელი გახადა გარდევების განხორციელება ე. წ. არასრულ კონტრაქტებში. რეალურ ცხოვრებაში შეუძლებლად არის მიჩნეული ყველაფრის მომცველი,

სრულყოფილი კონტრაქტის წინასწარი შედგენა. ამიტომ პირობებში, როცა ყველა ცვლადის ან სამყაროს პოტენციური მდგომარეობის გათვალისწინება კონტრაქტში შეუძლებელია, საჭიროა მესამე მხარის განსაზღვრაც, რომელსაც მიენდობა იმის გადაწყვეტა თუ რა უნდა გაკეთდეს სიტუაციაში, როცა მხარეები ვერ თანხმდებიან. ჰარტისა და მისი კოლეგების ძიებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს რთული ფინანსური კონტრაქტების ანალიზისა და აქტივების პრივატიზაციის დროს. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია ის, გადაწყვეტილების მიმღები ფლობს თუ არა ფორმალურ უფლებებსა და რეალურ შესაძლებლობებს (გონივრული გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია).

გამოყენებული ლიტერატურა

1. Давлашеридзе Наталья, Нобелевские лауреаты по экономике и их вклад в развитие экономической науки, издат. „Универсал“.
2. Нобелевские лауреаты XX века. Экономика: Энциклопедический словарь /сост. Васина Л.Ф.-М: Росспэн. 2001.– 335 с.
3. <https://postnauka.ru/faq/69070>

Nanuli Arevadze

2016 NOBEL PRIZE WINNERS - ECONOMISTS AND THE THEORY OF CONTRACTS

Summary

The article deals with main directions of scientific work and biographical date of Nobel Prize Winners Oliver Hart and Bergt Holmstrom; A new trend of economy – the theory of contracts and the theory incomplete contracts are characterized as the basis for prize rewarding which for their part influenced the development of many neighboring sectors-from corporate finances to the economy of regulation. The prize confirms once more the last years' tendency the Nobel Prize Winners in economy I given to the scientific researches being close to real way.

*მალხაზ ჩიქობავა
ნაზირა კაკულია*

ეკონომიკური კრიზისის თეორიების შედარებითი ანალიზი

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის თანამედროვე პრობლემები საქმიანი ციკლების თეორიების მიხედვით. ხაზგასმულია, რომ მიმდინარე გლობალური კრიზისის მთავარი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკის დისპროპორციაა, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე შენიღბული იყო ეროვნული ვალის ზრდით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და იაპონიაში. ეს დისპროპორცია გამოწვეულია, ერთი მხრივ, აშშ-ში, იაპონიასა და ევროპაში წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებსა და მეორე მხრივ, საკუთარი წარმოების პროდუქციის გასაღებისათვის საჭირო ადეკვატურ ბაზრებს შორის შეუსაბამობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია დასავლეთის ქვეყნების ისტორიული სურვილით, შეინარჩუნონ თავიანთი ჰეგემონია მესამე მსოფლიოს ქვეყნებზე ამ ქვეყნების ჩამორჩენილობითა და ექსპლუატაციით, რაც აშშ-ს, იაპონიასა და და-

სავლეთ ევროპას ბუმერანგივით დაუბრუნდა. ალბათ, ამ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა აფრიკას, რუსეთს, ლათინურ ამერიკასა და ინდოეთს უფრო განვითარებული ეკონომიკა რომ ჰქონდეთ. ამ მოვლენას ჯოზეფ სტიგლიცმა „გლობალური მოთხოვნის სისუსტე“ უწოდა.

პოლიტიკოსებს, რომლებსაც ეკონომიკის იდეალური მოდელი წარმოუდგენიათ ნულოვანი სახელმწიფო სექტორით, არ ესმით, რომ მსგავსი სისტემა უკიდურესად არასტაბილურია. დღეისათვის სადავო არ უნდა იყოს ის, რომ ბაზარი თავისთავად პანაცეა არ არის და მას არ ძალუძს, სრულად მოახდინოს ეკონომიკური საქმიანობის კოორდინაცია, განსაკუთრებით კრიზისულ სიტუაციებში. ამიტომ საჭიროა გონივრული სახელმწიფო რეგულირება და დაგეგმვა.

საკვანძო სიტყვები: კრიზისი, ეკონომიკური ციკლი, რეცესია, ფინანსური სიმეიფე, საბანკო სექტორი, ფულის მულტიპლიკატორი, საპროცენტო განაკვეთი, საკრედიტო ბუმი, ერთობლივი მოთხოვნა, ლიბერალიზმი

როგორც ცნობილია, აშშ-ის ფედ-ი, ინგლისის ბანკი, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვა ცენტრალური ბანკები 2007-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ შეუდგნენ ე.წ. „რაოდენობრივი შერბილების“ პროგრამების რეალიზაციას. მათ აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა სავალ ვალდებულებების (მათ შორის, დაბალი ხარისხის) შესყიდვა, რითაც ყოველ წელს მიმოქცევის არხები ასობით მილიარდი დოლარით, ფუნტი სტერლინგით და სხვა ვალუტით შეივსო. გარდა ამისა, ცენტრალურმა ბანკებმა დაიწყეს საპროცენტო განაკვეთების თანმიმდევრული შემცირების პოლიტიკის გატარება როგორც პასიურ, ისე აქტიურ ოპერაციებზე. შედეგად, შვედეთის, დანიის, შვეიცარიის, იაპონიის ცენტრალური ბანკების, ასევე ევროპის ცენტრალური ბანკის დეპოზიტებზე განაკვეთები უარყოფითი გახდა. ფული არა მხოლოდ ბევრი დაგროვდა, არამედ ის თითქმის უფასო გახდა.

პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ დასავლეთის წამყვანი ცენტრალური ბანკების მსგავსმა ფულადმა ექსპანსიამ არა მხოლოდ ვერ შეძლო რეალური ეკონომიკის განვითარების გააქტიურება, არამედ პირიქით, დაიწყო მისი წარმართვა გამოუვალი ჩიხისკენ. ასეთი პარადოქსის მიზეზები რამდენიმეა. პირველი, ფულის „საბუჟდი მანქანების“ პროდუქციის სულ უფრო მეტი წილი მიედინება ფინანსურ ბაზრებზე, სადაც გაჩაღებულია სპეკულაციური თამაშები სრული აზარტით. რეალურ სექტორში ფული არ შედის, ვინაიდან მას იქ არ ელოდება მაღალი და სწრაფი მოგების მიღება. მეორე, „საბუჟდი მანქანების“ პროდუქცია სულ უფრო კარგავს ფულის ნიშნებს. როგორც ცნობილია, ფულის პირველი და ძირითადი ეკონომიკური ფუნქციაა „ღირებულების საზომი“ ფუნქციაა. დღეისათვის ფულის მეშვეობით უკვე შეუძლებელია საქონლისა და მომსახურების როგორც ღირებულების, ისე ფასის გაზომვა. ამის ნათელი მაგალითია ნავთობზე ე.წ. „ფასები“, რომელიც შეიძლება წლის განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალოს. ასეთი მკვეთრი რყევები აიხსნება არა იმით, რომ თითქოს ადგილი აქვს „შავი ოქროს“ მოპოვების პირობების ან მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის რადიკალურ ცვლილებებს. საქმე ისაა, რომ ფასები უკვე იზომება ისეთი ინსტრუმენტების დახმარებით, რომელსაც ჩვენ ინერციით ვუწოდებთ „ფულს“. ამასთან, ეს სულაც არაა ფული თავისი ხუთი კლასიკური ეკონომიკური ფუნქციით

(ღირებულების საზომი, გაცვლის საშუალება, გადახდის საშუალება, განძის დაგროვების საშუალება, მსოფლიო ფული). ეს სპეკულაციის, მანიპულაციისა და სიმდიდრის გადანაწილების ყველაზე ბანალური ინსტრუმენტია „ფულის გამგებლების“ სასარგებლოდ, ე.ი., იმათ სასარგებლოდ, რომლებიც აკონტროლებენ „საბუჟდ მანქანებს“. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ დღეს მოწმენი ვართ „ფულის კვდომის“¹.

ნებისმიერი კრიზისის წარმოშობის, შემდგომი გაღრმავებისა და ეკონომიკური ციკლის დასრულების ძირითადი მიზეზი საკრედიტო ოპერაციების შეზღუდვაა, რაც ეკონომიკური აქტივობისა და მოთხოვნის გარდაუვალ ვარდნას იწვევს. თავის მხრივ, ეს ფონი შემდგომ ეტაპზე განაპირობებს კრედიტებზე დაბალ მოთხოვნას. ეს კარგად ჩანს როგორც 2008 წლის კრიზისის დაწყების მიზეზების, ასევე აშშ-ის ეკონომიკის განვითარების მომდევნო ეტაპის მაგალითებზე. აქ საქმე არა იმდენად ინიექციების მოცულობაშია, რამდენიც იმ ფულად მასაზე, რომელიც მიიმართა დაკრედიტებაზე.

კრედიტების შემცირება საბანკო სისტემის ბუნებრივი რეაქციაა რეცესიის ნიშნებისა და დაკრედიტების რისკების ზრდის მიმართ. ეს შეიძლება მეორად გამოვლინებად ჩავთვალოთ. რაში გამოიხატება საქმიანი აქტივობის ვარდნის პირველადი მიზეზები და შესაძლებელია თუ არა მისი პროგნოზირება? რატომ ხდება, რომ კრიზისები ზოგჯერ დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე, ზოგჯერ კი შედარებით უმტკივნეულოდ ჩაივლის? რა მოვლენები უსწრებს კრიზისებს და როგორია ამ კრიზისების დინამიკა?

ამ კითხვებზე საპასუხოდ აუცილებელია რამდენიმე ჰიპოთეზის მოშველიება. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა „ფინანსური სიმყიფის“ ჰიპოთეზა², რომელიც ეკუთვნის კეინზიანური სკოლის წარმომადგენელს ჰაიმან მინსკის. ის მას კრედიტების ხელმისაწვდომობისა და მისი მომსახურების შესაძლებლობების ფუნქციის სახით წარმოგვიდგენს. მინსკის ჰიპოთეზის თანახმად, კრიზისი წარმოიშობა ბაზრის სუბიექტების მიერ საკუთარი ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების თანდათანობით გამწვავების შედეგად: ეკონომიკური აღმავლობის საწყის სტადიაზე ფირმებს შეუძლიათ დააფინანსონ საკუთარი პროექტები საკუთარი საშუალებების ან კრედიტების ხარჯზე, ამასთან, მათი შემოსავალი აღემატება სესხებზე გადასახდელ პროცენტებსა და სესხის ძირითად თანხას, შემდგომ ვალი გროვდება და კრედიტის მომსახურება რთულდება, ამასთან, შემოსავალი, მართალია, ფარავს პროცენტებს, მაგრამ სესხის ძირითადი თანხის ასანაზღაურებლად არასაკმარისია; საბოლოოდ, როცა სისტემა აღწევს ფინანსური სიმყიფის მწვერვალს, რომლის დროსაც იწვეება ე.წ. პონცი-დაფინანსება (ეს უკავშირდება იტალიური წარმოშობის ამერიკელ ფინანსისტს, ჩარლზ პონცის, რომელმაც მეანაბრებისადმი ძალიან მაღალი პროცენტების გადახდის დაპირებით შექმნა ფინანსური პირამიდა). ეს სტადია ხასიათდება იმით, რომ კომპანიათა უმრავლესობა ვერ ფარავს არათუ სესხის მთლიან თანხას, არამედ ამ სესხზე არსებულ პროცენტებსაც. არცთუ იშვიათად, კრიზისის წინა პერიოდში ფირმები იძულებულნი

1 Катарсонов В. Ю. Смерть денег. Метаморфозы долгового капитализма. Москва, книжный мир, 2016. с. 340.

2 Столбов М.И. Гипотеза финансовой неустойчивости Хаймана Мински и экономический кризис в России / М.И. Столбов // Мировая экономика и международные отношения. 2010, № 3, сс. 56-64.

ხდებიან მოახდინონ თავიანთი სესხების რეფინანსირება ახალი კრედიტების მეშვეობით.

აქვე უპრიანია გავისხენოთ ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც ექვეყნებში ღდება სასესხო პროცენტის არსებობის მართლზომიერება, რომლის თანახმადაც, რეალურ სექტორს აპრიორულად არ შეუძლია ვალი სრულად აუნაზღაუროს საბანკო სექტორს. საქმე აქ არა მარტო პროცენტის არსებობას, არამედ მის სიდიდესაც ეხება. რეალურმა სექტორმა შეიძლება აიტანოს კრედიტი წლიური 5-7%-იანი განაკვეთით, მაგრამ 20-25%-იანი კრედიტის ატანა თითქმის გამორიცხულია. ფინანსური სისტემა ასეთი მაღალი პროცენტებით ნებისმიერი ინოვაციისა და მოდერნიზაციის უმთავრესი მტერია. მაგრამ, სესხზე პროცენტები თანამედროვე საბანკო სისტემის არსებობის საფუძველია. ის განაპირობებს ფულის მიმოქცევის ელასტიკურობას ფულადი მულტიპლიკატორის ეფექტით, რომელიც გულისხმობს ერთი ბანკის მიერ გაცემული კრედიტის გადაქცევას სხვა ბანკის რესურსად და ა.შ.

კორპორაციული და სახელმწიფო ვალის „შექმნა“ ფულის მიწოდების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ფულადი მულტიპლიკატორის მოქმედება კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებს უკუმიმართულებით, როდესაც რომელიღაც ბანკი ჩართულია ამ სისტემაში, ხოლო სხვა ბანკები უკვე არ „აწარმოებენ“ კრედიტებს. ფინანსური ბაზრები ისეა მოწყობილი, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ფულის სესხად მიღება ძალიან მაღალი საპროცენტო განაკვეთითაც კი.

დავუბრუნდეთ ეკონომიკური ციკლის დინამიკის მიზეზებისა და შედეგების ანალიზს. ჰაიმან მინსკისეული ეკონომიკური ციკლის ზემოთ აღწერილი სქემა შეგვიძლია კიდევ უფრო გავშალოთ ინვესტიციების ეფექტიანობისა და ფულის მიწოდების დინამიკის გათვალისწინებით. ციკლის საწყის სტადიაზე, როდესაც ადგილი აქვს მოთხოვნის „დროებით გადავადებას“, ეკონომიკაში წარმოიქმნება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებების კერები, ამასთან, მასში არსებობს ჭარბი თავისუფალი რესურსები, მათ შორის, სამუშაო ძალა. მეწარმეები საკუთარ რესურსებს ახალ ბიზნესპროექტებში მიმართავენ. ამ შემთხვევაში რისკის ხარისხი დაბალია, ხოლო წარმატების ალბათობა ძალიან მაღალი. მაგრამ, ინვესტიციების (და მის საფუძველზე კაპიტალის) ზრდის კვალობაზე, სამეწარმეო მარჯის გაჯერების გამო, მრავალ საინვესტიციო პროექტზე შემოსავლიანობა ეცემა, ზოგიერთი კი საერთოდ წამგებიანი ხდება. ჰიპოთეზა ინვესტიციების შემოსავლიანობის შემცირებაზე მისი მოცულობის ზრდის კვალობაზე, შემოთავაზებულ იქნა ჯ. მ. კეინზის მიერ კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის თეორიაში. ასეთი კანონზომიერება საერთო ეკონომიკური კანონის – წარმოების ფაქტორთა ზღვრული მწარმოებლურობის კლებადობის შედეგია.

მართლაც, 2000-იანი წლების შუა პერიოდში, როცა აღმოჩნდა, რომ საოფისე, უძრავ ქონებას მოჰქონდა საკმაოდ მაღალი შემოსავალი, ინვესტორებმა კაპიტალ-დაბანდების მძლავრი ნაკადი მიმართეს სამშენებლო ბიზნესში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ (ან არ) ხედავდა დაბანდების სხვა სფეროებს. მაგრამ, მიწოდებისა და კონკურენციის ზრდის გამო, მასზე შემოსავლიანობა შემცირდა. შესაბამისად, ინვესტიციების ეფექტიანობის ვარდნამ დროთა განმავლობაში შეამცირა ფირმების მიერ კრედიტების დაფარვის უნარი, რაც რეცესიის ობიექტური მიზეზი გახდა. თავდაპირველად კომპანიებისა და ბანკების მოგება გაიზარდა, მაგრამ

შემდეგ კორპორაციული და საბანკო სექტორების რენტაბელობა სწრაფად შემცირდა.

როგორც ცნობილია, საკრედიტო შეზღუდვების პერიოდში, რომელიც უსწრებს ფინანსურ კრახს, ყველაზე მეტად საინვესტიციო საქონლის წარმოება ზარალდება. ამ ფაქტზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ავსტრიული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებმა - ლუდვიგ ფონ მიხესმა და ფრიდრიხ ფონ ჰაიეკმა, ასევე ერნანდო დე სოტომ. გარკვეულწილად ეს გამოწვეულია იმით, რომ რაც უფრო ხანგრძლივია საინვესტიციო პროექტი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ის აღმოჩნდეს კრიზისის ზონაში, რაც გულისხმობს მოცემულ პროექტებზე გაცემული სესხების დაუბრუნებლობას.

უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ საქონლის დიდი ნაწილის ყიდვა შეუძლებელია ხელფასით და მუშაკთა მიერ შექმნილი დანახოვებით. როგორც წესი, მათი წარმოება მიმდინარეობს საკრედიტო რესურსების მოზიდვით. ამიტომ, ასეთი ტიპის საქონლის მიწოდება და მასზე მოთხოვნა ემყარება, უპირველეს ყოვლისა, დაკრედიტების ხელმისაწვდომობას, რაც განაპირობებს მის კარდინალურ სიმყიფეს რეცესიის ფაზაში. საკრედიტო ბუმი „ფინანსური პირამიდების“ მშენებლობის პროვოცირებას ახდენს, რომელიც განწირულია გარდაუვალი რღვევისათვის.

მიუხედავად „ფინანსური სიმყიფის“ თეორიის მიმზიდველობისა და სიმარტივისა, სინამდვილეში სიტუაცია ბევრად რთულია. მაგალითად, ძნელია გავიგოთ, თუ რომელია არსებული პროცესების თავდაპირველი მიზეზი და რომელი - შედეგი. რეცესიაში აღმოჩენას კუმულაციური ხასიათი აქვს, რომელშიც მორიგი მიზეზი ერთდროულად შედეგიცაა. დაკრედიტების ნებისმიერი შემცირება იწვევს ინვესტიციების, შემდეგ შემოსავლების შემცირებას, რაც დეფოლტების მეორად ინდუცირებას ახდენს. ამას კი დაკრედიტების, ინვესტიციებისა და მოთხოვნის კიდევ უფრო მასშტაბური შემცირება მოჰყვება და ა.შ. ყოველივე ეს კრახით სრულდება, რაც გამოწვეულია აქტივების გაუფასურებით, ფულადი ინიექციების შემცირებით და მომდევნო სავალ კრიზისით გარდაუვალი დეფლაციის ფონზე. ვიდრე მიმდინარეობს დაკრედიტება იმ ტემპებით, რომელიც საკმარისია მოთხოვნის შესანარჩუნებლად, რეცესიის რეალური ნიშნები პრაქტიკულად არ შეიმჩნევა. საკრედიტო „ბუმი“ არა მარტო განაპირობებს, არამედ ახდენს „გადახურების“ შენიღბვას.

არსებული რენტაბელობის მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მომავალი პროექტების რენტაბელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად საკმარისია მიმდინარე და მომავალი დაკრედიტების ტემპები. ამიტომ, როგორც კი დაკრედიტება არასაკმარისი ხდება, კომპანია-ინვესტორების რენტაბელობა და მისი კრედიტუნარიანობა სწრაფად ეცემა. ამ თემას ქვემოთ დავუბრუნდებით. ამჯერად განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის თვითშეზღუდვის სხვა მიზეზები.

ეკონომიკური ზრდის პროცესში მეწარმეები ქმნიან ახალ ღირებულებებს და გეგმავენ მოგების მიღებას. მაგრამ, როგორც კი რთულდება შექმნილი პროდუქტის გაყიდვა, იწყება გარდაუვალი ეკონომიკური ვარდნა, რადგანაც შეუძლებელი ხდება კრედიტების დაბრუნება. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად ფულადი მასა ადეკვატურად და უწყვეტად უნდა იზრდებოდეს, ხოლო ფულის მიმოქცევის სიჩქარე დაახლოებით მუდმივი უნდა იყოს. პირველი პირობა ცნობილია, როგორც „მონეტარისტული წესი“, რომელიც შემოთავაზებულ იქნა მ. ფრიდ-

მენის მიერ. ციკლის მიმდინარეობის პროცესში დაგეგმილი ინვესტიციებისა და პროდუქციის მოცულობა, რომელიც აუცილებელია ამ პროექტების სარეალიზაციოდ, მუდმივად იზრდება, შესაბამისად, იზრდება რესურსების გამოყენება და სამუშაო ძალის დასაქმება, ხოლო რადგანაც რესურსები და განსაკუთრებით სამუშაო ძალა მკაცრად შეზღუდულია, ადრე თუ გვიან წარმოიქმნება დისბალანსი, ადგილი ექნება დანახარჯების ზრდას, რომელიც ხელს შეუშლის გეგმის განხორციელებას, ინვესტიციების გამოსყიდვას და კრედიტების დაბრუნებას. სხვა სიტყვებით, სისტემის პროპორციული გაფართოება იმ შემთხვევაში, თუ მისი ერთ-ერთი კომპონენტი ამოწურულია, შეუძლებელია წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით.

საკრედიტო „ბუმის“ სტადიაზე მუდმივად იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც იწვევს დასაქმების ზრდას. დასაქმებულთა ხელფასები მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საშუალებას იძლევა. მაშასადამე, სამუშაო ძალის შეზღუდულობა „სრული დასაქმების“ მიღწევის შემთხვევაში ზღუდავს მოთხოვნის შემდგომ გაფართოებას. ამ მომენტს თითქმის ერთდროულად მიაქცევს ყურადღება კეინზიანური სკოლის წარმომადგენლებმა ჯონ ჰიკსმა ნაშრომში „სავაჭრო-სამრეწველო ციკლები“ და ედვინ ჰანსენმა - „ეკონომიკური ციკლები და ეროვნული შემოსავალი“.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ კარლ მარქსმა მიაქცია ყურადღება მთელი წარმოებული პროდუქციის სრულად გაყიდვის შეუძლებლობას. მისი აზრით, ჭარბწარმოების მიზეზი კაპიტალისტების მიერ ზედმეტი ღირებულების მითვისება და მუშაკთა დაბალი ხელფასია. მიუხედავად იმისა, რომ მარქსის რეცეპტები საკამათოა, ეკონომიკური ციკლის თეორიაში ის ერთ-ერთი პიონერია.

ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობის პრობლემის დროებით გადაჭრა შესაძლებელია „ვალების“ ინდუცირებით, მაგრამ ვალის მოცულობა შეუძლებელია უსასრულოდ გაიზარდოს. რესურსების შეზღუდულობა ბანკებს აიძულებს კრედიტების შეკვეცას, დგება „ჭარბწარმოების“ კრიზისი, რომელიც არ დასრულდება მანამ, ვიდრე შექმნილი მარაგების ძირითადი მასა არ გაიყიდება, ხოლო ვალის დიდი ნაწილი არ დაიფარება, რაც არასაკმარისი მოთხოვნის პირობებში ახდენს დეფლაციის პროვოცირებას, წარმოების შემცირებასა და უმუშევრობის ზრდას.

პოსტკრიზისულ პერიოდში თანდათანობით გროვდება მოთხოვნის დეფიციტი, კაპიტალი ცვდება ფიზიკურად და მორალურად, გროვდება ჭარბი ლიკვიდურობა, ვალები თანდათანობით „გაიწოვება“, რაც ციკლის აღმავალ ტალღაზე მიანიშნებს. რა თქმა უნდა, მოთხოვნა შეიძლება დროებით გაიზარდოს ხელფასების ან სახელმწიფო შესყიდვების ზრდის ხარჯზე, მაგრამ სრული დასაქმების მიღწევის ფუნდამენტური ფაქტორების ამოწურვის შემთხვევაში, მოთხოვნის ზრდა დაკრედიტების, ხელფასების ან სახელმწიფო ვალის ზრდის ხარჯზე შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს.

ჯ. მ. კეინზის აზრით, ფულის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი წარმოება შეუძლებელია ნებისმიერი მასშტაბით. იგივე შეიძლება ითქვას სამუშაო ძალაზე, რომელიც, მართალია, იზრდება შობადობის ხარჯზე, მაგრამ არა ყველა ქვეყანაში და არა ადეკვატური ტემპებით.

საბაზრო ეკონომიკა უნარიანია გაფართოვდეს მანამ, ვიდრე მასში არსებობს თავისუფალი რესურსები. როგორც კი ის ამოიწურება, იწყება ვარდნა. სწორედ ვარდნის დროს იქმნება პირობები, როცა ადგილი აქვს რესურსების გამოთავი-

სუფლებას, დანაზოგებისა და გადავადებული მოთხოვნის რეალიზებას და ა.შ. მაგრამ, რამდენად შესაძლებელია სრული დასაქმების მიღწევა? სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიუღწევადია არა მარტო სოციალური და ინდივიდუალური ხასიათის, არამედ რეგიონული, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისპროპორციების გამო. ბუმთან ახლოს მდგომ ციკლის სტადიაზე დასაქმების ზრდის ტემპი არასაკმარისი ხდება და საერთო ეკონომიკური ზრდაც ფერხდება.

აღსანიშნავია, რომ წმინდა სტატისტიკური თვალსაზრისით ინვესტიციების საერთო მოცულობის გარკვეული ნაწილი მცდარ გადაწყვეტილებებს ეფუძნება, რაც განპირობებულია მომავალი მოთხოვნის არასწორი შეფასებით, კრეატიული იდეების მცდარობით, საინვესტიციო პროექტების არასათანადო შეფასებით და ა.შ. მსგავსი შეცდომები, რომელიც იწვევს პრობლემური ვალების დაგროვებას, ილექება საბანკო სისტემაში და ფიზიკური ენთროპიის მსგავსად იზრდება. ლუდვიგ ფონ მიზესის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს არასწორ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.

ცხადია, მომგებიანი ინვესტიციები ქმნის პირობებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერაციისათვის, ზრდის მათ ღირებულებას, რაც თავის თავში მოიცავს ახალი ფულის შექმნის მექანიზმს. დაუსაბუთებელი, წამგებიანი ინვესტიციები ამცირებს აქტივების ღირებულებას, რაც ფაქტობრივად კვეცავს ფულად მასას. ანალოგიური პროცესი მიმდინარეობს საბანკო სისტემაში ინვესტიციების კრედიტებით დაფინანსების დროს: წარმატებული ინვესტიციების დროს აქტივები აჭარბებს პასივებს, ბანკი ღებულობს მოგებას. დაუსაბუთებელი ინვესტიციები იწვევს კრედიტების დაუბრუნებლობას, აქტივების ღირებულების შემცირებას და ბანკების ბალანსში „ხვრელების“ წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, კვეცავს ფულად მასას. წარმატებული ბანკებისათვის ეს „ხვრელები“ იფარება წარმატებული პროექტებიდან, მაგრამ ეკონომიკური ციკლის მხოლოდ აღმავალ სტადიაზე. პრობლემა ისაა, რომ ეს პროცესი ბანკების მიერ ინიცირება და საკმაოდ გაუმჭვირვალეა.

ავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მართებულად აჩვენა საბანკო დაკრედიტების გაფართოებისა და ეკონომიკური ციკლის ურთიერთკავშირი. ამ სკოლის მიხედვით, კრიზისებში დამნაშავეა საკრედიტო ბუმი, რომლის დროსაც ადგილი აქვს საკრედიტო განაკვეთების შემცირებას, ხოლო საინვესტიციო პროექტები დროში იწელება. ეს ემპირიულ ფაქტებთან შესაბამისობაშია. ამიტომ, შეიძლება დავეთანხმოთ მათ მტკიცებას იმის თაობაზე, რომ საკრედიტო ბუმის წარმოშობა მცდარი ინვესტიციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი და წინაპირობაა. ავსტრიული სკოლის თანახმად, ამ შემთხვევაში ინვესტიციები აჭარბებს დანაზოგებს და ეროვნული დანაზოგების არსებული სტრუქტურა და მოცულობა არ შეესაბამება ახალ ჭარბ ინვესტიციებს. არსებობს სხვა მიზეზიც. კერძოდ, აუცილებელი ინფორმაციის არარსებობა იწვევს სტიქიურ საინვესტიციო აქტივობას, რომლის დროსაც ძალიან მაღალია დაუსაბუთებელი ინვესტიციების ალბათობა.

საბანკო სექტორი ეკონომიკის გულსისძარღვთა სისტემის როლს ასრულებს, სადაც ბანკები გულია, ხოლო საანგარიშსწორებო სისტემა – სისხლძარღვი. ჭარბი პულსი (რომელიც იზომება, როგორც დაკრედიტების მატების ტემპი) არღვევს

სისტემას, მაგრამ მისი სისუსტე, ან სულაც, მისი არარსებობა, ისევე, როგორც ცოცხალ ორგანიზმში, აქაც დამღუპველია.

კრიზისის მეორე ძირითადი მიზეზი კრედიტების შეკვეცაა, რომელსაც ადგილი აქვს ეკონომიკაში პირველადი ნეგატიური ფონის გაძლიერების შედეგად. ციკლების თეორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ რა წარმოადგენს ნეგატიური მოვლენის დაწყების პირველად მიზეზს. შეიძლება ასე ვივარაუდოთ: კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, საბანკო სისტემაში რესურსების დეფიციტი და ნორმატიული შეზღუდვები, კრედიტების ზრდის ტემპის შემცირება, ვადაგადაცილებული დავალიანებების პირველადი ზრდა და რისკების გადაფასება, ფინანსურ ბაზრებზე შიგა და გარე შოკები ან მათი კომბინაცია.

როგორც კრიზისის წინა პერიოდების ანალიზი გვიჩვენებს, კრიზისების მწვავე სტადიას უსწრებს გარკვეული მოღუნება, ეკონომიკაში ფულადი მასის ზრდის ტემპების შენელება. მაგალითად, ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი აშშ-ში 1929 და 2008 წლების პირველ ნახევარში. ეს ფაქტი მონეტარისტების მხრიდან დაუხინებელი ყურადღების ობიექტია. ასეთი მდგომარეობა კარგად შეესაბამება ჰაიმან მინსკისეულ „ფინანსური სიმყიფის“ სტადიას. შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს „საკრედიტო შეკვეცის“ პირველი ნიშნებით. ამ მომენტში საკმარისია უმნიშვნელო ბიძგიც კი, რომელიც ქმნის მინიმალურ ფულად დეფიციტს, რომელსაც შეუძლია მასშტაბური კრიზისის პროვოცირება ჯერ საფონდო ბაზარზე, შემდგომ საფინანსო და საბანკო სისტემაში, რაც იწვევს ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვან შემცირებას და ეკონომიკის კოლაფსს.

ყველაზე რთული პროცესი, რომელიც იწვევს კრიზისების გაჭიანურებას, ესაა წამგებიანი ინვესტიციების ლიკვიდაცია, კომპანიებისა და ბანკების გათავისუფლება პრობლემური ვალებისაგან. ასეთი სურათი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კრიზისული მოვლენების მატერიალურ საფუძველს. წამგებიანი ინვესტიციების მაჩვენებელი მაკროდონეზე დაუბრუნებელი ვალების წილია მთლიან შიგა პროდუქტში, ბანკების აქტივებში, წამგებიანი და გაკოტრებული ფირმების წილი ფირმების საერთო რაოდენობაში.

პრაქტიკაში ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისი სრულდება საკუთრების ტოტალური გადანაწილებით ფინანსური სექტორისა და უმსხვილესი კომპანიების სასარგებლოდ. ეს ძალიან საინტერესო მომენტია და მასზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება. ამასთან, ეკონომიკური ციკლის დინამიკა პრაქტიკულად სრულად განისაზღვრება საბანკო საკრედიტო ციკლის დინამიკით და რეალური სექტორის ვალის დაგროვებით საბანკო სექტორის მიმართ. ეს პროცესი მკაცრად ციკლური ხასიათისაა და ეკონომიკაში ზრდისა და ვარდნის ძირითადი მიზეზია.

წარმოების საბაზრო წესისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა წარმოებასა და მოხმარებას შორის. არსებობს, სულ მცირე, სამი ფაქტორი, რომელიც ზღუდავს მოთხოვნისა და მიწოდების გაფართოებას და განაპირობებს კიდევ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის არამდგრადობას: ინვესტიციებზე შემოსავლიანობის შემცირება, სრული დასაქმების მიღწევა და საბანკო სისტემის მხრიდან დაკრედიტების შეზღუდულობა. მოკლედ, ციკლის თეორია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: საკრედიტო „ბუმი“, „ფინანსური სიმყიფე“, ჭარბწარმოება და სავალ კრიზისი.

რაც შეეხება ალტერნატიულ გეგმიან ეკონომიკას, სადაც დაკრედიტებაზე გადაწყვეტილება მიიღებოდა სახელმწიფოს მიერ, დეპრესია და ფინანსური კრიზისი, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

მეორე ალტერნატიულ მაგალითს წარმოადგენს ბოლო 40 წლის განმავლობაში მუდმივი საგარეო ექსპანსიის ფონზე უწყვეტად განვითარებადი ჩინეთის ეკონომიკა, რომელსაც „ეკონომიკური თავისუფლების“ პარალელურად გააჩნია სახელმწიფო რეგულირების აშკარად გამოხატული სპეციფიკა, სადაც ძირითადი საქმიანობა ფინანსური სისტემისა და ბუნებრივი მონოპოლიების რეგულირებაა. ფინანსური სისტემის გულს სახელმწიფო ბანკები წარმოადგენს, რომლებიც ახორციელებენ დირექტიულ დაკრედიტებას. არსებობს შეზღუდვები კაპიტალის მოძრაობაზე, კონვერტირებადობაზე, აქცენტი კეთდება სუვერენულ ფინანსურ პოლიტიკაზე, ეროვნული ვალუტის დომინირებაზე, სახელმწიფო საკუთრების დომინირებაზე ბუნებრივი მონოპოლიის სექტორში, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ დაბალი ტარიფების არსებობას უზრუნველყოფს. ერთი სიტყვით, სახეზეა აშკარა ანტილიბერალური მოდელი, რომელიც ეკონომიკას აბსოლუტურად მდგრად სისტემადაც აქცევს. ყოველივე ეს ეყრდნობა იაფი სამუშაო ძალის უზარმაზარ მარაგს, რომელსაც მუდმივად გააჩნია დასაქმებისა და უწყვეტი საგარეო ექსპანსიის მნიშვნელოვანი მარაგები, რაც მას ჯერჯერობით საშუალებას აძლევს გაყიდოს ყველაფერი, რაც იწარმოება. ამ ექსპანსიის მეორე მხარეა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ტრადიციული დარგების სტაგნაცია, რომლებიც კარგავენ სამუშაო ადგილებს ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ფონზე.

მიუხედავად რისკისა და „გადახურების“ ზოგიერთი ნიშნისა, ჩინეთის ეკონომიკას უწინდებურად შეუძლია თავი დააღწიოს რეცესიას, რადგანაც მისი ფინანსური ბაზრები დაცულია, სახელმწიფო მზადაა ნებისმიერ მომენტში მოახდინოს საბანკო სისტემის რეკაპიტალიზაცია და მიაწოდოს იმდენი ლიკვიდურობა, რამდენიც საჭირო იქნება. რაც შეეხება სამუშაო ძალას, მისი მარაგი ჯერჯერობით ამოუწურავია.

გლობალური ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკაში არსებული დისპროპორციაა, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შენდბული იყო ვალის ზრდით, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და იაპონიაში. ეს დისპროპორცია გამოწვეულია, ერთი მხრივ, აშშ-ში, იაპონიასა და ევროპაში წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებსა და მეორე მხრივ, საკუთარი წარმოების პროდუქციის გასაღებისათვის საჭირო ადეკვატურ ბაზრებს შორის შეუსაბამობით, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია დასავლეთის ქვეყნების ისტორიული სურვილით, შეინარჩუნონ თავიანთი ჰეგემონია მესამე მსოფლიოს ქვეყნებზე ამ ქვეყნების ჩამორჩენილობითა და ექსპლუატაციით, რაც აშშ-ს, იაპონიასა და დასავლეთ ევროპას ბუმერანგივით დაუბრუნდა. ალბათ, ამ ქვეყნებში ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი იქნებოდა აფრიკას, რუსეთს, ლათინურ ამერიკასა და ინდოეთს უფრო განვითარებული ეკონომიკა რომ ჰქონდეთ. ამ მოვლენას ჯოზეფ სტიგლიცმა „გლობალური მოთხოვნის სისუსტე“ უწოდა. გარდა ამისა, ბოლო 40 წლის მანძილზე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ყველაზე სწრაფად მზარდი სფერო ფინანსური სექტორი იყო, რომელმაც კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. მაგალითად, აშშ-ში ეკონომიკის ფინანსური კაპიტალიზაცია 2008 წლისათვის დაახლოებით 48 ტრლნ დოლარს შეადგენდა, რაც სამჯერ აღემატე-

ბოდა ამ ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი მსოფლიო ეკონომიკასა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაში წარმოქმნილი სტრუქტურული დისპროპორციაა, რაც გულისხმობს ფინანსური სექტორის მოწყვეტას „ფიზიკური ეკონომიკისაგან“³.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: ა) ეკონომიკის მდგრად განვითარებას უნდა ჰქონდეს ზრდის ოპტიმალური ტემპები. უფრო მაღალი ტემპები სისტემას „გადახურებისკენ“ უბიძგებს; ბ) ზრდის ოპტიმალური ტემპები მიღწეული უნდა იქნეს საპროცენტო განაკვეთების ადეკვატური რეგულირებით, მოქნილი ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკით; გ) უნდა მოხდეს ვალების რესტრუქტურზაცია, ვალების შესაძლო მთლიანი ან თუნდაც ნაწილობრივი ჩამოწერა, ასევე მათი გაუფასურება და ლიკვიდურობის შეთავაზება; დ) საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ფართო არჩევანის შეთავაზება; საინვესტიციო პროექტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი დაფინანსების უზრუნველყოფა პროცენტების გადახდის ვალდებულების გარეშე.

Malkhaz Chikobava
Nazira Kakaulia

COMPARATIVE ANALYSIS OF ECONOMIC CRISIS THEORIES

Summary

In work it is analysed the modern problems of the world economic crises by standpoint of the theories of business cycles.

The main reason for present global crisis is a disproportion of world economy, which was masked by growth of national debts in a long time, first of all in the USA and Japan.

This disproportion are caused by a huge gap between potential possibilities of production in the USA, Japan and Europe, saturation of their domestic market (overproduction) and absence of the adequate markets for sale of their production because of unevenness of the world development caused by historical desire of the countries of the West to keep the hegemony by preservation of backwardness and operation of Third World countries, come back to them a boomerang. Probably, the condition in the USA economy would be better better, if Africa, Russia, Latin America and India would have more developed economy. This that J. Stieglitz called «weakness of global demand».

Those politicians who see ideal model of economy with zero public sector, don't understand that such system can be especially unstable. It is necessary to understand accurately that the market in itself isn't panacea and can't coordinate completely the activity, especially in a crisis situation. It is necessary reasonable state regulation and planning.

³ ელგუჯა მექვაბიშვილი. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ჟურნ., „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010, №2, გვ. 21-22.

СЕКТОР ИКТ – ВАЖНЕЙШИЙ КОМПОНЕНТ НЕНЕФТЯНОГО СЕКТОРА АЗЕРБАЙДЖАНА

Аннотация. В статье исследуется сектор информационно-коммуникационных технологий (ИКТ) Азербайджана, стремящегося перейти на инновационный путь развития.

Отмечается значительный инновационный и производственный потенциал сектора ИКТ страны.

Рассматриваются стратегии, многочисленные государственные программы, принятые законы и другие нормативно-правовые акты, реализованные и реализуемые в этом секторе.

Предлагаются механизмы обеспечения устойчивого развития, приоритетные направления развития ИКТ республики.

Ключевые слова: сектор информационно-коммуникационных технологий (ИКТ), национальная стратегия, «Электронный Азербайджан», совершенствование информационной и телекоммуникационной инфраструктуры, модернизация.

Введение

В настоящее время в Азербайджане проводится системная деятельность в направлении формирования информационного общества и широкого внедрения ИКТ как составной его части. Исследование проблем информатизации обусловлено, главным образом, стремлением Азербайджана к переходу на инновационный путь развития.

Сектор информационно-коммуникационных технологий (ИКТ) среди нефтегазовых отраслей показывает самые высокие темпы роста. Объем телекоммуникационной отрасли приблизился к 1,7 млрд долл. США, что составляет 3,5% ВВП страны. Ряд исследователей утверждают, что в 2015-2020 гг. годовой доход страны от информационных технологий может превысить 14 млрд долл. США, и страна может превратиться в потенциального экспортера продукции информационных технологий в регионе.

Сектор ИКТ республики имеет значительный инновационный и производственный потенциал, возможности которого формируют ожидания потребителей и повышают платежеспособный спрос населения.

Развитие ИКТ содействует формированию других отраслей нефтегазового сектора, импорту инноваций в данные области, выступает одним из важных условий увеличения экспортного потенциала республики.

* * *

В развитии сектора ИКТ Азербайджан идет по пути, проложенному развитыми странами, но с серьезными поправками на отечественную специфику. На протяжении последнего времени комплекс развивался высокими темпами. Только за 2005-2013 гг. его выручка выросла в 3,1 раза. В стране создан широкий спектр современных ИКТ услуг. Реализованы и реализуются стратегии, многочисленные государственные программы, принимаются законы и другие нормативно-правовые акты [1].

В первую очередь, отметим «Национальную стратегию развития информационных и коммуникационных технологий на 2003-2012-е годы».

Основная цель данной стратегии – за счет широкого использования информационно-

коммуникационных технологий, чтобы помочь демократическому развитию страны и обеспечить переход к информационному обществу.

В результате реализации стратегии обеспечивается прозрачность в государственном управлении в целях достижения устойчивого экономического роста, улучшения условий жизни населения, формирование единого информационного пространства, создание доступа к информации для всех граждан, с учетом интеграции в международное информационное пространство.

Важным программным документом в области ИКТ явилась «Государственная программа по развитию информационно-коммуникационных технологий на 2005-2008 годы (Электронный Азербайджан)», предусматривающая выполнение первого этапа названной Стратегии и осуществляемые широкомасштабные работы

Мероприятия, предусмотренные в Государственной Программе «Электронный Азербайджан» на 2005-2008 гг., охватили работы, подлежащие выполнению на первом этапе для обеспечения перехода к информационному обществу. В результате выполненных работ по Программе были осуществлены важные шаги по созданию среды свободной конкуренции на рынке связи и информационных технологий республики, привлечению инвестиций в сферу и развитию частного сектора. Получила развитие нормативно-правовая база сферы, модернизировалась телекоммуникационная инфраструктура, расширилось внедрение новейших технологий, повысились количество и качество оказываемых населению, предприятиям и организациям услуг. Прделана определенная работа по повышению уровня пользования населением республики ИКТ, подготовке высококвалифицированных кадров для сферы и в других направлениях. Все это создало основательную почву для выполнения очередного этапа Национальной Стратегии.

Полное завершение модернизации инфраструктуры телекоммуникации и почты на основе новейших технологий, предоставление качественных и исчерпывающих телекоммуникационных услуг, использование технологий спутниковой связи, расширение внедрения решений «Э-правительства» и повышение в целом уровня использования ИКТ в обществе имеют важное значение.

Важно уделять внимание развитию государственных информационных систем, вытекающему из требований информационного общества, обеспечению информационной безопасности, внедрению э-подписи и электронного документооборота, организации электронных и почтово-финансовых услуг, усилению местного потенциала и его экспортного потенциала, расширению внедрения ИКТ в отдельных отраслях, повышению уровня пользования интернетом и подготовке кадров по ИКТ.

«Государственная программа по развитию связи и информационных технологий в Азербайджанской Республике на 2010-2012 годы (Электронный Азербайджан)» [2]. Ее целью явилась реализация задач, вытекающих из Национальной Стратегии, обеспечение перехода республики к информационному обществу путем развития и широкого внедрения ИКТ, формирование условий для развития конкурентоспособной экономики, опирающейся на информацию и знания, повышение эффективности механизмов государственного управления и расширение возможностей участия граждан и социальных институтов в процессе принятия решений, удовлетворение потребностей общества в услугах и продуктах сектора информации.

Закон Азербайджанской Республики «Электронная подпись и электронный документ» регулирует использование электронной подписи и электронных документов, определяет

организационные и правовые основы применения их, а также определяет права субъектов правоотношений и взаимоотношения между ними [3].

Закон Азербайджанской Республики «О Телекоммуникациях» определяет правовые, экономические, организационные основы и регулирует рациональное использование и целенаправленное планирование телекоммуникационных ресурсов.

Закон Азербайджанской Республики "Электронная коммерция" определяет правовые основы организации электронной торговли в Азербайджанской Республике, права и обязанности ее участников, а также ответственность в случае нарушения этого закона.

Проект «Народный компьютер». Проводится совместно с МСВТ, Министерством Образования, компанией HP, MICROSOFT, Bestcomp group в целях массовой компьютеризации республики.

«Государственная программа по созданию и развитию космической отрасли в Азербайджанской Республики». Основная цель этой программы –организация и развитие в стране космической промышленности, удовлетворение спроса госструктур услугах космической связи, обеспечение возрастающих потребностей населения регионов республики в телерадиовещании, социально- экономическое, научное, культурное развитие страны на основе эффективного использования космического пространства и повышения международных каналов связи.

В 2013 г. как естественное продолжение предыдущей, была утверждена к исполнению «Национальная стратегия по развитию информационного общества в Азербайджанской Республике на 2014—2020 годы». Основная цель Национальной стратегии заключается в утверждении информационного общества в стране, эффективном использовании созданных ею возможностей для развития граждан, общества, государства, устойчивом прогрессе страны, всестороннем применении ИКТ в государственном управлении, а также в их развитии как экономического сектора, придающего импульс развитию социально-экономической и культурной сфер.

Таким образом, в результате реализации национальной стратегии, формирования законодательной базы, внедрения современных технологий и оборудования, модернизации инфраструктуры ИКТ, была подготовлена основа для развития сектора.

Реализация стратегических задач в сфере информатизации и развития ИКТ предусматривается «Национальной стратегией по развитию информационного общества в Азербайджанской Республике на 2014—2020 годы». Ее реализация ускорит формирование информационного общества, создаст необходимые условия для приведения стандартов страны в сфере информатизации в соответствие с мировой системой стандартов, обусловит высокотехнологичное инновационное функционирование ненефтяных отраслей промышленности.

С сохранением годового роста ИКТ примерно на уровне 18-20% в соответствии с Концепцией развития «Азербайджан - 2020: взгляд в будущее», в предстоящие 7 лет доходы сектора должны быть доведены до 8-9 млрд. долларов. Этого планируется достичь в основном за счёт улучшения конкурентной среды, применения фискальных и монетарных льгот к сектору, а также за счет политики, направленной на увеличение экспортного потенциала, создания региональных центров ИКТ, высокотехнологичной продукции и услуг этого сектора, а также инновативного предпринимательства [4].

Основными тенденциями научно-технологического развития сектора ИКТ в Азербайджане на ближайшее и более отдаленное будущее, на наш взгляд, являются:

фронтальный характер развития сектора и смежных отраслей, основанного на синергии действия множества источников инноваций; экспоненциальный рост технических характеристик (быстродействие, удельной вычислительной мощности), миниатюризация и снижение стоимости компонентов, а в перспективе также удовлетворения широкого круга потребностей людей исключительно с помощью ИКТ.

По нашему мнению, для ускорения роста ИКТ сектора в республике необходимо достижение следующих целей:

- сохранение на перспективный период темпов роста рынка ИКТ, превышающих среднегодовые показатели роста экономики республики;
- превращение ИКТ в одну из ведущих отраслей экономики республики;
- превращение Азербайджана в нетто-экспортера информационных технологий.

Для реализации такой перспективы, на наш взгляд, необходимо принятие следующих мер:




Рис. Механизмы обеспечения устойчивого развития сектора ИКТ

Рассмотрим эти приоритетные направления развития ИКТ республики более подробно.

ამ სფეროს განვითარების საქმეში, იპოთეკური კრედიტების გაცემით საბანკო სექტორმაც დიდი როლი შეასრულა. 2007 წლის ჩათვლით, ბანკები თითქმის ყველა მსურველზე გასცემდნენ კრედიტს, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა კრედიტის დაფარვის საშუალება, რაც არ შეიძლება სწორ პოლიტიკად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, თავის მხრივ, საბანკო კრიზისმა, რაც იმით გამოიხატა, რომ, ერთი მხრივ, მოსახლეობა ადრე აღებულ კრედიტებს ვერ ფარავდა და მეორე მხრივ, ბანკები ასე ადვილად კრედიტებს ვეღარ გასცემდნენ მშენებლობა ფაქტობრივად გაჩერდა. ამასთან, მანამდე ბევრი სამშენებლო კომპანია პირამიდის პრინციპით მოქმედებდა, რაც ამ კომპანიების არასწორი მენეჯმენტისა და არასწორი დაგეგმვის შედეგი იყო. ყოველივე ამან სამშენებლო სფეროში გამოიწვია კრიზისი.

შედგება, თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში დაუსრულებელი შენობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მიუხედავად სამშენებლო ბიზნესში შექმნილი სიძნელეებისა, ზოგიერთმა სამშენებლო კომპანიამ მაინც დიდი მოგება ნახა. ეს ეხება იმ კომპანიებს, რომელთაც ლტოლვილებისათვის რამდენიმე ათასი სახლი ააშენეს.

ამჟამად, ხელახალი ომის საშიშროებამ გადაიარა, ბანკები ნელა, მაგრამ სიფრთხილით იწყებენ კრედიტების გაცემას, სახელმწიფოც აგრძელებს სხვადასხვა სახის მშენებლობას. ამასთან, სახელმწიფომ შეიმუშავა ძველი თბილისის რესტავრაციის გეგმა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აფინანსებს იმ სამშენებლო კომპანიებს, რომლებიც ძველი თბილისის რესტავრაციას მოახდენენ. დაანგრევენ ძველ ავარიულ შენობებს და გაიყვანენ მოსახლეობას.

მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები, დაიწყო მთელი ქვეყნის მასშტაბით გზების, გვირაბებისა და ხიდების მშენებლობა. ეს არის მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, და ყველაფერი კეთდება მთელი ქვეყნის მასშტაბით სწრაფად შესასრულებლად. რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მარტო საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას ხმარდება 8.4 მილიარდი ლარი და იქმნება ათასობით ახალი სამუშაო ადგილი.

2013-2016 წლებში, 2007-2012 წლებთან შედარებით, წელიწადში საშუალოდ 2-ჯერ მეტი გზა დაიგო. 2013-2016 წლებში, 2008-2012 წლებთან შედარებით, ავტობანზე წელიწადში თითქმის სამჯერ მეტი სიგრძის გზა დაიგო და 2.6-ჯერ მეტი ხიდი აშენდა.

2013 წლიდან მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემის გადასაჭრელად დაიხარჯა ნახევარ მილიარდ ლარზე მეტი. უკვე დაწყებულია დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტები, რომელთა დასრულების შემდეგ, 2020 წლისათვის 24 საათიანი ხარისხიანი წყალმომარაგებით დამატებით 500 ათასამდე კაცი იქნება უზრუნველყოფილი.

საგრძნობლად გაიზარდა გაზიფიცირების სამუშაოების მოცულობა. 2013-2017 წლებში ქვეყნის მასშტაბით გაზიფიცირდა 200 ათასზე მეტი აბონენტი. ამასთან, 2014-2015 წლებში ბუნებრივი აირის ქსელში ჩაირთო ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფ ხაზთან მდებარე 52 სოფლის 13459 ოჯახი. გაზიფიცირების სამუშაოებისთვის განხორციელებულმა ინვესტიციამ 607,2 მილიონი ლარი შეადგინა. 2012-2015 წლებში ელექტროენერგია მიეწოდა ისეთ 24 სოფელს, რომლებსაც ელექტროენერგია მანამდე არ ჰქონიათ. უშუქო სოფლების მოკვლევის პროცესი დღესაც გრძელდება. 2013 წლიდან დღემდე ექსპლუატაციაში შევიდა 19 ჰიდროელექტროსადგური, 1 ქარის ელექტროსადგური და 2 თბოელექტროსადგური. ჯამური დადგმული სიმძლავრე 785 მეგავატამდეა. ჯამურმა ინვესტიციამ 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

2017 წელს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამოყოფილი აქვს 1258047000 ლარი. აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებაზე 84917700 ლარი. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე 176190000. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე 183950000.

2016 წელს განხორციელდა უცხოური ინვესტიცია 1565,9 მლნ აშშ დოლარი,

აქედან მშენებლობაში 489,5 მლნ ლარი. ყველაზე მეტი თანხები დაიხარჯა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობაზე 239.7 მლნ ლარი. საგზაო გზებისა და რკინიგზის მშენებლობაზე 50.5 მლნ ლარი.

იმედია, სწორი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად როგორც ქვეყნის ეკონომიკა, ისე სამშენებლო ბიზნესი ნელ-ნელა კრიზისიდან გამოვა, რისი ნიშნებიც ახლავე უკვე შეიმჩნევა.

ასე რომ, სწორი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად საქართველო გამოდის ეკონომიკური კრიზისიდან და ადგას აღმავლობის გზას, რაზეც მიანიშნებს ის მსოფლიო რეიტინგები რომელთა შორის საქართველო სულ უფრო და უფრო წინ მიიწევა. იმედია, ეს წინსვლა გაგრძელდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტის მონაცემები, 2017.
2. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები, 2010.
3. მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები, 2017.
4. მშენებლობის განვითარების პრობლემები საქართველოში – (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კონფერენციის მასალები, 2011.

George Bregvadze

CONSTRUCTION DEVELOPMENT PROBLEMS IN GEORGIA

Summary

The problems of development of the construction in Georgia from period of transformation of the post Soviet Union is analyzed in this work.

It's also planned those reasons which will help to develop this sphere.

Construction is one of the oldest branch in the world and one of the sector of economic activity. The share of construction in a total sector of economy is 8,3% following agriculture, commerce and transport and communications in Georgia. The construction in our country always occupied a significant place. Construction industry was well developed before the collapse of the Soviet Union. For example, even in 1990-1991, 2332 thousand. square meters of residential buildings came into commission.

from 1992-93 till 1998 the growth rate of construction declined considerably which was caused by the collapse of the soviet state, on the one hand, and by the transition from one economic system to the other one, on the other hand. This is the period when all the sectors of economy began to decline in general. In addition _ military activities first in Samachablo and then in Abkhazia. At the end of 1991 Civil war began followed by chaos and ruin of central districts of Tbilisi. Coupon, money equivalent, that was issued at that period, was depreciated rapidly. Russian rouble and US dollar were mainly used in the country. As a result of various intrigues private deposits of people were lost entirely causing their full impoverishment. In such conditions any construction including individual house – building has been discontinued. The concentration of displaced persons from Abkhazia and Samachablo chiefly in Tbilisi has raised sensibly the price of flats, only a few people – mainly nouvoviches can manage to build house or buy already completed flats. Because of hard economic and financial conditions even the state itself had to decrease investment in fixed capital of

construction and if in 1990 (in comparable prices) it was 77 million lari, in 1997 it decreased to 1 million Lari.

Currency reform was carried out in 1995. "Lari", national currency has been issued which is still comparatively stable currency, at the same time economic reforms have been carried out, privatization has begun and is still in force. Expedient legislative base has been created to develop and stabilize the country economy. As a result of taken measures a criminal situation has been improved. The stabilization has set which conditioned the development of construction business.

The measures realized by a new government being at power are oriented at the construction of new and restoration of old owing to which many buildings have been restored and many of them built for governmental institutions, including: police buildings, military barracks, hydro-electric power stations commercial centers, hotels, enterprises etc.

The rate of infrastructure development was increased; the construction of roads, tunnels and bridges began on a country scale. This is one of the main components of four point projects of the government and for rapid fulfillment of this plan everything is done in the country as a whole. As to regions and infrastructure 8,4 billion Lari has been spent only for the development of road infrastructure, thus creating thousand of new working places.

In 2013-2016, in comparison with 2007-2012, two times more roads were built a year on average. In 2013-2016, in comparison with 2008/-2013 highway almost three times longer were built and 2,6 times more bridges were constructed.

From 2013 more than half a billion Lari, have been spent to solve the problem of water – supply of population. The projects, total value of which is nearly 1,5 billion Lari has been already begun, as a result of which nearly 500 hundred man in addition will be provided with high quality water supply for twenty-four hour in 2020.

The volume of gas-supply work significantly increased. In 2013-2017 more than 200 thousand subscribers were supplied with gas in a country scale. In addition in 2014-2015 13459 families of 52 villages situated at a dividing line of occupied territory were included into natural gas network. Investment in gas-supply work was 607,2 million Lari. In 2015-2015 24 villages not electrified before were supplied with electricity. The process of inquiry of such villages is underway today. From 2013 up to day 19 hydroelectric power plant, 1 wind power plant and 2 thermal power plants have been exploited. The total installed capacity is 789 megawatt. Total investment exceeded 1 billion dollars.

In 2017 to ministry of regional development and infrastructure 1258047000 Lari has been allotted including 84917700 Lari for the development of road infrastructure, for rehabilitation and reconstruction of regional and municipal infrastructure - 176190000 Lari; for the renewal of water-supply infrastructure – 183950000 Lari.

In 2016, 1565, 9 million US dollar of foreign investment was carried out including 489,5 million Lari for construction, the most of which (239,7 million Lari) was spent on residential and non residential buildings on the construction of roads and railways – 50,5 million Lari.

We hope that owing to right state policy the country economy as well as construction business will gradually come out from crisis, the signs of which are already visible.

Hence, as a result of right economic policy of governmental Georgia is overcoming economic crisis and is on the way of rise that is confirmed by world ratings showing the progress of Georgia. We hope this progress will be continued.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИННОВАЦИОННОГО РАЗВИТИЯ ПОЛЬШИ

***Аннотация.** В работе рассматривается роль государства в обеспечении инновационной политики в Польше. Подчеркивается, что в последние годы особая роль в инновационных процессах отводится государственным институтам и программам. Польша принадлежит к странам аутсайдеров на инновационной карте Европы. По этой причине в начале 2010-х годов в Польше началась долгосрочная реформа научно-технической сферы (сопровождаемая также некоторыми изменениями в системе высшего образования), нацеленная на децентрализацию управления наукой, а также повышение кооперации между бизнес-сообществом и научно-исследовательскими институтами, работающими над коммерчески значимыми проектами.*

Среди ключевых программ и событий реализации инновационной политики государственными институтами Польши необходимо выделить прежде всего «План на благо ответственного развития», названного также «планом Моравецкого» согласно фамилии его автора – министра экономического развития Матеуша Моравецкого, что обеспечило значительное повышение уровня инноваций в Польше.

Этот план был принят правительством Польши 16 февраля 2016 года и представляет собой новую модель и стратегию сбалансированного экономического развития страны в будущем.

Главные идеи плана – это поддержка развития польских компаний, их производительности, расширения внешнего влияния и равномерное развитие всей страны, больше инвестиций и увеличение расходов на инновации, интенсивное сотрудничество науки и бизнеса, рост ВВП при одновременном высоком качестве, упрощение работы компаний и популяризация экономики. Эти и другие меры позволили Польше уже в этом году значительно улучшить свои показатели и подняться в ГИ с 45-го места 2015 года (46 баллов) на 39 (на семь пунктов) среди 128 стран, получив 44,2 баллов из 100 возможных пунктов.

Из всего вышеизложенного можно сделать вывод, что анализ опыта обеспечения инновационной политики государственными институтами и программами в Польше позволит использовать в Грузии наиболее положительные его инструменты.

***Ключевые слова:** наука, инновации, государственная политика, информационные ресурсы*

Введение

Польша оказалась чрезвычайно устойчивой перед лицом финансового кризиса 2009 года и продолжала активно расти и догонять другие страны ОЭСР по показателю ВВП на душу населения. Темпы роста ВВП страны составили в среднем 3,1% с 2007 по 2014 год, при этом годовые расходы на исследования и инновации увеличились с 0,56% до 0,94% ВВП, но они по-прежнему ниже среднего показателя по ОЭСР (2,38%). Правительство стремится к достижению уровня 1,7% ВВП к 2020 году, решая задачи укрепления государственной исследовательской системы, расширения инновации в бизнесе и улучшения инновационных навыков рабочей силы. Основными катализаторами долгосрочного развития страны, а также ее политики являются Стратегия инноваций и эффективности экономики - Динамичная Польша 2020 (2013-20), Программа развития предпринимательства (EDP) и Национальная исследовательская программа (NRP). Кроме того была внедрена оперативная программа «Умный рост»

(2014-20), направленная на повышение инновационности и конкурентоспособности экономики путем финансирования инвестиций в исследования, разработки и инновации при поддержке европейских структурных фондов.

Анализ опыта обеспечения инновационной политики государственными институтами и программами в Польше позволит использовать в Грузии наиболее положительные его инструменты, что повышает актуальность разрабатываемой темы.

* * *

Способность к инновациям имеет жизненно важное значение для экономики каждой страны. Западу потребовались десятки лет, чтобы стать инновационным, Польша же принадлежит к странам аутсайдеров на инновационной карте Европы. По этой причине в начале 2010-х гг. в Польше началась долгосрочная реформа научно-технической сферы (сопровождаемая также некоторыми изменениями в системе высшего образования), нацеленная на децентрализацию управления наукой, а также повышение кооперации между бизнес-сообществом и научно-исследовательскими институтами, работающими над коммерчески значимыми проектами. Важным подспорьем в проведении реформ для Польши была финансовая поддержка со стороны Европейского Союза: в 2007-2013 гг. из европейских фондов было выделено более €4млрд на поддержку реформирования польской науки и образования. Хотя окончательные итоги реформы подводить преждевременно, можно говорить о том, что общее состояние польской науки и образовательной системы вполне соответствует общеевропейским стандартам, несмотря на ряд заметных недостатков в национальной научно-технической системе и сфере высшего образования.¹

Итогом этого процесса стало оформление трехсекторной модели научно-технической отрасли – выделились сектор государственных НИИ (состоящий преимущественно из институтов, входящих ранее в системы Академии Наук), сектор частных исследовательских лабораторий и институтов, а также академический сектор, который занимал промежуточное положение, соприкасаясь и с государственным, и с частным заказом на проведение научных исследований.

При этом можно выделить некоторые основные направления государственной научной и инновационной политики:

1) Ответ на новые вызовы

Для решения таких проблем, как здравоохранение и окружающая среда, правительство ввело стратегические научно-исследовательские программы СТРАТМЕД (2013-18) и ИННОМЕД (2013-2018) для здоровья и БИОСТРАТЕГ (2014-19) для окружающей среды, сельского хозяйства и лесного хозяйства. Польская промышленность в значительной степени зависит от угля как источника энергии, а правительство поддерживает исследования в области возобновляемых источников энергии и экономики с низким уровнем выбросов в рамках программы «Голубой газ - Польский сланцевый газ» (2012-17) и технологий производства энергии через программу GEKON (2013-16). Программа GREEN EVO также способствует польским экологическим технологиям. Национальный план действий по устойчивым государственным закупкам (2013-16) направлен на поощрение подрядных органов к включению экологических и социальных вопросов в публичные торги.

¹<http://cyberleninka.ru/article/n/integratsiya-stran-vostochnoy-evropy-v-evropeyskoe-nauchno-tehnicheskoe-prostranstvo-opyt-polshi-i-vengrii-2004-2014-gg#ixzz4QeXhXhX>

2) Глобализация

Польские инновационные фирмы лучше интегрированы в международные инновационные сети, чем их академические коллеги. Инициатива MOBILITY PLUS поддерживает академических исследователей, которые работают за границей в течение от 6 до 36 месяцев. Поддержка интернационализации инновационных фирм была сосредоточена на интернационализации МСП и повышении их конкурентоспособности.

3) Профессиональные навыки для инноваций

Расходы Польши на высшее образование в виде доли ВВП находятся чуть ниже среднего показателя по ОЭСР. Программы поддержки развития навыков включают TOP 500 Innovators (2013-15) и программу LIDER (2009-17), а образование в сфере предпринимательства стало обязательным в польских университетах. Программа развития высшего образования и науки на 2015-2030 годы направлена на повышение качества образования и исследований, ориентируясь на социальные и экономические потребности страны.

4) Трансфер технологий и коммерциализация

Для улучшения коммерциализации результатов исследований участники проектов развития (2012-15) должны подписать соглашение о консорциуме между исследовательскими организациями и предприятиями. Программа BRIDGE VC (2013-17) поддерживает коммерциализацию результатов публичных НИОКР. С 2013 года пилотные проекты по инновационным ваучерам поддерживали опытных предпринимателей, которые сотрудничали с исследовательским сектором. Национальным центром исследований и разработок (NCBiR) финансируется новый исследовательский центр обработки данных OCEAN, который нацелен на создание электронной инфраструктуры для хранения открытых данных, а также средств и экспертизы для анализа больших данных.

5) Кластеры и региональные стратегии

Польша разработала национальные и региональные стратегии интеллектуальной специализации посредством консультаций с заинтересованными сторонами и форсайта. Несколько стратегий направлены на содействие разработке кластерной политики, такой как Стратегия инноваций и эффективности национальной экономики (SIEG) и Программа развития предприятий (PRP). Семь кластеров в настоящее время имеют статус ключевых национальных. Новые отраслевые инновационные программы включают INNOLOT (2013-18), TECHMATSTRATEG для технологий новых материалов и INNOSBZ для автоматизированных систем, а INNOTEXTILE обеспечивает инновационную поддержку текстильной промышленности и INNOCHEM для химической промышленности.

Для того, чтобы оценить в целом уровень развития инноваций в Польше используются следующие сравнительные основные источники информации:

- Платформа по вопросам инновационной политики ОЭСР и Всемирного банка (IPP- Innovation Policy Platform)
- Научно-инновационная обсерватория Евросоюза (RIO -Research and Innovation Observatory)
- Глобальный индекс инноваций (GII -The Global Innovation Index)
- Сравнительный аналитический обзор Bruegel (Brussels European and Global Economic Laboratory)
- Опрос Deloitte «Корпоративный R&D»

Наиболее полная информация, а также аналитические материалы, раскрывающие уровень инновационности стран, в том числе Польши², представлены на сайте Платформы по вопросам инновационной политики ОЭСР и Всемирного банка (IPP). Приоритет данной платформы был подтвержден на заседании «Группы Двадцати», одним из участников которой является Евросоюз, в 2016 году в Пекине.

Еще одним новым, но эффективным информационным ресурсом с данными об инновационном развитии стран, в том числе Польши, является Научно-инновационная обсерватория Евросоюза (RIO)³, созданная при поддержке Программы Horizon 2020. На сайте RIO отслеживается и дается анализ исследований и инновационных разработок на уровне стран и ЕС в целом для поддержки более эффективной политики принятия решений в Европе. RIO разработан совместно Объединенным исследовательским центром двух Директоратов Еврокомиссии по исследованиям (JRC) и инновациям (RTD).

Традиционно в мире используются данные Глобального индекса инноваций (The Global Innovation Index)⁴, который рассчитывается по методике международной бизнес-школы INSEAD и Всемирной организации интеллектуальной собственности (WIPO). GIИ составлен на основе 80 различных переменных, детально характеризующих инновационное развитие стран мира, находящихся на разных уровнях экономического развития и отражающих как наличие инновационного потенциала, так и условия для его воплощения. В GIИ Польша в 2016 году заняла 39 место среди 128 стран, получив 44,2 баллов из 100 возможных пунктов, поднявшись с 45-го места 2015 года на семь пунктов (46 баллов).

Здесь можно отметить, что и Грузия значительно улучшила свои показатели и поднялась с 73 места 2015 г. (имея 33,8 балла) на 64 место в 2016 г., получив 33,9 балла, т.е. на 9 пунктов.

Новые данные представлены в августе 2016 года в аналитическом обзоре центра Bruegel – Brussels European and Global Economic Laboratory⁵. Деятельность этого мозгового центра является уникальной. Его членами являются как государства, включая Польшу, так и крупные международные корпорации, международные экономические организации. Bruegel основан в 2005 году, он выполняет миссию повышения качества экономической политики через открытые и основанные на фактах исследования, анализ и обсуждения. Обзор Bruegel показал, что существует значительный разрыв между странами Европейского союза с наибольшей способностью к инновациям и с наименьшим инновационным потенциалом. Процесс сближения здесь идет очень медленно и неравномерно и в последнее время очевидно остановился.

Особо слабым местом являются корпоративные инвестиции в научные исследования. Для достижения своих амбиций стать мировым лидером инноваций Евросоюз должен лучше понять эту растущую внутреннюю инновационную пропасть.

Так, данные амбиции пока не привели к росту производительности. Согласно Европейскому Табло Инновационного союза – Innovation Union Scoreboard (IUS), сводному показателю для оценки инновационной деятельности, уровень ЕС составляет лишь 81% от Соединенных Штатов.

²<https://www.innovationpolicyplatform.org/content/poland>

³<https://rio.jrc.ec.europa.eu/en/country-analysis/Poland>. См. также специальный ресурс Еврокомиссии Smart Specialisation Platform (S3P) <http://s3platform.jrc.ec.europa.eu/regions/PL?s3pv=1>

⁴<https://www.globalinnovationindex.org/home>

⁵<http://bruegel.org/2016/04/the-european-unions-growing-innovation-divide/>

Благодаря реализации «Плана на благо ответственного развития», названного также «планом Моравецкого» согласно фамилии его автора – министра развития Польши Матеуша Моравецкого, уровень инноваций в Польше значительно вырос. Данный план опирается на индустриализацию и инновации и сконцентрирован на поддержке приоритета R&D&I («исследования-разработки-инновации») с использованием фондов ЕС, программ развития различных секторов и сильного рынка венчурного капитала. Согласно плану, в законы были внесены изменения с целью устранить барьеры, стоящие на пути инноваторов для укрепления связей между бизнесом, промышленностью и наукой, а также для развития человеческого и социального капитала, что является одним из важнейших элементов, отвечающих за повышение инновационности польской экономики.

Этот план был принят правительством Польши 16 февраля 2016 года и представляет собой новую модель и стратегию сбалансированного экономического развития страны в будущем.

В Польше сегодня действует 2 400 стартапов, более 60% из них развиваются благодаря собственным средствам, а одна пятая получила финансирование из фондов венчурного капитала. Программа «Start In Poland» может принести значительные позитивные изменения. Она располагает почти 3 миллиардами злотых (около 630 млн евро) на развитие инновационных проектов и поощрение частного капитала.

«Start In Poland» – это проработанная Министерством экономического развития совместно с Советом по вопросам инноваций программа для инновационной отрасли, стартапов и венчурного капитала и является самой крупной программой в своем роде в Центральной и Восточной Европе. Она объединит проекты различных организаций, которые до этого момента осуществлялись в меньших масштабах. Ее главный элемент состоит в создании в рамках Польского фонда развития новой платформы инвестиций в проекты на ранней стадии развития. Компании получают помощь как в стадии инкубации и акселерации, так и на этапе дальнейшего развития и международной экспансии.

Польский фонд развития (Polish Development Fund, PDF) создаст пять частных инвестиционных фондов. PDF будет финансировать половину стоимости инвестиций, а еще 50% будет поступать от частных инвесторов. По оценкам Министерства развития, в течение следующих семи лет в Польше могут появиться и расширить свою деятельность более 1,5 тыс. компаний, ориентированных на создание высококачественных инновационных технологий, которые будут достойными конкурентами имеющимся игрокам на внешних рынках. Первым пилотным проектом программы «Start In Poland» станет конкурс Scale-UP, который проводит Польское агентство развития предпринимательства. Бюджет конкурса составит 35 млн злотых (около 8 млн евро)⁶.

Государство способствует укреплению сетей сотрудничества и развитию социального капитала. Интервью на уровне фокус-группы из представителей фирм и «Smart-Labs» промышленности, проведенные Всемирным банком, показали, что даже самые выдающиеся предприниматели часто скептически относятся к сотрудничеству с другими. В ходе многочисленных встреч предприниматели из одного региона и представители промышленности впервые обменивались визитными карточками. Взаимное доверие и приверженность к совместной работе для достижения общих целей часто практически отсутствует. Это особенно важно для повышения уровня инноваций, где многие идеи требуют затрат, превышающих емкость одного бизнеса.

⁶Подробнее на <https://ru.insider.pro/topnews/2016-06-16/polsha-investiruet-eur630-mln-v-startapy/>

Вопреки стереотипам, государство может быть инновационным. Многие страны в мире, начиная с США, которые официально не проводят промышленную политику, показали, что именно государство, а не частный сектор вдохновляет инновационный прорыв. Польша также показала, что государство может быть инновационным: блок польского Navy Seals (так называемый GROM) является отличным примером государственного сектора, который является инновационной, хорошо организованной и эффективной системой.

Для инноваций необходимо сильное государство, которое будет рассматривать инновации в качестве своего главного приоритета, поможет предприятиям уйти от феодальной ловушки развития, основанной на низкой заработной плате, ограниченных правах работников и малоэффективных налогах. В Польше сегодня поставлена задача создать государство, которое обеспечит наилучшие условия для ведения бизнеса.

Заключение

На основе анализа опыта обеспечения инновационной политики государственными институтами и программами в Польше целесообразно использовать для Грузии следующие положительные инструменты:

- Внести аналогичные «Плану на благо ответственного развития» (Моравецкого) изменения в законодательство с целью устранить барьеры, стоящие на пути инноваторов для укрепления связей между бизнесом, промышленностью и наукой, а также для развития человеческого и социального капитала.
- Принять Программу Start In Georgia (которая и была принята в 2016 г.). На первом этапе на осуществление программы выделено 11 миллионов лари (примерно 4,8 млн долларов), а в дальнейшем бюджет вырастит до 35 миллионов лари (более 15,2 млн долларов).
- Создать Совет по вопросам инноваций высшего уровня и Агентство поддержки экспорта.
- Повысить роль государственных институтов и программ в инновационных процессах, в том числе в разделении рисков, обучении предпринимателей, укреплении сетей сотрудничества и в государственных закупках.

Использованная литература

1. <https://www.globalinnovationindex.org/home>
2. <http://bruegel.org/2016/04/the-european-unions-growing-innovation-divide/>
3. <https://www.innovationpolicyplatform.org/content/poland>
4. <http://cyberleninka.ru/article/n/integratsiya-stran-vostochnoy-evropy-v-evropeyskoe-nauchno-tehnicheskoe-prostranstvo-opyt-polshi-i-vengrii-2004-2014-gg#ixzz4QeVJ6R8f>
5. http://articlesarchive.net/ec__europa__eu--research--innovation-union--pdf--state-of-the-union--2014--iuc_progress_report_2014__pdf.html, (pp.217-227)
6. <https://www2.deloitte.com/ru/en/misc/search.html#qr=poland>
7. <https://www.mr.gov.pl/strony/aktualnosci/pierwsza-inicjatywa-w-ramach-programu-start-in-poland/>
8. <http://sputnik-georgia.ru/society/20160901/233125116/Nagrazhdeny-36-pobeditelej-programmy-Startup-Gruzija.html>

SOME ISSUES OF INNOVATIVE DEVELOPMENT OF POLAND

Summary

The role of the state in providing innovative policy in Poland is considered in the work. It is emphasized that in recent years the special part in innovative processes is assigned to the state institutes and programs. Poland belongs to the countries outsiders on the innovative map of Europe. For this reason at the beginning of the 2010th years in Poland the long-term reform of the scientific and technical sphere (accompanied also by some changes in the system of the higher education), aimed at decentralization of management of science and also increase in cooperation between the business community and research institutes working on commercially significant projects has begun. It is necessary to distinguish from key programs and events of realization of innovative policy by the state institutes of Poland first of all "The plan for the benefit of the responsible development" called also by "Moravetsky's plan" according to a surname of his author – the Minister of Economic Development Mateusz Moravetsky that has provided substantial increase of level of innovations in Poland. This plan was accepted by the government of Poland on February 16, 2016 and represents a new model and the strategy of the balanced economic development of the country in the future. The main idea of the plan is a support of development of the Polish companies, their productivities, expansions of external influence and uniform development of the whole country, more investments and increase in expenses on innovations, intensive cooperation of science and business, GDP growth at simultaneous high quality, simplification of work of the companies and promoting of economy. These and other measures have allowed Poland this year to improve considerably the indicators and to rise in GII from the 45th place of 2015 (46 points) on 39 (by seven points) among 128 countries, having got 44,2 from 100 possible points. From all above it is possible to draw a conclusion that the analysis of experience of providing innovative policy by the state institutes and programs in Poland will allow to use its most positive tools in Georgia.

ლია დავლაშერიძე

**ატმოსფეროს დაცვა – მდგრადი განვითარების
ერთ-ერთი აუცილებელი პირობა**

ანოტაცია. ნაშრომში მიმოხილულია მდგრადი განვითარების არსისა და მნიშვნელობის შესახებ. ახსნილია, როგორ დაიწყო და განვითარდა ადამიანის და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე და რა მდგომარეობა გვაქვს დღეს, განხილულია ატმოსფეროს როლის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შესახებ დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. მითითებულია მისი მთავარი დამაბინძურებელი ანთროპოგენური წყაროების შესახებ, ამასთანავე როგორ განიცდის გარემოს ზეგავლენას საზოგადოება და ეკონომიკა.

გამოკვეთილია სტატისტიკური კავშირის შესახებ ჰაერის დატუჭყიანების დონესა და სხვადასხვა დაავადებებს შორის.

აღნიშნულია XXI საუკუნეში საზოგადოების მდგრადი განვითარების აუცილებელი პირობების შესახებ, თუ რაზე უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი.

მითითებულია, როგორ უნდა გაანალიზდეს ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება, როგორ უნდა შეფასდეს ყოველი ეკონომიკური პროექტი და რას უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა.

საკვანძო სიტყვები: ეკოლოგიური პრობლემები, ანთროპოგენური დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, გამონახობა, გაფრქვევების ნორმა, ნარჩენების გაუვნებელოება.

შესავალი

ძალაუფლებისაკენ სწრაფვის დროს ადამიანები ხშირად ბუნებასთან წინააღმდეგობაში მოდიან, ფიტავენ რა ბუნებრივ რესურსებს და ეკოსისტემებს განვითარების სახიფათო რეჟიმებში აყენებენ. კაცობრიობის ტექნოლოგიური სიმძლავრის თანამედროვე დონეზე ამგვარი კონფლიქტები ხშირად ზოგადსაკაცობრიო გლობალურ ხასიათს იძენს და მათი გადაწყვეტა მთელი კაცობრიობის ძალისხმევას საჭიროებს. ასე წარმოიქმნება ხოლმე გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

ბოლო პერიოდში ეკონომიკა შედის მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტადიაში, რომელიც დღესაც გრძელდება. საერთოდ, აღნიშნულ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა.

დღეს პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ცხოვრების კომფორტული პირობების შენარჩუნება გახდა. მწარმოებლურობის ზრდის ნაცვლად მდგრადი განვითარება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის უმთავრეს მიზნად არის აღიარებული. ეს ნიშნავს, რომ მდგრადობის პრინციპების გავლენის შესწავლას წარმოების სისტემის რელევანტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

* * *

გლობალური ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. დღეს პრიორიტეტული მიმართულება გარემოს დაცვა და ცხოვრების კომფორტული პირობების შენარჩუნება გახდა. მწარმოებლურობის ზრდის ნაცვლად მდგრადი განვითარება მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის უმთავრეს მიზნად არის აღიარებული - ეს ნიშნავს, რომ მდგრადობის პრინციპების გავლენის შესწავლას წარმოების სისტემის რელევანტურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მდგრადი განვითარება - კაცობრიობის და ბუნების ერთობლივი განვითარების უზრუნველყოფა, თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ აღიარებული მიზანი გახდა.

ბოლო წლების ყველა საერთაშორისო დოკუმენტი და შეთანხმება, აგრეთვე მრავალი ქვეყნის პროგრამული დოკუმენტი შეიცავს თეზისს მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიულ განვითარებას მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

„ყველას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოცვაში, ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაოს და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“.

მდგრადი განვითარების არსი და ამოცანები განისაზღვრა საერთაშორისო კომისიის - „გარემოსა და მისი განვითარების შესახებ“ - მიერ 1992 წელს ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ კონფერენციაზე, სადაც შემუშავდა და მიღებულ იქნა პროგრამა „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“.

„XXI საუკუნის დღის წესრიგში“ ჩართული მიზნები ითვალისწინებს მთელ რიგ დონისძიებებს: დაჭაობებული მიწებისა და უდაბნოების დაცვას, ჰაერისა და წყლის დაბინძურების დონის შემცირებას, ენერჯის წყაროების გამოყენების სრულყოფას და ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენებას, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების და რადიაციული ნარჩენების უფრო ეფექტიან უტილიზაციას (განადგურება, გაუვნებლყოფა), აგრეთვე ბრძოლას დაავადებების და შიმშილის წინააღმდეგ. მოიცავს რა ბუნების დაცვისა და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ ასახავს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელთანაც შეხება აქვს კაცობრიობას.

ადამიანის და ბუნების ურთიერთობა ჩვენს პლანეტაზე ადამიანთა გაჩენის დღიდან იწყება. ის გავლენას ახდენდა და დღესაც ახდენს გარემომცველ ბუნებაზე. თავდაპირველად ადამიანი უძლური იყო და მისი გავლენაც უმნიშვნელო. დედამიწის მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ, ასევე მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანს ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაუადვილა.

გარემომცველი ბუნების გარდა, ადამიანს არსებობის სხვა წყარო არ აქვს. რასაც ისინი ბუნებისაგან იღებენ, შემდეგ სულ სხვა სახით გამოყენებით, სხვა ადგილზე და სხვა რაოდენობით უბრუნებენ ბუნებას.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტექნოგენური განვითარების ტიპი სხვადასხვა დონის, ხასიათის, მასშტაბის მქონე ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობისა და გამწვავების მიზეზია. ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწაზე პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. მატულობს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნობა, ნიადაგის, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში მთელ მსოფლიოში გახდა აქტუალური ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემა.

ატმოსფერული ჰაერი, რომელიც ირგვლივ აკრავს დედამიწას და მასთან ერთად ბრუნავს, გარემოს ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი და სიცოცხლის წყაროა დედამიწაზე. მისი მნიშვნელობა შეუფასებელია ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

ატმოსფეროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის. აირის ფენები დედამიწის ზედაპირზე არ უშვებს მეტეორიტებს, ოზონის ეკრანი იცავს გამოსხივებისაგან, ჟანგბადის გარეშე წარმოუდგენელია სუნთქვა, ლპობა და წვა. ნახშირორჟანგი სითბური ეკრანია, ის იკავებს დედამიწისაგან გამოსხივებულ სითბოს და გამოიყენება მცენარეების მიერ ფოტოსინთეზისათვის. წყლის ორთქლის როლი ატმოსფერულ მოვლენებში მეტად დიდია. მისი შეკუმშვა იწვევს ღრუბლებისა და ნალექების წარმოქმნას, ხოლო მის გარდაქმნას თან სდევს სითბოს დიდი რაოდენობით შთანთქმა ან გამოყოფა. მტვრის ნაწილაკები წარმოადგენს წყლის ორთქლის კონდენსაციის უმცირეს ბირთვებს.

ცნობილია, რომ ადამიანი ყოველდღიურად დაახლოებით 1 კილოგრამ საკვებს, ერთნახევარ კილოგრამ წყალს, ხოლო ჰაერს მოსვენებულ მდგომარეობაში 12 კგ-ს და ფიზიკური დატვირთვისას 10-ჯერ მეტს იღებს. ამასთან, საკვების ვარგისიანობის შემოწმება შესაძლებელია, ასევე დაბინძურებული წყლის გაწმენდაც, მაგრამ ჰაერს ადამიანი ღებულობს ისეთს, როგორც არის გარემოში. აქედან გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისაგან.

ზოგადად, ატმოსფეროს დაბინძურება არის ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში დამაბინძურებელ ნივთიერებათა არსებობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განაპირობებს როგორც ტექნოგენური, ასევე ბუნებრივი დაბინძურების წყაროების ფუნქციონირება. მაგრამ უმთავრესი დამაბინძურებელი ანთროპოგენური წყაროებია: ტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოები, ენერგეტიკული ობიექტები და სოფლის მეურნეობა.

ზოგადად წვის პროცესები ატმოსფერული ჰაერის ერთ-ერთი უმთავრესი დამაბინძურებელია ისეთი მავნე ნივთიერებებით, როგორცაა ნახშირბადის მონოქსიდი, აზოტისა და გოგირდის ოქსიდები, მყარი ნაწილაკები და ა.შ. ისინი ჰაერში დაგროვებისას ცვლიან მის ბუნებრივ ფიზიკო-ქიმიურ შემადგენლობას და კონცენტრაციის გარკვეულ ზღვრამდე მიღწევის შემდეგ ეს ნივთიერებები უარყოფითად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემებსა და მატერიალურ ფასეულობებზე.

გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

გარემოს ზეგავლენას განიცდის როგორც საზოგადოება, ასევე ეკონომიკაც. სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები გადაიტანება ჰაერის მასების მიერ და ვრცელდებიან საკმაოდ დიდ მანძილებზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური დატუჭყიანება.

ჩემი აზრით, თანამედროვე სამყაროსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები.

ერთ-ერთ უპირველეს გლობალურ პრობლემად ეკონომისტები მსოფლიო ეკოლოგიურ პრობლემას მიიჩნევენ.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, ბუნებრივი რესურსების ინტენსიურმა გამოყენებამ, გარემო პირობების დაბინძურებამ და გაღარიბებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია კაცობრიობის ცხოვრებაში. აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა მეოცე საუკუნეში გაანადგურა 1/4 მსოფლიო მიწის სავარგული, 2/3 – ტყის მასივი. არასასურველი სამრეწველო ნარჩენების მოცულობამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოიმატა 2,5-ჯერ, წყლის დაბინძურება ამავე პერიოდში გაიზარდა 10-ჯერ.

მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მსოფლიო 60-იანი წლებიდან, ბირთვული იარაღის ტესტირებიდან გლობალური კლიმატის ცვლილებამდე, თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები არ გაჩენილა XX საუკუნეში.

ცნობილია, რომ ატმოსფერული ჰაერის დაჩქარებულ დატუჭყიანებას დასაბამი დაედო XIX საუკუნიდან, როცა მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა სახის სითბოს მოხმარება. ამასთან დაკავშირებით, სამრეწველო ქალაქებში ჰაერის სისუფთავე და

ხარისხი თანდათან უარესდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი სრულიად შეუმჩნეველი დარჩა XX საუკუნის დასაწყისამდე, როცა პირველად დაიხსნა ატმოსფერული ჰაერის დაცვის პრობლემა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას ხელს უშლიდა ერთგვარი მოჩვენებითობა, რომ ყოველწლიურად ატმოსფეროში გამოშვებული ასობით მილიონი ტონა გამაჭუჭყიანებელი ნივთიერება წარმოადგენს „ზღვაში წვეთს“. გარდა ამისა, გაჭუჭყიანებულ ჰაერს გააჩნია თვითფილტვრის უნარი. მასში არსებული ცალკეული გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები დროთა განმავლობაში ნაწილობრივ კარგავს ტოქსიკურობის თვისებებს. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, ატმოსფერული ჰაერის თვითფილტვრის ხანგრძლივი დრო სჭირდება და მანამ, სანამ ეს პროცესი თავისით განხორციელდება, გაჭუჭყიანებული ჰაერი იძლევა გარეგნულად შეუმჩნეველ, მაგრამ უარყოფით და ზოგჯერ სრულიად გამანადგურებელ ეფექტს.

ადამიანს არსებობისთვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

გარემოს დაცვის საკითხები 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისთვის და მაშასადამე მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მიყენოს მსოფლიო ეკონომიკას.

ადამიანი ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ადამიანის და ბუნების სხვა შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე, თავისთავად ღირებულებაა. ეს ფასეულობები მნიშვნელოვანია იმისდა მიუხედავად, თუ რა სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისათვის, შესაბამისად, კაცობრიობას არ აქვს უფლება გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანი ბუნებისგან 100%-ს ითხოვს, ხოლო თვითონ 15%-საც კი არ აბრუნებს. უამრავი გამონაბოლქვის კერები, როგორცაა ქარხნები, მანქანები და ა. შ. ზიანს აყენებს იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებში მომავლის შიშმა დაისადგურა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე, სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ამის შედეგია ის, რომ ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება ზიანის მომტანი. ფორმდება უამრავი ხელშეკრულება, რომელიც ავალდებულებს ქვეყნებს კონკრეტული კრიტერიუმების დაცვას, რომლის შედეგადაც უნდა შემცირდეს ისეთი საწარმოების რიცხვი, რომელიც გარემოსთვის ზიანის მომტანია. მაგ.: კიოტოს პროტოკოლი, კოპენჰაგენის სამიტი, მეხიკოს სამიტი და სხვ. თუმცა ეს აქტიურობა გარემოს დაცვაში ხშირ შემთხვევაში პატიოსანი მიზნებით არ არის განპირობებული. ხშირად ქვეყნებისთვის დაცვა კი არ არის პრიორიტეტული, არამედ ამ საკითხის როგორც პოლიტიკური ბერკეტის გამოყენება.

მიუხედავად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვისა სამრეწველო, ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო სექტორებში, ჰაერის დაბინძურება მთელ მსოფლიოში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია საავტომობილო პარკის თანამედროვე

ზრდის ტემპი, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ავტოტრანსპორტი ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სათბობ-ენერგეტიკული მასალების 20%-ზე მეტს მოიხმარს. ცნობილია, რომ მსოფლიოს დიდ ქალაქებში ყველა სახის ტოქსიკური ნაერთების ჯამური რაოდენობის 40-60% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის.

ავტოტრანსპორტი 200-ზე მეტ მავნე დამაბინძურებელს გამოყოფს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული ნახშირბადის ოქსიდი, ნახშირწყალბადები, აზოტის ოქსიდი, გოგირდის დიოქსიდი, ჰვარტლი, ბენზოფილინი და ნახშირბადის დიოქსიდი.

დადგენილია, რომ ერთი მსუბუქი ავტომობილი ყოველწლიურად შთანთქავს საშუალოდ 4 ტ ჟანგბადს, ნამუშევარ აირებთან ერთად გამოყოფს დაახლოებით 800 კგ ნახშირბადის მონოოქსიდს, 40 კგ აზოტის ოქსიდებს და თითქმის 200 კგ სხვადასხვა ნახშირწყალბადს.

პრობლემა უნივერსალურია, რადგან ჰაერის ნაკადები შეიძლება მოძრაობდეს სხვადასხვა კონტინენტზე. ერთი სიტყვით, ატმოსფერო, ბიოსფერო, ჰიდროსფერო და ლითოსფერო მთელი პლანეტისათვის ერთია.

საქართველოში ატმოსფერო ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში, დაწყებული 2006 წლიდან პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი (CO₂), 2013 წლის მონაცემებით იგი შეადგენდა 20,3%-ს, შემდეგ ნახშირწყალბადები, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი.

სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერი ძირითადად მესაქონლეობისა და მეფრინველეობის დარგების მიერ ბინძურდება. თუმცა, მას შემდეგ, რაც მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები გაუქმდა და მცირე საწარმოები შეიქმნა, საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება უფრო ლოკალური ხასიათისაა და სხვა სექტორების ფონზე ნაკლები ხარისხობრივი გავლენით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 90-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდეგ სამრეწველო სექტორიდან ჰაერის დაბინძურება საგრძნობლად შემცირდა, ბოლო პერიოდში იზრდება და ფართოვდება ადგილობრივი ბიზნეს-სექტორი, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.

მრეწველობის სექტორიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ატმოსფეროში მტვერი, აქროლადი ორგანული ნაერთები (აონ-ები), აზოტისა და გოგირდის ოქსიდები გაიფრქვევა, რომელთა რაოდენობრივი ცვლილების ხასიათი განპირობებულია საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობრივი ცვლილებით. საქართველოში განსაკუთრებით დიდი მტვერგაფრქვევით ხასიათდება მრეწველობის ისეთი ქვედარგები, როგორცაა: ცემენტის, გაჯის, ასფალტ-ბეტონის წარმოებები.

დღეისათვის მრეწველობის სექტორში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რამდენიმე მსხვილი ობიექტი, კერძოდ: ქვემო ქართლში – სს „ენერჯი ინვესტი“ (საწარმო „აზოტი“) და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ – რუსთავეცემენტი, იმერეთში – შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, შიდა ქართლში – შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ – კასპიცემენტი, ხოლო აჭარაში – შპს „ბათუმის ოილ ტერმინალი“.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაიზარდა, დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ კვლავ ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირქანგის გაფრქვევათა 87%; აზოტის ჟანგულების 70%; გოგირდის დიოქსიდი 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მანქანების უმეტესობა 10 წელზე მეტი ხნის არის, ბევრ მანქანას ტექნიკური პრობლემები აქვს, რაც კიდევ უფრო ზრდის დამაბინძურებელი ნივთიერებების გამოყოფას ჰაერში. გასათვალისწინებელია საწვავის დაბალი ხარისხი.

ეკონომიკის განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ატმოსფეროში დაგროვილი ნახშირორქანგის გაზი, ოზონის ფენის გაღარიბება, სითბური ეფექტები, რომლებიც იწვევს კლიმატის ცვლილებებს. ამცირებს ბუნებრივი სამეურნეო რესურსების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობებს, მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობასა და ცხოვრებაზე, რომელიც დროთა ვითარებაში შეიძლება გადაიზარდოს სტიქიურ კატაკლიზმებში.

მაგნე ნივთიერებათა უმრავლესობა ადამიანის ორგანიზმში სასუნთქი ორგანოებიდან ხვდება, აღწევს ფილტვებში და ილექება. ორგანიზმში შეღწეული ნივთიერებები იწვევს ტოქსიკურ ეფექტს.

დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დატუქციანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც არის ზედა სასუნთქი ორგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ფილტვების ეფიზემა და სხვა.

ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენს ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს რადიოაქტიური ნივთიერებები, სითბური გატუქციანება (ტემპერატურის გაზრდა), ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები. ქიმიურ ზემოქმედებას ახდენს თხევადი ნახშირწყალბადები, სარეცხი საშუალებები, პლასტმასები, პესტიციდები და სხვა სინთეტიკური ნივთიერებები. წარმოშობის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანთროპოგენური) წარმოშობის მინარევებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარევები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანთროპოგენური წარმოშობის მინარევები წარმოიქმნება, უპირველეს ყოვლისა, საწვავის წვის პროცესში. შიდა წვის ძრავებში, თბოელექტროსადგურებში, გამათბობელ სისტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად.

როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, ჭვარტლის მიკროსკოპული ნაწილაკების შემცველი ჰაერის ჩასუნთქვა ვენების თრომბოზის რისკს ზრდის. ახალი კვლევების მიხედვით, დაბინძურებული აირი აუტიზმისა და შიზოფრენიის განვითარების წინაპირობაც ყოფილა. ბოლო დროს მომატებული სიმსივნური დაავადების მიზეზად მედიკოსები დაბინძურებულ ატმოსფეროსაც ასახელებენ. დედაქალაქში ჰაერის დაბინძურება სისხლძარღვებისა და ქრონიკული დაავადების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზადაა მიჩნეული.

ქვეყანაში სატრანსპორტო გაფრქვევების დიდი რაოდენობის შესამცირებლად სხვადასხვა უწყების მიერ კომპლექსური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების დასაშვები ასაკობრივი ზღვრის დაწესება და მისი თანდათანობით შემცირება, საავტომობილო საწვავის ხარისხის და ავტომობილების გამონაბოლქვის ნორმების ეტაპობრივი გამკაცრება და მათი კონტროლი, ელექტროტრანსპორტის განვითარება და ა. შ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესამჩნევი ხდება ღია სივრცეებისა და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო ობიექტების გამწვანებასა და ტყის მეურნეობის განვითარებას ერთი პექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან უანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. 1 ჰა ტყე 10-15-ჯერ მეტ უანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. დღეს აქცენტი კეთდება რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენებიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქტის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა. შ.

XXI საუკუნეში საზოგადოების მდგრადი განვითარება წარმოდგენილია მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების გარეშე. თუმცა XX საუკუნეში ეკოლოგიურმა აზროვნებამ დღის წესრიგში დააყენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებიდან გარემოს დაბინძურების რეგულირება. რათა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საქმიანობისათვის საშიში არ ყოფილიყო.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ეკოლოგიური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს დედამიწის დაცვა მომხმარებლური დამოკიდებულებისაგან, რათა უზრუნველყოთ მომავალი თაობების უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებების რეგულარული წარმოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ჰაერის ფაქტობრივი მდგომარეობის

შესახებ ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მისაღებად, რომლის განზოგადება სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ეკონომიკის სტაბილურობის პერიოდში საქართველოს 11 ქალაქში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვების 33 სტაციონარული ჯიხური ფუნქციონირებდა (მათ შორის 8 დაკვირვების პუნქტი თბილისში), სადაც დღე-ღამეში 4-ჯერ იზომებოდა ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებები: მტვერი, ნახშირბადის მონოოქსიდი, აზოტის ოქსიდები, გოგირდის ანჰიდრიდი. გარდა ამისა, ქალაქებში განლაგებულ წარმოებათა კონკრეტული საწარმოო ციკლიდან გამომდინარე, დამატებით იზომებოდა სპეციალურ კომპონენტთა კონცენტრაციებიც.

ბოლო 15-20 წლის მონაცემები საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ მეტად მწირია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირის, დაკვირვებად ნივთიერებათა არასაკმარისი რაოდენობისა და გაზომვების სიხშირის გამო (დღე-ღამეში 3-ჯერ) ვერ ხერხდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების ინდექსის გაანგარიშება და საქართველოს ტერიტორიის დაყოფა დაბინძურების დონეების მიხედვით.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო. დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ხუთ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონსა და რუსთავში.

მოცემულ ქალაქებში ჰაერის ხარისხი დასაშვებ დონეზე დაბალია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირე არ იძლევა საშუალებას, ჰაერის ხარისხი სრულყოფილად შეფასდეს თუნდაც ამ ხუთი ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შესახებ რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია, რათა საკმარისი სიზუსტით დადგინდეს, თუ მოსახლეობის რა ნაწილი იმყოფება დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ.

საერთაშორისო პროექტების შედეგად ბოლო წლებში გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მიიღო თანამედროვე ლაბორატორიული ტექნიკა (სპექტროფოტომეტრები, ქრომატოგრაფები და სხვა), რის შედეგადაც მათი მონაცემების საიმედოობა გაიზარდა. სადამკვირვებლო ჯიხურები და ნიმუშების აღების მეთოდოლოგია საჭიროებს განახლებასა და გაუმჯობესებას.

ჰაერის მონიტორინგის მონაცემები თვეში ერთხელ ორჰუსის ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის პირობებში მოსალოდნელია სამრეწველო სექტორის განვითარება და, შესაბამისად, ემისიების მატება, რაც საწარმოო ობიექტების გარემოსდაცვითი რისკების საფუძვლიანი შეფასების გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პირობების შესრულების სათანადო კონტროლის უზრუნველყოფას მოითხოვს. აუცილებელია, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით დაინერგოს საუკეთესო და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ახალი და სუფთა ტექნოლოგიები, რომლებიც ყველაზე უფრო ეფექტიანი იქნება გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების თვალსაზრისით. „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ მოიცავს რა ბუნების დაცვის და სოციალურ ამოცანათა ყველაზე ფართო დიაპაზონს, მოუწოდებს ყოველ ეროვნულ მთავრობას, გამოიმუშაონ საკუთარი მდგრადი განვითარების სტრატეგია. ჩვენი პრობლემის შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების უფლება, ისარგებლონ

შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია აღნიშნულ ქვეყანას.

როგორც აღინიშნა, მდგრადი განვითარების არსში იგულისხმება განვითარების ისეთი მოდელი, რომლის მიხედვით დაკმაყოფილდება როგორც ახლანდელი, ისე მომდევნო თაობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, ყოველ ადამიანს შეეძლება პირობები თვითრეალიზაციისათვის, მიუხედავად იმისა, რომელ ქვეყანაში ცხოვრობს და რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება.

საქართველო, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი გეოგრაფიული ნაწილი, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა სახელმწიფო მმართველობის გლობალიზაციის პროცესში ჩართვა, მაინც ექვემდებარება ამ საერთაშორისო პროცესს.

1995 წლის კონსტიტუციით, საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული გარემო, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ და მდგრად გამოყენებას.

ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თავისთავად აუცილებლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომლებიც გულდასმით უნდა გაანალიზდეს მისი მიღების წინ.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა შეფასდეს, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთავარი პრიორიტეტების გამოყოფას, მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას და საშუალო შედეგებზე ორიენტირებული განხორციელების ოპტიმალური გზების ძიებას.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს. ასევე სამინისტროს ფუნქციასაა ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა და ჰაერის მონიტორინგი. ამ უკანასკნელს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

საქართველოში გარემოსდაცვითი სამართლებრივი ბაზა დიდი რაოდენობის ნორმატიულ დოკუმენტს მოიცავს. ესენია როგორც საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ასევე საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები.

საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას. საქართველომ დააფიქსირა საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე საკუთარი პოლიტიკური ნება წვლილი შეიტანოს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენცია UNFCCC (რიო-დე-ჟანეიროს, 1992) და კიოტოს ოქმი (კიოტო, 1997);

2. „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ 1985 წლის ვენის კონვენცია და „ოზონის შრის დამზღველი ნივთიერებების შესახებ“ 1987 წლის მონრეალის ოქმი;

3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ (ვენევა, 1979);

4. გაეროს კონვენცია „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“ (სტოკჰოლმი, 2001);

5. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (ორჰუსის კონვენცია, ორჰუსი, დანია, 1998).

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ე. წ. „ჩარჩო-კანონი“ (მირებულია 06.12.1996) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალაშია 01.01.2008 წლიდან) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების საკითხებს.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალაშია 01.01.2008 წ-დან) მიხედვით, ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოს ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღებულია 1999 წ.) წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, გაუმჯობესება და შენარჩუნება. კანონი განსაზღვრავს იმ მარეგულირებელ და მართვის მექანიზმებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით ქვეყანაში და მოიცავს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ნორმებს, სტაციონარული, მოძრავი და დისპერსიული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო რეგულირებას, ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და ა. შ.

ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის არსებული სისტემის პრობლემას დღესდღეობით მონაცემთა შეგროვების მკვეთრი დაცემა წარმოადგენს, რაც ფინანსური რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობის ნაკლებობით აიხსნება. არსებული ქსელი არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს დაკვირვების პუნქტების რაოდენობისა და განლაგების, მონაცემთა აღების, შენახვის, დამუშავებისა და ანგარიშგების მეთოდების თვალსაზრისით.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის და მასთან დაკავშირებული ანთროპოგენური დაბინძურების პროცესების ეფექტურად მართვის გასაძლიერებლად აუცილებელია ქვეყანაში ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის რეაბილი-

ტაცია, თანდათანობით ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია. გარემოს მონიტორინგის თანამედროვე ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბება გარემოს დაბინძურების მდგომარეობის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიღების, რესურსების ყოველდღიური მართვის და მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს.

საქართველო ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას. ეკონომიკური განვითარება ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია, თუმცა, ამავდროულად, ეს პროცესი ზეწოლას ახდენს ბუნებრივ რესურსებსა და გარემოზე. შესაბამისად, ეკონომიკური საქმიანობები უკეთესი ტექნოლოგიური და მენეჯერული უზრუნველყოფით უნდა განვითარდეს, რაც მნიშვნელოვნად შეაკავებს გარემოზე დატვირთვის ზრდას.

საქართველოს დამოუკიდებლად ვერ ძალუძს პრობლემებთან გამკლავება. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანას არ გააჩნია გადაამუშავებული ქარხნები, ანუ სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც გადაამუშავდება ნაგავი.

გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით საქართველოში ერთ-ერთი გარემოსდაცვითი პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს.

ამჟამად საყოფაცხოვრებო ნარჩენების რეგულარული შეგროვება ძირითადად, მხოლოდ მსხვილ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხორციელდება. სოფლებში მოსახლეობა, როგორც წესი, ნარჩენებს უახლოეს ხევში, გზისპირას ან მდინარის ნაპირებზე ყრის. ეს ტერიტორიები არ სუფთავდება და შესაბამისად, მცირე ზომის უკონტროლო ნაგავსაყრელები წარმოიქმნება. ნაგავსაყრელების ნაწილი მდინარის ნაპირზე ან წყალგამტარ ხევებშია განთესილი, რაც ზედაპირული და გრუნტის წყლების დაბინძურების საშიშროებას ქმნის. ნაგავსაყრელებზე სპონტანურად მიმდინარეობს ნარჩენების დაბალტემპერატურული ღია წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დამაბინძურებლების, დიოქსინების და ფურანების გაფრქვევას.

გარემო ასევე ბინძურდება სამთო-მოპოვებითი და გადაამუშავებული წარმოებების აკუმულირებული ნარჩენებისა და შლამებისაგან, ასევე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებისაგან, განსაკუთრებით პესტიციდებისაგან, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. აუცილებელია აღნიშნული ნარჩენების გაუნებელყოფის საკითხის გადაწყვეტაც.

საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარჩენების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. კანონმდებლობა ძალზე სუსტი და ფრაგმენტულია. ამჟამად საქართველოში ექსპლუატაციაში 63 აღრიცხული ნაგავსაყრელი და დაუდგენელი რაოდენობის სპონტანურად წარმოქმნილი სანაგვე ადგილებია.

ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რესურსეფექტურობას და ნარჩენების წარმომქნის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების გაცალკეებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბეს გარემოზე სერიოზული ზეგავლენა აქვს, სიმდიდრეს კი უარესი. სიმდიდრე იძლევა იმის საშუალებას, ადამიანები უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს

ხასიათით, გამომდინარე იქიდან, რომ მდიდრები იყენებენ დიდი რაოდენობით რესურსებს და წარმოქმნიან ასევე დიდი რაოდენობით ნარჩენს. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობებს გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უარყოფითად გამოყენების შესამცირებლად.

აშშ-ში და ბევრ მდიდარ ქვეყანაში ჰაერი, წყალი, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობა უფრო სუფთაა, ვიდრე 1970-იან წლებში იყო.

სიმდიდრე იძლევა შესაძლებლობას, დაფინანსდეს გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები, რომლებიც გამყარებულია მეცნიერული კვლევებითა და ტექნოლოგიური მიღწევებით.

დღეისათვის, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში, აუცილებელია ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა ადამიანთა შეგნების ამაღლება, რათა არ დააბინძურონ გარემო სხვადასხვა სახის ნაგვით. ეს გარემო ხომ ჩვენი არსებობის - სიცოცხლის გარანტია. ამ ნაგავს ბუნება დიდი ხნის მანძილზე ვერ ამუშავებს.

ბუნება განიხილება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილების საშუალება. ადამიანმა თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები უნდა მიმართოს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისათვის. ადამიანებს შეუძლიათ და უნდა მართონ კიდევ დედამიწა კაცობრიობის სასარგებლოდ, მაგრამ ამასთანავე უნდა იყვნენ პასუხისმგებელიანი ხელმძღვანელები, ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო ფორმებს და უარი თქვან გარემოსათვის საზიანო ფორმებზე.

ნებისმიერმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაბინძურება ყველასთვის საზიანო იქნება.

დასკვნა

მდგრადი განვითარების მოთხოვნათა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლის შედეგად. ეს კი მიიღწევა მაშინ, როდესაც ადამიანთა მოთხოვნების დაკმაყოფილება დაემყარება ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებას. მაშასადამე, დღის წესრიგში დგას საზოგადოებისა და ბუნების განვითარების ანუ კოევილუციის ამოცანა.

მდგრადი განვითარება ატარებს საყოველთაო ხასიათს, რომლის მიღწევა ცალკეულ ქვეყნებს ან ქვეყნების ჯგუფს დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი

რესურსებით, თუ ამ მიმართულებით მსოფლიო მასშტაბით არ განხორციელებული ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობა.

ამასთან ერთად, ნებისმიერმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაზიანება ყველასათვის საზიანო იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება, თბ., 2015.
2. ლ. დვალისვილი ატმოსფეროს დაცვა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი პრობლემა საქართველოში თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული VIII თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა 2015, გვ. 317.
3. ლ. დვალისვილი მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური საფუძვლები თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IV თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა 2011, გვ. 357.
4. დვალისვილი ლ. ატმოსფეროს დაზიანებების შემცირების პრობლემები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ.VII თბილისი: პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2014.
5. დვალისვილი ლ. ატმოსფეროს დაცვის საკითხები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. აკადემიკოს პ. გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული., თბ., 2015.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2014.
7. ყაჯრიშვილი თ. რა საფრთხის წინაშე დგას დედაქალაქი და რატომ გახშირდა სიმსივნური დაავადებები. ჟ. გზა, N40, 2014.
8. moe.gov.ge
9. garemos dabinzureba
10. sangu.ge
11. ka. wikipedia.org
12. www.geostat. ge 324
13. greenalt.org 1
14. Intermedia.ge
15. ekologia.blogpost.com
16. www. timer.ge

Lia Dvalishvili

PROTECTION OF ATMOSPHERE – ONE OF THE ESSENTIAL CONDITIONS FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT

Summary

Sustainable development – the promotion of joint development of society and nature has become a commonly recognized purpose at modern stage.

Sustainable development is such a system of society development which provides the wellbeing of people, the growth of the quality of standard of living and the right of future generation to use natural resources and environment maximally defended from qualitative and quantitative changes in respect to economic development of society and the interests of environmental protection.

Each human has the right to live in the environment harmless for health; each is obliged to protect natural environment. People have the right to get full objective and timely information about the conditions at work and their living surroundings.

Human and nature relations on our planet began from the first days of a human birth. It influenced the environment and still does. A human has no other source of existence except nature surrounding him; what he gets from the nature he returns back to it after using in other forms, other locations and other quantities.

Atmospheric air around the world and revolving together with it is one of the main components of the environment and a source of life on the earth. Its importance is invaluable for living organisms.

The problem of atmospheric pollution has become actual in the whole world during the last half a century.

Atmospheric air pollution is conditioned by the functioning of technogenic as well as natural pollution sources. But the principal pollutants are anthropogenic sources: transport, industrial enterprises, power objects and agriculture.

More environmental pollution, the deterioration of stability of native surroundings surely results in the worsening of life quality and directly concerns the interests of various social groups and strata of society.

Society as well as economy undergoes the influence of nature. Air pollutant substances are moved by air masses and spread on a vast distance. And this gives the way to originate global pollution of atmosphere.

XXI century offers the world a new model of economic development. Today the accent is made on resourcesaving and less residual waste technologies, quality, know-how, creation of a new type of products, new standards etc.

In XXI century the industry and transport development is impossible without the sustainable development of society. Though ecological thinking in XX century put on the agenda the adjustment of environmental pollution caused by different sectors of economy in order to defend human life, health and activity from the danger of concentration of harmful substances in the air "XXI century agenda" covering the widest range of nature protection and social tasks calls national governments to work out their own strategy of sustainable development.

Georgia as one of the geographical parts of the world is subject to this international process in spite of its will to be engaged or not in globalization process of state management.

According to 1995 constitution Georgia committed itself to protect the country's natural and cultural environment, promote rational and stable use of natural resources.

Any great economic decision itself causes ecological results which must be analyzed attentively before making it. Each economic project must be estimated beforehand with regard for its economic utility and damage to nature only within the limits of protection of the essence and principles of sustainable development.

The strategic plan of sustainable economic development should envisage the major priorities, its economic and ecological arguments and find the most favorable ways of implementation of average outcomes.

ციცინო თეთრაული

ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის და სამთავრობო პოლიტიკა

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის როლი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, დახასიათებულია ეკონომიკური ზრდის სტადიები. მოცემულია ეკონომიკური ზრდის ტიპები და ეკონომიკური ზრდის გაზომვის მეთოდები, აგრეთვე გაანალიზებულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში. აღნიშნულია თბილისში ა/წ. ნოემბერში გამართული „აბრეშუმის გზის ფორუმის“ მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების საქმეში.

საკუთარი სიტყვები: ინოვაციური პოლიტიკა. ეკონომიკური ზრდა. ინვესტიციები. გენმოდერნიზირებული პროდუქტი. მაკროეკონომიკური პოლიტიკა.

შესავალი

ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეში მტკიცებულმა გადასვლამ საქართველო ახალი რთული გამოწვევების წინაშე დააყენა, თანამედროვე ეკონომიკური განვითარება ინოვაციების განხორციელების გარეშე შეუძლებელია. ეკონომიკური ზრდის მიღწევა და მისი შენარჩუნება ყველა ქვეყნის ამოცანაა, საქართველომ ბევრი რამ გააკეთა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, თუმცა ისევ მთავარ საკითხად რჩება სიღარიბე და უმუშევრობა. მათი დაძლევა ჯერჯერობით კვლავ გადაუჭრელია. მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის სახელმწიფოს მიერ ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტად რჩება ტურიზმი და ჩვენი ადამიანური რესურსების გამოყენება. ქვეყნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ა/წ. ნოემბრის თვეში თბილისში გამართულ „აბრეშუმის გზის ფორუმს“, სადაც ხელი მოეწერა 10-მდე მემორანდუმსა და საფინანსო შეთანხმებას. სოციალური კუთხით მთავრობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა: საყოველთაო უფასო სამედიცინო ჯანდაცვა, სასოფლო-სამეურნეო პროექტები, უფასო სახელმძღვანელოები, მიიღო და აამოქმედა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონი“. მთავრობას ბევრი აქვს კიდევ გასაკეთებელი ეკოლოგიური კუთხით, დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე გენმოდერნიზირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით რეგულაციების გასამკაცრებლად. კიდევ მეტი ხელშეწყობაა საჭირო მეცნიერებისა და განათლების სფეროში, რაც ჩვენი ადამიანური რესურსების სწორად გამოყენების საწინდარია ქვეყნის საკეთილდღეოდ.

სტაბილურ ეკონომიკაში ცხოვრება ყველა ქვეყნის ადამიანის ოცნებაა, რადგან იგი უზრუნველყოფს წარმატების შესაძლებლობას და საზოგადოებას იცავს არასასურველი მოულოდნელობებისაგან. ამ ოცნების ახდენა პოსტსაბჭოთა

საქართველოსთვის ადვილი არ არის. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეში მტკივნეულმა გადასვლამ ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. როგორც გ. მენქიუ ამბობს: „არც ყველაზე მდიდარი ქვეყნებისთვის არის სრულად გარანტირებული მათი შემდგომი აყვავება და არც ეკონომიკური აუტსაიდერები არიან განწირულნი სამუდამო სიღატაკისთვის“. მაგალითად, 100 წლის წინათ საშუალო იაპონელის შემოსავალი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო ინგლისელის, გერმანელის, ამერიკელის შემოსავალს, მაგრამ მკვეთრი ეკონომიკური ზრდის წყალობით, იაპონია ისე დაწინაურდა, რომ ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ გადაიქცა. ტექნიკური პროგრესისა და ინოვაციური პოლიტიკის წყალობით იაპონიამ ბევრი მოწინავე ქვეყანა უკან ჩამოიტოვა. საზოგადოების პროგრესი განუყრელადაა დაკავშირებული ინოვაციებთან. ინოვაციები არსებობდა ნებისმიერი ფორმაციის დროს და მან განაპირობა არნახული პროგრესი ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროსა და ყოფა-ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი ეს არის ინოვაციათა განხორციელების პროცესი. იგი არის გლობალური პრობლემების გადაჭრის უმთავრესი საშუალება. გავისხენოთ კ. ფრიმანის სიტყვები: „არ გაწიო ინოვაცია, ნიშნავს მოკვდე“. 2016 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მოქმედებაც ვრცელდება ინოვაციური საქმიანობების სუბიექტებზე, ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობ ინფრასტრუქტურაზე, ინოვაციური საქმიანობების დაფინანსებასა და ინოვაციების კომერციალიზაციაზე. ეს კანონი მეტად წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინსვლის საქმეში.

საზოგადოების უსაზღვრო და ზრდადი მოთხოვნილებების, შეზღუდული და კლებადი რესურსების, ასევე მოსახლეობის საკმაოდ სწრაფი ზრდის ფონზე, კაცობრიობა იძულებულია მუდმივად გაზარდოს საქონლისა და მომსახურების წარმოება. ამ პროცესმა სამეცნიერო ლიტერატურაში ეკონომიკური ზრდის სახელწოდება მიიღო. მასში იგულისხმება წლიდან წლამდე, თაობიდან თაობამდე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნის წარმოებრივი შესაძლებლობების მყარი გადიდება. ნამდვილ ეკონომიკურ ზრდას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რაოდენობრივი ზრდა დაკავშირებულია შრომის მწარმოებლურობის ამალღებასთან. ზრდადი ეკონომიკა ხასიათდება წლიური პროდუქციის მატებით, რომელიც გამოყენება შეიძლება არსებულ მოთხოვნილებათა უფრო უკეთ დაკმაყოფილებისათვის, ან ახალი სოციალური და ეკონომიკური პროგრამების სარეალიზაციოდ. ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს სიღარიბისა და გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო პროგრამების რეალიზაციას ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული არსებული მოხმარების შემცირება, ეკონომიკური ზრდა ამსუბუქებს უსაზღვრო მოთხოვნილებებისა და შეზღუდული რესურსების პრობლემების გადაწყვეტას.

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ქვეყანამ თავისი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ბაზარზე და დაძლიოს უმუშევრობა და სიღარიბე. ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. რაოდენობრივი ეკონომიკური ზრდა (პროდუქციის მოცულობის მატება) და ეკონომიკური პროგრესი (განვითარება) ერთი და იგივე როდია. როგორც ამერიკელი ეკონომისტი პ. ხეინე ამბობს:

„ეკონომიკის ზრდა მდგომარეობს არა ნივთების წარმოების გადიდებაში, არამედ სიმდიდრის გადიდებაში“. ეკონომიკურ განვითარებასა და ზრდას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რაოდენობრივ ზრდას თან სდევს ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება: შრომისმწარმოებლურობის და პროდუქციის ხარისხის ამაღლება; საზოგადოებრივი კეთილდღეობის გადიდება; გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ადამიანური კაპიტალის განვითარებით. მსოფლიოსთვის ცნობილია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების გრძელვადიან პერიოდში შენარჩუნების ფაქტი ჩინეთის მაგალითზე, რომელიც თითქმის 40 წელია ინარჩუნებს ეკონომიკური ზრდის 10%-იან ტემპს. მიუხედავად ამისა, ჩინეთი ცხოვრების დონით მსოფლიოში არ არის მოწინავეთა რიგებში. ჩვენი მეზობელი ქვეყნის, აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა კი განპირობებულია ნავთობისა და გაზის მარაგებით. ეკონომიკური ზრდის ასეთი მდგენელები საქართველოს არ გააჩნია. გადაჭარბებულ ნათქვამად არ ჩაითვლება თუ ვიტყვით, რომ ჩვენი ნავთობი და სიმდიდრე ადამიანური კაპიტალია, ჩვენი ქვეყნის ადამიანური რესურსები. საქართველო რუსთაველის ქვეყანაა და ამით ყველაფერია ნათქვამი. თითქმის არ არსებობს არც ერთი სფერო, რომელშიც ჩვენს თანამემამულეებს არ გამოემუდგენებინოთ ნიჭიერების მაღალი დონე მსოფლიო მასშტაბით, იქნება ეს მეცნიერება, მწერლობა, მუსიკა, კინო, თეატრი, სპორტი თუ სხვა. ამიტომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება მეცნიერებისა და განათლების, კულტურის სფეროს კიდევ უფრო მეტი ხელშეწყობა და განვითარება. უნდა შენელებს მაინც, თუ არ შეწყდება ქვეყნიდან „ტვინების გადინების“ პროცესი. სრულიად ვეთანხმები ეკონომისტ გ. სიგუას, რომელმაც სამართლიანად აღნიშნა თავის ნაშრომში, წინა მთავრობის მიერ დაშვებული დიდი შეცდომა მეცნიერებათა აკადემიის წინაშე, როდესაც გააუქმეს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების ნაწილი, მათი შენობები კი გაიყიდა ბიუჯეტის შესავსებად. ეროვნული მეცნიერებათა აკადემია ლამის სრული ლიკვიდაციის წინაშე დადგა. მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერაში და გადარჩენაში დიდი წვლილი მიუძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. თავისი წვლილი შეიტანა მეცნიერებათა აკადემიის გადარჩენაში დიდმა მეცენატმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა კერძო შემოწირულობების სახით. საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ჰქონდა გელათისა და იყალთოს აკადემიები. ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღება შეუძლებელია მეცნიერების გარეშე. იმ პერიოდში აგრეთვე გაუქმდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები. დიდი ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს თავის ძალ-ღონით, თან მოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისთვის მისი ღვაწლი, იმდენივე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისთვის“.

ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა ამ მთავრობის პირობებში გამოსწორდა, საგრძნობია ზრუნვა და თანადგომა, თუმცა მეტად სასარგებლო იქნება ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის, თუ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ჩვენი სამეცნიერო პოტენციალის წახალისებას, ინვესტიციების ჩადებას ამ სფეროში, რომლის სასიკეთო შედეგსაც ქვეყანა უახლოეს მომავალში მოიძიებს.

ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის რთული ურთიერთდამოკიდებულებაა. ერთი მხრივ ეკონომიკური განვითარება ეკონომიკური ზრდის ტემპზეა დამოკიდებული, მეორე მხრივ კი რაც უფრო მაღალია მოხმარების დონე და რაც უფრო სრულყოფილია ეკონომიკის სტრუქტურა (ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და ქვედარგების თანაფარდობა) მით უფრო მეტია ეკონომიკური ზრდის სასურველი ტემპის შერჩევის შესაძლებლობაც. ეკონომიკური ზრდის თეორიაში დიდი წვლილი შეიტანა ამერიკელმა მეცნიერმა უ. როსტოუმ. მან გამოყო ეკონომიკური ზრდის 5 სტადია: ტრადიციული საზოგადოება, გარდამავალი პერიოდი, მომწიფებისკენ მიმავალი ფაზა, აღმავლობა და სამომხმარებლო საზოგადოება. 1) ტრადიციული საზოგადოება - ამ სტადიას ახასიათებს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის მაღალი წილი, ხელისუფლების სათავეში მიწათმფლობელების ყოფნა (მმართველები), წარმოების ოჯახური ორგანიზაციის წამყვანი როლი, ტრადიციებზე დამყარებული ცოდნა. 2) გარდამავალი პერიოდი - აღმავლობის წინა პირობის შექმნა. ზრდის ამ სტადიაზე ჩნდება ოპტიმიზმი, ეროვნული თავმოწონება. დანახოების შექმნა, რომელიც იძლევა ფინანსური სახსრების ცენტრალიზაციის შესაძლებლობებს, იზრდება შრომის წარმოებლურობა, ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვა. 3) აღმავლობა - ამ სტადიაზე მოხსნილია რეგულარული ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი ბარიერები, ეკონომიკურ ზრდაში ერთვება საზოგადოებრივი ფასეულობა და ინსტიტუტები, როგორებიცაა კერძო საკუთრება სამართლებრივი სისტემა, განათლებისა და მეცნიერების სისტემა და სხვა. ინვესტიციის ნორმა ეროვნულ შემოსავალში 10%-ს აჭარბებს. ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელია ინდუსტრიალიზაცია, აგროკულტურა მოდერნიზებულია და ათავისუფლებს როგორც ადამიანებს, ასევე კაპიტალს. 4) მომწიფებისაკენ მიმავალი ფაზა - ეს სტადია წარმოგვიდგება როგორც განვითარების გრძელვადიანი ფაზა, რომელიც ახანგრძლივებს აღმავლობის ეფექტებს; ეკონომიკის ყველა სექტორი მეტ-ნაკლებად ჩართულია ტექნიკურ პროგრესში. ინვესტიციის ნორმა 20%-ს აღემატება. ეკონომიკური ზრდა იქვემდებარებს ყველა საზოგადოებრივ ფასეულობასა და ინსტიტუტს, ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობა. 5) სამომხმარებლო საზოგადოება - ამ სტადიაზე („მასობრივი მოხმარების" ეპოქაში) ინტერესები ინვესტიციიდან გადადის მოხმარებაში, წარმოებული პროდუქტი ყველასთვის ხელმისაწვდომია, შეცვლილია სამუშაო ძალის შემადგენლობა, ვითარდება და წამყვანი ხდება მომსახურების სფერო, გაზრდილია ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა.

ეკონომიკური ზრდის გაზომვა ხორციელდება ორი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლის გამოყენებით: პირველია დროის გარკვეულ მონაკვეთში რეალური მშპ-ის გადიდება, მეორე კი - ამავე დროში მოსახლეობის ერთ სულზე რეალური მშპ-ის მატება. პირველი მაჩვენებელი ახასიათებს მშპ-ის აბსოლუტურ სიდიდეს და საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევუდაროთ წარმოების მოცულობა წლების მიხედვით. მეორე მაჩვენებელი უფრო სრულად ასახავს საზოგადოების კეთილდღეობის დონეს და საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ცალკეულ ქვეყანაში თუ რეგიონში მოსახლეობის ცხოვრების დონე. ორ პერიოდს შორის წარმოების მოცულობის ცვლილების შეფასების დროს გამოიყენება ორი ძირითადი მეთოდი 1. ლასფერიეს ინდექსი; 2. პააშის ინდექსი. ზოგიერთი მკვლევარი ეკონომიკური

ზრდის გაანგარიშების დროს იყენებს „ფიშერის ინდექსს“, რომელიც წინა ორი ინდექსის საშუალო გეომეტრიულია.

ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება სახელმწიფოს შეუძლია: შიგა დანახოებისა და ინვესტიციების წახალისებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, განათლების სისტემის განვითარებით, საკუთრების უფლების დაცვითა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებით, საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებითა და თავისუფალი ვაჭრობისადმი მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებით, მოსახლეობის ზრდის კონტროლით, მეცნიერული კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნით. ეკონომიკური ზრდის სხვადასხვა ტიპი არსებობს, მათ შორის მთავარია: ფაქტობრივი ზრდა, პოტენციური ზრდა, ნულოვანი ზრდა, მაჩვენებლითი ზრდა, ექსტენსიური ზრდა, ინტენსიური ზრდა. თანამედროვე საზოგადოებისათვის უპირატესად დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ტიპი. უცხოური ინვესტიციები ეროვნული ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი წყაროა, მიუხედავად იმისა, რომ უცხოური კაპიტალით შექმნილი საწარმოთა მოგების ნაწილი გადის საზღვარგარეთ, დაფინანსების უცხოური წყაროები ხელს უწყობენ ქვეყნის საწარმოო პოტენციალის გადიდებას, შრომის მწარმოებლურობასა და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებას.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების მთლიანი მოცულობა 2017 წელთან შედარებით იზრდება 943,8 მილიონი ლარით და 12 441 მილიარდ ლარს შეადგენს, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 10,490 მილიარდ ლარს, საიდანაც საგადასახადო შემოსავლები 9,490 მილიარდი ლარია. სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით მთავრობა 2018 წელს 4,5%-იან ეკონომიკურ ზრდას ელოდება. ამ წელსაც სამინისტროებს შორის ყველაზე დიდი ბიუჯეტი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისა და განათლების სამინისტროებს აქვთ. კერძოდ 2018 წელს ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 3528,0 მილიონი ლარი იქნება, ინფრასტრუქტურის სამინისტროსი - 1815,0 მილიონი ლარი, განათლების სამინისტროსი - 1186,2 მილიონი ლარი.

ქვეყნის განვითარებისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, დემოკრატიზაციას, საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის პროცესს. მართალია ცხოვრების დონის, შემოსავლების მიხედვით საქართველო ჯერჯერობით ისევ ღარიბი ქვეყნების ჯგუფშია, მაგრამ, სამაგიეროდ, განათლების დონითა და ადამიანისეული კაპიტალით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფს განეკუთვნება. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კონკურენციის დაცვაა. კონკურენცია „უხილავი ხელი“, რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას, მონოპოლისაგან არ არის დაცული. დრამა იმაშია, რომ კონკურენცია თვითონ წარმოშობს თავის ანტიპოდს მონოპოლიის „პირმშოს“, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს „მშობელი“. თუ სახელმწიფო არ დაეხმარა, მონოპოლისტი თვითონ კარნახობს ფასს, რაც საშუალებას აძლევს მაღალი მოგება მიიღოს არა ტექნოლოგიის სრულყოფით, არამედ იოლი გზით, ფასის მომატებით. კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლიური ღონისძიებები და კანონმდებლობა. წინა მთავრობის დროს ანტიმონოპოლიური სამსახური გააუქმეს. ახლანდელმა

მთავრობამ აღადგინა, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში საბა-საბაზრო ეკონომიკის სწორი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის ტურიზმი რჩება მთავარ პრიორიტეტად. საქართველოსთვის დამახასიათებელი ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობს სასოფლო და აგროტურიზმის განვითარებას, რომელიც შიდა ტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ტურიზმი ვალუტის მოძრაობის მთავარი გენერატორია. საქართველოს უნიკალური მდიდარი ბუნება, მთა, ზღვა, ისტორიული ღირსშესანიშნაობები, ქართული სტუმართ-მოყვარეობა, ქართული სამზარეულო, კურორტები მეტად მიმზიდველია ტურისტებისთვის. საქართველოს უკვე მილიონობით ტურისტი სტუმრობს და მათი რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, ეს კი ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს ტურიზმის კიდევ უფრო მეტად აღორძინებისთვის, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის ძნელად მისასვლელ ადგილებში. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია კარსტული მღვიმეებით, რაც ტურისტების ინტერესს იწვევს, ამ მღვიმეების მეცნიერულად შესწავლა და ტურიზმის კუთხით გამოყენება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ამ დარგის განვითარებას.

ა/წ ნოემბრის თვეში თბილისში გაიმართა „აბრეშუმის გზის ფორუმი“, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატრონაჟითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საგარეო საქმეთა სამინისტროების ორგანიზებით, ფორუმზე დასასწრებად საქართველოს 34 ოფიციალური დელეგაცია და 60-ზე მეტი ქვეყნის 2000-მდე დელეგატი ეწვია. მასში მონაწილეობდნენ როგორც ადგი-ლობრივი, ისე უცხოური ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. ფორუმს 1100 ბიზნესმენი დაესწრო, მათ შორის 500-ზე მეტი უცხოურ კომპანიას წარმოადგენდა. ფორუმის ფარგლებში ხელი მოაწერეს 10-მდე მემორანდუმს, საფინანსო შეთანხმებას. ფორუმზე გაკეთდა განცხადება საქართველოში მილიონობით ინვესტიციის დაბანდების შესახებ. აღსანიშნავია, რომ თბილისი ერთადერთი ადგილია ჩინეთის საზღვრებს გარეთ, სადაც „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ თემატიკაზე ფორუმი გაიმართა. ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB), ევროპის საინვესტიციო ფონდსა (EIF) და ქართული ბანკებს შორის გაფორმდა ხელშე-კრულება, რომლის მეშვეობითაც საქართველოში მცირე და საშუალო, მათ შორის ინოვაციური საწარმოების მხარდაჭერის მიზნით, 90 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი იქნება გამოყოფილი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება და ხელშეწყობა კი ქვეყნის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დაფუძნდა „საქართველოს მშენებლობის ეროვნული ფონდი“. ეს არის შანხაის უმსხვილესი ხუასინის ენერჯეტიკული კომპანია CE - FC-სა და „საპარტნიორო ფონდის“ ერთობლივი „საქართველოს მშენებლობის ეროვნული ფონდი“, რომელიც ბიზნესპროექტებს განახორციელებს ქვეყანაში, შექმნის ახალ საინვესტიციო პლატფორმას და იქნება მყარი ფინანსური ინსტრუმენტი ახალი მნიშვნელოვანი პროექტების დასაფინანსებლად. საქართველოს რკინიგზის შვილობილმა კომპანია „GR ლოგისტიკა და ტერმინალური“ ურთიერთთანამ-შრომლობის მემორანდუმში გააფორმა ჩინეთის რკინიგზის შვილობილი საერთაშორისო სატრანსპორტო, მულტიმოდალური კომპანია GRIMT-თან და კომპანია Lianyungang New Silk Road International Container Development-თან. ლიანიუნგანი

არის პორტი, საიდანაც კონტეინერები საქართველოს გავლით იგზავნება. ამ კომპა-
კომპანიებს შორის მემორანდუმის გაფორმება ხელს შეუწყობს ჩინეთიდან ევროპის
მიმართულებით, საქართველოს გავლით ტვირთნაკადების ზრდასა და ქვეყნის
ტრანზიტული პოტენციალის სწრაფ განვითარებას. ერთ-ერთი ჩინური კომპანია
საქართველოში ეკო და ჰიბრიდული მანქანების ამწყოები საწარმოს გადმოტანას
გეგმავს. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ჩინეთიდან ცალკეული
ინდუსტრიული სიმძლავრეების რელოკაცია. „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ კიდევ
არაერთ მნიშვნელოვან მემორანდუმსა და ხელშეკრულებას მოეწერა ხელი,
რომელთა განხორციელებაც გაზრდის საქართველოს, როგორც რეგიონის ერთ-ერთ
მნიშვნელოვან სატრანზიტო მოთამაშის როლს, რომლის ტერიტორიაზეც
მოქმედებს დრმაწყოვანი პორტები, მოდერნიზებული რკინიგზა, მაგისტრალები,
რომელთა მეშვეობითაც ტვირთის ოთხივე მიმართულებით შეფერხების გარეშე
გადაადგილება იქნება შესაძლებელი. ფორუმზე გაფორმებულ დაპირებებს ახალ
პროექტებად ქცევა ესაჭიროება, რისთვისაც როგორც ეკონომიკის სამინისტრო,
ასევე მთელი მთავრობა ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა, შეიძლება ითქვას,
შერეული მოდელია, სადაც სახელმწიფო და საბაზრო სისტემები თანაფუნქ-
ციონირებენ, სადაც მთავრობა ახორციელებს საბაზრო სისტემის ფუნქციონირების
ხელშეწყობას, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფას, თავისუფალი
კონკურენციის დაცვას, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლს. სოციალური
კუთხით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა.
განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროექტი,
სასოფლო-სამეურნეო პროექტები, უფასო სახელმძღვანელოების გამოშვება,
თანაინვესტირების ფონდის შექმნა. ცალკე აღნიშვნის ღირსია, ის რომ შემუშავდა
და ამოქმედდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონი“, რაც
ქვეყნისთვის მეტად სასარგებლო გლობალური პროექტია როგორც ეკონომიკური,
ასევე დემოგრაფიული კუთხით ქვეყნისთვის მთავარ ამოცანად რჩება ისეთი
სოციალურ-ეკონომიკური ფონის შექმნა, რაც უცხოეთში ლუკმა-პურის
საშოვნელად გადახვეწილ ჩვენს ემიგრანტებს სამშობლოში დააბრუნებს.
დემოგრაფიული კუთხით საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა.
საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი XIII
საუკუნეში იყო. 1254 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით 8 მილიონ კაცს
შეადგენდა. 2014 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით კი 3,7 მილიონია. როგორც
სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოში განმარტავენ, კლების მიზეზი ძირითადად
დიდი მიგრაცია და ერის ნაადრევი დაბერებაა. თუ დინამიკა არ შეიცვალა,
ყოველი მომდევნო აღწერა დაგვარწმუნებს, რომ დემოგრაფიული კატასტროფის
ზღვარზე ვართ. მიღებული სკალით, მოსახლეობა დაბერებულად ითვლება თუ 60
წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა მთელი მოსახლეობის 18%-ს უდრის, ჩვენთან
კი ეს მაჩვენებელი 20%-ს შეადგენს. 2014 წლის ივლისიდან შობადობის
წახალისება დაიწყო იმ რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული ვითარება მძიმეა
(კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო
სვანეთი, იმერეთი, გურია) - მესამე ბავშვის დაბადებისას 2 წლის განმავლობაში
ყოველთვიურად 150 ლარი გაიცემა, ხოლო მთაში, კერძოდ რაჭა-ლეჩხუმში 200
ლარი. დემოგრაფიული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს

დახმარება და შეღავათები ახალგაზრდა და განსაკუთრებით მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. უნდა გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირების მიზნით. საჭიროა, სახელმწიფომ შეიმუშაოს დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად ისეთი სტრატეგია, რომელიც დამყარებული იქნება ერის ტრადიციულ ფასეულობებზე, ხოლო მის შემუშავებაში ჩართული უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენა (ინტელიგენცია, სასულიერო პირები, მეცნიერები). სტატისტიკოსების სამომავლო პროგნოზი დემოგრაფიის კუთხით მეტად საგანგაშოა, რაც ყველა მთავრობის მხრიდან უდიდესი ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად მეტად საჭირობოროტო საკითხია სურსათის უვნებლობის კონტროლი და მასზე მკაცრი სახელმწიფო რეგულაციების დაწესება. დედამიწის მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, სასურსათო რესურსები კი შესაბამისად ვერ მიჰყვება მას. მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტენდენციამ და საკვების უკმარისობის შიშმა მეცნიერები მიიყვანა ე.წ. „მწვანე რევოლუციამდე“, მოსავლიანობის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო პესტიციდების, შხამქიმიკატების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ამან თავის დროზე დიდი როლი შეასრულა მოსახლეობისათვის შიმშილის აცილებაში, მაგრამ შემდგომში მათი არასწორი ზედმეტი რაოდენობით გამოყენებამ დიდი მასშტაბები მიიღო და დღეისთვის პესტიციდების უმრავლესობა თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს, 80%-მდე იფანტება ჰაერში, იწამლება ცოცხალი ორგანიზმები და გარემო. ამერიკის მეცნიერებთა აკადემია კიბოს დაავადებით სიკვდილიანობის ზრდას ძირითადად პესტიციდების გამოყენებას უკავშირებს. მინერალური სასუქების გამოყენება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმ მიზნით, რომ ნიადაგი გამოფიტული იყო და მასში შეჰქონდათ კალიუმის, ფოსფორის, ამონიუმის, აზოტის შემცველობის ნივთიერებები. პირველი პესტიციდის სინთეზი მოახდინა შვეიცარიელმა პ. მიულერმა 1948 წელს, რომელსაც ნობელის პრემია მიენიჭა. მალევე გამომუდავნდა ამ ნივთიერებების მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე, რომელიც მძიმე დაავადებებს იწვევს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათი ახალ-ახალი ვარიანტები შემოდის ბაზარზე და დღემდე თავისუფლად გამოიყენება. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან კი დაიწყო „გენური ინჟინერიით“ მიღებული ორგანიზმების გამოყენება სასურსათო პროდუქციის საწარმოებლად, რომლის საშუალებითაც მცენარეში ხდება სხვა ორგანიზმებიდან (მცენარე, ცხოველი) იზოლირებული გენის ჩანერგვა, მისთვის სხვადასხვა თვისებების: გვალვაგამძლეობის, ყინვაგამძლეობის, მიკრობებისა და დაავადებებისადმი მდგრადობის, აგრეთვე მაღალმოსავლიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გენმოდიფიცირებული პროდუქცია, მისი სიიაფის გამო მეტად პოპულარული გახდა სამომხმარებლო ბაზარზე. თუმცა, შემდგომში მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა მისი უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც ცოცხალ ორგანიზმში უცხო გენის ჩანაცვლების შედეგად არის გამოწვეული. ამჟამად გენმოდიფიცირებული პროდუქტები ადამიანში იწვევს სხვადასხვა სახის მძიმე დაავადებებს. ჩვენი ბაზარი გაჯერებულია გენმოდიფიცირებული პროდუქტებით. განსაკუთრებით უხვად მარაგდება „მესამე სამყაროს“ ქვეყნები. აგრომეცნიერები იძულებულნი გახდნენ, დაბრუნებოდნენ ბუნებრივ, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. უცხოეთის ქვეყნების სამომხმარებლო ბაზარზე

გამიჯნულია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია გენმოდირეცირებული საგან და მომხმარებელს აქვს ალტერნატივა, რომელს შეიძენს, რაც ჩვენს სინამდვილეში ჯერ არ არის დარეგულირებული. სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა ქართულ სანელებლებში ტყვიის დიდი შემცველობის შესახებ. უცხოეთში მცხოვრები ერთ-ერთი ქართველი ბავშვის სისხლში აღმოჩნდა ტყვიის დიდი შემცველობა (რაც ჯანმრთელობისთვის საშიშია), რის მიზეზადაც ქართული სანელებლები დასახელდა. დიდი ალბათობით ტყვიის მაღალი შემცველობა სხვა პროდუქტებშიც არის აღმოჩენილი. ადამიანი საკვების გარეშე ვერ იარსებებს, ხოლო ასეთი პროდუქტები (გენმოდირეცირებული) ნელი მოქმედების ნაღმივით იწვევს ორგანიზმის განადგურებას. ამიტომ სახელმწიფოს ვალია ამ საჭირობოროტო საკითხის უსწრაფესად მოგვარება და სათანადო ზომების მიღება. ამდენად, თანამედროვე ტექნოლოგიების ინოვაციების და ყველა სახის სიახლეს აქვს თავისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ბუნება და ბუნებრივი რესურსები - ის საჩუქარია კაცობრიობისთვის, რომელიც ღმერთმა გვიბოძა და რომელსაც გაფრთხილება და გონივრული გამოყენება სჭირდება ადამიანის მხრიდან. ადამიანი მოაზროვნე არსებაა და სულ სიახლისკენ მიიღტვის, ცდილობს გაიუმჯობესოს ყოფა-ცხოვრება, უფრო კომფორტული და საამური გახადოს იგი, მაგრამ რიგ შემთხვევაში შეიძლება სავალალო შედეგამდეც მივიდეს, ამის მაგალითები გვაქვს; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯანმრთელობისთვის საშიში საკვები, გარემოს დაბინძურება და ეკოლოგიური საფრთხეები, ატომური ბომბი და ატომური ელექტროსადგურები (ახლო წარსულში კარგად გვახსოვს ჩერნობილის ტრაგედია) და სხვა ხილული თუ უხილავი საფრთხეები. თანამედროვე ადამიანი თითქოს „პანდორას ყუთის“ წინაშე დგას და ზოგიერთი „სიახლე“ და მისი გამოყენება შეიძლება ცუდად შემოუბრუნდეს, თუ უფრო ღრმად და მასშტაბურად არ გაიზრა ყველა შესაძლო შედეგები და რისკები.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი, მაგრამ როდესაც ისმის კითხვა რა დოზით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ეკონომიკაში, ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორივე უკიდურესობა; 1. ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება, „ცხვირის ჩაყოფა“ ისეთ სფეროებში რომელსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი და 2. მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია. გლობალიზაციისა და ინტერნეტის ეპოქაში საზოგადოება ჩამოყალიბდა სამომხმარებლო საზოგადოებად, რამაც გარკვეულწილად დაჩრდილა სულიერი ფასეულობები, გაძლიერდა მერკანტილური იდეოლოგია. ყველას გაგვიგონია ალბათ სიტყვები: „სადაც კარგად ვიქნები, ის არის ჩემი ქვეყანა“. ამ კარგად ყოფნაში რატქმა უნდა მატერიალური კეთილდღეობა იგულისხმება. ყველა ვერ იქნება დემეტრე თავდადებული, ცოტნე დადიანი და ექვთიმე თაყაიშვილი, მაგრამ სიტყვები: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“ ისტორიის კუთვნილებად არ უნდა ვაქციოთ. საზღვარგარეთ განათლების მისაღებად წასული ჩვენი ახალგაზრდები სამშობლოს ძახილმა უკან უნდა ჩამოიყვანოს და ის ცოდნა და გამოცდილება საკუთარ სამშობლოს მოახმაროს. საქართველოს დიდი ისტორია და კულტურა ის საგანძურია, რომელიც ვალუტაში არ იზომება და რომელმაც ჩვენი ერი გადაარჩინა და დღემდე მოიყვანა.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ზუსტი საერთო რეცეპტი, რომელიც ყველა ქვეყნისთვის მისაღები იქნება, არ არსებობს. ამიტომ საქართველომ თავისი კონკრეტული მექანიზმი და მოდელი უნდა შეიმუშაოს ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით. დასასრულ, მოვიშველიებ კონფუციუსის ბრძნულ გამონათქვამს: „ქვეყანაში, რომელსაც კარგად მართავენ, რცხვენიათ სიღარიბის, ქვეყანაში, რომელსაც ცუდად მართავენ რცხვენიათ სიმდიდრის“.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია და გამოკვლეულია ეკონომიკური ზრდის არსი და მნიშვნელობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ინოვაციების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, სახელმწიფოს მიერ ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ინოვაციები - ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. ინსტიტუტის დაარსებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2014.

2. თეთრაული ც. ეკონომიკური განვითარების ზოგადი ტენდენციები. ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2016.

3. სიგუა გიორგი. ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2016.

Tsitsino Tetrauli

ECONOMIC GROWTH FACTORS AND GOVERNMENT POLICY

Summary

The paper deals with economic growth factors, its essence and importance in the development of market economy. The economic growth stages and by their peculiarities are characterized. The types of economic growth and economic growth measurements are mentioned. The painful transition from one of the economic systems to another has brought new challenges to Georgia. For such a poor country like Georgia the achievement of economic growth requires a lot of effort In the epoch. Of globalization and Innovations there should be a number of state regulations that promote business development, encourage small and medium businesses to overcome the chronic problems

such as poverty and unemployment in the country. The government tries its best to achieve the economic growth adequate for our economy. For the next year the government is expecting 4,5% economic growth. The government has already implemented important social projects and continues its implementation: universal free health care, agriculture programs, free textbooks, received and implemented "Mountainous Regions Development Law." It should be noted that in November, in Tbilisi, was held Silk Road Forum "where up to 10 memorandums were signed. Announcements were made about investing millions of investments in Georgia. Was founded in the National Fund construction of. This fund will create a new investment platform in the country and will be a solid financial instrument for financing important projects. Many of the problems are to be solved, such as ecology, demography, strict regulations on genetically modified products, infrastructure projects, tourism development and promotion, tourist infrastructure and other.

ეთერ კაკულია

**ინოვაციური მცირე ბიზნესის როლი
თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში**

ანოტაცია. ნაშრომში განხილულია კლასიკური და ინოვაციური მცირე ბიზნესის საერთო და განმასხვავებელი ფუნქციები, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ინოვაციური სფეროს მცირე ორგანიზაციებს ვინ შეიძლება მივაკუთნოთ, აქ გამოყოფილია ვენჩერული და მცირე ინოვაციური ორგანიზაციები. საუბარია განვითარებულ ქვეყნებში ვენჩერული კაპიტალზე, როგორც ინოვაციური სისტემის საკვანძო ელემენტზე. შესწავლილია სამეცნიერო კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოთა (სკსს) დანახარჯების ეფექტიანობა მცირე ინოვაციურ კომპანიებში (ფირმებში); მათი როლი განვითარებულ ქვეყნების ეკონომიკაში. მათი როლის და უპირატესობის გაცნობიერების მიზნით მოყვანილია სტატისტიკური მასალები. საუბარია „ნაციონალურ ინოვაციურ სისტემაში“ მცირე ინოვაციური ბიზნესის მნიშვნელოვან როლზე.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, ინოვაციური მცირე ბიზნესი, ვენჩერული ორგანიზაციები, ვენჩერული კაპიტალი, მცირე ინოვაციური ორგანიზაცია, მცირე ინოვაციური საწარმო.

ეკონომიკის მდგომარეობასა და მისი განვითარების პერსპექტივებს დღეს დიდწილად განსაზღვრავს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი. ამასთან, კონკურენტუნარიანობის ინდექსში ინოვაციების ხვედრითი წილი 1/3-1/2-ის, ანუ 50%-ის, ფარგლებშია. მსოფლიო გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის ნორმალური განვითარების ძირითად მახასიათებლად აღიარებულია მცირე, საშუალო და მსხვილ ბიზნესსექტორთა ოპტიმალური თანაფარდობა. მათ შორის ჭარბობს მცირე ბიზნესი მისი უპირატესობებიდან გამომდინარე. მცირე საწარმოები უფრო დინამიურები არიან, ისინი სწრაფად და ეფექტიანად რეაგირებენ ეკონომიკაში მიმდინარე აღმავალ თუ კრიზისულ მოვლენებზე. სახელმწიფო დანახარჯები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ეფექტიანია, რადგან მცირე ბიზნესის მეშვეობით ხდება ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კეთილსინდისიერი კონკურენციის განვითარება, საქონლითა და მომსახურებით

ბაზრის სწრაფი გაჯერება, მასზე მოდის ეკონომიკაში ინოვაციების მეტი წილი. მცირე ბიზნესს აქვს უნარი, უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარების დონის სხვადასხვაობის მიუხედავად ამ ქვეყნებში ის აღიარებულია, როგორც ეკონომიკაში ინოვაციების უპირობო ფაქტორი. მასზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 60-70%.

აშშ-ში მცირე ბიზნესი განიხილება ორი სახის „სიცოცხლის უზრუნველყოფი და სწრაფგანვითარებადი, ანუ აქტიური ბიზნესი, რაც აღიარებულია ამერიკის მომავლის შემქმნელ სექტორად. მასში იგულისხმება ძირითადად მცირე ინოვაციური საწარმოები. სამეცნიერო კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის (შემდგომში - სკსსს) მწირი დაფინანსებით ინოვაციური მცირე საწარმოები აღწევენ შედარებით მაღალ შედეგს ახლის დანერგვის სფეროში, ვიდრე მსხვილი საწარმოები. ასე მაგალითად, აშშ-ში სკსსს-ზე 1 დოლარი დანახარჯი მცირე ინოვაციურ საწარმოებში იძლევა 24-ჯერ მეტ ინოვაციას მსხვილ საწარმოებთან შედარებით [11]. ეს სწრაფად განვითარებადი საწარმოები, ქვეყანაში შეადგენენ ყველა დამწვები საწარმოების 27%, მაგრამ ისინი იძლევიან ახალი სამუშაო ადგილების 60% -ზე მეტს [9].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებისადმი დაკვირვებამ აჩვენა მისი რიგი უპირატესობები ბიზნესის სხვა ფორმებთან მიმართებაში:

1. მცირე ბიზნესს შეუფასებელი წვლილი შეაქვს ჯანსაღი (ბუნებრივი) კონკურენტული გარემოს ფორმირებაში. კონკურენცია იწვევს შეჯიბრებას სამეურნეო სუბიექტებს შორის, რაც, თვის მხრივ, იწვევს დაინტერესებას მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი საქონლის რაოდენობის და ხარისხის პროდუქციის შექმნაში. მცირე ბიზნესი თავისი ბუნებით ანტიმონოპოლიურია, გარდა ამისა, მუდმივი ბალანსირებული კონკურენციის პირობებით მცირე ბიზნესი მუდმივად ინოვაციურია, ამით არღვევს მსხვილი და საშუალო ბიზნესის მონოპოლიზმს ეკონომიკაში.

2. მაღალი მგრძობელობა (რეაქცია) საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებასთან მას ხდის მდგრადს და მანევრირებადს. მცირე ბიზნესის ეს უპირატესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მაშინ, როცა სამომხმარებლო მოთხოვნების ინდივიდუალიზაციას, დიფერენციაციასა და საქონლისა და მომსახურების აქტიურ ზრდასთან გვაქვს საქმე.

3. მცირე ბიზნესს აქვს უნარი, უსწრაფესად დანერგოს ტექნიკური და კომერციული ინოვაციური იდეები. მცირე ბიზნესის სექტორის ყველა მონაწილე საკუთარი რისკის საფასურად, კეთილსინდისიერი კონკურენციით მოღვაწეობს მოგების მიღების მიზნით. სწორედ მონაწილეთა ასეთი სახით შეჯიბრება (კონკურენცია), მათ ანიჭებს გზამკვლევის როლს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში. მაგალითად, აშშ-ს მცირე ბიზნესში იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების და ინოვაციების 50%-ზე მეტი [6].

4. მცირე ბიზნესი დიდი ოდენობით ასაქმებს სამუშაო ძალას. სამუშაო ადგილების შექმნით, ეკონომიკაში ციკლური ჩავარდნების და ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების პირობებში მცირე ბიზნესით აქტიურად წყდება მოსახ-

ლეობის დასაქმების პრობლემა. ე.ი. იგი ხელს უწყობს უმუშევრობის შემცირებას და დასაქმების მაღალ დონეზე უზრუნველყოფას. ასე რომ, ეკონომიკაში მცირე ბიზნესი ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს საშუალო კლასის ფორმირებაში.

მცირე ინოვაციური საწარმოების განსხვავება მცირე საწარმოებთან განსხვავებულ ეკონომიკურ საქმიანობაში ვლინდება, თუმცა ორივე მცირე ბიზნესის წარმომადგენელია ეკონომიკაში და თავისი ფორმით (სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით) არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, ევროკავშირში მცირე ბიზნესად აღიარებულია ის საწარმოები, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 50 კაცს, ხოლო წლიური ბრუნვა 10 მილიონ ევროს. ამ მცირე საწარმოებიდან ინოვაციურად ითვლება ის საწარმოები, რომლებიც დამატებით დააკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ბოლო სამი საანგარიშო წლიდან კვლევასა და შემუშავებაზე გაწეული ერთ-ერთი წლის ხარჯები უნდა აღემატებოდეს ბრუნვის 15%;

- ევროკავშირის შესაბამისმა წევრმა-სახელმწიფომ (მისმა კომპეტენტურმა სააგენტომ) უნდა დაადასტუროს, რომ საწარმოს პროდუქცია და მუშაობის მიმართულება კონკურენტუნარიანია ევროკავშირის ბაზარზე.

ამასთან, ევროკავშირი გვთავაზობს ახალგაზრდა საწარმოს განმარტებას. იგი ახალგაზრდად თვლის საწარმოს, თუკი მისი ასაკი დაფუძნებულია 6 წელს არ აღემატება [3].

ეკონომიკურ ლიტერატურაში [12] განასხვავებენ კლასიკურ და ინოვაციურ მცირე საწარმოებს, ვხვდებით კლასიკური მცირე და ინოვაციური მცირე საწარმოებს შორის საერთო და განმასხვავებელ ძირითად ფუნქციებს.

კლასიკური მცირე ბიზნესის ძირითადი ფუნქციებია:

1. სტაბილური მატერიალური უზრუნველყოფა;
2. საშუალო ფენის ფორმირება;
3. ფართო მოხმარების საქონლის ბაზარზე არსებული ცარიელი ნიშის შევსება;

4. მსხვილი საწარმოების კრიზისის დროს სამუშაო ადგილების შექმნა.

ინოვაციური მცირე საწარმოების(ბიზნესის) განსაკუთრებული ფუნქციებია:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;
2. დასაქმებულთა (სამუშაო ძალის) მეცნიერულ-შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაცია/ ამაღლება;
3. ციკლის: „დანერგვა - წარმოება - მომარაგების“ დაჩქარება;
4. ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნა.

მათი საერთო ფუნქციებია:

1. ფართო ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება;
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება;
3. კონკურენციის განვითარება და მხარდაჭერა ქვეყნის, დარგის, ფირმის დონეზე;

4. დასაქმებულთა დონის ამაღლება.

ქვეყნებიდან ინოვაციური მცირე ბიზნესი უმეტესად აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაშია განვითარებული. ამ ქვეყნებმა, შეიძლება ითქვას, აამოქმედეს მცირე ბიზნესის ყველა მნიშვნელოვანი დადებითი თვისება და ჩააყენეს ეკონომიკის

მდგრადი, კონკურენტუნარიანი განვითარების სამსახურში, რაც ვლინდება შემდეგი მონაცემებით:

ჩატარებული ემპირიული კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ ინოვაციური საქმიანობა მაღალი აქტივობით გამოირჩეოდა იმ საწარმოებში (ფირმებში), სადაც დაკავებულია 100-ზე ნაკლები ადამიანი. ამერიკის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სკსსს-ის ყოველ ერთ დოლარზე, ფირმები, სადაც დასაქმებულია რაოდენობა არ აღემატება 100 კაცს, 4-ჯერ მეტ სიახლეს ნერგავს ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000 ადამიანამდე და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დასაქმებულია 10 000 ადამიანზე მეტი [6] აშშ-ში ახალი ნაწარმის მნიშვნელოვანი შემუშავების 98% ქვეყანაში განხორციელებულია მცირე ბიზნესის მიერ. მაშინ როდესაც მცირე საწარმოები 5%-ზე ხარჯავენ ნაკლებს ქვეყანაში კვლევებსა და დამუშავებაზე გამოყოფილი საშუალებებიდან [1; 9]. აშშ-ში მცირე ბიზნესში ორჯერ მეტი სამუშაო ადგილი იქმნება ვიდრე საშუალო და მსხვილ ბიზნესში, ორჯერ მეტად ინერგება ახალი ნაწარმი [5].

დანახარჯების ეფექტიანობა სკსსს მცირე ინოვაციურ კომპანიებში (მიკ) აშშ-ში 4-ჯერ მეტია ვიდრე მსხვილ კორპორაციებში. გარდა ამისა, მცირე ინოვაციური ბიზნესი ქმნის ინოვაციებს 1 დასაქმებულზე 2,5-ჯერ მეტს და ნერგავს მათ ერთი წლით ადრე, ვიდრე მსხვილი ბიზნესი, ყოველივე ამაზე ხარჯავს 75%-ით ნაკლებ საშუალებებს [10].

განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებში, გაიაზრეს რა ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების აუცილებლობა, მნიშვნელოვან სახსრებს აბანდებენ სკსსს-ში. მაგალითად, ამერიკა გამოგონებასა და დანერგვაზე წელიწადში ხარჯავს \$280 მილიარდს, იაპონია – \$100 მილიარდს, ევროკავშირის ძირითადი ქვეყნები კი – \$50-\$60 მილიარდს, ჩინეთმა ეს დანახარჯები 1995-დან 2002 წლამდე 4-ჯერ გაზარდა \$18-დან \$72 მილიარდამდე, ხოლო 2010 წელს გამოყო \$220 მილიარდი.

გერმანიაში მცირე ინოვაციური ფირმები „მკსსს“-ში თავიანთი ბრუნვის დაახლოებით 6.1%-ს ხარჯავენ [11].

დღეისათვის ევროკავშირში 23 მლნ საწარმო ახორციელებს საქმიანობას, რაც საწარმოთა საერთო რაოდენობის 99%-ია. მცირე საწარმოების მიერ შექმნილია 90 მილ იონი სამუშაო ადგილი, რაც დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 67%-ს წარმოადგენს [6].

იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში სკსსს-ის შემსრულებელი მცირე და საშუალო ფირმების წილი უდრიდა 22%-ს; ახლო წარსულში კი შეადგენდა 38%-ს. ამ მხრივ გაწეული რესურსების ხარჯები კი 75%-ით ნაკლებია, მსხვილ საწარმოსთან შედარებით.

ეკონომიკა, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ინოვაციების გზით სიარული, გვერდს ვერ აუვლის მცირე ინოვაციურ საწარმოებს, რომლებიც ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ინოვაციების მეგზურები არიან. მთელი რიგი სიახლეები, მიმართული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისაკენ, კერძო სექტორში ვითარდება მცირე ბიზნესის ხარჯზე; იქნება ეს ბიოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა თუ მეცნიერული ხელსაწყოთმშენებლობა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ინოვაციური სფეროს მცირე ორგანიზაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ:

➤ ვენჩერული ორგანიზაციები – მცირე ტექნოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ მაღალი რისკის შემცველ პროექტებს. მათი დაფინანსებისათვის იქმნება სპეციალური ვენჩერული ფონდები. მათი განვითარების კონცეფცია მდგომარეობს შემდეგი ციკლის განხორციელებაში: იდეა – ინოვაცია – ინვესტიციები საცდელ-საკონსტრუქტორო ან მეცნიერულ-კვლევით სამუშაოებზე – ინოვაციური საცდელი პროდუქციის პარტიის წარმოება – ბაზრის ნიშის დაპყრობა – სწრაფად გასვლა აქციების პირველადი გაყიდვების (IPO) ბაზარზე. ვენჩერული ტექნოლოგიური ბიზნესი წარმოადგენს ბაზას ქვეყნის თანამედროვე განვითარების, პოსტინდუსტრიული და ცოდნის ეკონომიკის შექმნით.

➤ მცირე ინოვაციური ორგანიზაციები, რომლების ეწევიან ინოვაციური პროექტების რეალიზაციას ან ინოვაციური პროდუქციის გამოშვებას. თანამშრომლობისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის (OACP) წევრ-ქვეყნებში ინოვაციურად აქტიური ორგანიზაციების წილი შეადგენს 25%-დან 80-მდე. ინოვაციურ ეკონომიკებში ასეთი ორგანიზაციები მეტწილად ჭარბობს, რადგან თავისუფალი კონკურენციის პირობებში მხოლოდ მათ შესწევთ არსებობის უნარი, მათი კონკურენტული უპირატესობის ხარჯზე. ინოვაციური ორგანიზაციის ინვესტირების სტრატეგია – ინვესტიციების ძირითადი ნაწილის ჩადება ისეთ პერსპექტიულ ინოვაციურ პროდუქტზე, რომელიც დაცულია დამცავი დოკუმენტით/საბუთით (პატენტი, მოწმობა გამოგონებაზე). ინოვაციურ ორგანიზაციებში რისკის შემცირების მიზნით იქმნება საინვესტიციო პროექტების პორტფელი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში ვენჩერული კაპიტალი ეს არის ინოვაციური სისტემის საკვანძო ელემენტი. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენს მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოების უზრუნველყოფა კაპიტალით, განსაკუთრებით მათი საქმიანობის წამოწყებისას. ვენჩერული კაპიტალი, როგორც კერძო ბიზნესის ინვესტიციური დაფინანსების დამოუკიდებელი და მნიშვნელოვანი წყარო აშშ-ში გამოჩნდა გასული საუკუნის 50 იანი წლების შუა პერიოდში. 1973 წელს შეიქმნა ვენჩერული კაპიტალის ნაციონალური ასოციაცია, უკვე 1980-იან წლებში აშშ-ში მოქმედებდა 650-ზე მეტი ვენჩერული ფონდი, ხოლო 1990-იანი წლებში ასეთმა ფონდებმა რამდენიმე ათასს მიაღწია.

ევროპაში ვენჩერული კაპიტალი გამოჩნდა გვიან - მხოლოდ 1970-იანი წლების ბოლოს. მიუხედავად ამისა, ვენჩერული კაპიტალის ევროპის ასოციაციის მონაცემებით, ევროპაში ბოლო წლებში ფუნქციონირებდა 850 კომპანია, რომელიც იმართება ვენჩერული კაპიტალით. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში 3000 ვენჩერული ფირმაა და პირდაპირი ინვესტიციების ფონდი შეადგენს 250 მილიარდ დოლარს, რომელიც ყველწლიურად იზრდება 20-30%-ით.

დღეს აშშ და ევროპა წარმოადგენს მთავარ ცენტრს ვენჩერული კაპიტალის, თუმცა დღეს აშშ-ში ვენჩერული ინვესტიციები 4-ჯერ აღემატება ევროკავშირის სახელმწიფოების ანალოგიურ მაჩვენებელს. შედარებისათვის, 2009 წელს აშშ-ში შეადგენდა 21.4 მილიარდ დოლარს, ევროკავშირში – 4.6, ჩინეთში კი – 1.9 [11].

90-იან წლებში მცირე საწარმოების როლმა და მნიშვნელობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. ემპირიულმა გამოკვლევებმა მცირე საწარმოების მიერ წარმატებული ინოვაციების ბევრი მაგალითი დაადასტურა. მცირე ინოვაციური

ფირმები უნივერსიტეტებსა და ახლგაზრდა მეცნიერებთან თანამშრომლობით ხშირად ახორციელებენ ძირითად ტექნოლოგიურ გარღვევებს და ინოვაციებს, რითაც წინ უსწრებენ მსხვილ კორპორაციებს. მცირე ინოვაციური საწარმოები აუცილებელი წყაროა ცოდნის შექმნაში. მათი ინოვაციები და ტექნოლოგიები ხშირად შეისყიდება და კომერციალიზდება მსხვილი საწარმოების მიერ. თუკი დავაკვირდებით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ გამოცდილებას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მსხვილი ბიზნესი დღესდღობით კვლავ აგრძელებს მნიშვნელოვან როლს ინოვაციების რეალიზაციაში, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალ დაბანდებას ითხოვენ, მაგრამ მათი როლი ინოვაციების შექმნაში რამდენადმე ტრანსფორმირებულია დღეისათვის.

დღეს განვითარებულ ქვეყნებში ინოვაციების ნახევარს და რადიკალური ინოვაციების თითქმის 100%-ს ახორციელებს მცირე ბიზნესი. გარდა ამისა, ინოვაციური პროცესის ეფექტიანობა მცირე საწარმოებში საგრძნობლად მაღალია ვიდრე მსხვილში. ეს განპირობებულია იმით, რომ მცირე საწარმოებს, განსხვავებით დიდისგან, ახასიათებს ისეთ რისკზე წასვლა, რომლებიც წარმოიქმნება რადიკალური ინოვაციების რეალიზაციისას, რომელიც თავის თავში მოიცავს ტექნოლოგიურ გარღვევებს ამა თუ იმ სფეროში. შესაბამისად, იმისთვის რომ ინოვაციური პროდუქციით გავიდეს ბაზარზე და გახდეს რომელიმე სფეროში ნოვატორი, მცირე ინოვაციურ საწარმოებს უწევთ ამ რისკზე წასვლა. პირიქით, დიდი საწარმოების უმრავლესობა თავის საინვესტიციო საქმიანობაში ორიენტირებულია არა რადიკალურ, არამედ განვითარებულ ინოვაციებზე, ანუ დიდ საწარმოებს გააჩნიათ დიდი სამრეწველო პოტენციალი და არ არიან მზად, გაწიონ რისკი რადიკალური ინოვაციების შესაქმნელად.

მაშასადამე, რადიკალური ინოვაციების უმრავლესობას აწარმოებს მცირე ბიზნესი. მაგრამ ინოვაციებზე დაფუძნებული საქონელი სერიულად იწარმოება მსხვილი კორპორაციების კონცენტრაციის ხარჯზე.

მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში მცირე ინოვაციური ბიზნესის გამოცდილების გაცნობიდან, შეიძლება ითქვას, დღეს შეუძლებელია თანამედროვე ნაციონალური ინოვაციური სისტემის შექმნა მცირე ინოვაციური საწარმოების განვითარების გარეშე. ამის დადასტურებაა ის, რომ განვითარებულ ქვეყნებში, მცირე ინოვაციური საწარმოები, ეკონომიკის (ბიზნესის) ეს სექტორი, დღეისათვის აღიარებულია, როგორც მეცნიერული ცოდნის მატერიალიზაციის საშუალება.

რომ გავაცნობიეროთ მცირე ინოვაციური საწარმოების როლი, ყურადღება მივაქციოთ კიდევ შემდეგ ფაქტს: აშშ-ში მცირე ინოვაციურ ბიზნესში დაკავებულია 25% იმ საინჟინრო და მეცნიერული კადრებისა, რომლებიც საქმიანობენ საწარმოებში „სკსსს“-ო სფეროში. მაგალითად, 2007 წელს „სკსსს“-ში დაკავებული 1.1 მილიონი ადამიანიდან მცირე ინოვაციურ ბიზნესზე მოდიოდა 771,1 ათასი ადამიანი. მათი წილი ქვეყნის შიგნით მოქმედ მცირე ბიზნესში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 12,2% შეადგენს და ოჯერ მეტად აღემატება მეცნიერთა და ინჟინერთა წილს (5.9%) ქვეყნის შიგნით არსებული მსხვილი საწარმოების საერთო დასაქმებულებში. მეცნიერული და საინჟინრო კადრები მეტწილად კონცენტრირებულია წვრილ კომპანიებში, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 5-დან 24 ადამიანამდეა [11].

აშშ-ში 2010 წელს რეგისტრირებული იყო 20 მილიონი მცირე საწარმო, მცირე ინოვაციური ბიზნესის წილს შეადგენს 1,9% [11]. სწორედ ამ ბიზნესს ეხმაურება ამერიკის (მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია), როგორც ნაციონალურ სტრუქტურას და ქვეყნის მომავალს. მცირე ინოვაციური ბიზნესისადმი ამგვარი როლის მინიჭება ასახულია როგორც თეორიულ კონცეფციებში, ასევე სახელმწიფო პოლიტიკაში, რომელიც ამერიკაში მიმართულია მცირე ბიზნესის, კონკრეტულად კი ამ სექტორის - მცირე ინოვაციური ბიზნესის - ყოველმხრივი განვითარებისაკენ.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, განვითარებულ ქვეყნებში მცირე ინოვაციური საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების და ინსტრუმენტების მუდმივი განახლება და ოპტიმიზება ხდება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ეკონომიკის ამ სექტორის - ინოვაციური მცირე ბიზნესის - როლი დიდია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში და, ამასთან, ის განვითარებული ქვეყნების „ნაციონალური ინოვაციური სისტემის“ ცენტრალურ რგოლს წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ამ სისტემის დინამიზმს და ფუნქციონირების მაღალეფექტურობას.

მცირე ინოვაციური საწარმოებისათვის პროდუქციის გამოყენების დრო მის შეცვლამდე ან სრულყოფამდე არ აღემატება 8,5 წელს, რაც 7 წლით ნაკლებია ვიდრე მსხვილ კომპანიებში.

აშშ-ში განხორციელებული 58 მნიშვნელოვანი გამოგონებიდან XX საუკუნეში 46 შესრულებულია მცირე ინოვაციური საწარმოების მიერ. 1970-იან წლებში ერთ-ერთ მცირე საწარმოში მიკროპროცესორის შექმნამ გამოიწვია ელექტრონული წარმოების ბუმი. მსოფლიო ეკონომიკის გიგანტები, ისეთები, როგორცაა Apple computers, Lotus და Intel მოღვაწეობას იწყებენ როგორც მცირე ინოვაციური საწარმოები. ექსპერტების შეფასებით, განვითარებულ ქვეყნებში შიდა პროდუქციის 70-75%-ზე მეტი ზრდა განისაზღვრება ინოვაციებით.

ამჟამინდელი მონაცემებით, მსოფლიო ეკონომიკაში მეცნიერებატევადი პროდუქცია ეყრდნობა 50-55 სახის მაკროტექნოლოგიას. მეტად განვითარებული 7 ქვეყნის წილი, რომელიც ფლობს 46 მაკროტექნოლოგიას, შეადგენს ინოვაციური ბაზრის 80%-ს. აშშ-ში, მაგალითად, ყოველწლიურად ხდება მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტირება 700 მილიარდი დოლარის ოდენობით, გერმანიაში - 530 მილიარდი, იაპონიაში - 400 მილიარდი დოლარის ოდენობით. მსოფლიო ინოვაციური ბაზრის მოცულობა დღეის მონაცემებით შეადგენს 2 ტრილიონ 300 მილიარდ დოლარს. ამასთან, აშშ-ს წილია - 39%; იაპონიის - 30%, გერმანიის 16%, რუსეთის 0,3% [12].

საკითხის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას რომ, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, დიდია ინოვაციური მცირე ბიზნესის როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მაღალი კონკურენტუნარიანობის საქმეში. ასევე დიდია მისი როლი ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებაში, რამდენადაც განვითარებულ ქვეყნებში იგი აღიარებულია, როგორც ეკონომიკის ნაციონალური ინოვაციური სისტემის ელემენტების მაკავშირებელი მთავარი რგოლი.

საქართველოში ამ მიმართულებით არსებული ხარვეზების გამოსწორებას ხელს შეუწყობს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. განსაკუთრებით ევროკავშირის ინოვაციური ბიზნესის განვითარების სამოქმედო

პროგრამებსა თუ აქტებში დროული ჩართვა, რაც ჩვენს ქვეყანას აძლევს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ეკონომიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, ე. კაკულია, მცირე ბიზნესის მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში, თბილისი, 2009.
2. ე. კაკულია, ნ. ბიბილაშვილი, მცირე ბიზნესი: ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ფაქტორი, თბილისი, 2016.
3. თამაზ ვაშაკიძე, ინოვაციური მცირე საწარმოების მხარდაჭერა ევროკავშირში, 2016.
4. Быковская Е.В. Инновационная деятельность малых предприятий как фактор роста эффективности их функционирования <http://vernadsky.tstu.ru/pdf/2010/04/39.pdf>
5. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных малых и средних предприятий, <https://kfpp.ru/analytics/material/innovation.php>
6. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск. «Книжный Дом», 2004.
7. Счастливая Н.В. Малый инновационный бизнес в экономике высокоразвитых стран 2009. http://vestnik.osu.ru/2009_2/8.pdf
8. Мугазович К. Н. Малый бизнес как элемент инновационной среды. 2011, Москва <http://uecs.ru/uecs-31-312011/item/518-2011-07-14-10-45-38>
9. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995.
10. Иванов Ян. Зарубежный опыт инновационного развития малого бизнеса. Молодой ученый. 2013, №12, с. 306-308.
11. Чеберко Е.Ф., Казаков В.А. Место малого инновационного предпринимательства в современной экономике.
12. Смагулова Ж.Б., Бисенова Р.А., Айдосова Б. Х. Роль малых инновационных предприятий в современной экономике.

Eter Kakulia

INNOVATION SMALL BUSINESS ROLE IN THE ECONOMIES OF MODERN DEVELOPED COUNTRIES

Summary

In the work are discussed common distinguished functions of classical and innovation small business, also who can be belonged to the small organizations in the economic view. Here are distinguished venture and small innovation organizations .Is talked about the venture capital in the developed countries as the key element of the innovation system. Are studied the effectiveness of expenses of scientific-research experimental constructive activity in the small innovation companies (forms): their roles in the economies of developed countries. For the purpose of realization of their roles and advantages are given statistic materials Is talked about the important role of small business in the “national innovation system”.

მედია მელაშვილი
ნუნუ ქისტაური
ქეთევან ქველაძე

**სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის („PPP“) რელი
ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ზრდის პროცესში**

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის განვითარებისათვის განხორციელებული ღონისძიებების დარგში ისეთი ახალი, ინოვაციური მოდელის გამოყენებას, როგორცაა „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა“ - Public Private Partnerships (PPP). ამ მოდელის ძირითადი მიზანია სახელმწიფოსა და კერძო სფეროს შორის ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობების დამყარება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საბიუჯეტო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლებას დამატებითი კერძო ინვესტიციების მოზიდვის გზით, ორივე პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით და აუცილებლად ნებაყოფლობითი პრინციპების გამოყენებით. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ მოდელის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, როგორც საქართველოა, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული, მსგავსი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით დაძლიონ საკუთარი ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: მდგრადობა, პარტნიორობა, ინოვაცია, სახელმწიფო, კერძო, მოდელი.

შესავალი

თანამედროვე ინოვაციური ეკონომიკა ხასიათდება ბიზნესის და სახელმწიფოს ურთიერთობების ახალი ფორმებით. ერთ-ერთი მათგანია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა - Public Private Partnerships (PPP), რომლის ძირითადი მიზანია კერძო ინვესტიციების მასშტაბების ზრდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებიც ემსახურება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ცხოვრების დონის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის ზრდას. ბოლო პერიოდში ეს მოდელი მეტად აქტუალურია, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრა მხოლოდ სახელმწიფოს დამოუკიდებლად არ ძალუძს. მას აუცილებლად სჭირდება კერძო სექტორის დახმარება.

* * *

განვითარებული ქვეყნები ერთხმად თანხმდებიან, რომ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის, ინფრასტრუქტურის განვითარების, საზოგადოებისათვის გაუმჯობესებული სერვისების მიწოდების ერთ-ერთ ახალ, ინოვაციურ გზას სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დანერგვა და განვითარება წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის დოკუმენტებში მოცემულია PPP-ის, ჩვენი აზრით, სრულყოფილი განმარტება: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა არის სახელშეკრულებო ურთიერთობები, რომლებიც გაფორმებულია სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის რაიმე საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად. ხელშეკრულება მიიღება დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის, ასევე სახელმწიფო საბიუჯეტო ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლების მიზნით. პარტნიორობის ეს ფორმა არის თანამშრომლობა

ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული ამოცანების განსახორციელებლად, ხარჯებისა და რისკების ერთმანეთს შორის გადანაწილების მეშვეობით, გრძელვადიანი და ნებაყოფლობითი პრინციპების გამოყენებით. მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ინოვაციური მოდელის დანერგვა საშუალებას იძლევა მოხდეს დანახარჯების ოპტიმიზაცია ამა თუ იმ დარგში და ისინი განვითარდეს რეალური საქმიანობების და მდგრადობის გაძლიერების შესაბამისად.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის თითოეული მონაწილე მხარე მოწოდებულია როგორც საერთო ინტერესების წარმატებით განხორციელებისათვის, ასევე ისინი ორიენტირებულნი არიან საკუთარი მიზნებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ საკუთარ ინტერესებს და ზოგჯერ მათი ეკონომიკური ინტერესები არათუ არ ემთხვევა ერთმანეთს, საწინააღმდეგო მიმართულებებიც კი შეიძლება ჰქონდეთ. ამის გათვალისწინებით თანამშრომლობის დაწყებამდე აუცილებელია ამ ინტერესების ძალიან ზუსტად განსაზღვრა და მათი მაქსიმალური მორგება საერთო ინტერესებისადმი.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა უდავოდ ინოვაციური მოდელია, რაც საბოლოოდ მის ძირითად მახასიათებლებში გამოიხატება. ესენია:

- სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების სარგებლების, რესურსების, რისკების, პასუხისმგებლობის ერთმანეთს შორის განაწილება;
- სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტა სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის ურთიერთთანამშრომლობით;
- სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობის გრძელვადიანი ხასიათი;
- სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესს შორის თანამშრომლობის სამართლებრივად გამყარება;
- პარტნიორულ თანამშრომლობაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- კერძო ბიზნესის მიერ შესრულებულ სამუშაოზე ხარისხის კონტროლის მექანიზმების არსებობა.

საზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარტნიორობის აღნიშნული მოდელი აუცილებლად და მხოლოდ ნებაყოფლობითი პრინციპს ემყარება და ორი ძირითადი მონაწილის გარდა, ხშირად მნიშვნელოვან პარტნიორად გვევლინება არაკომერციული სექტორი - განათლების, ჯანდაცვის, კულტურის სფეროში მოქმედი ესა თუ ის ფონდი, საზოგადოებრივი მოძრაობა და სხვ. „PPP“-ის პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება შემდეგი დარგები: ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება; მეცნიერება და განათლება; ინოვაციური ინფრასტრუქტურა; საწარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; კომუნალური მეურნეობა.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტები ფართოდ გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც 2014 წელს ამ პროექტების საერთო ღირებულებამ 18.7 ტრილიონი ევრო შეადგინა. დარგობრივ ჭრილში ლიდერობს სატრანსპორტო სფეროს პროექტები, 2015 წელს ტრანსპორტის სფეროში რეალიზებული პროექტებისათვის დაიხარჯა „PPP“-ის ყველა პროექტის ღირებულების 60%, შემდეგ მოდის ჯანდაცვის სფერო და განათლება. მაგალითად, აღნიშნულ პერიოდში ევროკავშირის მასშტაბით ხორციელდებოდა ისეთი გიგანტური პროექტების მშენებლობა, როგორცაა: მეტროპოლიტენის ხაზი იტალიაში (მილანში), ავტომაგ-

ისტრალი ბელგიაში, ნიდერლანდებში, გერმანიაში, საუნივერსიტეტო კლინიკა გერმანიაში და სხვა, ხოლო ყველაზე ცნობილი პროექტი კი არის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა ლა-მანშის ქვეშ.

საერთოდ, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი გამოიყენება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში, 2015 წლისათვის PPP-ის პროექტების ღირებულების მხრივ ლიდერობდა თურქეთი (9.2 მლრდ ევრო), ხოლო ამ წელს დასრულებული პროექტებით პირველ ადგილზეა დიდი ბრიტანეთი (15 პროექტი). ესპანეთში ბოლო 10 წლის განმავლობაში “PPP“-ს პრინციპებზე დაყრდნობით რეკონსტრუირებულია მთელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ჩინეთში იმ ინფრასტრუქტურული ობიექტების ნახევარზე მეტი, რომლებიც განკუთვნილი იყო 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად, სწორედ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მექანიზმების საფუძველზე განხორციელდა.

რაც შეეხება განათლებას, ჩვენ ვთვლით, რომ PPP მექანიზმების გამოყენების მხრივ, განათლების სფერო წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და მომგებიან მიმართულებას, რადგანაც აქ შეიძლება მოხდეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ საკმაოდ პატარა თანხებში. ამის მიზეზი ისაა, რომ განათლების სფეროში შეიძლება აუცილებელი გახდეს სხვადასხვა ობიექტის, მაგალითად, სკოლის შენობის აშენება ან რემონტი, მაშინ, როცა ზემოთ აღნიშნული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის დარგში ადგილი აქვს მეგა-პროექტებს - მეტროს, ხიდების, გვირაბების და ა.შ. მშენებლობას, რომლებიც დაფინანსების მხრივაც მეგახარჯებს მოითხოვს.

დღეს მსოფლიო მასშტაბით დიდი გაქანება ეძლევა განათლების და მეცნიერების სფეროში PPP-ს ისეთ პროექტებს, რომლებიც მოწოდებულია საუნავერსიტეტო კომპლექსების შექმნისა და განვითარებისაკენ. ეს კომპლექსები აერთიანებს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, ეს კი საშუალებას იძლევა, უმაღლესი განათლების სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდოს საგანმანათლებლო პროცესის ხარისხი და ეფექტურობა, დაიხვეწოს კვლევითი მიმართულებები, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ინტელექტუალური, მატერიალური, საინფორმაციო რესურსები მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად. სწორედ ამ მიმართულებით აღნიშნული მოდელი ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. სადაც განათლება უდავოდ არის მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული დარგი.

მსოფლიოში PPP მოდელის განვითარების პროცესში დაგროვილი პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ პირველ რიგში აუცილებელია შეიქმნას ისეთი სამართლებრივი გარემო, სადაც გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ძირითადი პრინციპები, პროცედურები და პირობები. ამ მხრივ საინტერესო მაგალითია საფრანგეთი, სადაც PPP პროექტების ეფექტურად განხორციელებისთვის 2008 წელს სპეციალური კანონი „PPP Law“ შეიქმნა, რომელიც მთლიანად მორგებულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პრინციპზე და მასში დეტალურად არის გაწერილი პროცესში მონაწილე მხარეების ვალდებულებები, პასუხისმგებლობა, რისკები, დეტალურად არის გაწერილი ტენდერის პროცედურები, პროექტის განხორციელების პროცესი.

მსოფლიო მასშტაბით წარმატებით განხორციელებული PPP პროექტების შედეგებმა განვითარებადი ქვეყნებიც სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის დანერგვის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ამ ქვეყნებს შორის საქართველოცაა, სადაც ამ აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენიმე წელია ფუნქციონირებს PPP ცენტრი. იგი წარმოადგენს საინიციატივო ორგანიზაციას, რომლის მთავარი მისიაა საჯარო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის მოდელის ხელშეწყობა საქართველოში დაამ კუთხით ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესწავლა.

PPP ცენტრის ინიციატივით, ჯერ კიდევ 2013 წლის 7-8 დეკემბერს ქობულეთში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის ინიციატივით საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის განხილვისადმი მიძღვნილი კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციაზე განხილეს PPP ფინანსური მექანიზმები, პარტნიორობის განვითარების იურიდიული და ინსტიტუციური ფორმები.

აქ ასევე აღინიშნა, რომ PPP მოდელით განხორციელებული პროექტები ითვალისწინებს გრძელვადიან, დაახლოებით 25-30 წლიან სამოქმედო გეგმას, სადაც რესურსები გადანაწილებულია კერძო და საჯარო სექტორს შორის კონკრეტული პროექტის დიზაინის, მშენებლობის, დაფინანსების და მართვის განსახორციელებლად.

2015 წლიდან საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის დანერგვის და პროექტების წარმატებით განხორციელებისათვის ქართულ მხარეს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ეხმარება. გამოყოფილია პარტნიორობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის განვითარებისათვის აუცილებელი ტექნიკური დახმარება, შემუშავებულია PPP მოდელთან დაკავშირებული კანონმდებლობის და პრაქტიკის კვლევის დოკუმენტი. თუმცა ამისდა მიუხედავად, PPP ცენტრის მონაცემებით, ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს არც კანონმდებლობა, სადაც პირდაპირ იქნება გათვალისწინებული საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელი და არც შესაბამისი ინსტიტუციური და სამართლებრივი გარემო. ასევე არ არსებობს ქვეყანაში განხორციელებული და დაგეგმილი PPP პროექტების ერთიანი საინფორმაციო ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნება პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება. მიუხედავად სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელის განვითარების კუთხით ქვეყანაში არსებული მოუმზადებელი მდგომარეობისა, 2016 წლის მონაცემებით საქართველოში წარმატებით განხორციელებულია 3 და დაგეგმილია კიდევ 2 PPP პროექტი (იხ. სქემა 1)

წლები	პროექტი	ბიუჯეტი	სექტორი
2005-2037	თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტები	100 მლნ. ლარი	ტრანსპორტი
2012	ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობა კარიერების აღდგენის მეშვეობით	325000 ევრო საქართველოს მხარე	გარემოს დაცვა
2014	ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი	10 მლნ. ევრო	სანიტარია

დაგეგმილი PPP პროექტები:

წლები	პროექტი	ბიუჯეტი	სექტორი
2016	ანაკლიის ღრმანყოფანი პორტის მშენებლობა	2.5 მლრდ დოლარი	ტრანსპორტი
2015	ალფამედიკ თბილისის სამედიცინო კლასტერის პროექტი	0.5 მლრდ. ლარი	ჯანდაცვა

სქემა 1

განხორციელებული PPP პროექტები

უდავოა, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელ ნაწილს, მსოფლიო ბაზარზე ქვეყნის პოზიციების და დადებითი იმიჯის ფორმირების, მისი ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ ეფექტურ გზასა და მიმართულებას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, სადაც ისევე, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ბევრი ქვეყნისათვის, უმთავრესი პრობლემა ამ მეთოდის სიახლეა მოწინავე ქვეყნებისთვისაც კი და ამიტომ ჯერ კიდევ არ არსებობს მისი დანერგვის და ამ დანერგვის შედეგად მისი ეფექტურობის და შესაძლო სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგების შეფასების სათანადო გამოცდილება. თუმცა, მიუხედავად ამისა, უკვე ნათლად ჩანს, აღნიშნული მეთოდი მეტად ეფექტურია საქართველოსთვის, რომელიც, მართალია, ეკონომიკური განვითარების მხრივ საკმაოდ დაბალ საფეხურზე დგას, მაგრამ მიზნად აქვს დასახული საკუთარი ეკონომიკის მდგრადობის განუხრელი ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://www.vestifinance.ru/articles/84648> IT-системы станут объектами ГЧП и концессий
2. <http://novainfo.ru/article/11116/pdf> ГОСУДАРСТВЕННО-ЧАСТНОЕ ПАРТНЕРСТВО КАК ОБЪЕКТ ПУБЛИЧНОЙ ПОЛИТИКИ Туровский Александр Алексеевич
3. <http://eee-region.ru/article/4833/> Номер журнала: №4 (48), 2016 Проекты государственно-частного партнерства в России и в зарубежных странах
4. <https://articlekz.com/article/13408> Развитие государственно-частного партнерства в инновационной сфере: международный опыт
5. <https://monographies.ru/en/book/section?id=11641> 3.2. Государственно-частное партнерство в инновационной сфере
6. https://zakon.ru/blog/2013/10/23/gosudarstvennochastnoe_partnyorstvo Государственно-частное партнёрство – новые возможности при реализации инновационных проектов 3.10.2013 — 15:54
7. <http://vestnik.uapa.ru/ru/issue/2016/01/8/> Государственно-частное партнерство в инновационной сфере как основа консолидированного управления современной экономикой Гусев В.В. , Гусева Я.В.
8. <http://vestnik.uapa.ru/ru/issue/2016/01/8/> Государственно-частное партнерство в инновационной сфере как основа консолидированного управления современной экономикой Гусев В.В. , Гусева Я.В.

THE ROLE OF THE PUBLIC-PRIVATE PARTNERSHIP (PPP) IN THE PROCESS OF GROWTH OF ECONOMIC SUSTAINABILITY OF THE COUNTRY

Summary

The modern innovative economy is characterized by new forms of business and state relations. One of them is the - Public Private Partnerships (PPP), whose primary objective is to increase the extent of private investments in various measures implemented by the state that serve the growth of the social status of the population and living standards and generally, economic sustainability of the country. Developed countries unanimously agree that introduction and development of public-private partnership is one of the new, innovative ways of improving the economic growth, infrastructure development and supply of society with services in the countries.

This form of partnership is the cooperation to implement the priority objectives of economic development, through the distribution of costs and risks between each other using long-term and voluntary principles. According to the world experience, the introduction of the PPP innovative model allows the expenditure optimization in a particular field and development in accordance with the real needs and sustainability.

We would like to emphasize that this model of partnership is surely and only based on voluntary principle and in addition to the two main participants, the non-profit sector– this or that foundation acting in the field of education, healthcare, cultural affairs, public movement, social movement etc. is the most important partner. The following areas are considered as "PPP" priorities: health care social services; Science and education; Innovative infrastructure; Production and transportation infrastructure; Public utilities.

Public-private partnership projects are widely used in EU countries where the total value of these projects in 2014 amounted to 18.7 trillion Euros. In sectoral context transport projects are the leader. For the projects implemented in the sphere of transport in 2015 60% of all PPP projects value was spent, followed by healthcare and education. For example, the construction of such giant projects in the European Union, such as the Metropolitan Line in Italy (In Milan), moto way in Belgium, the Netherlands, Germany, University Clinic in Germany and other, and the most famous project is the construction of a railway tunnel under the La Manche.

Generally, PPP is used worldwide in more than 100 countries In 2015 according to PPP's project value, the leader was Turkey (9.2 billion Euro), while by the completed projects of this year first place occupies the United Kingdom (15 projects). In Spain in the last 10 years based on "GPSU" principles the whole transport infrastructure has been reconstructed. In China more than half of infrastructural objects intended for the 2008 Olympic Games was implemented on the basis of the of PPP's mechanism.

Practice accumulated in the development of the PPP model in the world shows that it is essential to create a legal environment in which the main principles, procedures and conditions of the public-private partnership are considered. An interesting example of this is France, where the special law "PPP Law" was created in 2008 to effectively implement PPP projects that are fully adapted to the principles of public-private partnership and the obligations, risks and responsibilities of the parties involved in the process are detailed as well as the tender procedures, procedures of project implementation.

The success of the PPP projects successfully implemented worldwide, has made the developing countries to introduce the PPP model. Among these countries is Georgia, where the PPP Center is functioning for several years. It is the initiative organization, the main mission of which is promoting the cooperation between public and private sector in Georgia and in this terms the study of the situation in the country.

At the initiative of the PPP Center, on December 7-8, 2013, a conference dedicated to the public-private partnership model was held at the initiative of the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and the World Bank in Kobuleti. The PPP financial mechanisms, legal and institutional forms of partnership development were discussed at the conference.

It was also noted that the projects implemented by the PPP model provide a long-term, approximately 25-30 year action plan, where resources are allocated between private and public sector to implement design, construction, financing and management.

The European Bank for Reconstruction and Development (EBRD) is helping the Georgian side to implement a public-private partnership model and successfully implement projects from 2015. The technical support for development of the legal basis of the regulatory framework of the Partnership is outlined and the document on the legislation and practices of the PPP model has been developed. However, despite the PPP Center data, there is no legislation in the country where the public-private partnership model and the relevant institutional and legal environment will be directly covered. There does not exist unified database of PPP projects implemented in the country where it will be possible to find detailed information about the projects.

There is no doubt that the state-private partnership is an integral part of the modern economy, one of the effective ways and direction of sustainable development of the country economy is the formation of its positions and positive image on the world market. Taking into account all this, we consider that it is especially important for a country like Georgia where the main problem for many countries with transition economies is that this method is new even for advanced countries, and therefore there is no relevant experience of the results of its implementation and the assessment of potential social-economic and legal results. However, it is already clear that this method is very effective for countries like Georgia, which, is still at a lower level in economic development, but is aimed at sustainable growth of its economy.

ზურაბ ნოზაძე

**სოციალურ-ეკოლოგიური ინოვაციები და მათი უსაფრთხოება
გლობალიზაციის პირობებში**

სოციალური ცვლილებების დინამიზმი, რომელიც განპირობებულია გლობალიზაციის რთული პროცესების განვითარებით, პირველ რიგში წინ სწევს ერთიანი მეცნიერული მიდგომებისა და მეთოდების გეგმების შემუშავების აუცილებლობას, ინოვაციური პროცესების ფართოდ დანერგვას, მათი უსაფრთხოების კრიტერიუმის და შეფასების ძიებას ოპტიმალური განხორციელებისათვის.

დღეისათვის ცნობილია ის ფაქტი, რომ კაცობრიობის მდგრადი განვითარების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ „ეკოლოგიურად ორიენტირებული სივრცის“ სიცოცხლისუნარიანი სოციალური სისტემების გაფართოების გზით. ამ ყველაფრის მიღწევა შეიძლება ბუნებრივი რესურსების

დასაშვები ოპტიმალური ინტენსივობით გამოყენების, გარემოს მაქსიმალური დაცვის, ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის შენარჩუნების უფლებების მკვეთრი გაუმჯობესების საშუალებებით. მოცემულ სტატიაში განხილულია და მთავარ მიზანს წარმოადგენს სოციალური და ეკოლოგიური ინოვაციების მდგრადი განვითარებისა და მათი უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძველების ანალიზი გლობალიზაციის დროს, ინოვაციის კლასიფიკაციის განხორციელება ეკოლოგიური კრიტერიუმებით, ინოვაციურ ნოვატორულ სოციუმზე ორიენტირებული მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოების პრობლემების გამოკვლევა, ანტიკრიზისული მიმართულების პროგრესული მეთოდების პროგნოზული დასაბუთების უზრუნველყოფა.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, სოციალურ-ეკოლოგიური პროცესების მასშტაბებიდან გამომდინარე, არასაკმარისად განხილვა მათი სიმბიოზური ერთიანობა ბუნებრივ გარემოსთან, აუცილებელია ეკოლოგიაზე ორიენტირებული ინოვაციური სტრატეგიული მოქმედება ბიოსაფრთხოებისა და ანთროპობიოსფეროს სტაბილურობის შენარჩუნებისათვის, ამასთან დაკავშირებით კონკრეტიზაციასა და დაზუსტებას მოითხოვს ცნება მდგრადი განვითარება. ხოლო სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, პოლიტიკური დინამიკა საჭიროა განხილოს მხოლოდ ეკოლოგიასთან კომპლექსში, მათი მიღწევებისა და თანაზომიერი განვითარების ურთიერთკავშირსა და ოპტიმალურად გადაწყვეტაში.

განხორციელებული სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური, სამართლებრივი ღონისძიებები, რომლებიც უპირატესად ორიენტირებულია განუახლებელი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან ეკონომიასა და ახალ ეკოლოგიურ ტექნოლოგიაზე გადასვლის დამუშავებაზე, პრინციპულად არადამაკმაყოფილებელია. აუცილებელია, ყველა სოციალური ინოვაცია დავეგემოთ და „განვაავითაროთ“ ეკოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით, სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალურ-ინოვაციური საქმიანობა უნდა იყოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ორიენტირებული და მიზანმიმართული.

წარმოებისა და მოხმარების მდგრადმა განვითარებამ და ზრდამ, მეურნეობის რესურსულ-ორიენტირებული საშუალებით წარმართვამ გლობალურ მასშტაბში, დემოგრაფიულმა პრობლემებმა, ეკონომიკურ-სოციალურმა დაძაბულობამ და სხვა პრობლემებმა, რომლებიც მოქმედებდა წინა ათწლეულებში, მიგვიყვანა ანთროპოგენური დაძაბულობის გაძლიერებამდე, პლანეტარული ეკოსისტემების დეგრადირებამდე და შეუქცევად ცვლილებებამდე. მეცნიერების წინაშე დადგა აუცილებლობა, დავიწყოთ კარდინალური ცვლილებები სოციალურ-ეკოლოგიური სტრატეგიის გადასინჯვის მიმართულებით რათა მაქსიმალურად დავიცვათ ეკოლოგიური სისტემა. სისტემის – „კაცობრიობა-ბიოსისტემა“ – დინამიური სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია გადავიდეთ ახალ ტექნოლოგიებზე და ინოვაციურ მიმართულებებზე.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია ალტერნატიული მრავალპროფილიანი სამეცნიერო მოდელების შემუშავება, რომლებიც ადეკვატური და მისაღები იქნება გლობალური ცვლილებების პირობებში და მაქსიმალურად გააუმჯობესებს ბუნებრივ გარემოს.

ერთიანი პლატფორმა, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ პარამეტრებს, უნდა გახდეს კონცეფცია ანტიკრიზისული, მდგრადი

განვითარების, შენარჩუნების, პრევენციის დაცვის და სხვა საშუალებების, რომლებიც რაციონალური და ოპტიმალური გამოყენებით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ გარემოს და სტაბილურს გახდის ბიოსფეროს, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების თვითაღდგენის შესაძლებლობას.

სოცალური ინოვაციების დროს დღეისათვის პრიორიტეტი ეძლევა ეკონომიკურ ფასეულობებს, ხოლო ეკოლოგიური რჩება მეორადი, უკანმდგომი, დირექტიული. ასეთი ტენდენციების შენარჩუნებამ, შეიძლება, გლობალურ კრიზისულ სიტუაციამდე მიგვიყვანოს მსოფლიო მასშტაბით.

ამრიგად, ყოველგვარი სახის ინოვაციური საქმიანობა უნდა იყოს ეკოლოგიურად მისაღები, ხოლო იდეალურ შემთხვევაში ეკოლოგიურად უსაფრთხო.

ტერმინი „ინოვაცია“ მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ავსტრიელმა ეკონომისტმა ი. შუმპეტერმა, რომლის გაგებითაც ინოვაციაში იგულისხმება საწარმოო ძალების არსებულ მდგომარეობაში ახალი კომბინაციების გამოყენებით კომერციული ამოცანების გადაწყვეტა და ინოვაციაში ეკონომიკური სისტემის განვითარების წყაროსა და ფაქტორს ხედავდა.

თანამედროვე პირობებში „ინოვაცია“-ში შეიძლება გამოვყოთ ამ ტერმინისთვის დამახასიათებელი სამი მიდგომა.

პირველი დაკავშირებულია საკვლევი კატეგორიის ასპექტთან – ინოვაციური მოღვაწეობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური შედეგის მიღწევა.

მეორე მიდგომაში ინოვაცია განხილულია, როგორც ინოვაციური საქმიანობის (მოღვაწეობის) შედეგი, კერძოდ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში ინოვაცია განიმარტება ინოვაციური მოღვაწეობის საბოლოო შედეგად, რომელიც მიღებულია როგორც ახალი ან გაუმჯობესებული სახის პროდუქტი, რაც დანერგილია ბაზარზე ახალი ან გაუმჯობესებული ტექნოლოგიური პროცესის შედეგად პრაქტიკული მოქმედების გამოყენებით ან სოციალური მომსახურების ახალი მიდგომით.

მესამე მიდგომა დაკავშირებული კატეგორია „ინოვაცია“ კვლევის პროცესთან, რომელიც შეიცავს ინოვაციური მოღვაწეობის (საქმიანობის) ძირითად ეტაპებს.

პირველ რიგში ეს არის შექმნის კომპლექსური პროცესი, გაგრძელების და გამოყენების ახალი პრაქტიკული საშუალებები საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისათვის.

მოკლედ შეიძლება გამოვყოთ ინოვაციური პროცესების ორი ბაზური დახასიათება; შედეგობრივი და პროცესუალური, „ინოვაცია“ არის არა მარტო პროგრესული შედეგი, არამედ მისი მიღების პროცესი, რომელიც მიმართულია საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამრიგად ინოვაცია, როგორც შედეგი – ეს არის მოღვაწეობის (საქმიანობის) სახეობა, მატერიალური ობიექტი ან მათი კომბინაციები, რომლებსაც ახასიათებს შემდეგი ძირითადი თვისებები:

- სამეცნიერო და პრაქტიკული სიახლე, რომელიც გამოხატულია ახალი პროგრესული შედეგის სახით, რაც ადრე არ გამოიყენებოდა სისტემის მიერ.

- კომერციული ახალი პროდუქტის შექმნაში გამოყენებითი მეცნიერების მიღწევების დანერგვა და ამ პროდუქტის ბაზარზე გატანა, რომელიც თავის თავში მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, ტექნიკურ ეფექტს.

- პროცესუალური გაგებით, ინოვაცია არის პროცესი წარმოქმნის, შემუშავების, ადაპტაციის ახალი სასარგებლო შედეგის გამოყენების. – ინოვაცია არის ხანგრძლივი ბიზნესპროცესი, რომელთანაც დაკავშირებულია მაქსიმალური ეფექტის მიღება.

- ინოვაციური პროცესების კომპლექსური ხასიათი, რომელიც აერთიანებდა როგორც გამოკვლევას (მეცნიერება), ასევე ბიზნესს.

- ინოვაციის დანერგვა და რეალიზაცია სოციალურ-ეკოლოგიურ ასპექტში შეიცავს ორ ძირითად მომენტს:

- პირველი, სოციალური ეფექტი, რომელშიც აისახება უსაფრთხოების გაზრდილი ხარისხი, მომუშავეების კვალიფიკაციის ზრდა, სამუშაო ადგილების რიცხვის ზრდა, საწარმოს მომუშავეთა შემოსავლების ზრდა.

- მეორე, ეკოლოგიური ეფექტი, რომელიც მიმართულია ანთროპოეკოლოგიური კომპლექსების სტაბილიზაციისა და ანტიკრიზისულობისაკენ, საწარმოს ნარჩენების შემცირებისაკენ, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევის შემცირებისაკენ, ნიადაგის დაბინძურების წინააღმდეგ, წყლის რესურსების მავნე კომპონენტებით გაჭუჭყიანების შემცირებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Балабанов И. Т. Инновационный менеджмент. Москва, 2011.
2. Данилов-Данильян В.И., Лосев К.С. Экологический вызов и устойчивое развитие. Москва, 2008.
3. Ёндовицкий Д.А., Коменденко И.Д. Организация анализа и контроля инновационной деятельности хозяйственного субъекта. Москва, 2004.

თენგიზ ქავთარაძე

ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემები

ანოტაცია. ნაშრომში შესწავლილია ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის აქტუალური საკითხები; დადგენილია ევროპულ გაერთიანებაში მოქმედი კომიტეტები, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის საყოველთაო კომიტეტი, ფერმერების კავშირების ფედერაცია, მუდმივ წარმომადგენლობათა კომიტეტი და სხვა. შესწავლილია სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ინოვაციური სისტემის კონცეფცია. ნათქვამია, რომ იგი უფრო ადრე არსებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის კონცეფციიდან წარმოიქმნა. განხილულია სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემა, როგორც ცნება, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციების, საწარმოებისა და ინდივიდებისგან შემდგარ ქსელს. იგი ინსტიტუტებისა და პოლიტიკის გამტარებლების ერთობლივი, მიზანმიმართული ქმედებების მეშვეობით ახდენს ფოკუსირებას ახალ პროექტებზე და წარმოების ახალ ორგანიზაციულ ფორმებზე. ყურადსაღებია ინოვაციის არსის განსაზღვრისას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოზიცია, რომელიც ინოვაციას განიხილავს როგორც ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის დანერგვას, მარკეტინგული მეთოდის განხორციელებას. ეს ნიშნავს, რომ ინოვაციური სისტემის აქტივობებს წარმოადგენს სამეცნიერო, ტექ-

ნოლოგიური, ორგანიზაციული, ფინანსური და კომერციული ქმედებები, რომლებიც ფაქტობრივად გამოიზრდება ინოვაციის სისტემების განსახორციელებლად.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, ინოვაციური სისტემები, რეგიონული პოლიტიკა

ევროკავშირი გაერთიანებაა ევროპის კონტინენტზე, რომლის წევრია 14 დასავლეთევროპული სახელმწიფო. შემოდებულია ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებთან ურთიერთობაში; ტარდება ერთობლივი რეგიონული პოლიტიკა ჩამორჩენილი და დეპრესირებული რეგიონების განვითარებისათვის; სრულდება ერთობლივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამები და სხვა. ევროპული გაერთიანების საფუძველზე მოქმედებს სხვადასხვა კომიტეტები, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის საყოველთაო კომიტეტი, ფერმერების კავშირების ფედერაცია, მუდმივ წარმომადგენლობათა კომიტეტი და სხვა.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისისათვის ევროკავშირის წილად მოდიოდა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მთლიანი შიგა პროდუქტის მესამედი და ექსპორტის ნახევარზე მეტი. ცალკეული ხარვეზების მოუხედავად, მისი დადებითი მხარეებია: პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება და წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, აგრეთვე, კონკურენციის გამოწვევების კვალობაზე ინოვაციური საქმიანობის აქტივიზაცია;

ინოვაცია მეცნიერული ცოდნისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების გამოყენებაზე დამყარებული სიახლეებია ტექნიკაში, ტექნოლოგიაში, შრომის ორგანიზაციაში და მართვაში. ცოდნა ადამიანში, ადამიანთა ჯგუფებში მაგალითად, მეცნიერულ-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივში და მთლიანად საზოგადოებაში სამყაროს (ბუნებისა და კაცობრიობის) განვითარების კანონებსა და კანონზომიერებათა შემეცნების კვალობაზე თანდათანობით დაგროვილი მეცნიერული (და არა მარტო მეცნიერული) ინფორმაციის მარაგია, რომელიც სისტემატიურად ივსება ახალ-ახალი აღმოჩენებით, გამოგონებებით, და სულ უფრო გამდიდრებული სრულყოფილი სახით გადადის თაობიდან თაობაში. სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემის კონცეფცია უფრო ადრე არსებული სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის კონცეფციიდან წარმოიქმნა. სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციის სისტემა, როგორც ცნება გულისხმობს ორგანიზაციების, საწარმოებისა და ინდივიდებისაგან შემდგარ ქსელს, რომელიც ინსტიტუტებისა და პოლიტიკის გამტარებლების ერთობლივი მიზანმიმართული ქმედების მეშვეობით ახდენს ფოკუსირებას ახალ პროდუქტებზე, ახალ და პროგრესულ მეთოდებსა და ტექნოლოგიაზე და ახალ და ეფექტურ ორგანიზაციულ ფორმებზე. ინოვაციის არსის განსაზღვრისას ყურადსაღებია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პოზიცია, რომელიც ინოვაციას განიხილავს, როგორც ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის წარმოებაში დანერგვას.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის კონცეფცია მოიცავს როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სოფლის განვითარებასაც. ესაა: კვლევა; ექსტენცია; განათლება; სწავლება და დამხმარე სისტემები, ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ კრედიტების, წარმოების საშუალებების და სხვათა უზრუნველყოფას. სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ინოვაციური სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი გამოწვევაა

მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთკავშირების გაიოლება და მხარეების საბო-
საბოლოო შედეგის მაქსიმალური დაინტერესება. სისტემის ფარგლებში მათ
მართვას განსხვავებული სტიმულები ახასიათებს და შეიძლება პრობლემატური
იყოს. განათლება ხშირად სუსტადაა დაკავშირებული კვლევასთან. ექსტენციასა და
ბიზნესთან გამოყენებითი კვლევები ხშირად არასათანადოდ ანვითარებს და
ასახავს ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომების შედეგებს და ნაკლებად არის
ორიენტირებული მათ პრაქტიკულ სარგებლიანობაზე. რიგ შემთხვევაში კვლევის
გაფართოებასთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ფერმერებსა და სურსათის
მწარმოებლებზე სწორად ორიენტირებულ ღონისძიებათა დაგეგმვა და
განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის სოფლის მეურნეობის ინოვაციის პროცესი
მეტად მნიშვნელოვან გამოწვევას და აქტუალურ თემას წარმოადგენს, სპეციალის-
ტების აზრით, არასათანადოდაა შესწავლილი როგორც სასოფლო-სამეურნეო
ცოდნის ინოვაციური სისტემის არსი, ისე მისი ცვლილებების მახასიათებლები.
სისტემური ცვლილებების და მათი მრავალფეროვნების შესწავლა მნიშვნელოვანია
ინოვაციის განვითარებისათვის იმ გარდამავალი ეკონომიკების მქონე ქვეყნები-
სათვის, რომელთაც სურთ ინოვაციური სასოფლო-სამეურნეო ცოდნის
განხორციელება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილების მექანიკურად
გადმოტანა ვერ შექმნის მიცემული ქვეყნის სოფლის მეურნეობის კონკრეტული
გამოწვევების და საჭიროების სრულად გათვალისწინების სათანადო გარანტიებს.
ინოვაციური სისტემის განვითარების ხედვა გვეხმარება, უკეთ გავიაზროთ
საინოვაციო სისტემების განვითარების არსი, პერსპექტივა, პოტენციური ახალი
კომბინაციისათვის. სტრუქტურული ჩავარდნების შემთხვევაში მივიღოთ სათანადო
გადაწყვეტილებები და განვსაზღვროთ საინოვაციო პოლიტიკის შესაძლებლობები.
მოწინავე საინოვაციო ცოდნის სისტემები ეფუძნება კარგად ჩამოყალიბებულ
განსაზღვრულ, გაცვლით ურთიერთობებს სამეცნიერო ინსტიტუტებსა და
ტექნოლოგიებს, ინდუსტრიასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. ეს იძლევა
შესაძლებლობას, რომელიც მოიცავს განსხვავებული როლების მქონე ჩართულ
მონაწილეებს, მხარეებს, რომლებიც კერძო საშუაშაველო თუ პიროვნული
შესაძლებლობებით ხელს უწყობენ ტრანსაქციებს ინოვაციის სისტემის
მონაწილეებს შორის.

ინოვაციის სისტემებში უმნიშვნელოვანეს მხარედ განიხილება სასოფლო-
სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემა, რომელიც მოიცავს კვლევის,
ექსტენციის და საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, რომლებიც სტრუქტური-
რებული და მართულია მთავრობის მიერ სექტორული პოლიტიკის მეშვეობით. ამ
სისტემის უმთავრეს ფუნქციურ მიზანს წარმოადგენს ფერმერების უფრო მაღალი
პროფესიული დონის მიღწევის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო სექტორის
პროდუქტიულობის ამაღლება. ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო
პოლიტიკის თანახმად, 2007-2013 წლებისათვის გამოყოფილი იყო დაახლოებით 350
მილიარდი ევრო, აქედან 91 მილიარდი განკუთვნილი იყო სოფლის განვითარების
პროგრამებისათვის, რომელთა უმთავრესი დანიშნულებაა: სოფლის მეურნეობისა
და სატყეო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; გარემოს და სასოფლო
ადგილების გაუმჯობესება; სასოფლო ადგილების ცხოვრების ხარისხის გაუმჯო-
ბესება და სასოფლო ეკონომიკის დივერსიფიკაციის ხელშეწყობა.

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებები, ფართო გაგებით, ინოვაციური საქმიანობის წახალისებას ემსახურება. მათი მრავალი კომპონენტი თანხვდება ევროკავშირის რეგიონული განვითარების ამოცანებს, რომელსაც სტრუქტურული ფონდები აფინანსებს. საინფორმაციო და ცოდნის სისტემის სტრუქტურა, მისი ორგანიზაცია და მართვა დიდად განსხვავებულია ქვეყნებს შორის, იგი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალიზაციის თუ დეცენტრალიზაციის დონეზე. სხვაობები შეიძლება ვიპოვოთ ერთი და იმავე ქვეყნის განსხვავებულ რეგიონებსა და ფედერალურ მხარეებში. მთლიანად მოცემული სისტემა მნიშვნელოვნადაა ფრაგმენტირებული და მასში ახალი სტრუქტურების და მონაწილე მხარეების წარმოქმნის საკითხები განიხილება დინამიურ პროცესად. მაგალითად, ექსტენცია ფერმერებისათვის რამდენიმე განსხვავებულ მოდელს შეიძლება მოიცავდეს ფრაგმენტაციის და დაფინანსების წყაროების დონეების შესაბამისობის შედეგად. ნიდერლანდებსა და გერმანიის რიგ მხარეში დაფინანსება ხდება ფერმერების პირდაპირი გადახდებით, სადაც სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ინოვაციის სისტემა იმართება კერძო ორგანიზაციების მიერ. ნიდერლანდებში ექსტენციის სისტემა კერძოა, თუმცა კვლევისა და განათლების სისტემები უპირატესად სახელმწიფოს ეკუთვნის. აქ ფერმერებისა და მცირე საშუალო საწარმოებისათვის, ცოდნის შექმნის სუბსიდირება ხორციელდება ცოდნის ვაუნერული სისტემით, ფერმერული ორგანიზაციებისა და რეგიონების ერთობლივი თანამმართველობით, მაგალითად, საფრანგეთში, ჩინეთსა და გერმანიის რიგ მხარეში, ხორციელდება სამთავრობო დაფინანსება ფერმერული ორგანიზაციების ნაწილობრივი ფინანსური დაფარვებით. რეგიონების სანახევრო მართვა ხდება, მაგალითად ირლანდიაში, სადაც მართვას ახორციელებენ შტატის, მრეწველობისა და ფერმერული ორგანიზაციის წარმომადგენლები; ან შტატის რეგიონული ორგანიზაციების მიერ ხორციელდება მართვა, მაგალითაზდ შვეიცარიაში, იტალიასა და ფინეთში. სასოფლო-სამეურნეო საგანმანათლებლო სისტემას ხშირად აქვს მყარი კავშირები სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო ინოვაციის სისტემასთან. ინოვაციის გახსნილობა სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემის ჩარჩოებში წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს უნარიანი მონაწილეობისათვის, რაც ეხმარება მათ ცოდნის გააზრებასა და ტრანსფორმაციაში, ასევე სათანადო პროექტების შექმნაში.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სისტემა უფრო მეტად სასარგებლოა, როდესაც აღწერილი და გაანალიზებულია ქვეყნებისა და რეგიონების სოფლის მეურნეობის საინოვაციო პოლიტიკებს შორის განსხვავებები. ვფიქრობთ, გამოცდილებათა შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა მხოლოდ სისტემების აღწერაზე, არამედ ეროვნულ და რეგიონულ სოფლის მეურნეობებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებებზე.

კვლევითი პროგრამები, პრიორიტეტები და მათი ევოლუციის კრიტერიუმები, რომელსაც ირჩევენ აკადემიურ სფეროში და შესაბამისი შედეგები, რაც უქდება აკადემიურ პუბლიკაციებში, ყოველთვის არ არის გასაგები მოსარგებლეთა უმეტესი ნაწილისათვის. ამდენად, განსხვავებული უნარის მქონე მოსარგებლენი და ინოვატორები საჭიროებენ უფრო მეტად ადაპტირებულ ცოდნას, რომელიც უკეთესად ესადაგება მათ გაგებას და საჭიროებებს. შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემების განვითარებული კონცეფცია მოითხოვს შუამავლობის სხვადასხვა ფორმას, გამოყენებითი კვლევითი შედეგების

გასაგებ ენაზე გავრცელებას ფერმერული გაზეთებისა და ჟურნალების, სპეციალიზებული ვებსაიტების, სემინარების და ა.შ. მეშვეობით. რამდენიმე ქვეყანაში არსებობს გამოწვევები კვლევების შედეგების პრაქტიკისათვის გადაცემის ან, პირიქით, პრაქტიკოსების ცოდნაზე მოთხოვნილების გადაცემისა კვლევითი და საკონსულტაციო პროგრამებისათვის.

სისტემის ფარგლებში, უკეთესი კორდინაციისა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთქმედების გაუმჯობესების მიზნით, გამოიყენება განსხვავებული მიდგომები. ასე მაგალითად, საფრანგეთში დაფინანსება ეძლევა სპეციალურ პროექტებს, რომლებიც მოიცავს კვლევის, ექსტენციის და განათლების ორგანიზაციების გაერთიანებებს. საფრანგეთში ინოვაციური პოლიტიკის მხარდასაჭერად შექმნილია საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ფონდი, რომელიც აფინანსებს ლაბორატორიებს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად. ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა მსხვილი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსების ფორმირებას, რომლებიც აერთიანებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის მაღალტექნოლოგიური საწარმოებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების საქმიანობას და ხელს უწყობს ინოვაციების მხარდაჭერის სიმძიმის ცენტრის გადატანას ქვეყნის რეგიონებში. ამ მიზნით ქვეყანაში 2004 წლიდან იქმნება რეგიონული კლასტერები, როგორც მათ უწოდებენ, ინოვაციური კონკურენტუნარიანობის პოლუსები. პოლუსის შედეგიანობის შეფასება, მათი მხარდაჭერა ხორციელდება არა მხოლოდ რესპუბლიკურ, არამედ რეგიონულ და შესაძლოა მუნიციპალურ დონეზე. 2006 წლისათვის საფრანგეთში ფუნქციონირებდა 71 ინოვაციური პოლუსი, რომელთაგან 17-ს გააჩნდა საერთაშორისო სტატუსი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ისეთ დარგებს, როგორცაა: აერონავტიკა, ბიოტექნოლოგია, მედიცინა, ნანოტექნოლოგია, პროგრამული უზრუნველყოფა. პრიორიტეტული პროექტების რიცხვში შევიდა კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მანქანათმშენებლობა და სარკინიგზო ტრანსპორტი. პოლუსებში გაერთიანებულ საწარმოებს ქვეყნის ხელისუფლების მიერ რიგი შეღავათი და მხარდაჭერა აქვთ, ბმათ შორის ფინანსური საშუალებებით. საწარმოებს ამ საშუალებების მიღება შეუძლიათ სხვადასხვა ფორმით, მაგალითად, შეღავათიანი პირობებით კრედიტის მიღება მოწყობილობების შეძენასა და წარმოების გაფართოებაზე. პოლუსებში მონაწილეები სხვა შეღავათითაც სარგებლობენ, მათთვის საგადასახადო ტვირთი მნიშვნელოვნად შემცირებულია. აღნიშნული შეღავათი გათვალისწინებულია იმ პერსონაჟისათვის, ვინც მონაწილეობს ცოდნის ინოვაციური სისტემის პროექტებში. ესენია მკვლევარები, ინჟინრები, მენეჯერები და სხვა სპეციალისტები.

ცალკეული პოლუსის საქმიანობას ხელმძღვანელობს მასზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელე უწყებათაშორისი კომისიისაგან. საწარმომ, რომელიც სახელმწიფო-სამეცნიერო ცენტრთან გეგმავს თანამშრომლობას ამა თუ იმ ფუნდამენტურ გამოკვლევაზე, უნდა მიმართოს მეცნიერული კვლევების ეროვნულ სააგენტოს, რომელიც მოწოდებულია, შეარჩიოს და სუბსიდია გასცეს ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებისათვის, რომელთა კომერციული რეალიზაცია შესაძლებელია პერსპექტივაში, ხოლო თუ პროექტი ხუთი წლის განმავლობაში განხორციელდება, მაშინ ის დაფინანსდება საწარმოს კონკურენტუნარიანობის ფონდიდან. ინოვაციური პროექტების რეალიზაცია ხორციელდება კერძო ინვესტორისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით. სახელმწიფო ინვესტორს საკვლე-

სამეცნიერო საქმიანობის სფეროში ინვესტიციების დაბანდებისათვის სთავაზობს რიგ შეღავათსა და ბონუსს. ამასთან, მნიშვნელოვანია რესპუბლიკური და რეგიონული ხელისუფლების მიერ ინოვაციური ცოდნისა და სისტემების მხარდაჭერა მათი ინფრასტრუქტურის მიმართულებით. შვეიცარიაში პლატფორმები წარმოადგენს კვლევის – ექსტენციისა და განათლების, ჩართულ მონაწილეთა ადგილს, ისევე, როგორც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების კომიტეტები. გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტები თანამშრომლობენ სამთავრობო კვლევით დაწესებულებებთან, საექსტენციო მომსახურებებსა და ფერმერულ გაერთიანებებთან. განათლება და საექსტენციო მომსახურებები მხარდაჭერილია ცოდნის გავრცელების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და მეთოდებით და პლატფორმების ცვლილებებით. კოოპერაციას კვლევასა და ცოდნის სისტემების ინოვაციაში მიყვავართ დეცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურასა და საერთაშორისო პარტნიორებთან მხარდი თანამშრომლობისაკენ.

გერმანიის ეროვნული ინოვაციური სისტემის შემადგენლობაში საჭიროა გამოიყოს ორგანიზაციებისა და სამეურნეო სუბიექტების სამი ძირითადი რგოლი, რომლებიც ინოვაციური პროცესის ფარგლებში ასრულებენ ერთგვაროვან ამოცანებს: სისტემის პირველ რგოლს წარმოადგენს სახელმწიფო მართვის დაწესებულებები, მეორე რგოლს – ადმინისტრაციულ-სამშუამავლო დონის ორგანიზაციები და მესამეს უშუალო შემსრულებლები – კერძო სექტორის საწარმოები და სახელმწიფო-კვლევითი ორგანიზაციები და სხვა. პირველ რგოლს მიეკუთვნება: ერთიანი სამეცნიერო კონფერენცია და მეცნიერების საბჭო. ერთიანი სამეცნიერო კონფერენციის ძირითადი ამოცანაა პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება სამეცნიერო კვლევის და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ფინანსირებაში ქვეყნის მასშტაბით და აგრეთვე ეროვნული მეცნიერებატევადი სფეროს განვითარების სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებისათვის. მეცნიერების საბჭო წარმოადგენს ფედერალურ მთავრობასთან არსებულ სათათბირო ორგანოს და მისი ძირითადი ამოცანაა მეცნიერების, კვლევების და განათლების სფეროს სასწავლებლების განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება შინაარსობრივი და სტრუქტურული ასპექტების კუთხით. მოგვიანებით დამტკიცდა ახალი სათათბირო ორგანო ეკონომიკა – მეცნიერების ექსპერტთა საბჭო. მასში შევიდნენ ცნობილი გერმანელი მეწარმეები და მეცნიერები ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის სტრატეგიული საკითხების განსახილველად.

ინოვაცია იყო და კვლავაც იქნება ბრიტანეთის ეკონომიკური კეთილდღეობის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის 70 პროცენტს განაპირობებს. იგი აუმჯობესებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, გვეხმარება, სათანადოდ ვუპასუხოთ საზოგადოების წინაშე მდგარ ძირითად გამოწვევებს, როგორცაა წმინდა და მდგრადი ენერგეტიკული და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დემოგრაფიის ცვლილებებზე რეაგირება. ცოდნისა და ინოვაციის სისტემების საზღვრის გაფართოება, ახალი ტექნოლოგიების განვითარება და ექსპლუატაცია არის მთავარი სახელმწიფო სტრატეგიისათვის. ბრიტანეთში ცოდნის ინოვაცია სცილდება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ტრადიციულ ცნებებს. დიდი ბრიტანეთის საინოვაციო სისტემა წარმოადგენს ინტერაქციული ელემენტების სპექტრს.

ბიზნესსაზოგადოება დაკავებულია ინოვაციების სისტემის დანერგვით ეკონომიკის მასშტაბით და მხარს უჭერს სისტემის კომერციალიზაციას, მათ შორის ტექნოლოგიების სტრატეგიული საბჭო – დიდი ბრიტანეთის ინოვაციური სააგენტო.

ნიდერლანდებში ექსტენციის მომსახურების პრივატიზაციამ წარმოქმნა კონკურენცია. რადგან ექსტენციის ორგანიზაციები კონკურენტები არიან, ისინი ხანდახან იძულებულნი ხდებიან, ერთობლივად ისარგებლონ ცოდნით, გაინაწილონ ცოდნა. აამ წინააღმდეგობისა და შეუსაბამოების დასაძლევად ცოდნის ბაზრის მოთხოვნისა და მიწოდების მხარეებს შორის აქ მოქმედებენ საშუაშაველო საბროკერო სტრუქტურები ხშირად სამთავრობო დაფინანსებით. განსაკუთრებულ ხელშეწყობას, სათანადო დაფინანსებას საჭიროებს ურთიერთმოქმედების განვითარება სხვადასხვა ინოვაციური სისტემების მონაწილეებს შორის, რომელიც მოიცავს განათლებას და კვლევას, ექსტენციას და პრაქტიკოს სეციალისტებს, რათა ასტიმულირონ ინოვაციის ჯაჭვი სხვადასხვა მიმართულებით, არა მხოლოდ კვლევის ხელშეწყობი ინოვაციის, არამედ ასევე ინოვაციის გამტარებელი კვლევის ინოვაციების ინტეგრირების განხორციელებასა და ცოდნის გამოყენებაში.

ირლანდიაში ხორციელდება ინტეგრირებული კვლევები, საკონსულტაციო და საექსტენციო მომსახურება სასოფლო-სამეურნეო სასურსათო და სოფლის განვითარების სექტორებისათვის ფერმერებისა და დაინტერესებული პირებისათვის. სასოფლო-სამეურნეო ექსტენციისა და სწავლების მომსახურება ერთობლივად ფინანსდება ფერმერების მიერ და სამთავრობო სუბსიდიებით. ამავე დროს, სამეცნიერო კვლევები ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და კონკურენტული საგარეო კვლევების საფინანსო სქემების ფონდებიდან მიღებული გრანტებით. დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთქმედების ორგანიზება ხორციელდება ირლანდიის საუნივერსიტეტო კოლეჯთან თანამშრომლობით, ევროპის უნივერსიტეტებთან და უმაღლესი განათლების შემდგომი დაფინანსების სქემის პროექტებით და ადმინისტრირებით. თანამედროვე ირლანდიას არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გააჩნდა რიგი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. მიუხედავად ამისა დღეისათვის იგი წარმოადგენს მაღალგანვითარებულ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ევროზონის წევრია, მისი მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 126%-ს. გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ცხოვრების დაბალი დონის გამო, ემიგრაციაში მიდიოდა, ხოლო ვინც რჩებოდა ქვეყანაში, ვერ ამჩნევდნენ ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ირლანდიაში გადალახა მრავალი წინააღმდეგობა და გაიარა დიდი გზა ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნამდე. დღეისათვის ირლანდიაში ხორცისა და რძის წარმოება სოფლის მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. ქვეყანაში საკმაოდ დიდია ცხვრისა და საქონლის რაოდენობა (დაახლოებით 15 მილიონი ერთეული). ამიტომ გასაკვირი არ არის რომ სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემების გამოყენებით, ეს ქვეყანა ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია ევროპაში და ერთ-ერთი წარმატებული მსოფლიოში რძისა და ხორცის წარმოების მიმართულებით. ქვეყანაში აგროსასურსათო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა, სადაც დასაქმებულია 150 ათასზე მეტი ადამიანი. ყველა იმ ფაქტორის დახმარებით, რომლებმაც ირლანდია მიიყვანა განვითარების ამ დონემდე, ქვეყანამ მიაღწია იმას, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე დინამიური და ინოვაციურია მსოფლიოში. 2013 წელს

ქვეყანაში შეინიშნებოდა დასაქმების ზრდა იმ კომპანიებში, რომლებიც დადაკავებულები არიან ექსპორტით. ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება აღვნიშნოთ: სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემების განვითარებაში ევროკავშირის წევრობას უდავოდ გააჩნია თავისი პლუსი ისეთი ეკონომიკის ქვეყნისათვის, როგორც ირლანდიაა.

ინოვაციური პოლიტიკა ასტიმულირებს ევროკავშირის წევრ ისეთ ქვეყანას, როგორცაა იტალია. თანამედროვე იტალიის უნიტარული საპარლამენტო რესპუბლიკა რანგირებულია, როგორც მსოფლიოს 24-ე ყველაზე განვითარებული ქვეყანა და ცხოვრების ხარისხის ინდექსით შედის მსოფლიო ქვეყანათა ათეულში. წარმოადგენს ევროკავშირის ჩანასახის დამფუძნებელ წევრს და ევროზონის ნაწილს. იტალია ასევე არის დიდი რვიანის, დიდი ოციანისა და ნატოს წევრი. გააჩნია მსოფლიოში მესამე უდიდესი ოქროს მარაგი, მშპ-ის მერვე უდიდესი მაჩვენებელი მსოფლიოში. დღეისათვის იტალიის ეკონომიკა პრობლემებითაა დატვირთული: შენელებულია ეკონომიკური ზრდა, დიდია სახელმწიფო ვალი, დაბალია ინოვაციური აქტიურობა, ინოვაციური რესურსების ნაკლებობა და ა.შ. მაგრამ მიუხედავად არსებული რობლემებისა, იტალიაში არსებობს ინოვაციური სისტემა, სადაც დაგროვილია საწარმოების შიგნით ინოვაციური ცენტრების, ასევე დარგთაშორისი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრების გამოცდილება.

ბოლო სამი-ხუთი წლის განმავლობაში ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა და მოწინავე ევროპული ქვეყნების ეროვნული ინოვაციური სისტემა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. მსოფლიო ეკონომიკის გლობალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია არა მარტო ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, არამედ ამ დარგების აქტიური კვლავწარმოებისათვის უფრო კეთილსასურველი პირობების შექმნა სტრუქტურულად და ხარისხობრივად ეფექტური ინოვაციური სისტემის საფუძველზე, მოწინავე მეცნიერული, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური ფაქტორების დაჩქარებული და კონკურენტული განვითარების გათვალისწინებით. ეროვნული თავისებურებებისა და ეკონომიკური პოტენციალიდან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების შერჩევა დამოკიდებულია როგორც ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მიზანზე, ისე ეროვნული ინოვაციური სისტემის მოდელზე. თანამედროვე პერიოდში შეიძლება გამოვყოთ ეროვნული ინოვაციური სისტემის ოთხი მოდელი:

1. “ევროატლანტიკური” (ევროკავშირის ქვეყნები: გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ფინეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა).
2. “აღმოსავლეთაზიური” (იაპონია, ტაივანი, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა და სხვა).
3. “ალტერნატიული” (ჩილე, თურქეთი, ტაილანდი, პორტუგალია და სხვა).
4. “სამმაგი სპირალი” (აშშ, ევროპის რიგი ქვეყნები).

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება ეროვნული ინოვაციური სისტემის სხვადასხვა სახის მოდელის ფორმირებასა და განვითარებაზე მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობა თავიანთი ეკონომიკის განვითარების ორიენტირებას ინოვაციის მხარეზე ახდენენ. არჩევენ ეროვნულ თავისებურებებთან უფრო ადეკვატურ მოდელს. ამასთან მოდელის არჩევა

მნიშვნელოვნად განისაზღვრება ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების, განათლების სისტემისა და მეცნიერების არსებული დონით.

აღნიშნული ინოვაციური სისტემის მოდელები ცალკეულ ქვეყნებში ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების წარმოებას და რეალიზაციას, რითაც უზრუნველყოფენ ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და განვითარებას. ამასთან, ინოვაციურ სისტემებს გააჩნია გარკვეული ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში დინამიურად განვითარებადი ფინეთის ცოდნის ინოვაციური სისტემების ძლიერ მხარეს შეიძლება მივაკუთვნოთ ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შედარებით მაღალი დონე; მჭირდო კავშირი უნივერსიტეტებსა და სამრეწველო ლაბორატორიებს შორის. იტალიის ინოვაციური პოლიტიკის ძლიერ მხარეს წარმოადგენს შედარებით ეფექტური კლასტერული სტრატეგიის ფორმირება. საფრანგეთის ინოვაციური სისტემების ძლიერი მხარეა შეღავათიანი საგადასახადო სისტემა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო დანახარჯები კვლევებსა და დამუშავებებზე. დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინოვაციური სისტემის ძლიერ მხარეს წარმოადგენს უნივერსიტეტებსა და სამრეწველო საწარმოებს შორის არსებული კავშირების, აგრეთვე ვენჩურული დაფინანსების მაღალი დონე. თუ აქამდე ისეთი ქვეყნების, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ინოვაციური პოლიტიკა ეყრდნობოდა მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკის შექმნას, ბოლო სიახლეების გათვალისწინებით თანდათან ქვეყნების ინოვაციური სისტემების შემუშავებისადმი მიდგომები შეიცვალა. იტალიაში წამყვანია ევროატლანტიკური მოდელი. იგი წარმოადგენს სრული ინოვაციური ციკლის მოდელს – იდეის გაჩენიდან საქონლის სრულ დანერგვამდე მასიურ წარმოებაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც ამ მოდელს იყენებენ, როგორც წესი, სრულადაა წარმოდგენილი ეროვნული ინოვაციური სისტემის ყველა ელემენტი: ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერება, საცდელი მოდელების დამუშავება და მათი დანერგვა წარმოებაში. შესაბამისად, ამ ქვეყნებში სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ინოვაციური პროექტების კომერციალიზაციას, ფინანსირების, კერძოდ გრანტების მინიჭების უნივერსიტეტებსა და აკადემიურ დაწესებულებებთან სამეცნიერო-კვლევითი პროფილის კომპანიების შექმნის სტიმულირებით. დასავლეთ ევროპის ქვეყნების სანიოვაციო სისტემის ბირთვს ფაქტობრივად წარმოადგენს უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები. მაგალითად, იტალიაში ეს არის ინოვაციური კვლევების კონცენტრაცია მსხვილი უნივერსიტეტების გარშემო, სადაც გამოიყენება ინოვაციური აქტივობის საკანონმდებლო, ფინანსური, საგადაამხდლო მეთოდები. სახელმწიფო სამეცნიერო კვლევების სისტემაში მონაწილეობენ უნივერსიტეტები, სახელმწიფო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო და ადგილობრივი ლაბორატორიები და სხვა სამეცნიერო დაწესებულებები. კანონმდებლობის შესაბამისად, სამეცნიერო კვლევებზე, ფინანსირებაზე განცხადების მიღებას აწარმოებს განათლების, უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევების სამინისტრო. უმაღლეს დონეზე კი ქვეყანაში ამ სფეროს უძღვება მინისტრთა საბჭო და ეკონომიკური დაგეგმარების უწყებათაშორისი კომიტეტი. წარმატებული ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად იტალიის მთავრობა ამუშავებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებს.

ევროკავშირის ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის ინოვაციური სისტემების სუსტ მხარეებს შეიძლება მივაკუთვნოთ: ფინეთში ინოვაციური პროდუქციისათვის შედარებით მცირე შიდა ბაზარი, ახალი სასაქონლო მარკებისა და სამრეწველო დიზაინის განვითარების დაბალი მაჩვენებელი; იტალიაში – არასაკმარისი ინვესტიციები კვლევებსა და დამუშავებებზე, ვენჩურული დაფინანსების განუვითარებლობა; საფრანგეთში უნივერსიტეტებსა და საწარმოებს შორის არ არის საკმარისი აქტიური კავშირები, მცირე და საშუალო ფირმების ჩართულობის არასაკმარისი მასშტაბებია, არის ვენჩურული კაპიტალის გამოყენების დაბალი დონე; დიდ ბრიტანეთში – სახელმწიფო სექტორის დანახარჯების დაბალი დონეა კვლევებსა და დამუშავებებზე, ევროკავშირის მოწინავე ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ცოდნის და ინოვაციის სისტემების აღნიშნული მანკიერი და სუსტი მხარეები, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია როგორც ამ ქვეყნების, ისევე ევროკავშირისა და სხვა ქვეყნების მიერ ცოდნისა და ინოვაციური სისტემების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ევროკავშირის ინოვაციური პოლიტიკა, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX. თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2016.
2. ამერიკის ეკონომიკის ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა. ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. 2010.
3. დათუნაშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო ინოვაციური პოლიტიკა ევროინტეგრაციის პირობებში, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
4. რევიშვილი ზ. ევროკავშირისა და ევროპის ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო საინოვაციო პოლიტიკა. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
5. რუსაძე ს. აშშ-ის სახელმწიფო რეგულირების საკითხები, თბ., 1994.
6. ქავთარაძე თ. ინოვაციები აშშ-ის დახურული გრუნტის მებოსტნეობაში და მათი გამოცდილების გამოყენების მიზანშეწონილობა საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
7. ლაზარაშვილი თ. გერმანიის ინოვაციური პოლიტიკა, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IX, თბ., 2016.
8. OECD Economic Outlook. June №81.
9. First Action Plan for Innovation in Europe. EC, 1996. (<http://cordis.europa.eu/documents>).
10. Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23-24 March, 2000.
http://europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm
11. Lisbon Strategy for Growth & Jobs: Commission's Annual Progress Report – frequently asked questions; www.europa.eu.

EU AGRICULTURAL KNOWLEDGE AND INNOVATION SYSTEMS

Summary

The paper deals with the current issues of the regional policy of the European Union; Committees acting in the European Community are established, for example, the Common Committee for Agricultural Cooperation, Federation of Farmers' Union, Permanent Representatives Committee, etc.

The concept of innovation system of agricultural knowledge has been studied. It is said that it originated from the concept of earlier agricultural knowledge system. The Agricultural Knowledge and Innovation System is considered as the notion of a network of organizations, enterprises and individuals. It focuses on new products and new organizational forms of production through joint and purposeful actions of institutions and policy conductors. It is noteworthy that the position of the Organization for Economic Co-operation and Development in determining the essence of innovation, introduces innovation as the introduction of a new or significantly improved product, implementation of a marketing method or a new organizational approach to business activity. This means that innovation system activities are scientific, technological, organizational, financial and commercial actions that are actually intended to implement innovation systems.

*ქეთევან ქველაძე
მელა მელაშვილი
ნუნუ ქისტაური*

მდგრადი ტურიზმი და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაში

ანოტაცია. სტატიაში განხილულია ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დარგის, მდგრადი განვითარების ის ძირითადი ასპექტები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი გააჩნია მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ზრდაში და წარმოადგენს ერთ-ერთ ძლიერ მამოძრავებელ ძალას. გაანალიზებულია ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის სახელმწიფო ორგანიზაციების, ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების მოქმედების კონკრეტული პროგრამები და წამოყენებულია ტურიზმის მდგრადი განვითარების ის ნორმები და პრაქტიკა, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ტურიზმის ყველა სახეობასა და სეგმენტში (გარემოს დაცვა, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ტურიზმის მდგრადობის ხანგრძლივი პერიოდით უზრუნველსაყოფად.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, მდგრადობა, მდგრადი ეკონომიკა, პროგრამა, საფრთხე, ეკოლოგია.

შესავალი

2012 წლის იანვარში გაეროს კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა მდგრადი განვითარების საკითხებს, "PUO+20" სახელმწიფოთა ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ტურიზმის სფეროში ზედმიწევნით დაგეგმილ და დარეგულირებულ საქმიანობას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების სამივე კომპონენტის (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური) გაუმჯობესებაში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა სექტორებთან და შეუძლია უზრუნველყოს სამუშაო ადგილების

შექმნა, გააფართოოს შესაძლებლობები ვაჭრობის სფეროში, ქვეყნებისათვის წარმოადგენს უცხოური ვალუტის ძირითად ან ერთ-ერთ შემოსავალს.

* * *

ბოლო 50-60 წლის განმავლობაში ტურიზმმა, სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, მუდმივი გაფართოება და დივერსიფიკაცია განიცადა და გადაიქცა მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და მაღალი ტემპებით განვითარებად ეკონომიკურ დარგად, რის გამოც სპეციალისტების მიერ ის აღიარებულია თანამედროვეობის ეკონომიკურ ფენომენად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 70-ე გენერალურმა ასამბლეამ 2017 წელი ტურიზმის მდგრადი განვითარების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, რითაც, მსოფლიო ლიდერების აღიარებით მსოფლიოს მდგრად განვითარებაში მან მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური სტრატეგიული მიზნების განხორციელების ერთ-ერთმა ძლიერმა ინსტრუმენტმა. ასევე დიდია მისი როლი ქვეყნების ხალხს შორის თანამეგობრობისა და სხვადასხვა ცივილიზაციებში ცოდნის განვითარებაში. ყოველწლიურად ტურისტების უზარმაზარი რაოდენობა კვეთავს სახელმწიფო საზღვრებს და ამ საქმიანობას გლობალურ ხასიათს აძლევს. ბოლო 7 წლის განმავლობაში ტურიზმის სექტორი იზრდება საშუალოდ 4%-ით. საერთაშორისო ტურისტული მგზავრობების რიცხვი 2016 წელს 46 მლნ-ით გაიზარდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4%-ით ჭარბობს. 2012 წელს მათმა რიცხვმა 1,035 მლრდ შეადგინა, 2016 წლისთვის კი მაჩვენებელმა 1,235 მლრდ-ს მიაღწია. 2015 წლის მონაცემებით საერთაშორისო მოგზაურთა შორის ყველაზე პოპულარული იყო საფრანგეთი (84,5 მლნ ტურისტი), აშშ (77,5 მლნ), ესპანეთი (68,5 მლნ), ჩინეთი (56,9 მლნ) და იტალია (50,7 მლნ). ტურიზმის სფეროში მსოფლიოში დაკავებულია 235 მლნ ადამიანზე მეტი, ანუ ყოველი მე-12 მომუშავე. ევროსტატის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებში ტურიზმის სექტორში 12 მლნ ადამიანი მუშაობს. ევროპის შემდეგ ყველაზე პოპულარულად ითვლება აზია-წყნარიოკეანის რეგიონი, რომელმაც 2015 წელს უმასპინძლა 303 მლნ ტურისტს. 2030 წლისათვის მათი რიცხვის ზრდის პროგნოზი 535 მლნ-ს შეადგენს.

ტურიზმის ზრდას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური მდგრადობის გაძლიერებისათვის. ამ ქვეყნების დაახლოებით ნახევარში ტურიზმი მშპ-ის 40%-ს შეადგენს და წარმოადგენს (უცხოური ვალუტის მიხედვით) შემოსავლის ძირითად წყაროს. გარდა ამისა, დესტინაციისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მხრივ ტურისტულ სექტორს აქვს ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვა დადებითი პირდაპირი და ირიბი მხარეები, როგორცაა მცირე და მიკროსაწარმოების ვაჭრობის ზრდა, მეწარმეობის ზრდა და ა.შ., გასაკუთრებით მომსახურების სფეროში. მისი განვითარება იწვევს ახალი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის შექმნას, იცავს და აფინანსებს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას. პრაქტიკულად მსოფლიო წამყვანი პროექტები ახდენს დადებითი ცვლილებების დემონსტრირებას, რომელთა მიღწევა შეიძლება ტურიზმის მდგრადი მეთოდებით, რაც ტურიზმს „მწვანე“ ეკონომიკის საჩვენებელ სექტორებად გადააქცევს. სამეცნიერო-ტექნიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა გამოიწვია ტურიზმის სწრაფი განვითარება. ამის გამო ტურისტების მასიური ვიზიტების ადგილებზე გაჩნდა სერიოზული პრობლემები ეკოლოგიის, კულტურის და

სოციალური განვითარების დარგში. ტურიზმის არაკონტროლირებადი ზრდა, რომელიც გამწვეულია მოგების სწრაფად მიღების სურვილით, ხშირად ნეგატიურ შედეგებს იწვევს – გარემოს დაზიანება-დაბინძურებას, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ამოწურვას, მაგ., წყლის მარაგების ამოწურვის აშკარა საფრთხე, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, მიწის დეგრადაცია და დაბინძურება და სხვა. გლობალური დათბობის საერთო მაჩვენებელში ტურიზმის წილს აფასებენ 5%-ით. გარდა ამისა, ტურისტული (მიმღები) ქვეყნები განიცდიან დისკომფორტს კულტურათა დაჯახების, დანაშაულებების ზრდის, ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივ. რაც შეეხება ეკონომიკურ მხარეს, აქ ტურიზმის არასწორმა მართვამ შეიძლება განაპირობოს ფასების ზრდა, ეკონომიკური არამდგრადობა და სხვ.

2050 წლისთვის ტურიზმის ზრდა თავისთავად გამოიწვევს ენერჯის გამოყენების ზრდას (154%), სასათბურე გაზების გამოყოფას (131%), წყლის რესურსის მოხმარებას (152%), მძიმე ნარჩენების უტილიზაციას (251%).

ტურიზმის პრაქტიკასა და პოლიტიკაში გატარებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ამ ნეგატიური ზეგავლენის შემცირება და პირიქით, მოიტანოს მოგება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხსენების - „მწვანე ეკონომიკისაკენ: მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის გზები“ - მიხედვით (ქენევა 2011 წელი), ტურიზმი - ეს არის მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ძალა. შესაბამის ინვესტიციებით იგი მუდმივად მზარდი დარგი იქნება მომავალი ათწლეულის განმავლობაში მაინც და ხელს შეუწყობს დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის განვითარებას. ეს საზოგადოებას უბიძგებს გამოიჩინოს ყურადღება ბუნებრივ, ისტორიულ, კულტურულ ფასეულობათა შესანარჩუნებლად. ეს პრობლემა მთელ მსოფლიოს ეხება, არსებობს უამრავი რეკომენდაცია მდგრადი ტურიზმისათვის. მდგრადი ტურიზმი უნდა:

- უზრუნველყოფდეს ბუნებრივი რესურსების (რომლებიც ტურიზმის განვითარების ძირითად ელემენტს წარმოადგენს) ოპტიმალურ გამოყენებას, ხელს უწყობდეს ეკოლოგიური პროცესების სწორად წარმართვას და ამით ბუნებრივი რესურსების და ბიომრავალფეროვნების შენახვა-გაფრთხილებას;

- პატივს სცემდეს ადგილზე სოციო-კულტურულ თავისებურებებს, გაუფრთხილდეს მათ კულტურულ მემკვიდრეობას და ტრადიციებს;

- სამართლიანად ანაწილებდეს პროცესში მონაწილე ყველა მხარისათვის სოციალურ-ეკონომიკურ უპირატესობებს – დასაქმება, მოგების მიღება, სოცუზრუნველყოფა და ამით ხელს უწყობდეს სიღარიბის დონის შემცირებას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ 2004 წელს მიღებულ ტურიზმის მდგრადი განვითარების კონცეპტუალურ განმარტებაში მითითებულია, რომ ტურიზმის მდგრადი განვითარების ნორმები და პრაქტიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურიზმის ყველა სახეობასა და სეგმენტში (გარემოს დაცვა, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები) და მათ შორის ბალანსის დაცვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტურიზმის მდგრადობა ხანგრძლივი პერიოდით. ამასთან ტურიზმის მდგრადობას დიდწილად უწყობს ხელს ინოვაციების შემუშავება და დანერგვა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წელს მიღებულ „ტურიზმის ქარტია და ტურისტის კოდექსი“-ში მითითებულია, რომ ადგილობრივ მოსახლეობას გააჩნია უფლება, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ტურისტულ ღონისძიებებში მოგების მიღების მიზნით, მაგრამ აქვს ვალდებულება,

გაუფრთხილდეს ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებს, ისევე, როგორც ჩამოსული ტურისტები ვალდებულნი არიან, პატივი სცენ ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ მრწამსს და სხვა. ამ მიზნით აუცილებელია, ტურისტს ჰქონდეს ინფორმაცია ამ ადგილის ტრადიციების, რელიგიის, სიწმინდეთა, ფაუნის, ფლორის, არქეოლოგიური და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ, სადაც აპირებენ მოგზაურობას.

1989 წლის აპრილში ტურიზმის საპარლამენტთაშორისო კონფერენციამ მიიღო ჰააგის დეკლარაცია, სადაც ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარების კომპლექსური დაგეგმვა უნდა ეყრდნობოდეს კონცეფციას „მდგრადი განვითარება“, რომელიც გაეროს ასსამბლეის მიერ იქნა მხარდაჭერილი, სადაც, აღნიშნული მითითებების გარდა, ნათქვამია, რომ ტურიზმის განვითარების საქმეში აუცილებელია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორების აქტიური მონაწილეობა.

გლობალური მასშტაბით ბიოსფეროს დაცვის პრინციპები განხილულ იქნა 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ გაეროს კონფერენციაზე, რომელიც მიუძღვნა გარემოს დაცვას და მონაწილეობა მიიღო 179 ქვეყნის წარმომადგენელმა. აქ მიღებული იქნა საპროგრამო დოკუმენტი „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ („Agenda 21“) და გარემოს დაცვის დეკლარაცია. ამ დოკუმენტის მიღებით დაიწყო ტურიზმის სფეროში სიახლე – ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპი.

1995 წელს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის, მოგზაურობათა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს და დედამიწის საბჭოს მიერ ერთობლივად იქნა შემუშავებული დოკუმენტი „მოგზაურობათა და ტურიზმის დარგის დღის წესრიგი XXI საუკუნეში“, სადაც გაანალიზებულია ტურიზმის დარგის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა, ჩამოთვლილია ასევე ტურისტების მიერ მიყენებული სხვადასხვა ზიანი, ადგილობრივი კულტურის გაჩანაგების საფრთხე, სატრანსპორტო პრობლემები და სხვა. დოკუმენტში შემუშავებულია სახელმწიფო ორგანიზაციების, ეროვნული ტურისტული ადმინისტრაციების მოქმედების კონკრეტული პროგრამა ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის, ასევე მითითებულია პრიორიტეტული სფეროები:

- არსებული ნორმატიული, ეკონომიკური და სოციალური საჭიანობის შეფასება;
- საზოგადოების შესაბამისი განათლება;
- ინფორმაციის, გამოცდილების, ტექნოლოგიების გაცვლა-გამოცვლის მხარდაჭერა;
- ახალი ტურიტული პროდუქტის შემუშავება, თანამშრომლობა მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნით.

ბოლო პერიოდში თანდათანობით იზრდება და მასშტაბური ხდება გარემოს დაცვის სერტიფიცირების, მარკირების, მისი დაცვისათვის დაჯილდოების სისტემები.

2000 წელს ცნობილმა ტუროპერატორებმა, გარემოს დაცვის გაეროს პროგრამების – (UNEP, United Nations Environment Programme), განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიის (UNESCO) და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაწილეობით, წამოიწიეს ნებაყოფლობითი არაკომერციული პარტნიორობა - ტუროპერატორების ინიციატივა „ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის“. მათ რიგში არიან ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორცაა: TUI Group (გერ-

მანია), Hotelplan (შვეიცარია), First Choice (დიდი ბრიტანეთი), ACCOR (საფრანგეთი) და სხვ. და შეუძლიათ გაერთიანდნენ ნებისმიერი სხვა ორგანიზაციები მათი სიდიდისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. ამ კომპანიებმა მიზნად დაისახეს მინიმუმამდე დაიყვანონ საწარმოო ნარჩენები, გარემოს დაბიძურება; გაუფრთხილდნენ ფლორას და ფაუნას, ლანდშაფტს, ეკოლოგიურ სისტემებს, ბიომრავალფეროვნებას, კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, პატივი სცენ ადგილობრივ კულტურას; ითანამშრომლონ ადგილობრივ მოსახლეობასთან, გამოიყენონ ადგილობრივი პროდუქტები და დაასაქმონ ადგილობრივი მოსახლეობა.

ტურიზმის მდგრადობის მიღწევა უწყვეტი პროცესია, რომელიც მოითხოვს გარემოზე მუდმივ მონიტორინგს, ზრუნვას და გონივრულ ექსპლუატაციას, რაც საბოლოოდ მთლიანად ეკონომიკური მდგრადობის მიღწევას შეუწყობს ხელს.

1995 წელს ევროპულმა კომისიამ გამოუშვა მწვანე გაზეთი. 1996 წელს დააარსა ტურისტული ეკოლოგიური ქსელი – ECONETT. საერთაშორისო მოვალეობათა საფუძველზე ევროკავშირის ტურისტული სექტორი სახელმწიფო ან კერძო სექტორთან თანამშრომლობის გზით თავისთავზე იღებს ტურიზმის მხრივ გარემოზე ნეგატიური გავლენების შესწავლას და მინიმუმამდე დაყვანას.

მეტად საინტერესოა ე.წ. „ზღვისპირა ზონების კომპლექსური მართვის პროგრამა“, რომელსაც კოდექსის სტატუსი გააჩნია და მიღებულია ევროპის უმეტესი ქვეყნების მიერ, ასევე ამერიკაში. ევროპული პროგრამა ფინანსდება ევროკავშირის მიერ და მიზნად ისახავს ზღვისპირა ზონების სოციალურ-ბუნებრივი სპეციფიკის შესწავლას, გათვალისწინებას და მოფრთხილებას, ამ დოკუმენტის მიხედვით ევროკავშირის ზღვისპირა ქვეყნებმა 2006 წელს შეიმუშავეს საკუთარი ეროვნული პროგრამები.

2003 წლის ნოემბერში ავსტრალიის მთავრობამ შეიმუშავა ტურიზმის მდგრადი განვითარების ე.წ. „თეთრი წიგნი“ - „ტურიზმის ხანგრძლივი სტრატეგიის მხარდაჭერა“; შვეციის გარემოს დაცვის სააგენტომ მიიღო „მდგრადი ტურიზმის ათი პრინციპი“.

აუცილებლად საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში ტურიზმის წვლილი – სამუშაო ადგილების შექმნა, ინსტიტუციური პოტენციალის გამყარება – არ არის ავტომატური, ანუ წინასწარ განსაზღვრული, პირიქით, იგი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, როგორცაა:

- ეროვნულ ეკონომიკაში ტურისტული სექტორის ინტეგრაციის ხარისხი მრეწველობის სხვადასხვა დარგებთან პირდაპირი და უკუკავშირის მეშვეობით;

- ინფრასტრუქტურული განვითარების ფინანსირების, ადგილობრივი კომპანიების (განსაკუთრებით მცირე და საშუალო) ხელშეწყობის, ასევე ადგილობრივი ეკონომიკის დინამიურობის მიზნით შექმნილი ინსტიტუტების განვითარებისათვის ტურიზმის შემოსავლების გამოყენების ხარისხი;

- ქვეყნის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა და სტრატეგია, ასევე თუ რამდენად ასტიმულირებენ ისინი ტურიზმის სფეროში შიდა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, შედარებით დარიბ რაიონებში ახალი ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს გადაცემა-დანერგვას;

- ტურიზმის მდგრადობისთვის გაწეული ყველა ეროვნული ძალისხმევა.

მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ეს ურთიერთობები იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ტურიზმის სექტორის პოტენციალი ეკონომი-

კური მდგრადობის ზრდისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას (მათ შორის სოფლად), გზების, პორტების, აერო-პორტების მშენებლობას.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს ტურიზმის მდგრადი განვითარების დებულებათა რეალიზაციაში, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში - „მეზავრობათა და ტურიზმის დარგებისათვის დღის წესრიგი XXI საუკუნეში“. სწორედ მისი დახმარებით, აქტიურად ხორციელდება აქცია „აბრეშუმის გზა“, რომელშიც ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მონაწილეობს; 2002 წლის აგვისტოში ტურიზმის მდგრადობისადმი მიძღვნილ მსოფლიო სამიტზე იოჰანესბურგში მოწონებულია მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია UNWTO-ის და UNCTAD-ის პროგრამა - „მდგრადი ტურიზმი – სიღარიბის აღმოფხვრის საწინდარი“ (Sustainable Tourism-Eliminating Poverty ST-EP ST-EP). ეს პროგრამა ემსახურება ორ ძირითად მიზანს: ტურიზმის მდგრადი განვითარება და მისი როლის განუხრელი ზრდა სიღარიბის აღმოფხვრისა და ნაკლებად განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური განვითარების საქმეში.

2015 წლის გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესიაზე (ნიუ-იორკში) 193 სახელმწიფო შეთანხმდა 2030 წლამდე მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტის - „გარდაეკმნათ მსოფლიო: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“ - მიღებაზე (მოიცავს 17 მიზანს - „მდგრადი განვითარების მიზანი“ (მგმ) და 169 ამოცანას მათი შესრულების მიზნით), რომელმაც 15 წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის, რაც გულისხმობს: - დამთავრდეს უკიდურესი სიღარიბე, შეჩერდეს კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია, შემცირდეს უთანაბრობა და უსამართლობა. ნიშანდობლივია, რომ ტურიზმი, როგორც სტრატეგიული დარგი, მოხსენიებულია სამ მიზნობრივ კატეგორიაში, კერძოდ: მიზანი №8 – მუდმივი, ყოვლისმომცველი და მგრადი ეკონომიკური ზრდისთვის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმებისათვის და ყველასათვის ღირსეული სამსახურის ქონისთვის; მიზანი №12 – მომსახურების და წარმოების რაციონალური მოდელების უზრუნველყოფა; №14 - ოკეანეებისა და ზღვების რესურსების შენარჩუნებისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების ინტერესებისათვის. ეს ყოველივე მეტყველებს ტურიზმის, როგორც უნივერსალური დარგის მნიშვნელობაზე ჩვენი პლანეტის შემდგომი განვითარებისათვის. ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის ასევე გასათვალისწინებელია 2015 წლის 12 დეკემბერის პარიზის შეთანხმება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში, რადგანაც კლიმატის ცვლილებაა გრძელვადიან პერიოდში ტურიზმის სექტორის განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა. მერვე მიზნის ამოცანებია აგრეთვე ეკონომიკის ზრდისა და გარემოს დეგრადაციის გამიჯვნა-მდგრადი მოხმარება და წარმოება - ათწლიანი პროგრამა; „სამუშაო ადგილების გლობალური პაქტის“ (ILO) დანერგვა და სხვ. ამოცანა 9.1. ხარისხიანი, საიმედო, მდგრადი და მედევი ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ ამოცანას შეესაბამება მაგალითად, „კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი 2012-16“, ან დაგეგმილი - ნარჩენების გადამამუშავებელი სიმძლავრეების მშენებლობა. ამ პროექტებზე პასუხისმგებელია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. თუმცა ტურიზმის როლი

ეკონომიკის მდგრადობის განვითარებაში ამ სამი ნიშნით არ ამოიწურება, რადგანაც იგი პირდაპირ თუ ირიბად აუცილებლად ეხება სხვა დანარჩენ „მდგრადი განვითარების მიზნებსაც (მგმ).

2015 წლის 18 ივნისს ჩინეთში ჩატარებულ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აბრეშუმის გზის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციაში 20-ზე მეტ ქვეყნას შორის საქართველოც მონაწილეობდა, რომელიც აბრეშუმის გზის ტურისტული პოტენციალის განხილვას მიეძღვნა. აბრეშუმის გზის მარშრუტი, როგორც სავაჭრო ურთიერთობების განვითარების, ასევე ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი მიმართულებაა. აქვე გამართულ მინისტერიალზე პოზოტიურად შეხვდნენ ქართული მხარის წინადადებას - აბრეშუმის გზის ქვეყნებისთვის ერთიანი ტურისტული პროდუქტისა და მარკეტინგული აქტივობების საჭიროების შესახებ. საქართველოს მიზანი - გახდეს მდგრადი ტურისტული განვითარების რეგიონად - მიღწევაა, თუკი მოხდება ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკის ხელშეწყობა, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს და პოპულარიზაციას გაუწევს ადგილობრივ კულტურასა და პროდუქტებს. ამ მხრივ საყურადღებოა 2017 წლის 28-29 ნოემბერს თბილისში ჩატარებული აბრეშუმის გზის ფორუმი, სადაც ჩინეთის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც, როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო მარშრუტებს მოიცავს, მიზნად ისახავს ევროპისა და ჩინეთის დამაკავშირებელი უძველესი აბრეშუმის გზის აღდგენას, ეკონომიკური სარტყლის გზის შექმნის ინიციატივასა და მის გაფართოებას. საქართველო ამ გზის სტრატეგიული ნაწილია. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გაფორმებული აქვს როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყანაში ინვესტორების მოსაზიდად. აბრეშუმის გზაზე სტრატეგიული ლოკაციითა და კონკურენტული ბაზრით საქართველო მიზნად ისახავს, გააფართოვოს და აღადგინოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის რეგიონული ჰაბის პოზიცია (დღეს ევროპული სახელმწიფოების დიდი ნაწილი მთავარ ბაზრად ჩინეთს განიხილავს. მაღალშემოსავლიანი სოციალური ფაქტორის გათვალისწინებით, საქართველოსთვის ხელსაყრელია მარკეტინგული კამპანიის წარმართვა ისეთ ბაზრებზე, როგორცაა: ევროპაში – გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია; აზიაში – ჩინეთი, იაპონია და სამხრეთი კორეა; ჩრდილოეთ ამერიკაში – აშშ და კანადა; ლათინურ ამერიკაში – არგენტინა), რაც საუკეთესო ხელშემწყობი პირობაა მდგრადი განვითარების პრიციპებზე ორიენტირებული ტურისტული სექტორის განვითარებისათვის.

2017 წლის სექტემბერში საქართველო ასევე იყო ტურიზმის სამეცნიერო და პრაქტიკოსი ექსპერტების ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ასოციაციის AIEST-ის (1951 წელს დაარსდა) რიგით 67-ე კონფერენციის მასპინძელი ქვეყანა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოს მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გაუმჯობესება ტურიზმის უახლესი ტენდენციებისა და განვითარების ანალიზის საფუძველზე, ამ სფეროში მოსალოდნელი პრობლემების წინასწარ განჭვრეტისა და მათი გადაჭრის გზების მოძიებით. კონფერენციის მუშაობისას ასევე განხილული იყო საქართველოში ტურიზმის ბიზნესის მდგრადობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები და ტურიზმის მდგრადი განვითარების ბიზნესმოდელები. უცხოელი ექსპერტების აზრით, საქართველოსთვის მდგრადი განვითარება გულისხმობს ორი ბიზნეს-მოდელის ბალანსს. ერთი მხრივ, საზოგადოებაზე დაფუძნებული ბიზნესმოდელი,

რომელიც ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე და მეორე მხრივ, კოოპერაციაზე დაფუძნებული ბიზნესმოდელი, რომელიც ფოკუსირებულია კურორტების განვითარებაზე, მაგალითად: სათხილამურო კურორტები და დასასვენებელი კომპლექსები. ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია ამ ორივე ბიზნესმოდელის ბალანსირება. აქვე ყურადსადება იხილეთ, რომ დღეისათვის კერძო და საჯარო სფეროს შორის თანამშრომლობის კოოპერაცია საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებს უჭირავთ ხელში, რის გამოც ნაკლებად ეწევა ანგარიში ტურიზმის სფეროში ასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ საინტერესო ინოვაციურ კონცეფციებს. ამ მხრივ ევროპული მაგალითის პრაქტიკამ აჩვენა, რომ კერძო და საჯარო სფეროს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რისი მცდელობის ზოგადი ნიშნები უკვე საქართველოშიც შეინიშნება, რაც ხელს შეუწყობს ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია მდგრადი ტურისტული პროდუქტის ავთენტურობისა და სანდოობისთვის.

რეგიონული განვითარების თვალსაზრისით, 2017 წლის აპრილში საქართველომ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ევროპისა და აზიის სამთო კურორტების საერთაშორისო ორდლიან კონფერენციას - "ინოვაციური სტრატეგიები სამთო ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის", უმასპინძლა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა: 1. მდგრადი განვითარება და დაგეგმვა, 2. ინვესტიციები და სტიმულირება 3. ოპერაციული საკითხები. აქცენტი გააკეთდა ტურიზმის მდგრადი განვითარების პოტენციალზე, რომელიც უპირატესობას ანიჭებს გონივრულ ტურისტულ საქმიანობას და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს შეესაბამება; სესიაზე ასევე განხილულ იქნა სამთო მიმართულებებზე კლიმატური ცვლილებების გავლენა. "სამთო ტურიზმის კულტურის" საჯარო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს მდგრადი და კონკურენტუნარიანი სამთო ტურიზმის ინტეგრირებულ დაგეგმვას, რომელიც უნდა იყოს თავსებადი და ინტეგრირებული რეგიონის სხვა სექტორების საქმიანობებსა და მოთხოვნებთან, როგორცაა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, მიწის შესყიდვა და ზონებად დაყოფა, ადგილობრივი საზოგადოება და ტურიზმის სფეროში მომუშავე კომპანიები, ბუნებრივი და კულტურული რესურსების განლაგება (ადგილობრივი საცხოვრებელის, საკვების, მუსიკის, ხელოვნების, რეწვისა და ტრადიციების გამოყენება, რომელიც იცავს არა მარტო მთის კულტურულ მემკვიდრეობას, არამედ ბუნებრივ გარემოსაც).

Последующее тестирование модели охватывало разные национальные культуры как богатых, так и бедных стран, как стран Востока, так и Запада, как стран с формирующимся рынком, так и с переходной экономикой, в большей степени ориентированной на рынок (Япония, США, Франция, Англия, Германия, Индия, Гонконг, Вьетнам, Таиланд, Китай). В результате выявились как сходства, так и различия.

Согласно основным обобщенным выводам проведенных тестирований существуют значительные различия между странами по всем исследуемым переменным, которые в целом отражали характеристики национальных культур.

При этом выявлено, что угловые коэффициенты, связывающие эти переменные с производительностью фирмы, по странам систематически не отличаются [*Deshpande, R. and Farley J. U., 2004*].

Наконец, следует отметить работу *С.-Дж. Юн (S.-J. Yoon)* и *С.-Х. Ли (S.-H. Lee)*.

Взяв за основу, что рыночно-ориентированная культура и процесс создания маркетинговой стратегии являются компонентами маркетинговой компетенции фирмы, а также опираясь на результаты проведенного обзора соответствующей литературы, исследователи разработали модель взаимозависимости маркетинговой культуры и процесса формирования маркетинговой стратегии.

В результате проверки (тестирования) предложенной модели на основе данных опроса управленческого персонала целого ряда фирм было обнаружено, что маркетинговая культура не только напрямую влияет на результаты работы фирмы, но и косвенно влияет на процесс разработки маркетинговой стратегии [*Yoon, S.-J. and Lee, S.-H., 2005*].

Рыночно-ориентированная организационная культура и устойчивое конкурентное преимущество

Здесь следует выделить эмпирическое исследование, осуществленное *В. Кумар (V. Kumar)* с соавторами, которые использовали панельные данные, собранные на основе многократных опросов топ-менеджеров в 261 компаниях относительно рыночной ориентации их фирм, наряду с объективными показателями эффективности, с целью исследования влияния маркетинговой ориентации фирмы на ее производительность за девятилетний период и осуществляют ее измерение и оценки в нескольких временных интервалах (с 1997 по 2001 и с 2001 по 2005 года).

Согласно основным результатам анализа, маркетинговая ориентация оказывает положительное влияние на эффективность бизнеса как в краткосрочной, так и в долгосрочной перспективе.

При этом было установлено, что устойчивое преимущество на конкурентном рынке было достигнуто теми фирмами, которые по времени раньше других начинали осуществлять маркетинговую ориентацию своей бизнес деятельности.

Следует также отметить, что согласно результатам исследования турбулентность внешней среды и интенсивность конкуренции модерирует (изменяет) основной эффект маркетинговой ориентации на результативность бизнес деятельности фирмы, при этом модерационный эффект в большей степени проявлялся в 90-ых, чем в нулевых (2000-ых) годах [*Kumar V. et al., 2011*].

Заключение

На основе обзора соответствующей теоретической и эмпирической литературы относительно взаимосвязей организационной культуры, маркетинговой ориентации и устойчивого конкурентного преимущества можно наметить некоторые направления эмпирического исследования (охватив как качественный, так и количественный анализ) в сфере функционирования фирм в странах с переходными экономиками, в том числе и в экономике Грузии.

В связи с этим, рассматривая маркетинговую ориентацию фирмы как определенную систему ценностей и убеждений организационной культуры, способной положительно влиять на конечные результаты функционирования фирмы, и вместе с тем воспринимая рыночно-ориентированную культуру фирмы в качестве ее ключевого ресурса (ее ключевой компетенции), способного быть источником достижения устойчивого конкурентного преимуще-

ства, полагаем, что предпочтительнее использовать модель *Д. Денисона*. Тем более, что уже есть некоторый опыт использования данной модели в такой стране с переходной экономикой, каковым является Российская Федерация.

Разумеется при этом встает вопрос о необходимости некоторой модификации упомянутой модели.

На наш взгляд, в рамках указанного возможного направления эмпирических исследований модель нуждается, с одной стороны, в уточнении отдельных компонентов организационной культуры в связи с ее маркетинговой ориентированностью, а с другой – в четком определении конкретных конечных результатов деятельности фирмы.

На основании вышесказанного следует сформулировать соответствующие гипотезы относительно взаимосвязей маркетингом ориентированной организационной культуры и устойчивого конкурентного преимущества фирм, функционирующих в странах с переходной экономикой (в том числе и в Грузии), с учетом специфики каждой бизнес среды, а затем, предварительно собрав соответствующие данные из фирм путем глубинных интервью и анкет-опросников, осуществить тестирование этих гипотез в рамках представленной модифицированной модели.

Использованная литература

1. Аакер Д., 2007, *Стратегическое рыночное управление*. 7-е изд. (Серия «Теория менеджмента»). Пер. с англ. под ред. С. Г. Божук. Санкт-Петербург, «Питер».

2. Армстронг М., 2002, *Стратегическое управление человеческими ресурсами*. (Серия «Менеджмент для лидера»). Пер. с англ. Москва, ИНФРА-М.

3. Берулава Г., 1999, *Маркетинговая модель фирмы*. Тбилиси, Издательство «Цоднисцкаро».

4. Бехар Г. при участии Голдстейн Дж., 2009, *Дело не в кофе: Корпоративная культура Starbucks*. Пер. с англ. Москва, «Альпина Бизнес Букс».

5. Бёгельсдейк, Ш., Маселанд, Р., 2016, *Культура в экономической науке: история, методологические рассуждения и области практического применения в современности*. (Серия «Новое экономическое мышление»). Пер. с англ. Н. В. Автономовой; науч. ред. В. С. Автономов. Москва, Санкт-Петербург, Изд-во Института Гайдара, Изд-во «Международные отношения», Факультет свободных искусств и наук СПбГУ.

6. Гогохия Т., 2014а, *Сущность и значение ресурсной концепции фирмы*. // В сборнике материалов международной научно-практической конференции «Актуальные проблемы развития экономики и экономической науки», посвященной 70-летию со дня основания Института экономики им. П. Гугушвили ТГУ, Тбилиси, Издательство Института экономики им. П. Гугушвили ТГУ (на грузинском языке).

7. Гогохия Т., 2014б, *Роль и значение маркетинговой службы фирмы в развитых и развивающихся странах*. // В сборнике научных трудов Института экономики им. П. Гугушвили ТГУ, т. VII, Тбилиси, Издательство Института экономики им. П. Гугушвили ТГУ (на грузинском языке).

8. Гогохия Т., 2014с, *Сущность, роль и значение стратегического маркетинга в функционировании фирмы*. // *Международный научно-аналитический журнал «Экономисти»*, № 6, Тбилиси, Издательство Института экономики им. П. Гугушвили ТГУ (на грузинском языке).

9. Доши Н., Макгрегор Л., 2017, *Заряженные на результат. Культура высокой эффективности на практике*. Пер. с англ. Москва, Издательство «Манн, Иванов и Фербер».

10. Камерон К., Куинн Р., 2001, *Диагностика и изменение организационной культуры*. (Серия «Теория и практика менеджмента»). Пер. с англ. под ред. И. В. Андреевой. Санкт-Петербург, «Питер».
11. Каталевский Д.Ю., 2008, Эволюция концепций стратегического менеджмента: от Гарвардской школы внешней среды до ресурсного подхода к управлению. // *Государственное управление. Электронный вестник*, Выпуск № 16, Сентябрь.
12. Кохли Э., Яворски Б., 2001, Рыночная ориентация: конструкт, научные предположения и практическое применение в менеджменте. // В сборнике статей «*Классика маркетинга*». Часть 3. Под ред. Б.М. Эниса, К.Т. Кокса, М.П. Моква. Санкт-Петербург, Издательский дом «Питер».
13. Кузьминов Я.И., Бендукидзе К.А., Юдкевич М.М., 2006, *Курс институциональной экономики: институты, сети, трансакционные издержки, контракты*. Москва, Изд. дом ГУ ВШЭ.
14. Лайкер Дж., Хосеус М., 2011, *Корпоративная культура Toyota: Уроки для других компаний*. (Серия «Модели менеджмента ведущих корпораций»). Сокр. пер. с англ. Москва, «Альпина Паблишерз».
15. Левитт Т., 2001, Маркетинговая миопия. // В сборнике статей «*Классика маркетинга*». Часть 1. Под ред. Б.М. Эниса, К.Т. Кокса, М.П. Моква. Санкт-Петербург, Издательский дом «Питер».
16. Ленсиони П., 2013, *Сердце компании. Почему организационная культура значит больше, чем стратегия или финансы*. Пер. с англ. Москва, Издательство «Манн, Иванов и Фербер».
17. Лютенс, Ф., 1999, *Организационное поведение*. Учебник для ВУЗ-ов. Перевод с 7-ого издания на английском языке. Москва, ИНФРА-М. (1999)
18. Минцберг Г., Альстранд Б., Лампель Ж., 2013, *Стратегическое сафари: Экскурсия по дебрям стратегического менеджмента*. Пер. с англ., Москва, «Альпина Паблишерз».
19. Питерс Т., Уотерман-мл. Р., 2010, *В поисках совершенства: Уроки самых успешных компаний Америки*. Пер. с англ. Москва, Альпина Паблишерз.
20. Портер М., 2005, *Конкурентное преимущество: Как достичь высокого результата и обеспечить его устойчивость*. Пер. с англ. Москва, Альпина Бизнес Букс.
21. Спивак В.А., 2001, *Корпоративная культура*. Серия "Теория и практика менеджмента". Санкт-Петербург, «Питер».
22. Сборник: *Культура имеет значение. Каким образом ценности способствуют общественному прогрессу*. // Под ред. Л. Харрисона и С. Хантингтона. Москва, «Библиотека Московской школы политических исследований», 2002.
23. Тихомирова О.Г., 2008, *Организационная культура: формирование, развитие и оценка*. Санкт-Петербург, СПб ГУ ИТМО.
24. Шейн Э. Х., 2002, *Организационная культура и лидерство*. (Серия «Теория и практика менеджмента»). Пер. с англ. под ред. В. А. Спивака. Санкт-Петербург, «Питер».
25. Уинсли Р., 2002, Маркетинговая стратегия. // В сборнике статей «*Маркетинг*». Под ред. М. Бейкера. Санкт-Петербург, Издательский дом «Питер».
26. Barney, J.B., 1986, Organizational Culture: Can it be a Source of Sustained Competitive Advantage? // *Academy of Management Review*, Vol. 11, No. 3, pp. 656-665.
27. Barney, J.B., 1991, Firm Resources and Sustained Competitive Advantage. // *Journal of Management*, 17, (1), pp.99-120.

28. Deal, Terrence E., and Allan A. Kennedy, 1982, *Corporate Cultures: The Rites and Rituals of Corporate Life*. Reading, MA: Addison-Westey.
29. Denison, D.R., Mishra, A.K., 1989, Organizational Culture and Organizational Effectiveness: A Theory and Some Preliminary Empirical Evidence. // *Academy of Management Annual Meeting Proceedings*, August.
30. Denison, D.R., Mishra, A.K., 1995, Toward a Theory of Organizational Culture and Effectiveness. // *Organization Science*, Vol. 6, No. 2, March-April.
31. Deshpande, R. and F. E. Webster, Jr., 1989, Organizational Culture and Marketing: Defining the Research Agenda. // *The Journal of Marketing*, Vol. 53, No. 1, Jan., pp. 3-15 - Stable URL: <http://www.jstor.org/stable/1251521>.
32. Deshpande, R., Farley, J. U. and F.E. Webster, Jr., 1993, Corporate Culture, Customer Orientation, and Innovativeness in Japanese Firms: A Quadrant Analysis. // *Journal of Marketing*, Vol. 57 (January), pp. 23-37.
33. Deshpande, R. and Farley J. U., 2004, Organizational Culture, Market Orientation, Innovativeness, and Firm Performance. // *International Journal of Research in Marketing*, 21, pp. 3-22.
34. Dierickx, I. and Cool K., 1989, Asset Stock Accumulation and Sustainability of Competitive Advantage. // *Management Science*, 35 (December), pp. 1504-1511.
35. Fey C. F. and Denison D.R., 2003, Organizational Culture and Effectiveness: Can American Theory be Applied in Russia? // *William Davidson Institute Working Paper*, Number 598, July.
36. Hatch, M.J., 1993, The Dynamics of Organizational Culture. // *The Academy of Management Review*, Vol. 18, No. 4 (October), pp. 657-693.
37. Hofstede, Geert; Hofstede, Gert Jan and Minkov, Michael, 2010, *Cultures and Organizations: Software of the Mind*. New York, The McGraw-Hill Companies, Inc. ("McGrawHill").
38. Hofstede, G., Neuijen B., Ohayv D.D., Sanders G., 1990, Measuring Organizational Cultures: A Qualitative and Quantitative Study across Twenty Cases. // *Administrative Science Quarterly*, 35, pp. 286-316.
39. Homburg Ch., Pflesser Ch., 2000, A Multiple-Layer Model of Market-Oriented Organizational Culture: Measurement Issues and Performance Outcomes. // *Journal of Marketing Research*; vol. XXXVII, November, pp. 449-462.
40. Kirca, A.H., Jayachandran S. and Bearden W.O., 2009, Market Orientation A Meta-Analytic Review and Assessment of Its Antecedents and Impact on Performance. // *Journal of Marketing*. Vol. 69 (April), pp. 24-41.
41. Kumar V., Jones E., Venkatesan R., Leone R.P., 2011, Is Market Orientation a Source of Sustainable Competitive Advantage or Simply the Cost of Competing? // *Journal of Marketing*, Vol. 75 (January), pp. 16 -30.
42. Lunenburg F.C., 2011, Understanding Organizational Culture: A Key Leadership Asset. // *National Forum of Educational Administration and Supervision Journal*, Vol. 29, Number 4.
43. Narver, J. and Slater, S., 1990, The Effect of Market Orientation on Business Profitability. // *Journal of Marketing*, 54 (October), pp. 20–35.
44. Narver, J., Slater, S., Tietje B., 1998, Creating a Market Orientation. // *Journal of Market-Focused Management*. Vol. 2, pp. 241-255.
45. Norburn, D., Birley, S., Dunn M., 1988, Strategic Marketing Effectiveness and Its Relationship to Corporate Culture: A Cross-national Study. // *International Studies of Management and Organization*, Vol. XVUI, No. 2, pp. 83-100.

46. Peters, Thomas J., and Richard H. Waterman, 1982, *In Search of Excellence: Lessons from America's Best-Run Companies*. New York: Harper & Row.
47. Raaij, Erik M. van, 2001, *The Implementation of a Market Orientation. Designing Frameworks for Managerial Action*. Twente University Press, Grafisch Centrum Twente, Enschede.
48. Schein, E.H., 1985, *Organizational Culture and Leadership*. San Francisco: Jossey-Bass.
49. Schein, E.H., 1990, Organizational Culture. // *American Psychologist*, Vol. 45, No. 2, February, pp. 109-119.
50. Sheppard, R., 2011, The Evolution and Conceptualization of Market Orientation: What Managers Ought to Know. // *Journal of Management Policy and Practice*. Vol. 12(6).
51. Yoon, S.-J. and Lee, S.-H., 2005, Market-Oriented Culture and Strategy. // *Marketing Bulletin*, 16, Article 4.

Teimuraz Gogokhia

**THE ROLE AND SIGNIFICANCE OF MARKET ORIENTATION OF
ORGANIZATIONAL CULTURE OF A FIRM
IN ACHIEVING ITS SUSTAINED COMPETITIVE ADVANTAGE**

Summary

The article deals with the essence of the concept of organizational (corporate) culture of a firm and its market orientation, as well as the role and significance of the market-oriented organizational culture in achieving and maintaining the sustainable competitive advantage of a firm.

Various theoretical models and conceptual approaches to the organizational culture of a firm are considered.

The relevant empirical studies conducted in some developed and developing countries regarding the organizational culture and its influence on the final results of firms' work, as well as the marketing culture (organizational culture that has a marketing orientation), the impact of this culture on the performance of a firm and its possible role in achieving and maintaining the sustainable competitive advantage of a firm are reviewed.

Some ways of conducting empirical researches in transition economies, including in the Georgian economy, are outlined. We suggest to formulate the corresponding hypotheses regarding the relationship between the market-oriented organizational culture and the sustainable competitive advantage of firms in transition countries (including Georgia), taking into account the specifics of business environment, and then, having previously collected relevant data from firms through in-depth interviews and questionnaires, to test these hypotheses within the framework of the modified D. Denison's model.

**სოციალური ინოვაციების როლი
ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის**

ანოტაცია. ნაშრომი ეძღვნება დღევანდელი ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, როგორცაა სოციალური გარემოს გაუმჯობესება, საზოგადოების სოციალურად დაბალი ფენის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და თანამედროვე პერიოდის სწრაფ ცვალებად რეალობასთან ადაპტირება, რომელიც შეიძლება მოხდეს ე. წ. „სოციალური ინოვაციების“ წარმატებით გამოყენების მეშვეობით. თვით სოციალური ინოვაციები მჭიდრო კავშირშია ქვეყნის სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკასთან და შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ, არაკომერციულ და საზოგადოებრივ სექტორებში. ავტორები განიხილავენ სოციალური ინოვაციების სფეროში მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას და ამ განხრით საქართველოში გატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური, ინოვაციები, პოლიტიკა, ვებ პროექტები, სახელმწიფო ფონდები, დახვეწის სისტემა.

სოციალურ ინოვაციებს მიეკუთვნება ახალი სტრატეგიები, კონცეფციები, იდეები, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური მოთხოვნილებების - შრომის პირობების, განათლების, ჯანდაცვის და ა.შ. - დონის ამაღლებას და გაუმჯობესებას ეკონომიკის მდგრადობის გაძლიერების მიზნით. ყველა თანამედროვე ორგანიზაცია და დაწესებულება, რომლებიც მოღვაწეობენ სოციალურ სფეროში, აუცილებლად უნდა ადაპტირდნენ თანამედროვე პერიოდის სწრაფად ცვალებად რეალობასთან, უფრო მეტიც, წინასწარ უნდა განსაზღვრავდნენ მოსალოდნელ ცვლილებებს. მეცნიერები „სოციალურ ინოვაციებს“ ასე განსაზღვრავენ: სოციალურ სფეროში შეგნებულად ორგანიზებული სიახლეები, რომლებიც შეესაბამება მუდმივად ცვალებად სოციალურ პირობებს, წარმოიქმნება საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე, რომელთა მიზანია მთლიანად სოციალური სფეროს ეფექტური, პოზიტიური გარდაქმნები. შეიძლება თვით ტერმინი „სოციალური ინოვაციები“ შედარებით ახალია, მაგრამ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებისკენაცაა ისინი მიმართული, ნამდვილად არ არის ახალი. სოციალურ ინოვაციებს შეისწავლიდნენ თავის შრომებში გამოჩენილი მკვლევარები - ბენჯამინ ფრანკლინი, რობერტ ოუენი, კარლ მარქსი, მაქს ვებერი, ჯოზეფ შუმპეტერი და სხვ.

სოციალური ინოვაციების წყაროებს წარმოადგენს სოციალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია ტრადიციული მეთოდებით. თვით საზოგადოება, რომელიც მუდმივ ცვლილებებს განიცდის, ითხოვს ამ ცვლილებების შესაბამისად გაჩენილი ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების სულ ახალ და ახალ საშუალებებს, ანუ ინოვაციებს. სწორედ ეს სიახლეები იძლევა სტიმულს სოციალურ სფეროში ახალი ნორმების შემუშავებისა და ინოვაციების დანერგვისათვის. მაგ., ასე შეიქმნა და ფართოდ გავრცელდა ე.წ. „ნდობის ტელეფონები“, რომელთა დახმარებით მთელ მსოფლიოში მილიონობით სტრესულ მდგომარეობაში

მყოფი ადამიანი იღებს ანონიმურ ფსიქოლოგიურ დახმარებას; ასე გაჩნდა „სოციალური თავშესაფრები და სასტუმროები“ და ა.შ.

სოციალური ინოვაციები მჭიდრო კავშირშია სახელმწიფო ინოვაციურ პოლიტიკასთან. ისინი შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფო, ასევე კომერციულ, არაკომერციულ და საზოგადოებრივ სექტორებში.

სოცინოვაციების ძირითადი მიმართულებები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- ინოვაციები სახელმწიფო მომსახურების სფეროში - ჯანდაცვა, განათლება, დემოკრატიის განმტკიცება;

- სოციალური მეწარმეობა - ახალი, სოციალურად ორიენტირებული საწარმოების გაჩენა-განვითარება;

- ინსტიტუციური ხელშეწყობა - სამთავრობო დონეზე, ცალკეული პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების, სხვადასხვა ფონდების, საპარტნიორო ორგანიზაციების, კერძო და კოოპერატიული სექტორის მიერ.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ბოლო წლებში ხშირად ეწეობა ფორუმები წამყვანი ეკონომისტების, ფსიქოლოგების, განათლების სპეციალისტების მონაწილეობით, რომლებიც ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური განვითარების ისეთი ტრადიციული საზომები, როგორცაა: მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ეკონომიკური ზრდა და ა.შ. სულაც არ ასახავს სრულად და მთლიანად საზოგადოების და მისი ცალკეული წევრის კეთილდღეობის და ცხოვრების პირობებით კმაყოფილების დონეს. ამიტომ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი უნდა ჩანაცვლდეს ისეთი საზომით, როგორცაა „ბედნიერების დონე“. ისინი თვლიან, რომ დღეს სოციალური ინოვაციების ცენტრში სოციალური პოლიტიკის და ინოვაციური პოლიტიკის ამოსავალი წერტილი სწორედ ბედნიერებაა. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 2013 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ბედნიერება განმარტებულია, როგორც „ადამიანის მიერ ცხოვრებით სუბიექტური ტკბობა“. აქვე ავტორებს განხილული აქვთ ბედნიერების სხვადასხვა ასპექტები. ისინი თვლიან, რომ მთელ მსოფლიოში ბედნიერების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია დასაქმება–დასაქმებული ადამიანები გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევენ თავიანთი ცხოვრების ხარისხს, ვიდრე უმუშევრები. სამსახურის ქონის მნიშვნელობა სცდება მასზე მიმაგრებულ ხელფასს. ბედნიერებას განსაზღვრავს სამსახურის ტიპიც: დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ბედნიერების უფრო ნაკლებ ხარისხთან ასოცირდება. სიმეტრიულად, ცხოვრებით უკმაყოფილება უმუშევრობასთან ასოცირდება. როგორც მონაცემები გვიჩვენებს, უმუშევრობის მაღალი დონის ეფექტი შორს მიდის და აკნინებს იმ ადამიანების ცხოვრებით კმაყოფილებასაც კი, ვინც დასაქმებულია.

მთლიანობაში სხვა ფაქტორებიც ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კერძოდ, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია ბალანსი სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის, სამუშაოს მრავალფეროვნება, ახლის სწავლის საჭიროება და ა. შ.. ბედნიერების მაღალ ხარისხს განაპირობებს სამუშაოს უსაფრთხოება და კარგი სოციალური გარემოც.

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ პირადი ბედნიერების დონე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ეკონომიკაზე მთლიანობაში, მის მდგრადობაზე, რასაც შრომის ბაზრის უახლესი კვლევებიც ადასტურებს. ბედნიერი თანამშრომლები ბევრად პროდუქტიულები არიან და მათი ინოვაციური პოტენციალიც უფრო დიდია. კომ-

პანიების შედეგებზე დადებითად აისახება თანამშრომლების კეთილდღეობაზე ზრუნვა – ამას ადასტურებს როგორც ექსპერიმენტული ლაბორატორიული კვლევები, ისე მტკიცებულებები რეალური ცხოვრებიდან. მაგ. ბოლო წლებში ძალიან ხშირად გვსმენია სხვადასხვა წარმატებული კომპანიის მხრიდან თანამშრომელთა წახალისების ზოგჯერ, ერთი შეხედვით, დაუჯერებელი შემთხვევების შესახებ: მათთვის საშობაო-საახალწლო დასვენების მოწყობა ფემინებელურ კურორტებზე, მნიშვნელოვანია ფულადი წახალისებები მათი პირადი სადღესასწაულო თარიღების აღსანიშნავად, ქორწინების დღესასწაულის ხარჯების თავის თავზე აღება, შვილების განათლების ხარჯების დაფარვა და ა.შ. ამერიკული ორგანიზაცია შოციალ მპერატივე შეისწავლის მსოფლიოში „სოციალური პროგრესის ინდექსს“, რომელიც ქვეყანაში ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს. ეს მაჩვენებელი მსოფლიოს ქვეყნების მიღწევებს სოციალური პროგრესისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიხედვით აფასებს. სოციალური განვითარების სფეროში ამა თუ იმ ქვეყნის მიღწევის შეფასებისას მკვლევარები 50 მაჩვენებელს იყენებენ, რომელიც სამ ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული:

1. ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები - კვება, სამედიცინო დახმარებისადმი წვდომა, საცხოვრებელი უზრუნველყოფა, წყლის, ელექტრობისა და სანიტარული მომსახურების ხელმისაწვდომობა, პირადი უსაფრთხოების დონე;

2. ადამიანის ძირითადი კეთილდღეობა - საბაზო ცოდნის ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის განათლების დონე, ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალებებისადმი წვდომა, ჯანდაცვის დონე, ეკოლოგიური მდგრადობა;


3. ადამიანის განვითარების შესაძლებლობა - პირადი და სამოქალაქო თავისუფლების დონე, ადამიანის უფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ტოლერანტობა და ინკლუზია, უმაღლეს განათლებაზე წვდომა.

ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2017 წელს საქართველო 70 ქულით 128 ქვეყანას შორის 53-ე ადგილზე მოხვდა. წინა წლის ინდექსთან შედარებით, საქართველო მხოლოდ ერთი პოზიციით დაწინაურდა და საშუალო სოციალური პროგრესის ზედა ზღვარის მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა.

კვლევის თანახმად, საქართველომ უმაღლესი ქულები მიიღო შემდეგ კომპონენტებში: ძირითად ცოდნაზე ხელმისაწვდომობა - 99,26 ქულა; კვება და ჯანდაცვა - 95,96 ქულა; წყალი და სანიტარია - 90,26 ქულა; პირადი უსაფრთხოება - 82,87 ქულა; საცხოვრებელი უზრუნველყოფა - 79,48. დაბალი ქულებით შეფასდა შემდეგი კომპონენტები: ტოლერანტობა და ინკლუზია - 26,30 ქულა; განათლებაზე ხელმისაწვდომობა - 55,80 ქულა; პერსონალური თავისუფლება და არჩევანის უფლება - 57,87; გარემოს ხარისხი - 58,74 ქულა; ჯანმრთელობა და კეთილდღეობა - 62,85 ქულა.

იგივე ორგანიზაცია შეისწავლის და ყოველწლიურად აქვეყნებს „მსოფლიო ბედნიერების ანგარიშს“, რომლის შედეგები 2016 წელს ასეა ჩამოყალიბებული (იხ. გრაფიკი):

მსოფლიო ბედნიერების 2016 წლის ანგარიში (ნაწილი)



გრადუსი

აღნიშნულ კვლევებში საქართველოც ფიგურირებს და როგორც ვხედავთ, ადამიანების ბედნიერების მიხედვით საქართველოს 125-ე ადგილი უჭირავს 155 ქვეყანას შორის. 0-10 ქულიან ბედნიერების სკალაზე საქართველომ მხოლოდ 4.29 ქულა მიიღო. მოცემული გრაფიკი აჩვენებს როგორც საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების რეიტინგსა და ქულებს, ისე მსოფლიოს ყველაზე კარგი და ცუდი შედეგების მქონე ქვეყნებს. ბედნიერების რეიტინგში საუკეთესო ხუთი ქვეყანაა: ნორვეგია, დანია, ისლანდია, შვეიცარია და ფინეთი. რაც შეეხება საქართველოს, ის ყველა მეზობელ ქვეყანას ჩამორჩება ამ რეიტინგში.

ზოგიერთი ეკონომისტი გარდამავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, არასახარბიელო შედეგებს ბედნიერების კუთხით „ბედნიერების ნაპრალს“ უწოდებს. „ბედნიერების ნაპრალში“ მეცნიერები გულისხმობენ გარდამავალი და არაგარდამავალი ეკონომიკების მოსახლეობების ბედნიერების საშუალო ხარისხებს შორის განსხვავებას. მეცნიერები თვლიან, რომ გარდამავალი პროცესი, რაც ამ ქვეყნების მოსახლეობამ გაიარა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ძალზე მტკივნეული იყო. დროთა განმავლობაში ეს ნაპრალი თითქოს მცირდება, მაგრამ უფრო ნელი ტემპით, ვიდრე ხდება ეკონომიკის ცვლილება. გარდამავალ ქვეყნებში ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას მეტი გავლენა აქვს ცხოვრებით კმაყოფილებაზე, ვიდრე ეკონომიკურ ზრდას. ყველა ჩვენგანმა ვიცით, რომ ტრანსფორმაცია განსაკუთრებით მტკივნეული იყო საქართველოსთვის, ქვეყანამ მძიმე პოლიტიკური ცვლილებები, სამოქალაქო ომები, სამხედრო გადატრიალება და 2008 წელს, რუსეთთან ომი გადაიტანა. ამ პოლიტიკური კატაკლიზმების და ეკონომიკური ტრანსფორმაციის შოკური თერაპიის შედეგად საქართველოს ეკონომიკა ყველაზე მეტად შემცირდა გარდამავალ წლებში, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკები. ეს არგუმენტები ნაწილობრივ ხსნის, თუ რატომ უჭირავს საქართველოს 125-ე ადგილი მსოფლიოს ბედნიერების რეიტინგში.

საქართველომ უნდა გააანალიზოს ის გამოცდილება, რომელიც აღნიშნულ სფეროში სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკიდან დაგროვდა და მიუსადაგოს იგი საკუთარი ეკონომიკის მდგრადობის მოთხოვნებს და გაატაროს ქმედითი რეფორმები განსაკუთრებით სოციალურ სფეროში. ეს აუცილებლად ეხება საპენსიო სისტემის სრულყოფას, რომელიც ბოლო წლებამდე სრულად დეგრადირებული სახით იყო შემორჩენილი. მაგალითად, ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება, თავიანთი საპენსიო დანაზოგები განკარგონ საკუთარი შეხედულებისამებრ, განათავსონ ინდივიდუალურ პირად ანგარიშებზე, რომელთაც განკარგავენ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი კერძო ფირმები. ეს ფირმები მოახდენენ საპენსიო დანაზოგების ინვესტირებას საფინანსო ბაზრებზე, თავისი კლინტების მთელი შრომითი საქმიანობის მანძილზე. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება, შეეძლოთ შენატანების წარმოება როგორც სახელწიფო საპენსიო სისტემაში, ასევე კერძო საპენსიო ფონდებში.

უაღრესად მნიშვნელოვანია უმუშევრობის დაზღვევის სისტემისა და უმუშევრობის ფონდის ჩამოყალიბებაც, რაც, ჩვენი აზრით, გაცილებით იოლია საქართველოში, ვიდრე, რომელიმე მაღალგანვითარებულ ქვეყანაში, რადგანაც უმუშევართა შემწეობის სახელმწიფო ფონდები, რომლებიც დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არსებობს, იმდენად მწირია, რომ მისი ჩანაცვლება ალტერნატიული კერძო ფონდებით სწრაფად და უმტკივნეულოდ შეიძლება განხორციელდეს. იმისათვის, რომ არსებობდეს უმუშევრობის დაზღვევის ამგვარ სისტემაზე გადასვლის სტიმული, საჭიროა ხელისუფლებამ საშემოსავლო გადასახადისაგან გაათავისუფლოს ყველა დასაქმებული (განურჩევლად იმისა, თუ სად მუშაობს იგი, კერძო თუ სახელმწიფო სექტორში), როგორც კი იგი გადაწყვეტს უმუშევრობის დაზღვევის კერძო ფონდებში შენატანების გაკეთებას.

სოციალური ინოვაციები შედარებით ახალი ტერმინია და სათანადოდ არ არის გაგრძელებული ინფორმაცია უკვე არსებული წარმატებული პროექტების შესახებ, მაგრამ სოციალური ინოვაციები უკვე აღიარა ევროკომისიამ და ჩართო თავის გრძელვადიან გეგმებში, როგორც საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ევროკავშირი ეხმარება სოციალურ აქტივისტებს სიახლეებისა და ინოვაციების დანერგვაში, როგორც პრაქტიკულად, ისე ფინანსურადაც. სოციალური ინოვაციების ინვესტირება ფაქტობრივად წარმოადგენს ინვესტირებას მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის: ჯანმრთელი ადამიანური კაპიტალი, კარგად განათლებული სამუშაო ძალა უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური მდგრადობისათვის.

ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში სოციალური გარემოს გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი კონკრეტული წინადადებები შევიდა ოფიციალურ დოკუმენტში „სტრატეგია ევროპა 2020“, სადაც აღნიშნულია, რომ სოციალურ ინოვაციებს შეუძლია გადაწყვიტოს მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ჯგუფების პრობლემები. მის საფუძველზე 2009 წელს ჩატარდა საერთაშორისო სემინარი და ამ მომენტიდან სოციალური ინოვაციები ევროპაში გაგრძელებულ პრაქტიკად გადაიქცა. ამ დოკუმენტში განხილულია ევროპაში წარმატებით განხორციელებული სოციალური ინოვაციების მაგალითები, როგორიცაა მაგალითად:

- ასოციაცია „ღამის ჭოტები“ (შეიქმნა 1998 წ. დანიაში) - მასში მონაწილეობენ მოხალისეები, რომლებიც ღამის განმავლობაში პატრულირებენ ქუჩებში. მათი

ძირითადი მიზანია ახალგაზრდებს შორის ვანდალიზმისა და ძალადობის აღკვეთა (რაც საქართველოსათვისაც მეტად აქტუალური და მტკივნეულია), კრიმინალური ცხოვრების აღმოფხვრა. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ ოფიციალური სტატუსი, ამ ორგანიზაციის მონაწილეები გადიან სპეციალურ კურსებს და მათი მოქმედების არეალში საგრძნობლადაა შემცირებული დანაშაულებრივი შემთხვევების რიცხვი;

- ორგანიზაცია „ქუჩებში წესრიგის დამყარება“ - 2007 წლიდან არსებობს სპეციალური ვებპორტალი „FixMyStreet“, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა აგზავნის ინფორმაციას მაგ., გადავსებული ნაგვის ურნების შესახებ, ქუჩებში სიბინძურის და უწესრიგობის შესახებ, მაღაზიის ვიტრინების ულამაზო გაფორმებისა და რეკლამის შესახებ. ეს გამოცდილება გავრცელებულია კანადაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, საბერძნეთში და ასევე საქართველოში;

- მოძრაობა „სკოლის ბაბუები“, რომელიც დაიწყო შვეციაში, სადაც 1000-მა 50-65 წლის უმუშევარმა მამაკაცმა ყოველდღიურად დაიწყო სიარული სკოლაში და ეხმარებოდა ბავშვებსა და მასწავლებლებს სკოლაში არსებული სხვადასხვა პრობლემების, განსაკუთრებით დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ეს მოძრაობა ეხმარება თვით ბაბუებსაც, რომ მათ იგრძნონ თავი საჭირო ადამიანებად (ვთვლით, რომ მსგავსი პრაქტიკა ჩვენს სკოლებსაც წაადგებოდა).

ჩვენთვის საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მედიის მხარდაჭერის პროგრამამ 2010 წლის მარტის თვეში შიდა პროექტი "სოციალური ინოვაციის ბანაკი" წამოიწყო.

სოციალური ინოვაციის ბანაკი აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც კარგად იცნობენ ქვეყნის სოციალურ საჭიროებებს. ამავე დროს გააჩნიათ ისეთი ვებიდეები, რომლითაც არსებული სოციალური პრობლემების მოგვარებაა შესაძლებელი. ბანაკში ყოფნის 48 საათის მანძილზე მონაწილეებს ამ ვებიდეების ვებპროექტებად გარდაქმნის შესაძლებლობა ეძლევათ. ვებპროექტის გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო, რომლის მეშვეობით ბანაკის დასრულების შემდეგ პროექტის რეალურად განხორციელებაც გახდება შესაძლებელი. სწორედ ამიტომ, იმისათვის, რომ პროექტმა გაიმარჯვოს, იგი არა მხოლოდ ინოვაციური და სოციალური პრობლემატიკისკენ უნდა იყოს მიმართული, არამედ აუცილებლად უნდა იყოს რეალისტურიც. მსგავსი ვებ-პროექტების თემა შეიძლება იყოს: არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებების დარღვევების აღნუსხვა, უმწეოთა დახმარება, მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესება ან სხვა სახის სოციალური საკითხი.

სოციალური ინოვაციების ბანაკი პირველად 2007 წელს, ლონდონში შედგა. მეორედ 2009 წლის სექტემბერში ბრატისლავაში ჩატარდა. საქართველოში ბანაკის ჩატარების იდეა სწორედ ბრატისლავას ბანაკის გამოცდილების შედეგად წარმოიშვა.

გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მოვლენის შესახებ, რომელიც დადებითად ახასიათებს ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული პრობლემისადმი არსებულ დაინტერესებას.

თბილისში 2017 წლის სექტემბერში პირველად ჩატარდა საერთაშორისო სტუდენტური პროგრამა Social Impact Award-ის (SIA) კონკურსი.

SIA - ეს არის ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა-კონკურსი, რომლის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ სოციალურ მეწარმეობას, ანუ ისეთი საკუთარი საქმის წამოწყებას, რომელიც საზოგადოებისთვის სასარგებლო იქნებოდა.

პირველი ადგილი პროგრამაში დაიკავა ახალგაზრდების ჯგუფმა პროექტით Sign & Sound-ი. მათ შექმნეს ინოვაციური ხელთათმანი, რომლის მეშვეობითაც სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირებს ეფექტური კომუნიკაცია ექნებათ საზოგადოებასთან. ხელთათმანში ჩადებულია სპეციალური პროგრამა, რომელმაც უესტების ენა იცის. პროგრამის საშუალებით გარშემომყოფები გაიგონებენ იმას, რისი თქმაც სურს სმენისა და მეტყველების შეზღუდვის მქონე პირს.

მეორე ადგილზე აღმოჩნდა მოწყობილობა Braille Reader-ი. ეს არის ელექტრონული წიგნების წამკითხველი უსინათლოთათვის. პროექტის მიზანია სკოლების აღჭურვა ამ ტექნოლოგიით, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს შშმ-პირთა მიერ ბრაილის შრიფტის შესწავლას.

მესამე ადგილი დაიკავა ინოვაციურმა აპლიკაციამ Book AR-მა, რომელიც თანამედროვე სწავლების მეთოდის რადიკალურ შეცვლაზეა ორიენტირებული. მობილური აპლიკაციის დახმარებით ავტორებს მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება სურთ, რათა ვიდეოს, ანიმაციისა და 3D მოდელების დახმარებით მათ სასკოლო და სხვა მასალის ათვისება ხალისით და ინტერესით შეძლონ.

სამივე პროექტი ნამდვილად წაადგება საქართველოში სოციალური სფეროს და ამით მთლიანად ეკონომიკის, კერძოდ კი მისი მდგრადობის გაძლიერებას.

საქართველოში 2014 წელს დაინერგა სერვისი, რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს. ეს არის ინოვაციური პროექტი „სოციალური ტაქსი“, რომელიც სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის შეიქმნა, რომელსაც ააიპ „ქალი, ბავშვი და სოციუმი“ და ორგანიზაცია „მომავალი იწყება დღეს“ ერთობლივად ასორციელებენ. პროექტი „საქართველოს ბანკის“ ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ დააფინანსა 23,490 ლარით, რაც ორი ადაპტირებული მსუბუქი მანქანის შეძენას და ორთვიან უფასო გამოძახებებს მოხმარდა. აღნიშნული სერვისი იმით არის გამორჩეული, რომ მძღოლები შესაბამისად არიან გადამზადებულები და მათ თავად შეუძლიათ გაუწიონ დახმარება ეტლით მოსარგებლებს მანქანასთან მიახლოებისას ან გადმოსვლისას. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული ტაქსი ადგილზე დგას და მხოლოდ შშმ პირების გამოძახებებს ემსახურება. ამჟამად, პროექტის ვადაც და თანხაც ამოიწურა, ორგანიზაციები ახალი სპონსორის ძიებაში არიან და ყველმსრივ ცდილობენ სახელმწიფოს შშმ პირებზე ზრუნვა, კერძო სექტორს კი, სოციალური პასუხისმგებლობა შეახსენონ.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო პერიოდში სოციალური ინოვაციები უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში. ვინაიდან ადამიანური რესურსები წარმოადგენს ქვეყნის მწარმოებლურობის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ერთ-ერთ ძირითად საზომს, ამიტომ როგორ მიეცეთ საზოგადოებას კარგი განათლება და რა სისტემას უნდა დაეყრდნოს ქვეყანა კვლავაც რჩება დავისა და განხილვის საკითხად. ფაქტია, რომ მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის პირობებში, განათლების სისტემა, რომელიც ამართლებდა 50 წლის წინათ, დღეს აღარ ამართლებს. ამიტომ საქართველოსთვის ერთ-ერთი მთავარი მიზანი

უნდა გახდეს სწორედ განათლებისა და მეცნიერების სფეროს წარმატებული რე-
რეფორმირება, რის საშუალებასაც იძლევა ჩვენთან ჯერ კიდევ შენარჩუნებული
სამეცნიერო პოტენციალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://inno-mir.ru/to-discuss/2014-03-03-07-55-56>
2. სოციალური ინოვაციის ბანაკი - ფონდი ღია საზოგადოება ...
www.osgf.ge > პროგრამები > მედია > შიდა პროექტები
3. ქართველმა სტუდენტებმა სოციალურად სასარგებლო პროგრამები ...
<https://sputnik-georgia.com/.../qarTvelma-studentebma-socialurad-sasargeblo-progra...>
4. http://studbooks.net/761531/menedzhment/zarubezhnyy_opyt_upravleniya_sotsialnymi_innovatsiyami Зарубежный опыт управления социальными инновациями
5. <http://www.iset-pi.ge/index.php/ka/iset-economist-blog/entry/2017-06-01-07-26-44>
6. <https://observer.com.ge/2015/05>
7. <https://b2p.ge/finetshi-momavlis-skola-gaixsna/>
8. <http://forbes.ge/blog/215>
9. <http://fortuna.ge/finetshi-yvela-umushevari-tveshi-560-evros-miighebs/>
10. <https://rg.ru/2009/06/24/finland-site.html>

Nunu Kistauri
Ketevan Kveladze
Medea Melashvili

THE ROLE OF SOCIAL INNOVATIONS IN SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY

Summary

Scientists define "social innovations as follows: deliberately organizational innovations in social spheres that are consistent with permanently changing social conditions, arise at a definite stage of development of society and the aim of which is the effective and positive transformation of the social sphere, as a whole.

Social innovations are closely linked with state innovation policies. They can be made both in public, as well as in commercial, non-commercial and public sectors.

In the economically developed countries of the world in recent years, there are often conferences for leading economists, psychologists and education professionals who believe that, in the social innovation center the starting point for the social policy and innovation policy is happiness. The authors have reviewed various aspects of happiness. In their opinion, one of the main determinants of happiness throughout the world is employment - employed people give a higher estimate of their quality of life than unemployed. The value of the work exceeds the attached salary and it is very valuable such non material aspects of employment, as social status and social relations.

It is even more interesting that the level of personal happiness affects the economy as a whole. The well-being of employees are positively reflected on the results of the companies – confirmed by experimental laboratory studies as well as by the evidences from real life. For example, in recent years, very often we have heard from a variety of successful companies about the motivation of employees and sometimes, unbelievable events: the Christmas-New Year holidays for them in

luxury resorts, important remuneration in money for their private celebration dates, taking upon themselves marriage feast costs, children's education expenses, etc.

Specific proposals for the improvement of social environment in EU member states entered the official document "Strategy Europe 2020", where there is noted that social innovations can solve problems of socially vulnerable groups. This document provides examples of successful social innovations in Europe, such as:

- Association "Night Ows" (created in 1998 in Denmark) - participating volunteers who patrol the streets during the night. Their main objective is to eliminate vandalism and violence among young people, to eradicate criminal life. Although they do not have official status, the participants of this organization undergo special courses and the number of offenses have been significantly reduced in their area of action;

- Organization "Establishing Order in the Streets" - Since 2007 there is a special web portal "FixMyStreet", where local residents send the information on overwhelmed trash bins, on the disorder and deterioration in the street, on the ugly shop windows and advertisement. This experience is spread across Canada, Norway, Germany, Greece and also in Georgia;

- The movement "School Grand parents", which started in Sweden, where thousand of 50-65 year old unemployed men started to go daily to school and help children and teachers in solving various problems existing at school, especially in the issues of discipline. This movement helps the grandparents to feel themselves as necessary people.

It is interesting to us in this regard the situation in Georgia. "The Open Society – Georgia" media support program launched the internal project "Social Innovation Camp" in March 2010.

The social innovation camp combines people who are familiar with the country's social needs. At the same time, they have web ideas that can solve existing social problems. Within 48 hours of training in the camp, participants will have the opportunity to transform these webideas into webprojects. In case of a web-project victory, the winners will be awarded with cash prizes, owing to which it will be possible to implement the project after the camp is completed.

For the first time in September 2017, the competition International Students' Program "Social Impact Award (SIA)" was held in Tbilisi.

SIA is one-year educational program - competition in which students learn social entrepreneurship, that is how to start their own business that would benefit the public.

Recently social innovations have become more and more important in the scientific and educational field. Since human resources represent one of the key measurements for the country's productivity and, therefore, of economic growth, the problem how to give the public good education and what system the country should rely still remains the issue of debate and discussion. The fact is that in the conditions of current technological changes and globalization the education system, which was justified 50 years ago, no longer justifies. Therefore, one of the main goals for Georgia is to achieve successful reforms in the field of education and science, the possibility of which gives us still remained scientific potential.

ინოვაციური მენეჯმენტი, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი
ქვეყნის ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირებისათვის

ანოტაცია. ინოვაციური პოლიტიკის ფორმირება და შემდგომ მისი წარმატებული ფუნქციონირება ნებისმიერი ორგანიზაციისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ინოვაციური პროცესების მართვა ყოველდღიურად სულ უფრო აქტუალური ხდება ბიზნესსა და სახელმწიფო მმართველობაში. სტატიაში მიმოხილულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევები საქართველოს „ინოვაციურობის“ შესახებ, რომელთა ანალიზის საფუძველზე ავტორმა გარკვეული დასკვნები და რეკომენდაციები შეიმუშავა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, ინოვაციური მენეჯმენტი, ეროვნული ეკონომიკა, ინოვაციური პროცესები.

შესავალი

ალბერტ აინშტაინის ციტატის თანახმად, „თუ ყველაფრის კეთებას გააგრძელებ ისე, როგორც აქამდე აკეთებდი, მაშინ მიიღებ იმას, რასაც აქამდე ღებულობდი“. როგორც ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება ეტაპი, როდესაც საჭიროა გარკვეული ცვლილებები, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრებისეული მიღწევები, ასეთივე აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე ორგანიზაციები და ხშირ შემთხვევაში უკვე სახელმწიფოები.

მსოფლიოში მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ორგანიზაციების მიერ ხშირი საწარმოო გარდაქმნები და მომხმარებელთა მოთხოვნების მრავალფეროვნება პირდაპირ ზემოქმედებს ქართული პროდუქციისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობაზე როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. იმისათვის, რომ ქართული ნაწარმი შესაბამისი მომზადებით შეხვდეს ეკონომიკის თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისათვის აუცილებელი თანამედროვე ინოვაციური კანონზომიერებების კომპლექსური შესწავლა და ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და წარმატებული კომპანიების გამოცდილების მუდმივი კვლევა.

* * *

მიმოვიხილოთ ინოვაციებთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის პოზიციები საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, სამწუხაროდ, ინოვაციების შექმნის უნარით საქართველო 135 ქვეყნიდან მე-100 ადგილზეა, ტექნოლოგიური მზადყოფნით 65-ე, ხოლო ინოვაციურობისა და დახვეწილობის ფაქტორული სუბინდექსით 113-ე ადგილზე¹.

კორნელის უნივერსიტეტისა და მსოფლიოს ბიზნესის სკოლის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გლობალური ინოვაციის ინდექსით (GII) 2016 წელს მსოფლიოს 128 მონაწილე ქვეყანას შორის საქართველო 64-ე პოზიციას იკავებს².

¹ <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2016-2017-1>

² http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2016.pdf

სამწუხაროდ, საქართველო საერთოდ არ მოხვდა Bloomberg-ის ერთ-ერთი კვლევის შედეგად გამოვლენილ 50 ყველაზე ინოვაციური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში³.

ინოვაციური ქალაქების ინდექსის რეიტინგში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 500 ქალაქს შორის 427-ე ადგილზეა⁴.

აღიარებულია, რომ ინოვაცია XXI საუკუნის ეკონომიკის ძრავაა, კონკურენტუნარიანობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ბაზარზე ბრძოლა მწვავედ არა ცალკეულ ბიზნესებს, არამედ მთელ ქვეყნებს შორის. ალბათ, ყველას გვანტერესებს მიზეზი, თუ რატომ აკლია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას ინოვაციური მიდგომები და რამ განაპირობა ზემოთ აღნიშნული არასახარბიელო მდგომარეობა მსოფლიოს ინოვაციურ რუკაზე.

და მაინც რა არის ინოვაცია? მარტივი გაგებით ინოვაცია შეიძლება გავაიგივოთ ახალ იდეასთან, მოწყობილობასა თუ მეთოდთან. ეკონომიკაში ინოვაციას ხშირად განმარტავენ და განიხილავენ როგორც სიახლეს, რომელიც მიმართულია მომხმარებელთა ახალი მოთხოვნების ან არსებულის უკეთ დაკმაყოფილებისაკენ [2: 27–31].

ინოვაციისა და გამოგონების გაიგივება არ მიგვაჩნია მართებულად, თუმცა მათ შორის ხშირ შემთხვევაში ძალიან მჭიდრო კავშირია. მთავარი, რაც ინოვაციას გამოარჩევს ნოვაციისაგან (სიახლისაგან) ისაა, რომ მიღებული სიახლე მეცნიერული კვლევის შედეგია და ბაზარზე რეალიზებული. ანუ ის გამოგონება თუ აღმოჩენა, რომელიც ჯერ კიდევ არის რეალიზებული ბაზარზე, მხოლოდ სიახლეა და არა – ინოვაცია [1].

სიახლის ინოვაციად გარდაქმნას ინოვაციური პროცესი ჰქვია. სწორედ, ინოვაციური პროცესის წარმართვაა ინოვაციური მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანა.

ინოვაცია – ეს არის გამარჯვების ერთადერთი გზა, ამბობდა ყველა დროის ერთ-ერთი წარმატებული ინოვატორი სტივ ჯობსი. ნებისმიერ ადამიანს გააჩნია შემოქმედებითი ნიჭი - უნარი, შესაძლებლობები, გამოიგონოს ან გააუმჯობესოს რაიმე. შემოქმედებითი ნიჭის მქონე ადამიანისათვის მნიშვნელოვანია თავისუფლება, ფართო არეალი, რათა მან შექმნას რაიმე ღირებული. თუ მას ეს თავისუფლება, ეს არეალი არ მიეცა, რომ განავითაროს თავისი იდეები, მაშინ მინიმუმამდე ეცემა ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე ინოვაციური იდეების გენერირების და შემდგომში მათი განხორციელების შანსი.

რას ვგულისხმობთ თავისუფლებასა და ფართო არეალში და რა როლი აკისრია სახელმწიფოს ამ მიმართულებით, რათა თავისი ქვეყნის მოქალაქეებმა და განსაკუთრებით ახალგაზრდებმა იფიქრონ „განსხვავებულად“, ინოვაციურად და შექმნან “არაფრისგან” მატერიალური ან სოციალური ეფექტის მქონე პროდუქცია თუ მომსახურება. სახელმწიფომ მის ხელთ არსებული ლეგიტიმური ბერკეტებით მაქსიმალურად უნდა განავითაროს ეკონომიკის და მეცნიერების ის მიმართულებები, რომლებიც აინტერესებს მაღალგადახდისუნარიან მომხმარებელს და თანამედროვე მეცნიერებას. ეს არის უმთავრესი წინაპირობა ქვეყანაში არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და მისი წარმატებული

³ <https://www.bloomberg.com/news/articles/2017-11-02/made-in-china-swamps-modi-s-plans-as-backlash-spreads-to-streets>

⁴ <http://www.innovation-cities.com/innovation-cities-index-2016-2017-global/9774>

პოზიციონირების, როგორც მსოფლიო ბაზარზე, ასევე საერთაშორისო კვლევით-სამეცნიერო ბაზაში. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულის განხორციელება ძალზე რთული და მძიმე პროცესია პოსტკომუნისტურ ქვეყანაში იმდენად, რამდენადაც ინოვაციებზე ორიენტირებული მენეჯმენტი ერთგვარი ფსიქოლოგიური მოვლენაა კაცობრიობისათვის, რომელმაც იმთავითვე მოახდინა ადაპტირება საბაზრო ეკონომიკასთან, რასაც საქართველო არც ისე დიდი ხნის წინ ეზიარა.

მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ნამდვილად იდგმება პოზიტიური ნაბიჯები ამ მიმართულებით და სახელისუფლო ორგანოების მიერ აქტიურად მიდის მოქალაქეებში ინოვაციური იდეების „აღძვრის“ პოლიტიკა, რაც ვფიქრობთ ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან რამდენიმე წლის წინ საქართველოს მოქალაქეების ბევრად ნაკლებმა რაოდენობამ იცოდა ინოვაციის ცნების არსი და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის ინოვაციური მიდგომები.

2016 წლის მონაცემებით, საქართველო ფაბლაბების რაოდენობის მიხედვით მე-11 ადგილს იკავებს მსოფლიო ფაბლაბების რუკაზე. ის უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა შვეიცარია, პორტუგალია, პოლონეთი, იაპონია, ჩინეთი და სხვა. ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისათვის, რომელსაც აქვს იდეა, სურს მისი განხორციელება, ან ბიზნესად ჩამოყალიბება. ის ყველას აძლევს საშუალებას, ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მორგებულია ნებისმიერ მომხმარებელზე, ამ სივრცეებში ხდება ახალი წამოწყებების სრულყოფა, მომავლის პროფესიების ფორმირება და ახალგაზრდა ინოვატორების იდეების რეალიზება⁵.

ფაბლაბის მთავარი მიზანი ის არის, რომ ხელს უწყობს მოქალაქეებში კრეატიულობის გაზრდას, რომლის გარეშეც ძალიან რთულია ინოვაციური მენეჯმენტი. *„ინოვაციებზე მუშაობისას საჭიროა კრეატიულობა, რათა მოვახდინოთ პოზიტიური ცვლილებები“* [3].

ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის ხელშეწყობის მიზნით, პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივით 2015 წელს გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი (ტექნოპარკი), რომელიც უზრუნველყოფს როგორც სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას და განვითარებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას, ასევე ხელს შეუწყობს სრული ციკლის წარმოებას იდეიდან პროდუქტამდე. ტექნოპარკი უზრუნველყოფს ღია დაშვებას თანამედროვე ტექნოლოგიებთან, ცოდნასა და განვითარების პერსპექტივასთან. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს დახმარება იდეის დამუშავებიდან მის პროტოტიპად ჩამოყალიბებასა და ბიზნესად განვითარებაში. ტექნოლოგიური პარკის საშუალებით, სახელმწიფო წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვაა⁶.

ქვეყანაში ხორციელდება ინოვაციური პროექტების წამახალისებელი ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია „სტარტაპ საქართველო“, რომელმაც ბევრი მოქალაქის ოცნება რეალობად აქცია.

⁵ <http://fablab.gov.ge/geo/list/19/6>

⁶ <http://gita.gov.ge>

სახელმწიფოს მიერ მსგავსი მიდგომა აუცილებლად მოგვცემს მნიშვნელოვან შედეგს, რომელიც, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს და ეკონომიკურ აღმასვლას შეუწყობს ხელს.

ნებისმიერ პროცესს აქვს თავისი ეტაპები, რომლებიც უნდა გაიარო ან „გაირბინო“ მაინც, რომელიმე ეტაპის გამოტოვების შემთხვევაში დიდი ალბათობით აღმოჩნდება ლაბირინთში და მოგიწევს უკან დაბრუნება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ საქართველომ საერთაშორისო არენაზე წარმატების მისაღწევად და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისათვის აუცილებლად უნდა გაიაროს ის გზა, რომელიც გაიარა შვედეთმა, ფინეთმა, შვეიცარიამ თუ სხვა ევროპულმა სახელმწიფომ. თუ ინოვაციის არსი არ გესმის მაშინ წარმოუდგენელია გესმოდეს ინოვაციისგან ეკონომიკური თუ სოციალური სარგებელის მიღების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, საჭიროა პირველ რიგში ინოვაციის არსი გაიგოს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ, ვფიქრობთ, სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით ამ დროისათვის, ზემოაღნიშნული ფაბლაბებისა თუ ტექნოპარკის უმთავრესი დანიშნულებაა სწორედ ეს არის. ამის შემდეგ უნდა გავაცნობიეროთ საქართველოს ადამიანური და ბუნებრივი რესურსებით რომელ სფეროებში შეგვიძლია წარმატების მიღწევა; რა მოგვცემს ეკონომიკურ სარგებელს და რა მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. შესაბამისად, ვისაც უკვე ესმის ინოვაციის არსი, უნდა იფიქროს მის ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებაზე. უნდა მიმოიხედოს ირგვლივ და იფიქროს სიახლეებზე, იფიქროს იმაზე, რომ შეეკმნათ ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით ისეთი პროდუქცია თუ მომსახურება, რომელიც მიზიდველი იქნება როგორც ჩვენთვის, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრებთათვისაც. ვფიქრობ, მსგავსი მიდგომა თითოეული მოქალაქის ვალია ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორცაა საქართველო.

განსაკუთრებული როლი აკისრიათ ადგილობრივ კომერსანტებს ქვეყანაში ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვასა და პოპულარიზაციაში. უფრო მეტიც, ეს მათი განვითარებისათვის აუცილებელიცაა. კომპანიებში უნდა ჩამოყალიბდეს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტები (R&D departments), რომლებიც იმუშავენ ამ მიმართულებით.

თანამედროვე კომპანიები ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავენ ინოვაციური კვლევებისათვის, მაგალითად: კომპანია Volkswagen-მა ინოვაციურ სამუშაოებზე 2015-2016 წლებში დახარჯა (R&D spend) 28,5 მილიარდი აშშ დოლარი, Samsung-მა 26,8 მილიარდი აშშ დოლარი, Apple-მა 14,1 მილიარდი და ა.შ.⁷

რას წარმოადგენს R&D (კვლევისა და განვითარების) ხარჯები? R&D ხარჯი არის კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ბიზნესში. აღნიშნული კვლევის საბოლოო მიზანია არსებული პროდუქციის თუ მომსახურების გაუმჯობესება ან ახლის შექმნა.

ინოვაციური პროდუქციის შექმნაზე ყველაზე დიდი თანხები იხარჯება ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2016 წელს ამერიკაში სახელმწიფო და კერძო

⁷ <https://www.strategyand.pwc.com/innovation1000#/tab-2016>

სექტორის მიერ გაწეული R&D ხარჯები შეადგენს 514 მილიარდ აშშ დოლარს, რაც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (18,556 ტრილიონი აშშ დოლარი) 2,77 პროცენტია. უკანასკნელ წლებში აშშ-ში მთლიანი R&D ხარჯის დაახლოებით 2/3 იხარჯება კერძო სექტორის მიერ, ხოლო 1/3 - სახელმწიფო ორგანოების მიერ. მაშინ, როდესაც 1960-იან წლებში სახელმწიფო სექტორი ხარჯავდა 2/3, ხოლო კერძო კომპანიები კი 1/3⁸.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ ამერიკაში იქმნება ყველაზე მეტი ინოვაციური პროდუქცია, რაც, თავის მხრივ, აისახება ქვეყნის მშპ-ზე. შესაბამისად, ამერიკის შეერთებული შტატების მშპ უკანასკნელ წლებში ყოველწლიურად დაახლოებით 560 მილიარდით იზრდება⁹.

გარდა იმისა, რომ იქმნება ინოვაციური პროდუქცია თუ მომსახურება, იზრდება ქვეყნის მშპ, ამასთან ერთად პოპულარული ხდება ინოვაციებზე მუშაობა, რაც, თავის მხრივ, ავითარებს ადამიანთა ცნობიერებას და მეცნიერების როგორც ტრადიციულ, ასევე ახალ მიმართულებებს. ალბათ, ეს არის ის ფუნდამენტური საფუძველი, რაზედაც დგას მსოფლიოს ნომერ პირველი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები.

ამერიკის შეერთებული შტატების რესურსები ბევრად აღემატება ჩვენი ქვეყნის რესურსებს და შესაბამისად, ლოგიკურია, რომ არ იქნება სწორი ამ ორ ქვეყანას შორის პარალელის გაგება, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ არა ციფრებზე, არამედ ინოვაციური მენეჯმენტისადმი ქვეყნის დამოკიდებულებაზე და იმაზე, თუ რაოდენ დიდი წარმატებები მოუტანა ამ დამოკიდებულებამ ქვეყანას.

გლობალური R&D ხარჯების უდიდეს ნაწილს (დაახლოებით 90 პროცენტს) ახორციელებს ე.წ. „Top 40“ ქვეყანა. მათ შორის საინტერესოა ფინეთის მაგალითი, რომელსაც 40 ქვეყნიდან ყველაზე ნაკლები მთლიანი შიდა პროდუქტი გააჩნია და პროცენტულად მშპ-სთან მიმართებაში R&D ხარჯებით (3,55 %) მხოლოდ სამხრეთ კორეას (4,04 %) ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ ფინეთი ერთ-ერთი მოწინავე სახელმწიფოა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რაოდენობით. მშპ-ს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილის შექმნის საფუძველია ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული და განვითარებული ინოვაციური მენეჯმენტი, რომელიც საკმაოდ ეფექტიანად გამოიყენება როგორც ეკონომიკურ სექტორში, ასევე საჯარო უწყებებში.

დასკვნა

ამრიგად, ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა-განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური და ინტელექტუალური აღმავლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ინოვაციური მენეჯმენტის პოპულარიზაციის საქმეში აქტიურად უნდა ჩაებას როგორც ყველა სამთავრობო უწყება, ასევე არასამთავრობო თუ სამოქალაქო სექტორი და ეს პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ერთუზიანობითა და ოპტიმიზმით სავსე დამოკიდებულებით. ყველა ხელმძღვანელმა პირმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს მასზე დაქვემდებარებულ დაწესებულებაში სიახლეების დანერგვა.

⁸ <https://www.swansonreed.com/big-vs-small-companies-spends-rd-u-s/>

⁹ 2016 Global R&D Funding Forecast

ერთფეროვნება იწვევს სტაგნაციას, საბჭოური პერიოდის მენეჯმენტი ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

ასევე პედაგოგებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა უნდა მოუწოდონ ახალგაზრდებს ინოვაციებისადმი და შეეცადონ კარგად გაარკვიონ ისინი ინოვაციების არსში. უნდა გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია რომელიმე ჩვენგანის ერთმა იდეამ საფუძველი ჩაუყაროს ახალი ქართული კომპანიის ჩამოყალიბებას, რომელიც აწარმოებს საქართველოში და თავის პროდუქციას თუ მომსახურებას გაყიდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

საბედნიეროდ, ფართოა საქართველოში ინოვაციური მენეჯმენტის გავრცელების არეალი. ძირითადად, შეგვიძლია ჩვენი იდეები განვაფიქროთ სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მომსახურების, მეტალურგიის, მშენებლობის, ჰიდრორესურსების, მედიცინის და მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებებით და ა.შ. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, შექმნას ის გარემო სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების მეშვეობით, რომ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის არც ერთი ღირებუდი, ინოვაციური იდეა ან მოვლენათა მეცნიერული ანალიზი არ დარჩეს განხილვისა და ყურადღების გარეშე, რადგან ამან შეიძლება, საბოლოო ჯამში, დაახარალოს როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ინტერესები.

როდესაც გამოიმგონებელს და გრანდიოზული ინოვაციური პროექტების ავტორს - მილიარდელ იღონ მასკს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, თუ რა არის ცხოვრების აზრი, მან უპასუხა, რომ „ადამიანის ცხოვრების აზრი მდგომარეობს საკუთარი, ჩვენი ოჯახის წევრების, ახლობლების და ზოგადად კაცობრიობის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში.“ სწორედ, ადამიანების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და მათი მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილებაა ინოვაციური მენეჯმენტის საბოლოო მიზანი. ამ მიზნის ირგვლივ ერთიანდება თანამედროვე მსოფლიო, გლობალიზაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურება და საკმაოდ ნიჭიერმა ქართველმა ერმა, ვფიქრობ, საკუთარ თავზე უნდა აიღოს გარკვეული პასუხისმგებლობები ამ კუთხით, დასვას სწორი კითხვები, აქტიურად დანერგოს ინოვაციური მენეჯმენტი და იმუშაოს ქვეყანაში მის განხორციელებაზე, რაც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფოს ეკონომიკის მდგრად განვითარებასა და მის წარმატებულ ფუნქციონირებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bhasin K., 2012, This is The Difference Between ‘invention’ And ‘Innovation’, Business Insider.
2. Maryville S., 1992, “Entrepreneurship in the Business Curriculum”. Journal of Education For Business. Vol. 68 N1. 1, : 27-31.
3. Valdervelde W., 2016, Creativity, Change and Innovation: the handsome Threesome.
4. 2016 Global R&D Funding Forecast.
5. <http://gita.gov.ge>
6. <https://www.strategyand.pwc.com/innovation1000#/tab-2016>
7. <https://www.swansonreed.com/big-vs-small-companies-spends-rd-u-s/>
8. <http://fablab.gov.ge/geo/list/19/6>
9. <https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2016-2017-1>

10. http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_pub_gii_2016.pdf
11. <https://www.bloomberg.com/news/articles/2017-11-02/made-in-china-swamps-modi-s-plans-as-backlash-spreads-to-streets>
12. <http://www.innovation-cities.com/innovation-cities-index-2016-2017-global/9774>

Mirza Bakhtadze

INNOVATIVE MANAGEMENT AS AN IMPORTANT COMPONENT OF SUCCESSFUL FUNCTIONING OF THE COUNTRY'S ECONOMY

Summary

According to Albert Einstein, "If you do everything the same as before, you will get what you've got before." In the life of any person there comes a time when it is necessary to change something in order to improve the life achievements. The similar changes are also important for the existence of organizations and even states.

As one of the most successful innovators of all time, Steve Jobs said, innovation is the only way to win. Any person has a creative talent – an ability to invent or improve something. An important factor for people with creative talents is a freedom, a wide area to create something valuable. If such a freedom, an area are not allowed in order to develop the ideas, then the chance of generating innovative ideas on this particular area and then implementing them, is reduced to a minimum.

So, what does the freedom and the wide area mean, and what role the state has in this direction in order to make the citizens of the country and especially the young people think "differently", innovatively and create products or services of a material or social effect from "nothing"? With their legitimate levers the state should develop those directions of economics and science, in which a high solvency customer and a modern science are interested in. This is a major prerequisite for the optimal utilization of existing resources in the country and its successful positioning in the global market as well as in the international research-scientific database. It should be noted, that the implementation of such a process is quite difficult in the post-Communist country, as the innovation-oriented management is a kind of psychological phenomenon for humanity, that has been adapted to the market economy, and yet a novelty for Georgia.

However, a lot of positive steps have been taken recently in this direction, and authorities have actively participated in the propagation of "innovative ideas" for citizens, what, in our opinion, is very important, because a few years ago, the lesser number of citizens knew the essence of the concept of innovation and how important the innovative approaches to the economy are.

The introduction and development of innovative management are essential for the economic and intellectual development of the country. All the governmental agencies, as well as a non-governmental or civil sector should be actively involved in the process of promotion of innovative management, and this process should be based on enthusiasm and optimism. Every leader should maximally ensure the introduction of innovations in his subordinate institution. Monotony leads to stagnation, the most remarkable example of which is the Soviet period management.

Moreover, teachers and professors should encourage their students to innovate and try to explain them the essence and importance of innovations. We should remember that any of our ideas can lay the foundation for the creation of a new Georgian company that would produce products in Georgia and sell them in different parts of the world.

Fortunately, the scope of innovative management in Georgia is extensive. Basically, we can develop our ideas in such directions as agriculture, tourism, service, metallurgy, construction, hydropower, medicine, science, etc.

When one of the journalists asked the inventor and the author of grandiose innovative projects, billionaire Iloan Masque, about the meaning of life, he replied that "the purpose of human life is to solve the problems that our family members, relatives and humanity as a whole face". Thus, the solution of those problems that people face and the satisfaction of their requirements represent the ultimate goal of the innovative management. The modern world, the globalization serve this purpose, and the talented Georgian nation, I believe, should take certain responsibilities in this regard, ask the right questions, actively implement innovative management in the country, what is directly related to a sustainable development of the state economy and its successful functioning.

ნათია ბედუკაძე-მამაცაშვილი

ანგლო-ამერიკული და გერმანული კორპორაციული მართვის მოდელების თავისებურებები და მათი მიმოხილვა

ანოტაცია. მსოფლიოში არსებული კორპორაციული მართვის ორი ძირითადი მოდელის - ანგლო-ამერიკული და გერმანული მოდელის მიმოხილვით, მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით შესაძლებელი გახდება ჩვენი ქვეყნის კორპორაციებში არსებული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა.

საკვანძო სიტყვები: კორპორაციები, მართვა, მოდელები, პრინციპები.

შესავალი

საქართველო ისწრაფვის გახდეს ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული ქვეყანა და მოახდინოს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია. ამისათვის საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სწორად გადაწყვეტა. ამ უკანასკნელში კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კორპორაციები. სწორედ ამიტომ კორპორაციის საქმიანობის მართვის სრულყოფა გარკვეულ კვლევებს მოითხოვს. ტერმინი „კორპორაციული მართვა“ გამოიყენება კორპორაციების ხელმძღვანელობისა და მართვის აღსანიშნავად. თანამედროვე საკორპორაციო სამართალში ამ ცნების გავრცელება ამერიკის შეერთებული შტატებიდან იღებს სათავეს. კორპორაციული მართვა არის სისტემა, რომელიც თავის თავში აერთიანებს სამართლებრივ და ფინანსურ ელემენტებს ისეთი დარგებიდან, როგორცაა სამეწარმეო და კორპორაციული სამართალი, საბუღალტრო საქმე, აუდიტი, შრომის სამართალი და ა.შ. სახელმწიფოების ნაწილმა შეიმუშავა კორპორაციული მართვის კოდექსები, ევროკავშირში მუშაობა დაიწყო რიგ დირექტივებზე, რომელთა მიზანიც კორპორაციული მართვის დახვეწა, გამჭვირვალობის გაზრდა და კონტროლის ეფექტური მექანიზმის დანერგვა იყო. საქართველოში საწარმოთა ეფექტური მართვის სისტემის შემუშავების ზოგად რეგლამენტაციას ახდენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი. კორპორაციული მართვის ერთიანი, საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს. კორპორაციული მართვა მოიცავს კომპანიის შიდა ურთიერთობების მთელ კომპლექსს და ამასთანავე დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან

საკითხებთან, როგორცაა კომპანიის ეფექტური ფუნქციონირება, ინვესტორთა მოზიდვა, კარგი საქმიანი რეპუტაცია ბაზარზე. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო/ОСD) 1999 წელს გამოქვეყნებულ “კორპორაციული მართვის პრინციპებში“ გვთავაზობს კორპორაციული მართვის შემდეგ განმარტებას: „იგი არის კორპორაციების ფუნქციონირების და კონტროლის შიდა ინსტრუმენტი, კორპორაციული მართვა მოიცავს ურთიერთობებს კომპანიის მენეჯმენტს, მის სამეთვალყურეო საბჭოს, აქციონერებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გარდა ამისა, კორპორაციული მართვა ქმნის იმ სტრუქტურას, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის მიზნების დასახვა, ამ მიზნების მისაღწევი საშუალებებისა და კომპანიის საქმიანობის მონიტორინგის ფორმების განსაზღვრა. სანიმუშო კორპორაციული მართვა სათანადო სტიმულს უნდა აძლევდეს კომპანიის მენეჯმენტსა და სამეთვალყურეო საბჭოს, რათა მათ განახორციელონ კომპანიისა და მისი აქციონერების ინტერესებში არსებული ამოცანები, ხელი შეუწყონ ეფექტური მონიტორინგის განხორციელებას და ამით ფირმების მიერ რესურსების ეფექტიან გამოყენებას“. როდესაც საუბარია კორპორაციულ მართვაზე, აღსანიშნავია შემდეგი აქტები: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ 1999 წელს შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპები და ევროპის კავშირში საკორპორაციო სამართლის მოდერნიზაციისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მოქმედებათა გეგმა. 1999 წელს მიღებული კორპორაციული მართვის პრინციპების შესაბამისად მრავალ ქვეყანაში შემუშავდა კორპორაციული მართვის სტანდარტები და პირობები.

* * *

დღეისათვის მსოფლიოში კორპორაციული მართვის ორი ძირითადი მოდელი არსებობს: ანგლო-ამერიკული და გერმანული. ამას გარდა, არსებობს შუალედური მოდელებიც (აზიური, იაპონური, ფრანგული), რომელიც ზემოთ ხსენებული ძირითადი მოდელების ნიშნებს შეიცავს. კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელი, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარდა, გავრცელებულია: ავსტრალიაში, ინდოეთში, ირლანდიაში, ახალ ზელანდიაში, კანადაში და ა. შ. კორპორაციული მართვის აღნიშნული მოდელი ეფუძნება იმას, რომ აქციონერების უმრავლესობას კორპორაციასთან რაიმე ვალდებულებები არ აკავშირებს, გარდა ინვესტიციის ჩადებისა და ისინი თავიანთ ჩართულობას აფასებენ ან დივიდენდების რაოდენობით ან აქციების ღირებულების კურსის გაზრდით. აქციების მფლობელი ფიზიკური პირების რაოდენობა მსხვილ ამერიკულ კორპორაციებში ათობით და ასობით ათასს აჭარბებს (ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მესამედი აქციების მფლობელია). პროცენტულად ეს არის 80%, 20%-ის მფლობელია სამთავრობო სტრუქტურები, კონსალტინგური ფირმები, ბირჟები და სხვა, ხოლო ყველაზე მსხვილი პაკეტის მფლობელი შეიძლება იყოს 10%-ზე მეტი ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა.

იმ ქვეყნების კანონმდებლობა, სადაც კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელია გავრცელებული, ბანკებს უკრძალავს სამეწარმეო კორპორაციების აქციების ფლობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ფასიანი

ქალღმერთით სპეკულაცია. ასეთ პირობებში ბანკები ჩვეულებრივ კრედიტებს გას-
გაცემენ და მათ არ შეუძლიათ კორპორაციის მიმდინარე საქმიანობასა და
ოპერატიულ მართვაში მონაწილეობის მიღება.

კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელის მიხედვით
კორპორაციაში საქმიანობას თვალყურს ადევნებენ საინვესტიციო ფონდები,
სარისკო კაპიტალის ფონდები, ან ფონდები, რომელთაც ინვესტირება ახალ
კორპორაციებში განახორციელებს, აუდიტორები და სხვ.

კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელის ძირითად
მახასიათებლად გვევლინება ის, რომ კორპორაციის ინტერესები მისი
აქციონერების ინტერესების იდენტურია, ვინაიდან მხოლოდ აქციონერებს
შეუძლიათ ისეთი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც
კორპორაციის პოლიტიკაზე ახდენს ზეგავლენას.

ამ მოდელის სხვა მახასიათებლებია: მართვის ორსაფეხურიანი სტრუქტურა
(აქციონერთა საერთო კრება და დირექცია); კორპორაციის საქმიანობის,
მენეჯერების, დირექტორებისა და აქციონერების უფლებებისა და ვალდებულებების
მკაცრი სამართლებრივი რეგლამენტირება; დამოუკიდებელი გარე აქციონერების
მუდმივი ზრდა, მათ შორის, ინსტიტუციურისაც (საპენსიო ფონდები);
მინდობილობით ხმის მიცემა (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს აქციონერები
უფლებას აძლევენ ხმა მისცეს მათი სახელით); კორპორაციის თანამშრომლის
შესაძლებლობა გავლენა მოახდინოს კორპორაციაზე პროფკავშირების
საშუალებით; აქციონერთა თანხმობის მიღება დირექტორთა საბჭოს
შემადგენლობაზე, აუდიტორებზე, წესდების ცვლილებაზე და სხვ.

მენეჯერები, ისევე, როგორც სხვა დაქირავებული თანამშრომლები, გვევლი-
ნებიან აქციონერების წარმომადგენლებად და მათ კორპორაციის ოპერატიული
მართვისთვის მკაცრად დელეგირებული უფლებები გააჩნიათ.

ზემოთ ხსენებული მოდელის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ
მენეჯერების ინტერესები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი
ძალაუფლება, შესაბამისობაში მოვიდეს იურიდიული ძალაუფლების მქონე
აქციონერების ინტერესებთან.

კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელის ძირითად პრინციპებს
მიეკუთვნება:

1. განცალკევება ერთი მხრივ კორპორაციის ქონებისა და ვალდებულებებისა
და მეორე მხრივ, კორპორაციის მესაკუთრეებისა, რაც საშუალებას იძლევა,
შემცირდეს ბიზნესის მართვის რისკი და შეიქმნას მოქნილი პირობები დამატებითი
კაპიტალის მოსაზიდად.

2. კორპორაციის ორიენტირება - გაეზარდოს აქციონერებს შემოსავალი, რაც,
თავის მხრივ, გაზრდის საზოგადოების კეთილდღეობას.

3. კომპანიის აქციის საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაცია, რაც საკმარისი
პირობა იქნება აქციონერთა ქონების გაზრდისთვის.

4. აქციონერების (მათ შორის უცხოელების) თანასწორობა კანონის წინაშე და
მათი დაცულობა.

5. კორპორაციის ადმინისტრაციისა და დირექტორთა საბჭოს წევრების
ანგარიშვალდებულება აქციონერების წინაშე.

6. ინფორმაციის გამჭვირვალობა და ღიაობა აქციონერის მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, მათ შორის ისეთი ინფორმაციისაც, როგორცაა პირველი პირების ბიოგრაფია, აღრიცხვის საყოველთაოდ ცნობილი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება.

7. ხმის მიცემის სამართლიანი პროცედურა.

8. კორპორაციული ქცევის კოდექსის რეგულარული გადახედვა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების რეალიზაციის ძირითად მექანიზმებად გვევლინება დირექტორთა საბჭო, ფასიანი ქაღალდების ბაზარი და კორპორაციული კონტროლის ბაზარი.

დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: აღმასრულებელი დირექტორები, რომლებიც მიმდინარე მართვას ახორციელებენ და დამოუკიდებელი დირექტორები, რომლებიც სტრატეგებად და მაკონტროლებლებად გვევლინებიან.

აშშ-ში დირექტორთა საბჭოს ძირითად მოვალეობად ითვლება აქციონერთა ინტერესების დაცვა და მათი შემოსავლების გაზრდა. ამ მოვალეობის შესრულებისას დირექტორთა საბჭო ახდენს კორპორაციული პოლიტიკისა და სტრატეგიის ფორმირებას (უპირველეს ყოვლისა ფინანსურ სფეროში), ნიშნავს კორპორაციის თანამდებობის პირებს, ახორციელებს ფინანსურ კონტროლს და სხვ.

კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელის მიხედვით, დირექტორთა საბჭო შედგება 12 წევრისგან, რომელთაგან უმრავლესობა (3/4) – დამოუკიდებელია (ძირითადად სხვა კომპანიების მოქმედი ან ყოფილი მენეჯერები).

ამერიკული კომპანიების უმრავლესობაში (80%) დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ გვევლინება გენერალური (აღმასრულებელი) დირექტორი. თუმცა მსხვილ კორპორაციებში ეს (აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) სხვადასხვა პირია, რომელთა მოვალეობებიც განსხვავებულია.

ამერიკული დირექტორთა საბჭოები ქმნიან ორი სახის კომიტეტს: ოპერაციული (აღმასრულებელი, ფინანსური, სტრატეგიული)-შედგება აღმასრულებელი დირექტორებისგან, რომლებიც კონსულტაციას უწევენ მენეჯერებს და გადაწყვეტილებების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებლები; კონტროლის (აუდიტორული) - შედგება გარე, დამოუკიდებელი დირექტორებისგან. მათი ძირითადი ამოცანაა მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე კონტროლი.

კორპორაციის პრეზიდენტისა და მისი ჯგუფის მიერ კორპორაციის მართვის ხარისხისა და ეფექტურობის კრიტერიუმად გვევლინება მოგების დონე და აქციის კურსი.

ანგლო-ამერიკული მოდელის მიხედვით უმაღლესი ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურება შედგება სამი ნაწილისგან: ძირითადი, რომელიც შეიცავს ხელფასებსა და სხვადასხვა შემწეობას; დამატებითი სარგებელი; პრემია საერთო თანხის 2/3.

კორპორაციული მართვის ანგლო-ამერიკული მოდელის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს: გადაჭარბებული ორიენტაცია ინვესტორების მოკლევადიან ინტერესებზე (ძირითადი ნაკლოვანება); აქციის ნამდვილი ღირებულების დამახინჯება; მენეჯერების ანაზღაურების სწრაფი ზრდის გაუმართლებლობა.

დღესდღეობით ცდილობენ ანგლო-ამერიკული მოდელის რეფორმირებას და დაახლოებას კონტინენტურ-ევროპულ (გერმანულ) მოდელთან.

კორპორაციული მართვის გერმანული მოდელი დამახასიათებელია დასავლეთ (გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, ნიდერლანდები) და ჩრდილოეთ ევროპისათვის. მას იყენებენ აგრეთვე, საფრანგეთისა და ბელგიის კომპანიების ნაწილი და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნები.

გერმანული მოდელი ითვალისწინებს კორპორაციული მართვის პროცესში ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობას: აქციონერები, მენეჯერები, ფინანსური სტრუქტურები, მომწოდებლები, მომხმარებლები, სახელმწიფო, რომელიც ხშირად ფლობს მნიშვნელოვანი (მათ შორის საკონტროლო) აქციების პაკეტს და ჰყავს თავისი წარმომადგენლები კორპორაციაში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სუბიექტი დაინტერესებულია კორპორაციის საქმიანობის წარმატებით და განიხილებიან, როგორც კორპორაციის სტრუქტურის ელემენტები. ქვეყნებში, სადაც გამოიყენება გერმანული მოდელი, აქციონერული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი რამდენიმე იურიდიული პირის ხელშია (ბანკები და კორპორაციები - მათი წილი 70-80%-მდე ადის). გერმანული ბანკები, ამერიკული ბანკებისგან განსხვავებით, კორპორაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობენ. ინვესტორები აქციებს ძირითადად ბანკების საშუალებით იძენენ, გადასცემენ რა მათ შენახვის, დივიდენდების ჩარიცხვის და 95% შემთხვევაში მათი პაკეტების მართვის უფლებას. ბანკები, რომლებიც მინდობილობით იღებენ ხმის მიცემის უფლებას, წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების მფლობელებს აქციონერთა საერთო კრებაზე (უგზავნიან მათ საკუთარ წინადადებებსა და რეკომენდაციებს და თუ ნამდვილი მესაკუთრე არ გამოთქვამს თავის აზრს, ბანკები ხმას აძლევენ თავიანთი შეხედულებისამებრ). ბანკებს, კორპორაციის დირექტორთა საბჭოში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით (რაც გერმანული მოდელის ძირითად ნიშნად გვევლინება), შეუძლიათ განახორციელონ კორპორაციის საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი. იღებენ რა მონაწილეობას არა მხოლოდ საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში, არამედ კორპორაციების მართვაშიც, ბანკები, როგორც წესი, ხდებიან კორპორაციის შექმნის ცენტრალური ფიგურები.

კომპანიები ცდილობენ მყარი საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ ერთ-ერთ ბანკთან, რომელიც ხდება შემდეგ მათი ძირითადი კრედიტორი, კვალიფიციური ექსპერტი, რომელმაც კარგად იცის მისი ბიზნესი და აკისრია კორპორაციის ეკონომიკური და მორალური პასუხისმგებლობა. საბოლოოდ ყალიბდება ბანკებისა და კორპორაციების ხელმძღვანელების პირადი გაერთიანება.

კორპორაციული მართვის გერმანული მოდელი ხასიათდება ეფექტური შიდა კონტროლით, გარე და შიდა ურთიერთობების სტაბილურობით, ამიტომაც ის უპირატესობით სარგებლობს ამერიკულ მოდელთან შედარებით. გერმანული მოდელის აქტიურ ელემენტად გვევლინება შრომითი კოლექტივი, რომელსაც ადმინისტრაციაზე ზემოქმედების ფართო შესაძლებლობები გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოში მათ მიერ არჩეული წევრების სახით (ამიტომ თანამშრომელი არ საჭიროებს საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართოს პროფკავშირს).

თანამშრომლებისა და მომსახურე პერსონალის მონაწილეობა მართვის სისტემაში ორდონიანია. პირველ დონეს ქმნის სამუშაო საბჭო, რომელიც შედგება 20 თანამშრომლისგან და აირჩევა ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. საბჭოს შრომითი ურთიერთობების სფეროში ფართო უფლებები გააჩნია. უბრალო

უმრავლესობით საბჭო აირჩევს „სამუშაო დირექტორს“, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გერმანული მოდელის სხვა თავისებურებებს მიეკუთვნება შემდეგი: აქციონერების განსაზღვრული ხმების რაოდენობა კრებაზე; კვორუმის აუცილებლობა; აქციების ჯვარედინი ფლობის შესაძლებლობა (შედგებად გერმანული კომპანიები ერთმანეთის აქციონერები არიან).

კორპორაციული მართვის გერმანულ მოდელში უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ იკრიბება. დირექტორთა საბჭო გერმანულ მოდელში ორპალატიანია: სამეთვალყურეო - შედგება დამოუკიდებელი დირექტორებისგან, ხოლო აღმასრულებელი - მენეჯერებისგან. პალატებს შორის მკაცრად განაწილებულია ფუნქციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. საზედამხედველო პალატაში 9-21 წევრია (მინიმუმ 3), რაოდენობა აუცილებლად უნდა იყოფოდეს 3-ზე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები აქციონერთა საერთო კრებაზე აირჩევიან.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი ფუნქციაა: საქმეების მართვაზე ზედამხედველობა და კონტროლი; აღმასრულებელი საბჭოს წევრების დანიშვნა 5 წლის ვადით; კომპანიის ბალანსის, წლიური ანგარიშის, დივიდენდური პოლიტიკისა და ინვესტიციების ძირითადი მიმართულებების დამტკიცება; აქტივების შექმნა ან ლიკვიდაცია და სხვ.

აღმასრულებელი საბჭო შედგება ერთი ან რამდენიმე პირისგან (5-15). მისი წევრი შეიძლება იყოს ბანკის წარმომადგენელი ან აქციების დიდი პაკეტის მფლობელი. კომპანიის პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.

ამგვარად, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, გერმანიაში სამრგოლიანი მართვის სტრუქტურაა: აქციონერთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექცია.

კონტინენტური (გერმანული) მოდელის სუსტ მხარედ შეიძლება დასახელდეს არასაკმარისი მოქნილობა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების ოპერატიულად მიუღებლობა (რომელიც შეიძლება ეხებოდეს შტატების შემცირებას, რეორგანიზაციას, ლიკვიდაციას და სხვ.). აღნიშნული მოდელი ძირითადად ხასიათდება ეფექტური კონტროლით, საშინაო და საგარეო ურთიერთობების სტაბილურობით, აქ დაბალია გაკოტრების და კონფლიქტების რისკები. ამიტომაც იგი მიზანშეწონილია კორპორაციის გრძელვადიანი განვითარებისთვის.

დასკვნა

ბოლო წლებში გერმანული მოდელი არსებით ტრანსფორმაციას განიცდის. გლობალიზაცია და გაძლიერებული კონკურენცია გერმანულ კომპანიებს აიძულებს სულ უფრო ხშირად მიმართონ საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს, რის გამოც მათ უხდებათ კორპორაციული მართვის ზოგიერთ ნაციონალურ პრინციპზე უარის თქმა და მისი სტანდარტების მიახლოება საერთაშორისო ინტერესების მოთხოვნებთან.

რაც შეეხება ამჟამად საქართველოში არსებულ რეალობას: მიუხედავად იმისა, რომ არცთუ განვითარებულია ქართული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სამეწარმეო ურთიერთობების განვითარებისთვის სასარგებლო იქნებოდა საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება, რაც ხელს შეუწყობდა როგორც საკანონ-საკანონმდებლო ბაზის დახვეწას, ისე პრაქტიკული პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტას. სანიმუშო კორპორაციული მართვა ემყარება ინფორმაციის გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობის, დროულობის, სისრულისა და სიზუსტის პრინციპებს ყველა დონეზე.

მიუხედავად ბოლო წლებში საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმებისა ჩვენს ქვეყანას ბევრი რამ სჭირდება თანამედროვე კორპორაციული მართვის სისტემის დასანერგად. 2008 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ IFC-ჩაატარა საქართველოში კორპორაციული მართვის კვლევა. გამოკვლეული იქნა 150 კომპანია. კვლევამ აჩვენა, რომ კორპორაციული მართვის შესახებ ცოდნა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, პროგრესი შეინიშნებოდა კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებშიც, როგორცაა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის პრაქტიკა, აქციონერთა უფლებები, ფინანსური ანგარიშგება და ინფორმაციის გამჟღავნება. ქართულმა კომპანიებმა უნდა განაგრძონ მუშაობა კორპორაციული მართვის მიმართულებით, რათა მიაღწიონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. გასაუმჯობესებელი და დასახვეწია სამეთვალყურეო საბჭოს პრაქტიკა, შიდა კონტროლი და აქციონერთა უფლებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., საწარმოს მართვის პრინციპების საკითხისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა“ N7, 2009.
2. ვარდიშვილი ს., თანამედროვე მენეჯმენტი და ქართული რეალობა, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N4, 2010.
3. კორპორაციული მართვის კვლევა საქართველოს კომპანიებში, IFC, თბ., 2008.
4. ლაზვიაშვილი ნ., კორპორაციული მენეჯმენტი, თბ., 2013.
5. Веснин В. Р. Управление современной корпорацией. Москва, 2017.

Natia Bedukadze-Mamatsashvili

FEATURES OF ANGLO-AMERICAN AND GERMAN MODELS OF CORPORATE MANAGEMENT AND THEIR OVERVIEW

Summary

For Georgia`s political and economic integration into the Europe it`s necessary to resolve the social and economic tasks in a right manner. Corporations form one of the significant role into the said task`s decision. Thus it`s important to improve the corporate management, increase the transparency and establish the efficient mechanisms of control. The general regulations about the working out of the enterprises` efficient management system, are made by Georgian law “about the entrepreneurs”. During the discussion of corporate management, it`s important to note the following acts: principles of corporate management worked out by organization of economic cooperation and development on 1999 year and the EU action plan about modernization of corporate law and corporate management improvement.

There are two main models of corporate management: Anglo-American, which is spread in the UK, USA, Australia, India, Ireland, Canada, etc. and German model, which is typical to west

and north Europe. It is also used by some companies of France and Belgium. The Anglo-American model is characterized with the property, that in it, the most of shareholders have no liabilities towards the corporation. The banks are prohibited from owning the shares of industrial corporations. The corporation's interests are identical as its shareholders' interests. The management's said model is characterized with two-stage structure. The German model foresees to allow all the parties (interested in corporative management process) to take part. The said model has effective internal control. It has three-staged management structure and its bankruptcy and conflicts risks are low. By characterizing the mentioned management models and revealing their pros and cons and with sharing the best international practice, the Georgian corporations will be able to solve efficiently the practical issues.

თამარ ზირაქაშვილი

საბანკო სფეროში საგადასახადო ურთიერთობის პრინციპები და მიღბოვები

ანოტაცია. გამოკვლევის საგანს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომერციული ბანკების ურთიერთობა საგადასახადო სისტემასთან და მისი სრულყოფის გზების ძიება. აღნიშნული პრობლემის ანალიზი, თავის მხრივ, გულისხმობს ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილებისა და ტენდენციების შესწავლას და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით მათი დანერგვისათვის პირობების განსაზღვრას.

კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ დაგასაბუთოთ კომერციული ბანკების საგადასახადო სისტემასთან ურთიერთობის სპეციფიკა, აგრეთვე საბანკო სისტემაზე სახელმწიფოს მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: კომერციული ბანკები; საგადასახადო ურთიერთობები; საგადასახადო სისტემის რეფორმირება.

შესავალი

ორგანიზაციების საქმიანობის გადასახადებით დაბეგვრის სისტემის რეფორმირება, კონკრეტულ წინადადებათა შემუშავება და პრაქტიკული განხორციელება საჭიროებს ეკონომიკაზე საბანკო სექტორის ზემოქმედების მეთოდებისა და მიმართულებების თეორიულ გაანალიზებასა და დასაბუთებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მრავალი პრობლემური საკითხი დაგროვდა, რომელიც დაკავშირებულია როგორც საგადასახადო, საბიუჯეტო, აგრეთვე საბანკო კანონმდებლობის პრაქტიკულად ამოქმედების გაუმართაობასთან.

* * *

კომერციული ბანკების ფუნქციონირების და განვითარების სპეციფიკა გადასახადების მეშვეობით განსაზღვრავს მათ საქმიანობაზე ზემოქმედების მიმართულებას. სახელმწიფოს საგადასახადო ზემოქმედება შეიძლება მიიმართოს იქნას როგორც სისტემის ცალკეულ ელემენტებზე, ასევე ელემენტების ერთობლიობაზე. კერძოდ, სახელმწიფო ზემოქმედების მიზანს შეიძლება შეადგენდეს ბანკების ერთობლიობა.

ზემოქმედების მიმართულებათა განსაზღვრა წინა პლანზე წამოსწევს სხვა პრობლემებს. პრობლემა კი შემდეგში მდგომარეობს, საგადასახადო დაბეგვრის რომელი მეთოდი - როგორც საბანკო საქმიანობის ფაქტორი - გამოვიყენოთ, რა მოცულობით და როგორ მოქმედებენ ისინი საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

კანონმდებლობით შესაძლებელია ცალკეული გადასახადების გაუქმებით ანდა შეცვლით, როგორც საგადასახადო დაბეგვრის შეცვლა, აგრეთვე უკვე მოქმედ კანონმდებლობაში კორექტირების შეტანა, მაგალითად შევცვალოთ დაბეგვრის ობიექტი და გადასახადის განაკვეთი, ამგვარად, საკანონმდებლო მეთოდი რეალიზდება:

- გადასახადების შემოღებით ან შეცვლით (საგადასახადო დაბეგვრის სისტემის შეცვლით);
- საგადასახადო განაკვეთების ცვლილებებით;
- შეღავათების გავრცელებით ან გაუქმებით;
- საგადასახადო ბაზის შემცირებით;
- საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის შესაბამისი სანქციების დაწესებით.

შედარებით მნიშვნელოვანია საგადასახადო დაბეგვრის ის სისტემა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს წარმოება, სამეწარმეო საქმიანობა და ინვესტიციები. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის აგებისას ორიენტირება უნდა გავაკეთოთ ტიპურ კონცეფციებზე:

• სარგებლის კომპენსაციის კონცეფცია გვთავაზობს სახელმწიფოსგან მიღებული საგადასახადო შემოსავლების და სარგებლობის პირდაპირპროპორციულ კავშირს. მაგრამ პრაქტიკაში რთულია განვსაზღვროთ პირადი სარგებელი ისეთი მომსახურებისაგან, როგორცაა ნაციონალური თავდაცვა, ჯანდაცვა, განათლება და ა.შ.

• საგადასახადო ზეწოლის თანაბარწილად ზემოქმედების კონცეფცია გვთავაზობს პროპორციულობას გადასახადებსა და მიღებული შემოსავლის ოდენობას შორის. ეს კონცეფცია შედარებით სამართლიანია, თუმცა შემოსავლების დონის მიხედვით ძნელი შესაფასებელია გადასახადების პრაქტიკული მნიშვნელობის ხარისხი.

• რესურსების კონცეფცია ორიენტირებულია გადასახადების კავშირთან მოხმარებული რესურსების დანახარჯებზე.

საგადასახადო დაბეგვრის კონცეფციის შერჩევა გვევლინება მთლიანად სახელმწიფოს ეკონომიკაზე და, კერძოდ კი, საბანკო საქმიანობაზე ზემოქმედების რთულ ამოცანად. ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ეს ამოცანა სხვადასხვაგვარად წყდებოდა.

საგადასახადო განაკვეთების შეცვლით სახელმწიფო ქმნის დამატებით სტიმულებს ფინანსური ნაკადების და საქონელთა ნაკადების ცალკეული ელემენტებისათვის, სამუშაოების და მომსახურებისათვის. საგადასახადო განაკვეთების სისტემა, ასრულებს რა სახელმწიფო რეგულატორის ფუნქციას, მუდმივად რთულდება და დიფერენცირდება. გადასახადების სხვადასხვა განაკვეთები წესდება დარგების, რეგიონების, საქონელთა და მომსახურებათა ჯგუფების მიხედვით. გადასახადების სისტემის შენარჩუნებისას მათი კორექტირება

უფლებას გვაძლევს, შერჩევით და დროებით შევცვალოთ გადასახადის გადა-
გადამხდელთა ცალკეული ჯგუფების ეკონომიკური პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების, როგორც რეგულატორის გამოყენება
არ არის გაიგივებული მხოლოდ შეღავათების გამოყენებასთან. საგადასახადო
ტვირთი შეიძლება შეიცვალოს აგრეთვე გადასახადის განაკვეთის, სააღრიცხვო
პოლიტიკის, დანახარჯების განსაზღვრის წესის, ფინანსური შედეგების ფორმი-
რების, გადასახადის გამოთვლის და მისი გადახდის მეთოდებთან მიმართებაში.
კონკრეტული ინსტრუმენტის შერჩევა ხდება დასმული ამოცანის სპეციფიკის,
საქმიანობის სახეობის, გადამხდელის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ტიპის
გაფორმების და ა.შ. გათვალისწინებით. საგადასახადო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ
ინვესტიციები წარმართება ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც მაღალია შემოსავ-
ლიანობა და დაბალია ამოგების ვადები და არ არის აუცილებელი ის დარგები,
სადაც დიდია საგადასახადო შეღავათები.

საბაზრო ეკონომიკის დროს სახელმწიფო (ეკონომიკის მართვაში სახელმ-
წიფოს დეცენტრალიზებული და არაპირდაპირი როლი) ეკონომიკური ურთიერ-
თობის ნებისმიერ სუბიექტზე ზემოქმედებს და გამონაკლისი არც ბანკებია.
სახელმწიფოს შესაბამისი საგადასახადო პოლიტიკა პირველ რიგში არეგულირებს
საბიუჯეტო, საინვესტიციო და სოციალურ პოლიტიკას. გადასახადები, როგორც
მთელი საგადასახადო სისტემა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის
მართვის მძლავრ ინსტრუმენტად გვევლინება.

ეკონომიკაზე, მათ შორის საბანკო საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედების
ღონისძიებების და მიმართულებების შემუშავება განსაზღვრულ მიზნებს
ემსახურება. ძირითადად ასეთებად გვევლინება:

- ეკონომიკის რეალურ სექტორში სახსრების დაბანდების სტიმულირება;
- ქართული ბანკების საკრედიტო და საინვესტიციო პოტენციალის ამაღლება;
- როგორც თავად ბანკების, ასევე კლიენტი-საწარმოების ფინანსური ნაკადე-
ბის სხვადასხვა სქემების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- გადასახადებით დაბეგვრის რაციონალური და სამართლიანი სისტემის
შემუშავება.

მითითებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია, თუ ერთდროულად
გამოვიყენებთ საბანკო სისტემაზე საგადასახადო ზემოქმედების ორ
მიმართულებას: პირდაპირს (თვით ბანკების საგადასახადო დაბეგვრა) და
არაპირდაპირს (საწარმოთა დაბეგვრა), რაც დაკავშირებულია საბანკო საქმიანობის
ოპერაციებთან.

საგადასახადო შემოსავლებზე სახელმწიფო ბიუჯეტის უშუალო დამოკიდე-
ბულებამ განაპირობა საგადასახადო დარღვევებზე საგადასახადო სამართალ-
ურთიერთობის სისტემის გამოყენება, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემაღენელი
ნაწილია პასუხისმგებლობა და მოითხოვა მისი ღრმა სამართლებრივი
რეგლამენტაცია. ამგვარი პასუხისმგებლობის გამოყენების საკითხები ყოველთვის
იყო იურიდიული მეცნიერების, საგადასახადო ორგანოების საკონტროლო
საქმიანობის, აგრეთვე სასამართლო ორგანოების ყურადღების ქვეშ.

კანონმდებლობის ნორმების შესრულების ვალდებულება განისაზღვრება
პასუხისმგებლობით, რადგანაც, თუ არ არის პასუხისმგებლობა, არც ვალდე-
ბულება იქნება. ამგვარად, კანონის ნებისმიერ ნორმას, მისი შესრულების

უზრუნველყოფას თან უნდა სდევდეს პასუხისმგებლობის დაწესება მის არ-არშესრულებაზე.

მხოლოდ სანქციები არ უნდა იყოს ზედმიწევნით მკაცრი, გადასახადის გადამხდელი რომ არ მივიყვანოთ გაკოტრებამდე, რის შედეგადაც სახელმწიფომ შესაძლოა მომავალში დაკარგოს ბიუჯეტის შემოსავლები (გადასახადის გადამხდელის არარსებობის გამო). ანდა პასუხისმგებლობაში შეიძლება მიეცეს პირი, რომელიც დაუშვებს გადასახადის გადახდის ვადის გადაცილებას ობიექტურად გადაუღებელი (შესაბამისი სიტუაციის გამო) მოვლენების გამო: როგორცაა წყალდიდობა, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, ეპიდემია და ა.შ. ამგვარად, სიმართლიანობის და ეკონომიკის შემდგომი განვითარების მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს პასუხისმგებლობის ფართო დიფერენციაცია საგადასახადო დარღვევების სახეების მიხედვით. ამიტომ პასუხისმგებლობის სუბიექტებად უნდა გვევლინებოდნენ არა მარტო გადასახადის გადამხდელები, არამედ საგადასახადო აგენტები, ბანკები და სხვა საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ბიუჯეტში ანდა ბიუჯეტგარეშე ფონდებში გადასახადების გადარიცხვაზე, აგრეთვე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები არამართალზომიერი ქმედებების გამო.

საგადასახადო ორგანოს შერჩევა, საგადასახადო განაკვეთების დაწესება, საგადასახადო შეღავათების გავრცელება მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციას. ბანკების საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედების ადმინისტრაციული მეთოდის ქვეშ იგულისხმება ღონისძიებათა კომპლექსი და აღმასრულებელი ხელისუფლების ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ყველა გადასახადის სრულად და თავისდროულად გადახდისაკენ.

ადმინისტრაციული მეთოდი გულისხმობს არა მარტო საგადასახადო ორგანოების საკონტროლო სამუშაოებს, არამედ ხელისუფლების ორგანოების სააღრიცხვო-ანალიტიკურ და საკონსულტაციო საქმიანობას. ამგვარად ადმინისტრაციული მეთოდი რეალიზდება შემდეგი სამუშაოების მეშვეობით:

- საგადასახადო ორგანოების მუშაობა უშუალოდ გადასახადის გადამხდელებთან მუშაობით (პასუხები შეკითხვებზე, საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებები: ინსტრუქციის გამოშვება, მეთოდური რეკომენდაციები, წერილები და ა.შ.);

- კომერციული ბანკების საქმიანობის კამერალური და გასვლითი საგადასახადო შემოწმებების საშუალებით;

- კომერციული ბანკებიდან ამა თუ იმ გადასახადის ამოღების მიზანშეწონილობით და ეფექტურობის ანალიზით;

- სავალდებულო აუდიტორული შემოწმებებით.

საგადასახადო ორგანოების კოორდინირებული მუშაობა გადასახადის გადამხდელებთან და ურთიერთშორის, დაბეგურის ცალკეულ საკითხებზე ქვეყნის საგადასახადო-ტერიტორიული ორგანოების ერთიანი პოზიცია, მათი განმარტებების სრული შესატყვისობა კანონმდებლობასთან, რაც განაპირობებს გადასახადის გადამხდელების საგადასახადო კულტურის ამაღლებას, ამა თუ იმ გადასახადის გამომწვევების დროს ამცირებენ შეცდომების ოდენობას, რამდენადაც

შეცდომების დაშვება ხდება არა განზრახ, არამედ კანონმდებლობის და საგადასახადო ორგანოების განმარტებების უზუსტობების და არეულობის გამო.

საგადასახადო სამართალურთიერთობების რეალიზაციის შედეგად შესაძლოა გადასახადის გადამხდელებს და საგადასახადო ორგანოებს შორის აღმოცენდეს წინააღმდეგობები. სასამართლო ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელების და სახელმწიფოს ინტერესების უფლებების დაცვა, რამაც განსაზღვრა, ცალკე გამოგვეყო საგადასახადო ზემოქმედების მესამე მეთოდი - სასამართლო. რაც უფრო გაუმჯობესებული და მძლავრია სასამართლო სისტემა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გვაქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკის სუბიექტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მაშასადამე, მით უფრო ჯანმრთელი და ძლიერია სახელმწიფოს ეკონომიკა. ამგვარად სიცოცხლისუნარიანი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება საერთო სახელმწიფოებრივი მასშტაბის საქმეა და ამით განისაზღვრება მთელი ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

კომერციული ბანკების საქმიანობაზე საგადასახადო ზემოქმედება უნდა იყოს ზუსტად გააზრებული, რამდენადაც ამა თუ იმ ფაქტორების შედეგები შეიძლება იყოს მრავალგვარი, ხოლო ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო გრძელვადიან და მოკლევადიან პერიოდებში. საგადასახადო ზემოქმედების განხორციელებისას შეიძლება გამოვიდეთ სახელმწიფოსა და ეკონომიკის, კერძოდ, ბანკების პრიორიტეტებიდან (მ.შ. ცალკეული სუბიექტების). გადა ამისა, აუცილებელია გავანალიზოთ ახლად შემოღებულის შესაძლო შედეგები მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში და გამოკვლევის მიღებული შედეგებიდან გამომდინარე განვსაზღვროთ ამა თუ იმ ღონისძიებების მოქმედების პერიოდი და ეფექტურობა.

დასკვნა

როგორც ჩატარებული გამოკვლევებიდან ჩანს, სახელმწიფოს საგადასახადო ზემოქმედება სისტემაზე - „კომერციული ბანკი - ბიუჯეტი - ეკონომიკის რეალური სექტორის საწარმოები და ორგანიზაციები“ - ძირითადად განისაზღვრება ამგვარი მიმართულებებით და მეთოდებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. ზირაქაშვილი. საქართველოს კომერციულ ბანკებსა და საგადასახადო სისტემას შორის ურთიერთობების გაუმჯობესების გზები. აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2009.
2. გ. ხელაია, ფული, ბანკები და ბირჟები. გამომცემლობა „სამთავისი“, 1996.

Tamar Zirakashvili

THE MAIN TAXING PRINCIPLES APPROACHES IN BANKING

Summary

Banking activities need to have exactly defined borders of influence from taxes as each influence has its own limit. Taxing influence on banking is defined with minimum and maximum rates and fixed financial relief.

შემოსავლებისა და ხარჯების ცნება, მათი არსი და კლასიფიკაცია

ანოტაცია. საწარმოს ფინანსური შედეგის განსაზღვრა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით ეფუძნება ორ ისეთ კატეგორიას, როგორცაა შემოსავლები და ხარჯები. ფინანსური შედეგი სწორედ მათ შორის სხვაობაა, იქნება ეს მოგება (როცა შემოსავალი ჭარბობს ხარჯებს) ან ზარალი (როცა შემოსავალი ნაკლებია ხარჯებზე).

საწარმოთა ნებისმიერი ფინანსურ-სამეურნეო ოპერაციები შეესაბამება აქტივების გადიდებას ან მათ ვაცვლას, ვალდებულებების გადიდებას ან დაფარვას. აქტივებისა და ვალდებულებების ეს მოძრაობა იწვევს საკუთარი კაპიტალის ცვლილებებს ან მისი მოცულობის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: შემოსავალი, ხარჯი, აქტივები, ვალდებულებები, საქონელი.

ბასს 18-ის თანახმად, შემოსავალი არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის ზრდას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს. შემოსულობა აკმაყოფილებს რა შემოსავლის ცნების მოთხოვნებს, საწარმოს საქმიანობის პროცესში შეიძლება წარმოიშვას ან არც წარმოიშვას, მაგ., ძირითადი აქტივის გაყიდვა.

ზოგადად, შემოსავლების ქვეშ იგულისხმება ასევე პარალიზებული შემოსავლები. ვთქვათ, ლიკვიდირებული ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან ან გრძელვადიანი აქტივების საბალანსო ღირებულების ზრდის შედეგად.

საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება ისეთი ხარჯები, როგორცაა რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხელფასი და მასზე დანახარჯები, ცვეთა, ამორტიზაცია.

საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების უდიდესი წილი მოდის ჩვეულებრივ საქმიანობაზე, ანუ საოპერაციო შემოსავლებსა და საოპერაციო ხარჯებზე. გარდა ამისა, შეიძლება ადგილი ექნეს:

- ა) არასაოპერაციო შემოსავლებსა და ხარჯებს
- ბ) განსაკუთრებულ და სხვა სახის შემოსავლებსა და ხარჯებს.

არასაოპერაციო საქმიანობაში იგულისხმება არაძირითადი საქმიანობა, რომელსაც ჩვეულებრივ საწარმოში შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგ., საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები; დივიდენდები; არასაჭირო ფასეულობის რეალიზაცია და ა.შ.

განსაკუთრებული შემოსავალი და ხარჯი, ეს არის ისეთი შემოსავალი და ხარჯი, რომელიც საწარმოს არც ძირითად და არც არაძირითად საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული, მაგ., სტიქიური უბედურების შედეგად მიღებული სადაზღვევო თანხები არ არის განსაკუთრებული შემოსავალი; ხოლო ამავე მიზეზით გამოწვეული დანახარჯები ითვლება განსაკუთრებულ ხარჯებად [კუპრეიშვილი ე., 2002, გვ. 318].

ბასს ასახავს ისეთი სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების შედეგად წარმოშობილი ამონაგების აღიარება-ასახვას, როგორცაა:

- საქონლის გაყიდვა;
- მომსახურების გაწევა;

• სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთვნილი აქტივების გამოყენება, რასაც მოჰყვება საწარმოში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა დივიდენდების, პროცენტებისა და როიალტების სახით.

საქონელი მოიცავს: საწარმოს მიერ წარმოებულ ნივთს, რომელიც განკუთვნილია გასაყიდად, აგრეთვე იმ ნივთს, რომელიც შეძენილ იქნა ხელმეორედ გაყიდვის მიზნით.

მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს მიერ მომსახურების შესრულებას სათანადო გარიგების საფუძველზე.

დივიდენდი - კაპიტალის მესაკუთრეებზე მოგების განაწილება საწარმოს საკუთარ კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად. პროცენტი დაერიცხება საწარმოს კუთვნილ ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს. როიალტია შემოსავალი საწარმოს კუთვნილი გრძელვადიანი არქივების გამოყენების უფლების გადაცემისათვის. დივიდენდებს, პროცენტებსა და როიალტს საწარმო იღებს მაშინ, როდესაც მის კუთვნილ აქტივებს იყენებს სხვა პირი.

რეალიზაციით მიღებული შემოსავლები წარმოადგენს საოპერაციო შემოსავლებს. მიღებული პროცენტები, როიალტები და დივიდენდები კი არასაოპერაციო შემოსავლებია.

შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და შესაბამისად, არსებობს დარიცხული შემოსავალი, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც შემოსავალი გამომჟღავნებულია, მაგრამ არ არის ანაზღაურებული. გადავადებული შემოსავალი წარმოიშობა, როდესაც ანაზღაურება უსწრებს მის გამომჟღავნებას. ამასთან, შემოსავლების გამომჟღავნება ნიშნავს პროდუქციის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას [თოდუა გ., 2002, გვ. 44].

ბასს-ი შემდგენიარად განასხვავებს შემოსავლების აღიარებას:

1. შემოსავლების აღიარება პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისთანავეა:

- გაყიდვის მომენტის მეთოდი
 - გადავადებული შემოსავალი
2. შემოსავლების აღიარება პროდუქციის მიწოდების შემდეგ:
- პროდუქციის უკან დაბრუნების უფლებით
 - განვადებით გაყიდვა
 - კონსიგნაციით გაყიდვა
3. შემოსავლების აღიარება პროდუქციის მიწოდებამდე:
- დასრულებული კონტრაქტის მეთოდი
 - პროცენტული შესრულების მეთოდი
4. გაწეული მომსახურებისთვის მიღებული შემოსავლების აღიარება:
- განსაზღვრული სამუშაო
 - პროპორციული სამუშაო
 - დასრულებული სამუშაო [მესხია ი., 2001, გვ. 31].

ბასს-ის თანახმად შემოსავლები მოიცავს ამონაგებიდან შემოსულობას. ამონაგები არის საწარმოში შემოსული ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხა, რომელიც მიიღება საწარმოს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან.

ჩვეულებრივი საქმიანობა ეწოდება ნებისმიერ საქმიანობას, რომელსაც საწარმო ახორციელებს როგორც თავისი ძირითადი საქმიანობის ნაწილს, აგრეთვე ისეთ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად საქმიანობასთან ან გამომდინარეობს მისგან.

არსებობს ამონაგების შემდეგი სახეები:

- ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან
- ამონაგები მომსახურების გაწევიდან
- დივიდენდები
- როიალტები
- პროცენტები

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან წარმოიქმნება საქონლის გაყიდვის შედეგად. ამონაგები საქონლის გაყიდვიდან აღიარდება შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში:

- საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- საწარმო არ ინარჩუნებს საკუთრების უფლებასთან ასოცირებულ უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას და არ ახორციელებს გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს;

- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციებიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული, მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან წარმოიქმნება საწარმოს მიერ შესრულებული მომსახურებიდან. ზოგიერთი მომსახურება შეიძლება განხორციელდეს ერთ საანგარიშგებო პერიოდში, ხოლო სხვა კი, მაგალითად, სამშენებლო სამუშაოები, შეიძლება გაგრძელდეს შემდგომ საანგარიშგებო პერიოდში.

საპროცენტო შემოსავალი, დივიდენდი, როიალტი და საიჯარო ქირა წარმოადგენს სხვა პირთა მიერ საწარმოს კუთვნილი აქტივების გამოყენებიდან მიღებულ ამონაგებს, კერძოდ;

საპროცენტო შემოსავალი მიიღება საწარმოს კუთვნილი ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტების გამოყენებიდან;

დივიდენდი მიიღება კაპიტალის მესაკუთრეებზე მოგების განაწილებით საკუთარ კაპიტალში ინვესტირებული წილის პროპორციულად. დივიდენდი დამოკიდებულია, როგორც მეწარმის წილზე, ასევე კაპიტალის სტრუქტურაზე.

როიალტი მიიღება საწარმოს კუთვნილი გრძელვადიანი აქტივების გამოყენების უფლების გადაცემისთვის.

საიჯარო ქირა მეიჯარის პოზიციიდან განიხილება, როგორც განხორციელებული ინვესტიციის ძირითადი თანხის დაფარვა და გარკვეული ფინანსური შემოსავლის მიღება გაწეული მომსახურებისთვის.

შემოსულობა მოიცავს დანარჩენ შემოსავლებს, რომლებიც გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას და ამ თვალსაზრისით ამონაგებისგან არ განსხვავდება.

არსებობს შემოსავლების აღიარების შემდეგი მეთოდები: დარიცხვის (ანუ სამართლებრივი) და საკასო (ანუ მატერიალური). დარიცხვის მეთოდით შემოსავლის აღიარებისთვის საკმარისია, რომ სახსრების უფლება საქონელსა და მომსახურებაზე გადაეცეს მყიდველს (მომხმარებელს) და მან აღიაროს გარიგების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა კონტრაქტით დადგენილ ვადაში.

საკასო მეთოდით შემოსავლების აღიარების მომენტად ითვლება შემდეგი ორი მოვლენიდან დროის თვალსაზრისით ბოლოს შესრულებული ფაქტი:

- გადატვირთული საქონელი, შემოსავალი აღიარდება განადღების მომენტით;
- თუ ავანსი მიღებულია საქონლის მთლიანი ღირებულების ოდენობით,

შემოსავალი აღიარდება საქონლის გადატვირთვის მომენტით, ხოლო თუ მიღებაზე ავანსი არ შეადგენს საქონლის მთლიან ღირებულებას, მაშინ შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ავანსის თანხის ოდენობით და დანარჩენი საქონლის ღირებულება შემოსავლად აღიარდება მისი ღირებულების სრულად გადახდის მომენტში.

შემოსავლების განსაზღვრის პრინციპი გულისხმობს, რომ შემოსავლების აღრიცხვაში ასახვის საფუძველია საქონლისა და მომსახურების გაყიდვის მომენტი, იმის მიუხედავად გაყიდვა განხორციელდა ნაღდი ანგარიშსწორებით თუ განვადებით.

აღრიცხვაში შემოსავალი აისახება, თუ მომხდარი ცალკეული სამეურნეო ოპერაცია აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს (კრიტერიუმებს):

- შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების (აქტივი, ვალდებულება, ხარჯები, შემოსავალი, მოგება, ზარალი) განსაზღვრას;
- შეფასებულია საიმედოდ.

ამონაგები უნდა შეფასდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს დაინტერესებულ და საქმის მცოდნე დამოუკიდებელ მხარეთა შორის.

სტანდარტის თანახმად, ხარჯები არის ფირმის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების შემცირების ან ვალდებულებების ზრდის გზით, რაც იწვევს საკუთარი კაპიტალის შემცირებას, მაგრამ არ მოითხოვს საკუთარი კაპიტალის მესაკუთრეთა დამატებით შენატანებს.

ხარჯები ჯგუფდება საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებად:

საოპერაციო ხარჯებში შედის:

- რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება (სამრეწველო საწარმოებში);
- რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (სავაჭრო საწარმოებში);
- მიწოდების ან კომერციული ხარჯები;
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

არასაოპერაციო ხარჯებში შედის:

- ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისები და ზენორმატიული დანაკარგები;

- საპროცენტო ხარჯები და ა.შ. [ძაძამია რ., 2005, გვ. 176].

სტანდარტი ასევე ითხოვს ხარჯების კლასიფიკაციას ეკონომიკური შინაარსისა და ფუნქციური ნიშნის მიხედვით.

ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე: „რა დაიხარჯა და რამდენი?“

ფუნქციური დანიშნულების მიხედვით ხარჯების კლასიფიკაცია იძლევა პასუხს შეკითხვაზე: „სად რა დაიხარჯა და რამდენი?“ გარდა ამისა, ხარჯების კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს საანგარიშგებო პერიოდთან დამოკიდებულების მიხედვით:

- მიმდინარე პერიოდის ხარჯები - პირდაპირი მასალის ხარჯი, პირდაპირი ხელფასის ხარჯი, ზედნადები დანახარჯები და სხვა;

- წინასწარ გაწეული ხარჯები - წინასწარ გადახდილი იჯარა, დაზღვევა და სხვა;

- მოსალოდნელი ხარჯები - დანარიცხები საგრანტო მომსახურებაზე და სხვა.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება ემყარება შესაბამისობის პრინციპს, რომელიც მოითხოვს ერთი და იმავე სამეურნეო ოპერაციით ან მოვლენით გამოწვეული ხარჯების და შემოსავლების ერთდროულად აღიარებას.

თუ ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ხარჯების აღიარება უნდა ემყარებოდეს სისტემური და ნორმატიული განაწილების პრინციპს.

მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლებისა და ხარჯების აღიარებას საფუძვლად უდევს:

- საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის თავისებურებები;

- საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შედეგების ხარისხობრივი მაჩვენებლების განსაზღვრის მეთოდი.

საწარმომ დანახარჯების აღრიცხვა შეიძლება განახორციელოს შემდეგი მეთოდებით:

- საბრუნავ ხარჯთა მეთოდით, რომელსაც საფუძვლად უდევს ხარჯების კლასიფიკაცია მათი ფუნქციების მიხედვით;

- ერთიან ხარჯთა მეთოდი, რომელიც ხარჯების ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიკაციას ემყარება;

ეკონომიკური ელემენტების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვა გამოიყენება ძალიან მცირე ზომის საწარმოებში ან უაღრესად შეზღუდული ასორტიმენტის მწარმოებელ ფირმებში, სადაც მიმდინარე ხარჯების ფუნქციების მიხედვით დაჯგუფება საჭირო არ არის.

ფუნქციების მიხედვით დანახარჯების აღრიცხვის (საბრუნავ ხარჯთა მეთოდის) გამოყენება მომხმარებელს უფრო ხარჯების შესაფერისი ინფორმაციით უზრუნველყოფს, თუმცა ხარჯების განაწილება ფუნქციების მიხედვით შეიძლება დაზღვეული არ იყოს სუბიექტივიზმისა და პირობითობისგან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თოდუა გ., 2002, ბუღალტრული აღრიცხვის თეორია (საერთაშორისო სტანდარტებით), თბილისი, „უნივერსალი“, გვ. 44.

2. კუპრეიშვილი ე., 2002 ბუღალტრული აღრიცხვის კურსი. თბილისი, „ბიზნეს-კურიერი“, გვ. 318.

3. მესხია ი., 2001 ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბილისი, „ბიზნეს-კურიერი“ გვ. 311.

4. ძაძამია რ., 2005, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე საწარმოებში, თბილისი, „თერგი XX“, გვ. 176.

Elguja Konjaria

THE ITEM OF REVENUES AND EXPENSES, THEIR MEANING AND CLASSIFICATION

Summary

The item of revenues includes returns and incomes. Returns is the amount which comes into enterprises, which is benefit of working of enterprises and expresses increasing its own equity without extra investigation.

Returns arise in processing of ordinary enterprises and is known under different names: for example returns of realization of goods, returns from ready product sales, percent, dividends, royalties and rent of lease.

Revenues include also increasing income.

Selling of main assets also belongs to revenues.

Income items mean unrealized incomes, which may produce of revising of limited valuable papers or increasing of long term assets.

Returns will be considered as main benefit in the process of reporting period.

The assessing of returns must be according to received and acceptable remuneration.

Recognition of returns happen when it is expected to get economic benefit and it is possible to evaluate its reliable amount.

Recognition of incomes may happens when the risk of owner moves to seller.

According to standard expenses is decreasing of enterprises, which causes decreasing own equity but not insist owner's contribution.

There is a direct connection between the expenditure and the revenue receipts for the expenses to recognize.

It implies recognition of the same expenditures and returns caused by the same economic operation or event.

შორენა მინდიაშვილი

**საქართველოს მრეწველობის ისტორიული განვითარება და
თანამედროვე მდგომარეობის კვლევა**

ანოტაცია. XXI საუკუნეში საქართველოს მრეწველობის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ეფუძნება არა მხოლოდ ბუნებრივ-კლიმატურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს, არამედ ინტელექტუალური, კვალიფიციური შრომის, მეცნიერებატევადი წარმოების და პროდუქციის უპირატესობებს.

საგანგებო მნიშვნელობა აქვს ისეთი სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას, რაც პოლიტიკურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ მომენტებთან არის დაკავშირებული.

საკუთარი სიტყვები: მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული მოდერნიზაცია, ეკონომიკური ზრდა.

შესავალი

მრეწველობა, როგორც ეკონომიკის ხერხემალი და მისი მთავარი რგოლი, მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, რამდენადაც მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა, მოსახლეობის კეთილდღეობა, ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოება მისი განმტკიცება, დაცვა და შენარჩუნება, სიღარიბის დაძლევა, ქვეყანაში არსებული შრომითი რესურსების დასაქმების უზრუნველყოფა. ქვეყნის მრეწველობის წინაშე არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სტრატეგიული ხასიათის მრავალი ამოცანა დგას, რომელთა მნიშვნელობა განსაკუთრებით ისეთ პერიოდში იზრდება, როგორშიც ამჟამად საქართველოა [1].

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა უძველესი პერიოდიდან იწყება. ვითარდებოდა ოჯახური მეწარმეობა და ხელოსნობა, რასაც ჩვენს ერამდე მოღწეული ნაკეთობები მოწმობს.

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაწყებული 1999 წლამდე, საქართველოში მრეწველობა და მასთან ერთად სამეწარმეო საქმიანობა ინტენსიურად ვითარდებოდა, ამ პერიოდში 270-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო ამოქმედდა. 1990 წლისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 1365 სამრეწველო საწარმო, საქართველო სსრკ-ში შემავალ ქვეყნებს შორის ინდუსტრიული განვითარების დონით მერვე ადგილზე იმყოფებოდა და ითვლებოდა ინდუსტრიულად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნად [2]. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე საქართველო ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი უსწრებდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სამრეწველო პოლიტიკა არასოდეს ჰქონია. მისი სამრეწველო დარგობრივი სტრუქტურა, განვითარების პრიორიტეტები, მასშტაბები განისაზღვრებოდა ერთიანი საკავშირო სახალხო მეურნეობის კომპლექსის განვითარების საერთო ინტერესებით. ქვეყნის მრეწველობა, როგორც ცენტრში მისი შემადგენელი ნაწილი (იგი იძლეოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო პროდუქციის 1,6-1,8%), განისაზღვრებოდა ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სქემაში “თამაშების წესების” მისთვის წინასწარ მინიჭებული უფლებით, ხოლო ახალი სამეურნეო კავშირების მოშლის შედეგებმა სამრეწველო წარმოების მკვეთრი დაცემა გამოიწვია.

დღეს სამრეწველო წარმოება, როგორც საერთოდ ეკონომიკა, მართვის (მიკრო და მაკროდონეზე) დრმა კრიზისს განიცდის. გამოაშკარავდა საბაზრო მექანიზმების “ღვთაებრივი” ხასიათის, ბაზრის თვითრეგულირების უნივერსალური ბუნების, “უხილავი ხელის” განსაკუთრებულობის და სხვა თეორიების უარყოფითი შედეგი [3].

XX ს-ის ბოლოს ეკონომიკის ტრანსფორმაციით განპირობებულმა კრიზისმა, სხვადასხვა შიდა და გარე ფაქტორებმა, ბევრი დარგი მთლიანად გაანადგურა,

ბევრი კი განადგურებამდე მივიდა. ასეთი პროცესების მთავარი მიზეზი განპირობებული იყო როგორც გარეშე ძალების პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მოქმედებით ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ, ისე საქართველოს მმართველი წრეების არასწორი ქმედებით, დაეცვათ ქვეყნის ინტერესები, რაც გამოიხატებოდა საქმიანობისადმი არასისტემურობით, ეროვნული ინტერესების იგნორირებით, სახელმწიფო დონეზე ქვეყნის განვითარების სტრატეგიის უქონლობით, კერძო ინტერესების წამოწევით, საბაზრო ეკონომიკაზე გადართვის სიძნელეებით და საბაზრო პროცესებში სახელმწიფო საწარმოების გასახელმწიფოებრიობასა და პრივატიზაციის პროცესში დაშვებული შეცდომებით.

* * *

მანუფაქტურული მრეწველობა საქართველოში XVIII ს-ში აღმოცენდა, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში იგი კიდევ უფრო მეტად გავრცელდა, კერძოდ, 50-70-იანი წლები ითვლება მისი განვითარების უმაღლეს სტადიად, ხოლო 70-იანი წლებიდან დაიწყო გადასვლა მანუფაქტურიდან მანქანურ, საფაბრიკო წარმოებაზე. მას მოჰყვა მთელი გადატრიალება არა მხოლოდ წარმოების ტექნიკაში, არამედ მთელ ეკონომიკაშიც.

XIX ს. 60-იან წლებში თბილისის გუბერნიაში არსებობდა 450-მდე მანუფაქტურული საწარმო 5000-ზე მეტი დაქირავებული მუშით. ერთ-ერთი მსხვილი მანუფაქტურული საწარმო, რომელიც 1843 წლიდან მოქმედებდა, იყო ქ. გორის მახლობლად, სოფ. ღვარებში ელიზბარ ერისთავის მიწის დიდი საწარმო, რომელიც წლიურად 100 ათასამდე ღვინის ბოთლს, ასევე დიდი ოდენობით სარკის მიწას და სააფთიაქო ჭურჭელს ამზადებდა.

1882 წ. ბორჩალოს (მარნეულის) მაზრაში ამოქმედდა დიდი მიწის ქარხანა, რომელიც გერმანელ ბარონ კუჩენბახს ეკუთვნოდა. იგი 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 100 ათასამდე მიწის სურას ამზადებდა წელიწადში.

1885 წ. თბილისში ამუშავდა მექანიკური ქარხანა და თუჯის ნაკეთობათა ჩამოსასხმელი ქარხანა. 1863 წ. ბოლნისში რკინის მადნის ბაზაზე აიგო რკინის და თუჯის ჩამოსასხმელი ქარხანა. 1865 წ. უცხოელებმა გახსნეს მსხვილი მექანიკური ქარხანა.

1872 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მატარებლების მოძრაობა ფოთი-თბილისის რკინიგზაზე. 1877 წ. აიგო სარკინიგზო ხაზი რიონი-ქუთაისი. 1883 წ. დამთავრდა ბათუმი, სამტრედიის, თბილისი-ბაქოს რკინიგზები. ხოლო 1886 წ. გაყვანილ იქნა ქუთაისი-ტყიბულის ხაზი.

რკინიგზების მშენებლობა მოითხოვდა მრეწველობის განვითარებას. უკვე 1869-1872 წლებში ამუშავდა თბილისში, ხაშურში, სამტრედიასა და ფოთში მსხვილი მექანიკური ქარხნები ამუშავდა. 1883 წ. თბილისში შეიქმნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები.

XIX ს. 60-იანი წლებიდან განვითარდა ქვანახშირის და მარგანეცის მრეწველობა. 1870-1990 წწ. ტყიბულის ქვანახშირის ამოღება 145 ათასი ფუთიდან 600 ათას ფუთამდე გადიოდა. ხოლო მარგანეცის ამოღება 1879-1890 წწ. წელიწადში 51 ათასი ფუთიდან 10468 ათას ფუთამდე გაიზარდა.

ბაქოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო ბათუმის მრეწველობის განვითარებამ. მაგალითად 1888 წ. ბათუმიდან გატანილი ნავთობი შეადგენდა მისი მსოფლიო მოხმარების 21,2% [4].

ვაჭარმა მირზიევმა 1870 წ. თბილისში ააგო საფეიქრო ფაბრიკა. 1875 წ. ადელხანოვმა ააგო ტყავის გადამამუშავებელი ქარხანა, ხოლო 1885 წელს ამ ქარხანასთან გაიხსნა ფეხსაცმლის საკერავი მექანიკური სახელოსნო, რომელიც წლიურად 50 ათას ჩექმას უშვებდა.

80-იანი წლებიდან საქართველოში თამბაქოს მსხვილი მანუფაქტურები გარდაიქმნა თამბაქოს ფაბრიკებად.

1890 წ. 1 აპრილს გაიხსნა წიფის გვირაბი. 1894 წ. გაიხსნა ხაშურ- ბორჯომის რკინიგზა, რამაც ხელი შეუწყო ხობის მდიდარი ტყეების სამრეწველო დამუშავებას.

1896 წ. საქართველოში თამბაქოს 10 მსხვილი ფაბრიკა ფუნქციონირებდა, საშენ მასალათა მრეწველობაში ფართოდ გავრცელდა აგურის წარმოება, ხე-ტყის მრეწველობა. 1897 წელს 100-ზე მეტი ხე-ტყის სახერხი ქარხანა იყო.

1896 წ. შეიქმნა ადგილობრივ მრეწველთა ორგანიზაცია “შავი ქვის მრეწველთა ყრილობა”. შეიქმნა ადგილობრივი კაპიტალისტთა პირველი მონოპოლისტური გაერთიანება სინდიკატი “შავი ქვის” სახელწოდებით, რომელიც 200-ზე მეტ ადგილობრივ მრეწველს აერთიანებდა.

1894 წ. საქართველოში 700-ზე მეტი სპირტი-არაყის სახდელი ქარხანა იყო. 90-იან წლებში ევროპის ქვეყნებში გადიოდა 1200 ათასი მანეთის კვერცხი და უამრავი მოცულობით სოფლის მურნეობის პროდუქცია. საქართველოს საშინაო და საგარეო ვაჭრობა განსაკუთრებით გაიზარდა 70-იანი წლებიდან, რაც იყო შედეგი რკინიგზის მშენებლობისა და საფაბრიკო-საქარხნო ინდუსტრიის განვითარებისა, იქმნებოდა კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა [5].

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში დაიწყო მრეწველობის გადასვლა ახალ მიმართულებაზე, რაც აისახა ეკონომიკის სფეროში გატარებულ რეფორმებში. გამოიკვეთა საქართველოში სამრეწველო წარმოების განვითარების ამოცანები, მთელი მუშაობა წარიმართა სუვერენული საქართველოს ეკონომიკის ავტონომიური ფუნქციონირების მოთხოვნათა მაქსიმალურად გათვალისწინებით.

ბოლო წლების პრაქტიკამ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რომ ეკონომიკის რეგულირებაში სხვადასხვა სტაბილური პროგრამების ცალმხრივად გამოყენებამ, რომლებსაც საფუძვლად უდევს სტანდარტული, წმინდა მონეტარისტული მიდგომები, თუმცადა ხელი შეუწყო რეფორმების პირველ ეტაპზე ფინანსურ სტაბილიზაციას და ინფლაციის დათრგუნვას, მაგრამ მაინც ვერ უზრუნველყო არსებითი და ეფექტიანი სამრეწველო აღმაშენებლის მიღწევა, რაც მთავარია, რადიკალური მონეტარული პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების მიხედვით ხორციელდება, ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის სამრეწველო საწარმოო პოტენციალის უფრო სრულად და ეფექტიანად გამოყენების რეზერვების სწრაფად რეალიზაციას. სამრეწველო საწარმოების უკუ სვლა იმდენად საგრძნობი და დამაუძღურებელი აღმოჩნდა მოსახლეობისათვის, რომ საეჭვო გახდა ამ პროგრამების შემდგომი რეალიზაციის მიზანშეწონილობა.

რეფორმების პროცესში ეროვნული მეურნეობის დარგობრივმა სტრუქტურამ დაკარგა მისთვის დამახასიათებელი სამრეწველო ხასიათი და შეიძინა უპირატესად

აგრარულ-სავაჭრო და კომპრადორული მიმართულება. თუ ეს ტენდენცია მომამომავალშიც იქნება შენარჩუნებული, საქართველო შეიძლება გადაიქცეს განვითარებულ ქვეყნებში დამზადებული სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზად და მათ აგრარულ-სანედლეულო დანამატად, თავისი ყველა უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგით ჩვენი ქვეყნისა და მისი მოსახლეობისათვის [5].

როგორც ცნობილია, სწორედ აღნიშნული მიზნები ამოძრავებდა თავის დროზე რუსულ კაპიტალიზმს და მეფის მთავრობას, როდესაც ისინი თავიანთი კოლონიური, ექსპანსიური ინტერესებიდან გამომდინარე, ყველანაირად აფერხებდნენ საქართველოს სამრეწველო საწარმოთა განვითარებას, ისევე როგორც მთლიანად ჩამორჩენილი რეგიონის ეკონომიკურ და სოციალურ აღმავლობას. უნდა ითქვას, რომ ასეთივე სულისკვეთებით მოქმედებდა უცხოური კაპიტალიც, რომელიც ინტენსიურად შემოიჭრა საქართველოში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან.

სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრესა და მრავალმხრივობაზე თვალნათლივ მიუთითებს ის, რომ სამრეწველო პროდუქციის რიგი უმნიშვნელოვანესი სახეების წარმოების მიხედვით მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (ელექტროენერჯია, მინერალური სასუქები, ქიმიური ბოჭკოები და ძაფები და სხვა) რეფორმამდელ პერიოდში საქართველო წინ უსწრებდა მსოფლიოს ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი.

აღსანიშნავია, რომ 300-ზე მეტი დასახელების სამრეწველო პროდუქცია იგზავნებოდა მსოფლიოს 80 ქვეყანაში [6] ექსპორტის სტრუქტურა წარმოდგენილი იყო უმთავრესად არა სანედლეულო საქონლით, არამედ ისეთი მაღალტექნოლოგიური სამრეწველო პროდუქციის სახეებით, როგორიცაა სხვადასხვა მანქანა-მოწყობილობები, დაზგები, სატრანსპორტო საშუალებები, ფეროშენადნობები, ელექტროგამზომი ხელსაწყოები, ელექტროძრავები, ქიმიური პროდუქცია, აგრეთვე ელექტრონული მრეწველობის ნაკეთობანი და სხვ. ამასთან განვითარებულ ქვეყნებზე მხოლოდ საქართველოდან ექსპორტის საერთო მოცულობის 32-35% მოდიოდა. სამრეწველო ნაწარმი იგზავნებოდა ინგლისში, ავსტრიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, კანადაში, ფინეთში და სხვ. [7].

საქართველო, თავისი საკმაოდ მძლავრი და მრავალმხრივი სამრეწველო პოტენციალით, ფართოდ მონაწილეობდა რესპუბლიკათაშორის შრომის დანაწილებასა და ყოფილ საბჭოთა კავშირის საგარეო ეკონომიკურ კავშირებში.

საქართველოს სამრეწველო-ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს შიდა გადახდისუნარიანი მოთხოვნის ეტაპობრივ ზრდას და შესაბამისად შიდა ბაზრის არსებითად გამოცოცხლებას, დამატებითი საკრედიტო რესურსების წარმართვას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის, ეფექტიანი სამრეწველო წარმოებათა აღდგენა-განვითარებისა და ინვესტიციური საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

კვების მრეწველობის დარგებიდან კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების კარგი პერსპექტივები აქვს ყოფილ საკავშირო სპეციალიზაციის დარგებს (ღვინის, ჩაის, საკონსერვო, ეთერზეთების, მინერალური წყლების და სხვ.). გარკვეული კონკურენტული უპირატესობები გააჩნია, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ საწარმოებსაც: განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინტელექტუალური პოტენციალი; დაგროვილი საწარმოო გამოცდილება;

იაფი სამუშაო ძალა; ნედლეულისა და მასალების ზოგიერთი სახეების (ქსოვილ- (ქსოვილები, ტყავი, ნატურალური აბრეშუმი და სხვ.) ადგილზე წარმოების შესაძლებლობა; ერთობლივი საწარმოების ორგანიზაციისა და ამოქმედების გამოცდილება და სხვ.

მდგრადი კონკურენტუნარიანობა ახასიათებს საქართველოს სამთო ქიმიის საწარმოებს, რომელთა პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნით სარგებლობს. წარმოებათა შესაძლებლობებისა და კონკურენტული სტრატეგიების შეფასებები აჩვენებს, რომ მათ შეუძლიათ არა მარტო წარმატებით გაუწიონ კონკურენცია უცხოელ ექსპორტიორებს, არამედ გაზარდონ კიდევ საქონლის გაყიდვა შიდა და საგარეო ბაზარზე. მხოლოდ კარგად გააზრებული, აქტიური და მიზანმიმართული, მსოფლიო სამეურნეო კონიუნქტურასთან ადაპტირებული სამრეწველო პოლიტიკის გატარებით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული სამამულო მრეწველობის სრული კრახი და უზრუნველყოფილ იქნეს მდგრადი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა ნათლად უჩვენებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხასიათს და მის ძირითად არსს. ცხადია, იგი უნდა ექვემდებარებოდეს ქვეყნის განვითარების ისტორიულ თავისებურებებს, აწმყოს და მომავლის ამოცანებს და ამით მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის სტაბილურობას. პრაქტიკულად ეს ნიშნავს სამრეწველო წარმოების ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც მკვიდრ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეუქმნიან ეროვნული ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას, რაც, გარდა იმისა, რომ სტიმულს მისცემს აგრარული წარმოების ტრადიციული დარგების განვითარებას, ამასთან ხელს შეუწყობს სასურსათო პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილებათა პრობლემის გადაჭრას და მათი საექსპორტო პოტენციალის ზრდას. მაგრამ გადამამუშავებელი მრეწველობისათვის, ბუნებრივია, აუცილებელია ენერგეტიკისა და მანქანათმშენებელი მრეწველობის შესატყვისი დარგების განვითარებაც და მათი ხელახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური გადაიარაღება. ეს აუცილებელია თვით აგრარული დარგების განვითარებისთვისაც. საქართველოს “სამრეწველო წარმოების სრულყოფის დღევანდელ ეტაპზე არ არსებობს მკვეთრი გამყოფი ზღვარი აგრარულ და სამრეწველო დარგებს შორის” [8].

საქართველოს გააჩნია სამრეწველო განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივები – დაწყებული ნავთობგადამამუშავებელი და სამშენებლო ინდუსტრიით და დამთავრებული ექსპორტის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი კარბიტის წარმოებით. იგივე შეიძლება ითქვას მთის პირობებისათვის გათვალისწინებულ სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების აუცილებლობაზე. ძვირადღირებული და არასაიმედო საგზატკეცილო სისტემის ნაცვლად, აქაც მისაღები უნდა იყოს საჰაერო-საბაგირო გზების განშტოებული სისტემის შექმნისა და მთის ავიაციის ეფექტიანად გამოყენება. თავის მხრივ, ყოველივე ეს საქართველოს სამრეწველო სტრატეგიის განვითარებას შეესაბამება.

თანამედროვე სამრეწველო წარმოების პრობლემაა არსებულ ფიზიკურად და მორალურად თითქმის მთლიანად გაცვეთილ საწარმოთა კორექციისა და რეკონსტრუქციის საკითხები. გარდა ამისა, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მცირე მექანიზა-

ციის პრობლემის გადაჭრაც და მათთვის მტკიცე ენერგეტიკული ბაზის შექმნა. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ტერიტორიის თითქმის 80% მთაგორიანია, ამასთან ინტეგრაციული პროცესები თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ყველაზე არსებითი ნიშან-თვისებაა, ისინი იძენენ როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ მასშტაბებს. საქართველოც ვერ ასცდება ამ პროცესებს და მთის პრობლემებში უნდა შემუშავდეს ოპტიმალური გზები და საშუალებანი.

საგანგებო მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ-ეკონომიკურ და სოციალურ მომენტებთან დაკავშირებული სამრეწველო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებას.

XXI საუკუნეში საქართველოს მრეწველობის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. “თანამედროვე პირობებში ქვეყნის კონკურენტული უპირატესობები ეფუძნება არა მხოლოდ ბუნებრივ-კლიმატურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს, არამედ ინტელექტუალური, კვალიფიციური შრომის, მეცნიერებატევადი წარმოების და პროდუქციის უპირატესობებს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონკურენტული უპირატესობა, საბოლოო ჯამში, გამოიხატება შრომის ნაყოფიერებით, ეფექტიანობით, დამატებული ღირებულებით, რაც ყველაზე უფრო მაღალია გადამმუშავებულ მრეწველობაში, მართალია, თანამედროვე პირობებში მრეწველობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში შემცირდა და შესაბამისად ამაღლდა ინფორმაციული სექტორის ხვედრითი წილი თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს მრეწველობის როლის დაკნინებას. ჯერ ერთი, ეფექტიანობა მრეწველობაში მაღალია, მეორე, მრეწველობა ქმნის წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ინფორმატიზაციის შესაძლებლობებს, ავტომატიზებული და ინფორმაციული წარმოების საშუალებებს და ტექნოლოგიებს და, ბოლოს, მესამე, მართალია, ვითარდება წარმოების ბიოლოგიზაცია, მაგრამ ბიოლოგიური ნედლეულის მასალების გადამმუშავება – მრეწველობაა, ბიოტექნოლოგიური მრეწველობა... საქართველომ უნდა უზრუნველყოს თავისი ეროვნული ინტერესები ინტელექტუალური და ინდუსტრიული წარმოებით” [3].

აღნიშნულზე დაყრდნობით, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აქტუალური იქნება აქტიური სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რომლის ხელშემწყობი იქნება: 1. ხელისუფლების მხრიდან მრეწველობის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნევა; 2. გადამმუშავებელი დარგებისა და ქვედარგების აქტიური განვითარებისათვის მხარდაჭერა, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა ფიქსირდება და საქართველოს შეუძლია მისი წარმოება; 3. ინვესტორებისათვის შესაბამის სამრეწველო წარმოებაში სახსრების დასაბანდებლად გარკვეული შეღავათების დაწესება; 4. სასურველი და აუცილებელია, ეკოლოგიაზე ზიანის მიუყენებლად ელექტროენერგეტიკის განვითარება; 5. საჭიროა მანქანათმშენებლობის იმ ქვედარგების უპირატესი განვითარება, რომელთაც შეუძლიათ ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე შექმნილი საწარმოების საშუალებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროტექნიკურ მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას; 6. უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას; 7. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის დარგებიდან, რომლის ნედლეულია ბარიტი, კალციტი, ცელოლიტი და სხვ. ქვედარგების განვითარების ხელშეწყობა. კადრები და სიმძლავრეები ნაწილობრივ ქვეყანას ჯერ კიდევ

გააჩნია, 8. შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოების განვითარების უზრუნველყოფა და სხვა.

მნიშვნელოვანია მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის სანედლეულო ბაზის გაძლიერება და მისი რაციონალური გამოყენება. ყველაზე უკეთესი პერსპექტივები კი კვების მრეწველობას გააჩნია როგორც ნედლეულის მრავალფეროვნების, ისე ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით.

დასკვნა

სამრეწველო საწარმოებისათვის უახლესი ამოცანაა საწარმოთა გამოყვანა გაჭიანურებული კრიზისიდან. ამასთან, აუცილებელია მათი აქტიური მხარდაჭერა და რეაბილიტაცია, შესაბამის წარმოებათა დაჩქარება, ხელსაყრელი გარემოს შექმნა ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად.

აუცილებელია, საქართველოს მთავრობამ გააცნობიეროს მრეწველობის, როგორც მთავარი მამოძრავებელი სექტორის, მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების და კეთილდღეობის სახელმწიფოს შექმნის სტრატეგიაში.

თანამედროვე ტექნოლოგიებსა და უნარჩვევებზე დაფუძნებული, რესურსების დამზოგველი და ენერგოეფექტური, გარემოსადმი უსაფრთხო და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებული სამრეწველო პროდუქტების წარმოებამ კომპასის როლი უნდა შეასრულოს სხვა სექტორებისათვის.

მხოლოდ ეკონომიკურად, სოციალურად და ეკოლოგიურად დაბალანსებული წარმოება (ინფრასტრუქტურა) უნდა იყოს დასაშვები და მიზანშეწონილი, რათა უზრუნველყოთ რეალური ზრდა და მდგრადი განვითარება.

ახალი პროდუქტების შექმნა და ინდუსტრიული მოდერნიზაცია უნდა განხორციელდეს ინვესტიციებით ინოვაციებში, ახალ ტექნოლოგიებში, კვლევებსა და განვითარებაში, სწავლებაში, რაშიც წამყვანი როლი უნდა იკისროს სახელმწიფომ ამ სფეროს კომერციალიზაციასთან ერთად.

ახალი ინდუსტრიული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის მთავრობა უნდა დაეყრდნოს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

- სახელმწიფოს და კერძო სექტორის პარტნიორობა;
- სამთავრობო მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს როგორც კონკრეტულ პროექტს ან პროგრამას, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მთლიან დარგს;
- პროექტის ექსპერიმენტულობა არ უნდა მიიჩნეოდეს მის ნაკლად;
- პროექტის მიმდინარეობა უნდა იყოს გამჭვირვალე და წარმატების კრიტერიუმები ცხადი, შესაბამისად წარუმატებლობის შემთხვევაში პროექტის დროულად შეჩერება აუცილებელი;

ენერგეტიკული და სამთო-მოპოვებითი დარგები უნდა ვითარდებოდეს მხოლოდ მდგრადი მიმართულებით (ეკონომიკური ასპექტი, რესურსის ამოწურვადობის გათვალისწინება, გარემოს დაცვა).

მნიშვნელოვნად მიმაჩნია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე, მიკროსაქმიანობების ხელშეწყობაზე, მათთვის ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე, რისთვისაც აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზა. უცხოური სამრეწველო ინვესტიციების ხელშეწყობასთან ერთად, ქვეყნის საფინანსო სისტემამ – ბიუჯეტმა, საინვესტიციო

ფონდებმა და სხვა საფინანსო და კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ ინდუსტრიული პოლიტიკის დანერგვა შესაბამის პროექტებზე რეორიენტაციით, მათი ეფექტიანობიდან გამომდინარე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, მრეწველობა, “საქართველოს ეკონომიკა” რედ. რ. ასათიანი. თბ., გამომც. “სიახლე” 2012. გვ. 163.
2. რ. აბესაძე, დ. ჩომახიძე, მრეწველობა, “საქართველოს ეკონომიკა” რედ. რ. ასათიანი. თბ., გამომც. “სიახლე”.
3. თ. ჩიკვაძე, საქართველოს ახალი პარადიგმა, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკის და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული. ტ. 2. 1997. გვ. 72.
4. ც. სეხნიაშვილი. ეკონომიკის ისტორია. თბ., 2000. გვ. 348-356.
5. ვ. მელქაძე, სოციალისტური კვლავწარმოება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1966, გვ. 171.
6. საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. შრომების კრებული. ტომი II. თბ., 1997. გვ. 424.
7. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №3, 1997, გვ. 8.
8. მ. კვარაცხელია. შრომების კრებული, ტ. II “საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში”, თბ., 1997. გვ. 242.

Shorena Mindiashvili

HISTORICAL DEVELOPMENT OF GEORGIAN INDUSTRY AND THE RESEARCH OF ITS MODERN STATE

Summary

The Industry, as the backbone of the economy and its main link, is important for the economic development, as far as without its effective functioning, it is impossible to reach the progress of the country, public welfare, economic and political security its reinforcement and maintenance, the poverty reduction, possibility to employ labor resources of the country. It is of utmost importance to establish and develop the industrial policy that is connected with political, organizational, economical and social matters.

The latest task of the industrial enterprises is to bring out the enterprises from the protracted crisis. In addition, their active support and rehabilitation is necessary, appropriate production acceleration, creating of favorable environment for the attracting investments and for implementing effective investment projects.

I consider that the development of the small and medium business, promotion of the micro-businesses and improve men of the business environment must be focused, for which it is necessary to create the relevant legislative and institutional basis. Along with the support of the foreign industrial investments, the country's financial institutions budget, investment funds and others should provide industrial policies with respect to the reorientation on relevant projects based on their efficiency.

პროდუქციის და მომსახურების ხარისხის ინდიკატორები
საქართველოს ორბანიზაციებში

ანოტაცია. ხარისხი არის ყველა კომპანიის წარმატების საფუძველი, ამ შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ მხოლოდ წარმოებული პროდუქტი უნდა იყოს ხარისხიანი, მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის შიდა პროცესებიც და ყველა, მათ შორის ელემენტარული მოქმედებაც კი იყოს ხარისხიანი. თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰქონდეს ერთიანი ხედვა იმის თაობაზე, რომ მათ მიერ ხარისხიანად შესრულებული სამუშაო წარმატებას მოუტანს მათ კომპანიას და პირადად მათ. ხარისხიანი კომპანია ხდება უფრო ეფექტური, უფრო მოქნილი, რაც, საბოლოო ჯამში, მის კონკურენტულ უპირატესობად გადაიქცევა. ხარისხი უნდა იყოს კომპანიის კულტურა და ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავედროულად ყველაზე რთული იქნება ამის დატანა თითოეულ თანამშრომელამდე. იმისათვის, რომ კომპანია მთლიანად გახდეს ორიენტირებული ხარისხზე, მნიშვნელოვანია, თითოეულ თანამშრომელს სჯეროდეს ამისი და ყოველდღიურ საქმიანობაში იყოს ხარისხზე ორიენტირებული.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მენეჯმენტი, წარმოების/მომსახურების სფერო, პროდუქციის თვისებები, პროდუქციის სარგებლიანობა, ხარისხის ძირითადი პარამეტრები.

შესავალი

თანამედროვე მეწარმე სუბიექტებისთვის წარმატების მიღწევის უმთავრესი განმაპირობებელი მომხმარებლის კმაყოფილებაა, ეს კი შეუძლებელია კომერციული შეთავაზების მაღალი ხარისხის გარეშე. კონკურენციის გამწვავებამ ხარისხის პრობლემის მიმართ ბიზნესის ყურადღება გააძლიერა და დღეს ამ მხრივ სისტემური მიდგომა არსებობს, რომელიც ხარისხის თემას არამარტო კონკრეტული საწარმოს კონტექსტში განიხილავს. თვით ტერმინთან „ხარისხი“ დაკავშირებით შეინიშნებოდა აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა, თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ მიღწეულია გარკვეული კომპრომისი და ეს ტერმინი საქონლის მიერ მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობას უკავშირდება. ხარისხი არის პროდუქციის თვისებათა ერთობლიობა, რომელიც განაპირობებს მის უნარს, დანიშნულების შესაბამისად ამა თუ იმ დონეზე დააკმაყოფილოს მომხმარებლის არსებული თუ სავარაუდო მოთხოვნილებები.

* * *

ბოლო ოცი წლის განმავლობაში წარმოების/მომსახურების სფერო უკიდურესად შეიცვალა. მნიშვნელოვნად გაიზარდა კონკურენცია და კომპანიები ახალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. კონკურენცია მხოლოდ ფასზე არ არის დამოკიდებული. ხშირად ბრძოლაში გადამწყვეტი ფაქტორი ხარისხს ენიჭება. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მწარმოებლებს შორის გაჩაღებულია კონკურენცია მომხმარებლის მოსაზიდად, შესაბამისად, თუ მათი პროდუქცია აკმაყოფილებს ხარისხის, გარემოს დაცვის, უსაფრთხოების, სანდობისა და ეფექტურობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, მით უფრო მეტი შანსი აქვთ, მოიზიდონ

მომხმარებელი და, შესაბამისად, მიიღონ უფრო დიდი შემოსავალი. პროდუქციის ხარისხი დაკავშირებულია ცნებებთან - პროდუქციის თვისებები და პროდუქციის სარგებლიანობა. თვისებები სხვადასხვა მიმართულებით პროდუქციის ობიექტური მახასიათებლებია, სარგებლიანობა კი პირდაპირ უკავშირდება პროდუქციის უნარს, სარგებელი მოუტანოს და ამა თუ იმ დონეზე დააკმაყოფილოს მომხმარებელი. კომპანიის წარმატება პირდაპირ არის დაკავშირებული მის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხსა და ფასთან. ეს ორი მოცემულობა გარკვეულად უკუპროპორციულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ხარისხი რაც შეიძლება მაღალი უნდა იყოს, ხოლო ფასი კი პირიქით, დაბალი. ამავე დროს, ხარისხის და ფასის თანაფარდობით ფირმა უნდა სჯობდეს კონკურენტს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გამოჩენა ბაზარზე შედეგიანი ვერ იქნება. ხარისხი კრებითი ცნებაა და ის რამდენიმე პარამეტრს მოიცავს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მატერიალური ნაკეთობის და მომსახურების ხარისხის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

ცხრილი

ხარისხის ძირითადი პარამეტრები

მატერიალური ნაკეთობა	მომსახურება
ძირითადი ფუნქციური მახასიათებლები	საიმედოობა
თავისებურებები	დამაჯერებლობა
საიმედოობა	უსაფრთხოება
შესაბამისობა	ხელმისაწვდომობა
მდგრადობა	ზრდილობა
ექსპლუატაციის ხანგრძლივობა	კომუნიკაბელურობა
ესთეტიკურობა	კომპეტენტურობა
აღდგენადობა	რეაგირება
აღსაქმელობა	კლიენტის შესწავლა
ფასეულობა	ხილული კომპონენტები

მატერიალური ნაკეთობის ხარისხზე მსჯელობა მისი ძირითადი ფუნქციის განხილვით უნდა დავიწყოთ. ამ შემთხვევაში იგულისხმება საქონლის ის თვისება, რისთვისაც იგი დამზადდა. მაგალითად, მობილური ტელეფონისთვის მთავარია აუდიოინფორმაციის უსადენო, მოსახერხებელი მიღება და გადაცემა. გარდა ძირითადი ფუნქციისა, მატერიალურ პროდუქციას გააჩნია თავისებურებები ანუ დამატებითი მახასიათებლები, რისი მეშვეობითაც ხდება მისი ფასეულობის ზრდა და ღირებულების ზრდა. იგივე მობილური ტელეფონების დიდ უმრავლესობას გააჩნია დამატებითი აქსესუარები და ფუნქციები, მაგალითად, ფოტოაპარატი, ინტერნეტ-სერვისი, ფარანი და ა.შ. საიმედოობა მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს მიწოდების ვადების და პირობების დაცვას. ასევე შეიძლება ეს სიტყვა გამოვიყენოთ საქონლის ექსპლუატაციის საიმედოობის აღმნიშვნელად, რასაც ჩვენს შემთხვევაში მდგრადობა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობა ასახავს. შესაბამისობა ერთ-ერთი ძირითადი პარამეტრია და მომხმარებლის მოლოდინის და საქონლის თვისებების თანხვედრას გულისხმობს. ესთეტიკურობა მის გარეგნულ თვისებებზე მიუთითებს, აღდგენადობა კი თუ რამდენად იოლია საქონლის რემონტი მისი დაზიანების შემთხვევაში. განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ფასეულობას და აღსაქმელობას. პირველ ყოვლისა, აღნიშვნის ღირსია ის, რომ საქონლის ესა თუ ის თვისება აღსაქმელი უნდა იყოს მომხმარებლისთვის და შესაბამისად,

იმდენად ფასეული, რომ აღმატებოდეს ფირმის მიერ მის შემუშავებაზე გაწეულ დანახარჯებს. შესაძლებელია ამა თუ იმ პროდუქციის შექმნაზე დიდი სახსრები დაიხარჯოს, მაგრამ მომხმარებელმა ის ვერ აღიქვას სათანადოდ. მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის საინფორმაციო ბაზარზე გამოჩნდა ინტერაქტიური ტელევიზია, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით ეს იყო დიდი გარღვევა და საკმაოდ ძვირადღირებული მოვლენა, მან მაინც ვერ მოიპოვა წარმატება, ვინაიდან მისი ფასეულობა არ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მომხმარებლისთვის. ზოგიერთი ტიპის საქონლისთვის, და ეს ძირითადად ეხება საყოფაცხოვრებო და საწარმოო დანიშნულების ტექნიკას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ექსპლუატაციის სიმარტივე და გაყიდვის შემდგომი სერვისი.

მომსახურების მიწოდების საიმედოობა არანაკლებ მნიშვნელოვანია მატერიალური საქონლის მიწოდების საიმედოობაზე. ხარისხიანი მომსახურება გამორიცხულია, თუ სერვის-კომპანიის პერსონალი არ ფლობს ისეთ თვისებებს, როგორც არის ზრდილობა, კომუნიკაბელურობა, კომპეტენტურობა. მომსახურების არამატერიალური ბუნების გამო მის ხარისხზე მომხმარებლები დიდწილად მატერიალური კომპონენტების ან ჩანართების მიხედვით მსჯელობენ, ამიტომ ამ უკანასკნელთა მიმართ მნიშვნელოვანი ყურადღებაა საჭირო. კლიენტის სურვილების და თვისებების შესწავლა განსაკუთრებულ როლს თამაშობს მაღალი კონტაქტის მომსახურების სისტემებში. ამ შემთხვევაში ასევე მნიშვნელოვანია მომხმარებლის მოთხოვნილებებზე რეაგირების უნარიც. მომსახურების ობიექტების განლაგება მომსახურების ხარისხის სტრატეგიული საკითხია. ზოგიერთი ტიპის მომსახურების, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის ან სარესტორნო ბიზნესის დროს, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარამეტრია უსაფრთხოება. სერვისული კომპანიის შეთავაზება კლიენტის მიმართ და ხარისხთან დაკავშირებული აღთქმა დამაჯერებელი უნდა იყოს მომხმარებლისათვის. ამ დროს გამოიყენება სერვისული გარანტიები. მომსახურების ხარისხთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხია სერვის-კომპანიის დამოკიდებულება მომხმარებელთა საჩივრებისადმი. ხშირად ფირმები თავს არიდებენ საჩივრების განხილვას და ყოველნაირად ცდილობენ, ხელი შეუშალონ იმ კლიენტებს, რომელთაც მომსახურების ამა თუ იმ ასპექტის გაპროტესტება სურთ, ეს კი ცუდი პრაქტიკაა. სერვის-კომპანიებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მომხმარებლებს გაუადვილდეთ ფირმაში საჩივრის წარდგენა და სწრაფად უნდა მოახდინონ მათზე რეაგირება. გარდა იმისა, რომ ეს იმიჯის თვალსაზრისითაა კარგი, ამავე დროს, საჩივრები მომსახურების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციის ძვირფასი წყაროცაა.

ხარისხი ოპერაციული მენეჯმენტის კონტექსტში გარკვეულწილად კრებითი ცნებაა, რომლის სხვადასხვა ასპექტში განხილვაც შესაძლებელია და ეს დამოკიდებულია პროდუქციის წარმოების პროცესის სტადიაზე. ამ მხრივ I ეტაპზე განსახილველია პროდუქციის/მომსახურების პროექტის ხარისხი. ყოველ ნაკეთობას თუ მომსახურების პროცესს გააჩნია საკუთარი ნორმატივების, პარამეტრების, შეზღუდვების ნაკრები, რომელთა დაცვა პროექტირების პროცესში სავალდებულოა. იგი აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება პროექტი ტექნიკურ ნორმატივებს. ამ ასპექტს პროექტის ტექნიკური პირობებისადმი შესაბამისობის ხარისხი ეწოდება; II ეტაპზე ფასდება პროექტის რეალიზების ხარისხი. ანუ შესაძლებელია, რომ

პროექტი ტექნიკური პარამეტრების სრული დაცვით იყოს შემუშავებული, მაგრამ სათანადო დონეზე ვერ განხორციელდეს. III ეტაპზე კი საქმე გვაქვს ფუნქციურ ხარისხთან, ეს ასპექტი ასახავს მომხმარებლის კმაყოფილების დონეს. დასაშვებია ისეთი შემთხვევაც, როდესაც პროექტიც და მისი რეალიზების ხარისხიც მაღალია, მაგრამ მყიდველის მოლოდინი მაინც ვერ არის სათანადო დონეზე დაკმაყოფილებული. ამის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი მარკეტინგული ქმედებები, რის შედეგადაც ვერ იქნა ზუსტად აღწერილი მომხმარებელთა მოთხოვნები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი ხარისხი მიიღწევა მაშინ, როდესაც შესრულებულია სამივე მისი ასპექტი - პროექტის ტექნიკურ ნორმატივებთან შესაბამისობა, პროექტის რეალიზაციის დონე და მომხმარებლის კმაყოფილება.

ხარისხის მართვის უმთავრესი გამოწვევა სადღეისოდ არის მომხმარებლის ჩართვა პროდუქციის პროექტირების ან მასში ცვლილებების შეტანის პროცესში. ეს საკმაოდ პრობლემური პროცესია, რადგან რთულია მომხმარებლების სურვილების პროექტირების ტექნიკურ ენაზე სრულყოფილად აღწერა. დიდი მნიშვნელობა აქვს ხარისხის სტანდარტების წერილობით ჩამოყალიბებას თვით იმ მაკომპლექტებლების თუ ნედლეულის მიმართაც, რომელთაც ფირმა კი არ აწარმოებს, არამედ ყიდულობს. ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომების თანახმად, მისი უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია დარგობრივ ფასეულობათა ჯაჭვის ყველა რგოლი, ამიტომ მიმწოდებლებთან ურთიერთობებს საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება.

ხარისხის შეფასება აუცილებელია მომსახურების სფეროშიც. მაგალითად, სასტუმროში დამლაგებლის საქმიანობის ხარისხის შეფასება შესაძლებელია დალაგების პროცესის ცალკეულ ოპერაციებად (გასწორებულია თუ არა საწოლი; ადგილზეა თუ არა ყველა პირსახოცი, საპონი, საინფორმაციო მასალა; სუფთაა თუ არა ნაგვის ყუთი და ა.შ.) დაყოფით. დამლაგებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ ის შედარდება ტექნიკურ პირობებს, რომლებიც ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის დამოუკიდებლად განისაზღვრება. მაგალითად, ძვირადღირებული მომსახურების შემთხვევაში ნორმატივები იაფფასიან ანალოგიურ მომსახურებაზე უფრო მკაცრი იქნება.

დასკვნით ეტაპზე ხორციელდება გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც სტანდარტების და ხარისხის შეფასების შედეგებიდან გამომდინარეობს. თუ შესრულებული საქმიანობა უარესია სტანდარტებით დადგენილთან შედარებით, ადგილი აქვს სხვადასხვა ქმედებას: პერსონალის გადამზადებას, უფლებამოსილებების გადანაწილებას, საქმიანობის მეთოდების ცვლილებას, პერსონალის მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას, სტანდარტების ცვლილებას. წარმოების ხელმძღვანელები დიდად არიან დაინტერესებულნი პროდუქციის ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის მიღწევით, თუმცა ფირმის საბოლოო წარმატება დამოკიდებულია ფუნქციურ ხარისხზე ანუ მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

საწარმოს ხელმძღვანელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმ შედეგების გაცნობიერება, რომლებიც საკუთარი წარმოების მატერიალური პროდუქციის ან მომსახურების დაბალმა ხარისხმა შეიძლება გამოიწვიოს. მათგან ყველაზე ფაქტურია ორგანიზაციის გაკოტრება. ამგვარ შედეგამდე ის სხვადასხვა მოვლენას მიჰყავს, რომელთაგან აღსანიშნავია კლიენტთან ვაღდეულებების წარმოშობა,

იმიჯური დანაკარგები, მწარმოებლურობის შემცირება, დანახარჯების ზრდა და ფასების ვარდნა. ხარისხისადმი ყურადღების ნაკლებობა აუცილებლად განაპირობებს კომერციული ორგანიზაციის იმიჯის გაუარესებას, რაც ავტომატურად იწვევს ბაზრის წილის შემცირებას. ეს კი ხშირად რეკლამაზე გაწეული დანახარჯების ზრდასაც გადაწონის. დეფექტური პროდუქცია ასევე მყისიერად წარმოშობს კომპანიის ვალდებულებებს მომხმარებლის წინაშე, რაც დაკავშირებულია თვით საქონლის/მომსახურების ღირებულების და ხშირად მათ მიერ გამოწვეული სხვადასხვა სახის ზარალის ანაზღაურებასთან. მაგალითად, ხარვეზიანი ავტომობილი შეიძლება გახდეს ავტოავარიის მიზეზი და გამოიწვიოს ზარალი როგორც ავტომობილის აღდგენის თვალსაზრისით, ასევე სხვა დაზარალებული პირების თუ ქონების კომპენსაციის მხრივ. იგივე შეიძლება ითქვას მომსახურების შესახებაც. მაგალითად, თუ დალაქი სათანადოდ არ გაკრეჭს კლიენტს, იკარგება ამ მომსახურებისთვის გადახდილი ფასი და ცუდ შეკრეჭას თან ახლავს სხვადასხვა სახის დანაკარგებიც, მაგალითად, ნერვების, გარეგნობის მხრივ და ა.შ.

მატერიალური ნაკეთობის უხარისხობის შემთხვევაში ფირმის ვალდებულებები მეტია, ვიდრე ცუდი მომსახურების დროს. ერთი მხრივ, ეს გამოწვეულია მატერიალური ნაკეთობის მრავალჯერადი გამოყენებით, რაც შესაბამისად ზრდის ზარალის მაჩვენებლებს, ამავე დროს, ზოგიერთი ტიპის საქონელზე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგჯერ მათი მოხმარება შეიძლება არ მოხდეს დანიშნულებისამებრ. თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა იცნობს ფაქტებს, როდესაც ამ შემთხვევაშიც ზარალი მწარმოებლისთვის დაუკისრებიათ, ამიტომ ფირმები, როგორც წესი, ითვალისწინებენ საქონლის გამოყენების ყველა სავარაუდო შესაძლებლობას.

მწარმოებლურობა და ხარისხი ხშირად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროექტის და პროცესების ხარისხს. უხარისხო პროექტი ხშირად არაოპტიმალურ საწარმოო გადაწყვეტილებებს შეიცავს, რაც ამცირებს მწარმოებლურობას. თავის მხრივ, საწარმოო პროცესის მწარმოებლურობა შეიძლება გააუარესოს არასტანდარტულმა მასალებმა. მაგალითად, დეფექტური დეტალის შემთხვევაში მუშას მისი გადაკეთების ან ახლით შეცვლისთვის გარკვეული შრომითი დანახარჯების გაწევა მოუწევს. ხოლო ინსტრუმენტების და დანადგარების ცუდი ხარისხი პირდაპირი მიზეზია როგორც პროცესის, ასევე საბოლოო პროდუქციის უხარისხობისა, რითაც გამოშვებულ პროდუქციაში სასარგებლო წარმოების ხვედრითი წილი მცირდება. ცუდი ხარისხი ზრდის ზოგიერთ საწარმოო დანახარჯს. აქ შედის წუნთან, გადამუშავებასთან, საგარანტიო მომსახურებასთან, საქონლის შეცვლასთან, რემონტთან, ტრანსპორტირებასთან, ტესტირებასთან, სასამართლოსთან დაკავშირებული და სხვა სახის დანახარჯები. გარდა საწარმოო, ანუ პირდაპირი ხარჯებისა, გასათვალისწინებელია არაპირდაპირი დანახარჯებიც, რაც კონკურენტუნარიანობის და მომხმარებელთა ნაწილის დაკარგვით არის გამოწვეული. დაბალი ხარისხის შემთხვევაში ფირმას ხშირად უწევს, მიმართოს სხვადასხვა სახის ფასდაკლებებს, რის შედეგადაც ფასები ხშირად გაწეულ დანახარჯებსაც ვერ ანაზღაურებს და მხოლოდ ზარალის შემცირებისკენ არის მიმართული.

დასკვნა

ხარისხიანი პროდუქტით/მომსახურებით კომპანიებს შეუძლიათ ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა მოიპოვონ (უფრო დიდი წილი ბაზარზე, გაყიდვების ზრდა) და შეამცირონ ხარჯები (წარმოების/მომსახურების გაუმჯობესებული პროცესები განაპირობებს ეფექტურობას), რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის მოგებას. გამძაფრებულმა კონკურენციამ გამოიწვია ის, რომ აღარ არსებობს პროდუქტი ან მომსახურება, რომელსაც პირდაპირი თუ არაპირდაპირი კონკურენტი მაინც არ მოექცნება. უნიკალური ბიზნესიდეა უკვე ფასეულობას აღარ წარმოადგენს რადგან “ბორბალიც” რომ გამოიგონოთ მცირე ხანში აუცილებლად გაჩნდება ვიღაც ვინც თქვენს პროდუქტს დააკოპირებს და თქვენს ბაზრის წილს საფრთხეს შეუქმნის. მაგრამ ის, რისი გადაღებაც ძალიან რთულია, არის შენი მიდგომა, დამოკიდებულება, რომ მუდმივად ეძებო შესაძლებლობები, როგორ აკეთო უკეთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. ბერიძე, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011.
2. მარგალიტაძე ი., მენეჯერის უნარჩვევები, სტუ, თბილისი, 2009.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება, სტუ, თბ., 2007.
4. გამომცემლობა სინერჯი ჯგუფი, თბილისი, 2017.
5. Total Quality Management and Operational Excellence: Text with Cases 4th Edition, John s. oakland, University of ulster, 2014.

Nino Sebiskveradze

PRODUCTS AND SERVICES QUALITY INDICATORS IN ORGANIZATIONS OF GEORGIA

Summary

Quality is the basis for success of all companies; in this case it does not mean that only a derivative product should be of a good quality, it is important that the internal processes of the company and all the simple actions be of a high quality. Each employee must have an integrated vision that the quality work done by them will benefit not only company but also them personally. The quality company becomes more efficient, more flexible, which ultimately turns into its competitive advantage. Quality should be the culture of the company and one of the main goals, but the most important and at the same time the most difficult to take this to each employee. For the company to become fully oriented on quality it is important that every employee should believe in this and be quality oriented in everyday activities. The aggravation of competition has strengthened business attention to the quality problem and today there is a systemic approach that discusses the quality of the issue not only in the context of the particular enterprise. The difference opinion has been observed in relation with the term "quality", but today it can be said that there is some compromise in this regard and this term is related to the possibility of consumption of goods by consumers. Quality is the combination of the product characteristics, which determines its ability to satisfy customer's current or approximate requirements at the certain level.

Technologies and communication achievements have led countries to great rivalry and economic competitions, with new results achieved daily. In order to survive in the existing world

order, it will be possible to offer products and services that satisfy customer's needs and expectations in all sectors. This will be possible only by using the quality management system that starts from design and continues to sell products and services, and aims the continuous improvement. The quality management system helps us to constantly monitor and manage the quality in parallel to any operation and focuses on the ways through which we can achieve consistent performance and service.

*გიორგი სისვაძე
ქეთევან ურუშაძე
რეზო თედორაძე*

მატერიალური ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია საწარმოში

ანოტაცია. საწარმოების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის საჭიროა მატერიალური ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია. ამიტომ სტატიაში განხილულია მატერიალური ნაკადი, როგორც მოძრაობაში (გადაადგილებაში) მყოფი მატერიალური რესურსები, დაუმთავრებელი ნაწარმი და მზა პროდუქცია, რომელთა მიმართებით ხორციელდება დატვირთვის, გადმოტვირთვის, ტარაში მოქცევის, შეფუთვის, სორტირების, კონსოლიდაციის, დანაწილების, გაყიდვის და ა.შ. პროცესებში წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

საკვანძო სიტყვები: მატერიალური ნაკადები, მართვა, ოპტიმიზაცია.

შესავალი

ყველგან, სადაც ტვირთები უმნიშვნელოდ მოკლე მანძილზე უნდა გადაადგილდეს და იმოძრაოს, საჭიროა მატერიალური ნაკადის ტექნიკის გამოყენება. ისინი, არსებითად, წარმოადგენენ ტრანსპორტს საწარმოში შიგა მოხმარების საქონლის გადასატანად სხვადასხვა ადგილებში და საქონლის შემოტანა-გატანისათვის. მატერიალური ნაკადების ტექნიკა სრულად შეესაბამება სატრანსპორტო-, გადატვირთვის- და სასაწყობო პროცესებს. აქ იგულისხმება როგორც სატრანსპორტო-, გადატვირთვების-, საწყობის პროცესების ტექნოლოგიური და ეკონომიკური მოწყობა, ასევე მათი რეალიზაციისთვის აუცილებელი მანქანები და მოწყობილობები. მასობრივი წარმოება, ავტომატიზაცია, მზარდი ხელფასები და მძიმე ფიზიკური შრომის თავიდან არიდება იყო მამოძრავებელი ძალა ბოლო ათწლეულში მატერიალური ნაკადების ტექნიკის სწრაფი განვითარებისთვის. გადაზიდვის პროცესების ავტომატიზაციით და მატერიალური ნაკადების ტექნიკის სისტემური დაგეგმვით დიდი დანახოების მიღწევისათვის ცოდნას მიყვავართ ახალი განვითარებისაკენ. მატერიალური ნაკადების სისტემურმა დაგეგმვამ, სატრანსპორტო ამოცანების ოპტიმიზაციისათვის მოდელირების ტექნიკამ, კომპიუტერით მართულმა მატერიალური ნაკადების სისტემებმა, ლოგისტიკის გამოყენებამ, გადაზიდვების და საწყობის ტექნიკის მჭიდრო კავშირმა მოიტანა მნიშვნელოვანი რაციონალიზაციის ეფექტი.

* * *

დღეს მხოლოდ განუწყვეტელი განვითარების შემთხვევაში შეიძლება იქნეს მიღწეული საუკეთესო შედეგები საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ წარმატებისკენ სწრაფვის სურვილი, სჭირდებათ, მიყენენ თანამედროვე ბიზნესში მიმდინარე მუდმივ ცვლილებებს. ყველაფერი იცვლება - ბაზრის კონსტრუქტურა, მოთხოვნა, წინადადება, ტექნოლოგია. მზარდი კონკურენცია არ აძლევს მოდუნების საშუალებას ლიდერებსაც კი. კონკურენტებს რომ გაუსწრო საკმარისი არ არის მინიმალური ფასი. საჭიროა კომპანიამ შეძლოს ზუსტად და დროულად შეასრულოს კლიენტის მოთხოვნები და ამავე დროს, შეამციროს წარმოების ხარჯები და პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდების ხარჯები. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში ბევრი კომპანია მონაწილეობს ერთნაირი პროდუქციის წარმოებაში, მაშინ ამ ამოცანის სირთულე ნათელი ხდება. ამ საკითხის გამარტივებად მიიჩნევა ლოგისტიკის მენეჯმენტის ბიზნესის პრაქტიკაში დანერგვა.

ლოგისტიკური პროცესების მართვა – ეს არის სფერო, რომელიც წარმოადგენს უმეტესად წარმატებული კომპანიების კონკურენტული უპირატესობების ფორმირების ძირითად წყაროს. კონკურენციის ზრდასთან ერთად მომხმარებელთა მოთხოვნები უფრო იზრდება, უფრო მეტი საწარმო ეძებს ლოგისტიკური მომსახურების გასაუმჯობესებელ ინსტრუმენტებს. ლოგისტიკური ოპერაციების ოპტიმიზაცია, წარმოების და ფინანსური ციკლის შემცირება, წარმოების მომსახურების მოცულობის გაზრდა, მარაგების მართვა და ხარჯების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა - ეს არის ის ამოცანები, რომლის წინაშეც აყენებს საბაზრო ეკონომიკა წარმატებული კომპანიის მენეჯერებს.

ამ პრობლემის გადაჭრა ინტეგრირებული მართვის სფეროშია, ლოგისტიკური პროცესები მრავალი ბიზნესსაწარმოს ურთიერთქმედებაა, რომლის ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.


ეკონომიკური საქმიანობის ყველა სუბიექტი ურთიერთქმედებისას წარმოადგენს ერთ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თითოეული საწარმოს წარმოების ფაქტორები მოქმედებს ერთმანეთთან და უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვებას (ანუ საქონელი და მომსახურება).

როგორც ნაჩვენებია ფიგურაში 1.1 კაპიტალის ბრუნვის პირველ ეტაპზე დგას ავანსირებული ფულადი კაპიტალი (АДК), გადადის შექმნილი მატერიალური რესურსების (MP) საფასურში (მასალები და მასთან თანასწორი რესურსები, მაგალითად, ენერჯია), შრომითი რესურსები (TP - ხელფასი და გადასახადები) და შრომითი საშუალებები (CT - წარმოების პროცესში ამორტიზებული ჩამონაწერები შენობა, ჩარხები, დანადგარები და სხვა).

$$АДК = MP + TP + CT$$

შესაბამისად, კომპანიის კაპიტალის ბრუნვის საწყისი პერიოდის მიმოქცევაში ხორციელდება ფულის კაპიტალის წარმოების სუბიექტური პროდუქციის ტრანსფორმაცია მატერიალურ ელემენტად (მატერიალურ და შედარებულ რესურსებზე - შრომის, ახალი შენობების, დანადგარების, აღჭურვილობის, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების - შრომის საშუალებად). საწარმოს მთელი კაპიტალის მიმოქცე-

ვის საბოლოო პერიოდში საწარმოს წარმოების ქვესისტემებში მზა პროდუქციის გათავისუფლების შემდეგ, მატერიალური ნაკადი გარდაიქმნება ბაზრის განხორციელების პროცესში მარკეტინგის ქვესისტემის ქვედანაყოფები ფინანსურ ნაკადში, რომელიც შედგება პირველადი მოწინავე კაპიტალითა და დამატებითი ღირებულებით, რომლის სტრუქტურაში, კომპანიის წარმოებისა და მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურობის მიხედვით, იქმნება მოგების გარკვეული დონე.



ნახ. 1. საწარმოს კაპიტალის ბრუნვა

ამ გზით ნებისმიერი საწარმო ფუნქციონირებს შეზღუდული რესურსების პირობებში განსაზღვრული ავანსირებული ფულადი კაპიტალის ოდენობით და მიზნად ისახავს საბოლოო ჯამში მოგების მიღებას.

შედგებად, ყველა მოქმედმა საწარმომ უნდა გაითვალისწინოს ეს ძირითადი ეკონომიკური პირობები და იმოქმედოს მის შესაბამისად ისე, რომ:

1. მაქსიმალურად გაზარდოს მათი შედეგები (წარმოების რესურსების განსაზღვრული მოცულობის პირობებში შეეცადონ დიდი რაოდენობის პროდუქციის გამოშვება);
2. განსაზღვრული მოცულობის პროდუქციის გამოშვებისას წარმოების რესურსების ხარჯების მინიმიზაცია;
3. ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით;
4. შედეგების ოპტიმიზაცია (ანუ ხარჯები და შედეგები უნდა იყოს გარკვეულ ოპტიმალურ თანხვედრაში საწარმოს მიზნების მისაღწევად);
5. საწარმოს მოგების მაქსიმალურად გაზრდა.

გარდა ამისა, ნებისმიერი საწარმო უნდა იყოს ფინანსური წონასწორობის მდგომარეობაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროულად შეასრულოს ბიუჯეტის მიმართ აღებული ვალდებულებები მომსახურე პერსონალის და მატერიალური რესურსების მომწოდებლების მიმართ. საბაზრო პირობებში, საწარმო (ფირმა) ძირითადად ავტონომიურად განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნას, აკავშირებს რესურსებს ბაზრის მოთხოვნებთან, ყიდის თავის პროდუქციას საბაზრო ფასებში. ფაქტორებად, რომლებიც გავლენას ახდენს ლოგისტიკური სისტემების ინტენსიურ განვითარებაზე, შეიძლება მივიჩნიოთ: გლობალური მიწოდების ჯაჭვების ჩამოყალიბება, პროდუქციის არსებობის ციკლის მკვეთრი შემცირება, ტრადიციული წარმოების რეორგანიზაცია, საქონლის კონსტრუქციული გართულება და მათი მრავალფეროვნების სწრაფი გაფართოება, საქონლის მიწოდების ახალი ლოგისტიკური ტექნოლოგიების დანერგვა, საინფორმაციო სისტემებისა და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, რათა უზრუნველყოს ლოგისტიკის მართვა რეალურ დროში, კომპანიების სურვილი, შეამცირონ

საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საერთო ღირებულება და დროის ხარჯები და ა.შ.

ამ ფაქტორების გათვალისწინებამ მრავალი კომპანიისგან მოითხოვა ახალ მარკეტინგულ პირობებში მუშაობა და განაპირობა „ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძვლების და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის“ ცალკე დისციპლინებად გამოყოფის აუცილებლობა, რაც შესაძლებლობას იძლევა საბაზრო ეკონომიკაში ლოგისტიკური სისტემების განვითარების გამოცდილების შესწავლისა და ახალი მენეჯმენტის ტექნოლოგიების დანერგვას ბიზნესის პრაქტიკაში, ეფექტურად მართოს ლოგისტიკური პროცესები ინდიკატორების სისტემის სრულფასოვანი ანალიზისა და მიწოდების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე, საწარმოს წარმოება და მარკეტინგული საქმიანობა. ეფექტური ლოგისტიკური სისტემის შექმნა საწარმოებს საშუალებას აძლევს, გადაწყვიტონ რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები:

- სინქრონიზაცია წარმოების მოცულობის ლოგისტიკური ოპერაციების მოცულობასთან: დასაწყობება, ტვირთდამუშავება და ტრანსპორტირება.
- დანაკარგების და დაზიანების შემცირება ლოგისტიკური რისკებისგან.
- მიწოდების ჯაჭვში თანამშრომლობის შესაბამისი დონის ჩამოყალიბება.
- ლოგისტიკის საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების და ინფორმაციის ნაკადების გამარტივება.

ლოგისტიკის ეკონომიკის გამორჩეული თვისება არ არის მხოლოდ საწარმოს მიმართ მისი ორიენტაცია (რომელიც ასახავს მხოლოდ კორპორატიული სეგმენტების მომსახურებას, არა მხოლოდ საბაზრო სეგმენტს, არამედ ტერიტორიებს, რეგიონებს და მთლიანად ქვეყანებს). ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობა ხშირად ეროვნული წარმატების მთავარი ფაქტორია. თუმცა, ეს განცხადება არ გამორიცხავს საწარმოების ლოგისტიკის ეკონომიკის მნიშვნელობას (განსაკუთრებით საშუალო და მცირე) პატარა ციკლური (დროში) ნაკადები ფართო ნომენკლატურის ტვირთების. ამ შემთხვევაში სამუშაოების რაციონალიზაცია (სატრანსპორტო, საექსპედიტორო გადატანა, შენახვა, დატვირთვა და გადმოტვირთვა და ა.შ.) მიღწეულია მაღალი ორგანიზებული ლოგისტიკის სერვისით ხარჯებისა და ხარისხის ოპტიმიზაციის საფუძველზე.

ამდენად, ლოგისტიკის ეკონომიკა სწავლობს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომლებიც წარმოიქმნება ლოგისტიკის ეკონომიკურ სივრცეში.

ამ შემთხვევაში ეკონომიკური სივრცის გაგება ხდება, როგორც გაჯერებული ტერიტორია, მასპინძელი ობიექტები და მათ შორის კავშირები. მის ობიექტებს შორისაა ინდუსტრიის, ვაჭრობისა და მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, სატელეკომუნიკაციო სისტემები და ა.შ., რომლებიც ურთიერთქმედებენ ეკონომიკის სივრცითი (ტერიტორიული) სტრუქტურისა და სივრცითი (ტერიტორიული) ორგანიზაციის ეკონომიკური ერთეულის შესაბამისად და გაერთიანებულია მატერიალური და თანმხლები ინფორმაციის, ფინანსური და მომსახურების ნაკადებით.

ლოგისტიკის ეკონომიკური სივრცე ლოგისტიკური სისტემის კონცეფციასთან არის დაკავშირებული, რომელიც კავშირშია მიწოდების ჯაჭვში არსებული ლოგისტიკური საქმიანობის ეფექტური ინტეგრაციის იდეასთან. ამ სივრცის ხარისხი განისაზღვრება ისეთი მახასიათებლებით, როგორებიცაა სიმჭიდროვე

(მთლიანი პროდუქტი, რესურსები, ფიქსირებული კაპიტალი, ერთეული, სივრცის ფართობი) და დაკავშირებულობა (ამ სივრცის ნაწილები და ელემენტებს შორის ეკონომიკური კავშირების ინტენსივობა, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და სხვა სახის მოძრაობის პირობები, ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ქსელების განვითარება).

ლოგისტიკის ეკონომიკური სივრცის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ეკონომიკური მანძილის არსებობა, რომელიც განსხვავდება ფიზიკური მანძილისგან (**გამოსატულია კმ**), განისაზღვრება ძირითადად სატრანსპორტო და სატრანზიტო ხარჯებით (მათ შორის, ფიზიკური დისტანციების დაძლევით).


ლოგისტიკური სისტემების ეკონომიკურ სივრცეს შეუძლია მოიცვას ეკონომიკური ორგანიზაციის სხვადასხვა სახეობები და სივრცითი სტრუქტურების ტიპები. ლოგისტიკის ეკონომიკური სივრცის არსებობისათვის საჭირო ნიშნები და პირობებია: ზოგადი ეკონომიკური კანონმდებლობა, მონეტარული სისტემის ერთიანობა, საბაჟო ტერიტორიის ერთიანობა და ხარისხიანი ინფრასტრუქტურული სისტემების ხელმისაწვდომობა (ტრანსპორტი, კომუნიკაციები და ა.შ.). ლოგისტიკის ეკონომიკური სივრცე ქვეყნის ეკონომიკური სივრცის განუყოფელი ნაწილია, რომლის ერთიანობა უზრუნველყოფილია კონსტიტუციით, სადაც დაფიქსირებულია შემდეგი პირობები:

- ეკონომიკური სივრცის გარანტირებული ერთობა, საქონლის თავისუფალი გადაადგილება, მომსახურება და ფინანსური რესურსები, კონკურენციის დაცვა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, რომელიც არ არის აკრძალული კანონით;

- შიდა საბაჟო საზღვრების, მოვალეობების, საფასურის და სხვა სახის დაბრკოლებების შექმნის პრევენცია საქონლის, მომსახურების და ფინანსური რესურსების თავისუფალი გადაადგილებისათვის;

ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძველი ემყარება სამკუთხედის სისტემას: მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა და რეგიონული (სივრცითი) ეკონომიკა.

ამდენად, ლოგისტიკის ეკონომიკურ მახასიათებლებს შეიძლება მოიცავდეს



ნახ. 2. ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძველების ფორმირების წყაროები (როგორც დისციპლინები)

ლოგისტიკა არის გაცვლითი პროცესების კომპონენტი, აუცილებელია და ეკონომიკურად გამართლებულია მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში, სადაც საქონელბრუნვამ ბაზარზე ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია;

ლოგისტიკის საფუძვლებისა და მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტის ეკონომიკურ საგნებს ემსახურება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება ლოგისტიკის ეკონომიკურ სივრცეში, ურთიერთქმედების უზრუნველყოფა ეკონომიკის სტრუქტურისა და ეკონომიკური სუბიექტების სივრცითი ორგანიზაციის შესაბამისად;

ლოგისტიკის ეკონომიკის ინტერდისციპლინური ხასიათი ითვალისწინებს ეკონომიკური თეორიისა და მისი სპეციალური განცხადებების ზოგად დებულებებს, აგრეთვე მაკრო, მიკრო და რეგიონული ეკონომიკის დებულებების ერთობლივ ანალიზს;

ლოგისტიკური სისტემების ეკონომიკურ მახასიათებლებს სჭირდება არა მარტო მიწოდების ჯაჭვების ელემენტებისა და კავშირების კერძო ეკონომიკური ეფექტის ანგარიში, არამედ მათი ურთიერთქმედების სინერგიული ეფექტის გათვალისწინება (ლოგისტიკური სისტემების მართვის სუბიექტების ადგილობრივი შეფასებებისგან ინტეგრირებულ ინდიკატორებამდე);

ინტენსიური კონკურენციის პირობებში ლოგისტიკური სისტემების ადაპტაციის ეკონომიკური მექანიზმები, ხარჯების მინიმუმამდე შემცირებასთან ერთად, ორიენტირებულია ბაზრის სტრატეგიის ფარგლებში ფიქსირებული და საბრუნავი კაპიტალის ხარჯების ოპტიმალური კომბინაციისკენ;

ლოგისტიკის ეკონომიკური ბაზები ეფუძნება მიწოდების ჯაჭვის მთლიანი ხარჯების კონტროლის სხვადასხვა მახასიათებლებს - შესყიდვებიდან რეალიზაციამდე მოთხოვნის დინამიკიდან გამომდინარე და სხვა. ეკონომიკური პროცესების დინამიური ასპექტი ლოგისტიკის უპირატესობაა;

ლოგისტიკის ეკონომიკური სივრცის საფუძველი, რომელიც მოიცავს ორგანიზაციისა და სივრცითი სტრუქტურების ტიპების სხვადასხვა ფორმებს, წარმოადგენს სატრანსპორტო და სატრანზიტო ხარჯებით განსაზღვრულ ეკონომიკურ მანძილს და არა მხოლოდ სასაწყობო ხარჯებით, მარაგების შექმნისა და დისლოკაციის ხარჯებით და ა.შ. განსაზღვრულს. ლოგისტიკაში ფასის ფორმირება ასევე ეფუძნება ლოგისტიკური სისტემების სივრცულ მახასიათებლებს;

ლოგისტიკური სივრცის ეკონომიკური ხარისხი განისაზღვრება სიმჭიდროვით და კავშირით (ამ სივრცის ნაწილებს შორის ეკონომიკური კავშირების ინტენსივობით და საქონლის, მომსახურების, კაპიტალის მობილობის პირობებით);

ლოგისტიკური სისტემების ეკონომიკური მახასიათებლები დამოკიდებულია ეკონომიკურ ინოვაციებზე მის ელემენტებში და მათ ურთიერთკავშირში დიფუზიის თეორიის და რეგიონული ცხოვრების ციკლის შესაბამისად, ისევე როგორც ეკონომიკის ზრდისა და ღერძების განვითარების თეორია;

ლოგისტიკის ეკონომიკა - როგორც ახალი ეკონომიკის კომპონენტი, რომელიც მიმართულია მომსახურების დონის ამაღლებაზე - ითვალისწინებს საბაზრო ტრანსაქციების ხარჯებს და ამით იღებს საკომუნიკაციო ეკონომიკის თვისებებს;


ლოგისტიკის ეკონომიკის თითოეულ განხრას აქვს თავისი სპეციფიკა, რომელიც განსაზღვრავრულია ლოგისტიკური სისტემების მახასიათებლებით (სივრცული და საკომუნიკაციო კომპონენტებით), სინერგიული ეფექტით (როგორც ინტეგრირებული

ციის შედეგით), გლობალიზაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების გავლენით.

იმისათვის, რომ ლოგისტიკაში ეკონომიკური გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს და შეესაბამებოდეს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, აუცილებელია ლოგისტიკური სისტემების რესურსების მიწოდების თავისებურებების შესწავლა და ეკონომიკური მექანიზმების გავლენის შესაძლებლობა მომარაგების, წარმოებისა და მომსახურების ეფექტურობაზე.

მატერიალური ნაკადების სისტემის მახასიათებლების აღწერა

<p>მახასიათებლების სიდიდეები მაგ. საწარმოს საშუალებების რაოდენობა, სიმძლავრე</p>	<p>საექსპლუატაციო მახასიათებლების სიდიდეები მაგ., გამტარუნარიანობა, ნაკადების სიდიდეები, დალოდების დრო</p>
--	--




ტექნიკური ზღვრული სიდიდე: $S_{grenz} = Q_{ზღვრული}$
 საშუალო სიმძლავრის გამოყენება: $h = Q/S_{ზღვრული}$
 საშუალო პიკური ფაქტორი: $y = S_{მაქ}/Q$
 საშუალო სარეზერვო სიმძლავრე: $= 1-h$

$$Q \cdot T = \int_{t_0}^t S dt = M(T)$$

ნახ. 3. დამოკიდებულება ნაკადის სიდიდესა და გამტარუნარიანობას შორის

$$t_i = \frac{s_i}{v_v} + \frac{1}{2} (t_a + t_b)$$


($S_i > S_{ზღვრული}$)



t_i = მოძრაობის დრო
 s_i = გავლილი გზა
 v_v = დამყარებული სიჩქარე
 t_a = აჩქარებული დრო
 t_b = შეეოვნების დრო
 t_v = ინერციის დრო

$$t_i = \sqrt{\frac{2 s_i}{v_v} * (t_a + t_b)}$$

($S_i < S_{ზღვრული}$)




t_i = დაძვრის დრო
 s_i = უკუგზა
 v_i = მისაღწევის სიჩქარე
 v_v = სრული სიჩქარე
 t_{ai} = აჩქარება
 t_{bi} = დამუხრუჭება

ნახ. 4. დამოკიდებულება ნაკადის სიჩქარესა და დროს შორის

მანასიათებლების სიდიდები: იატაკზე (ნიადაგზე) განლაგებული საწყოები BGR-ის მიხედვით შტაპლერების სიმაღლის შესაბამისად სტაბილურობის გაანგარიშება:

სტაბილურობის მომენტი, აყირაგების მომენტი, საწყოების მოწობილობის სივანე და საწყოების მოწობილობის რაოდენობა.

მატერიალური ნაკადის არსებობის ფორმაა კონკრეტული სახეობის პროდუქციის მოძრაობა შესყიდვების, წარმოების და გასაღების (გაყიდვის) პროცესში. ამიტომ მატერიალური ნაკადი განისაზღვრება, როგორც მოძრაობაში (გადაადგილებაში) მყოფი მატერიალური რესურსები, დაუმთავრებელი ნაწარმი და მზა პროდუქცია, რომელთა მიმართებით ხორციელდება დატვირთვის, გადმოტვირთვის, ტარაში მოქცევის, შეფუთვის, სორტირების, კონსოლიდაციის, დანაწილების, გაყიდვის და ა.შ. ლოგისტიკური მოქმედებები.



სურ. 1 ლოგისტიკის ქსელის (მიწოდების ჯაჭვი)

საწარმოო ლოგისტიკის მიზანია ადამიანის, ტექნიკის, მართვის და ინფორმაციის ოპტიმალური ურთიერთქმედების მიღწევა. მათი ამოცანაა მასალის, საქონლის და პროდუქციის ნაკადის, ასევე მათთან დაკავშირებული საინფორმაციო ნაკადის ეკონომიკური დაგეგმვა, ჩამოყალიბება, მართვა და კონტროლი მიმწოდებლიდან საწარმოში, შიგ საწარმოში და საწარმოდან კლიენტამდე.

აქედან გამომდინარეობს საწარმოს ლოგისტიკის ამოცანების ჰორიზონტალური განაწილება საწარმოში (სურ 1).

შესყიდვების ლოგისტიკაში/წარმოების ლოგისტიკაში/სადისტრიბუციო ლოგისტიკაში/მომსახურებაში (სერვისკომპანიებში)

სავაჭრო საწარმო ფლობს შესყიდვებს და სადისტრიბუციო ლოგისტიკას, მომსახურების სფეროში (პრაქტიკაში), როგორც წესი, - მხოლოდ სადისტრიბუციო ლოგისტიკას. მაგრამ საწარმოს ლოგისტიკას აქვს ასევე ვერტიკალური (განივი) ფუნქცია, რომელიც შეიძლება დაყოფილი იყოს ადმინისტრაციულ (მარეგულირებელ), დისპოზიტიურ და ოპტიმალურ, ასევე, ტექნიკის, ინფორმატიკის და საწარმოს ეკონომიკის სფეროებთან დაკავშირებულ დონეებად.

ინტრალოგისტიკა - აღნიშნავს შიდა საწარმოო მატერიალურ ნაკადს რაიმე სისტემაში. მაგ., საწარმოს საინფორმაციო ნაკადი, რომელიც გამიზნულია შიდა საწარმოო ლოგისტიკის გაუმჯობესებაზე, მწარმოებლობის გაზრდაზე და ასევე ხარჯების შემცირებაზე. ინტრალოგისტიკა დასაქმებულია ცალკეობითი ტვირთით, ფხვიერი (ნაყარი) ტვირთით და სითხეებით და აღწერს ტექნიკური და ინფორმაციული ფაქტორების ურთიერთქმედებას როგორცაა მაგ., საწყობი, კომისიონირება, ტრანსპორტი, შეფუთვა, გადატვირთვა და მართვა. ინტრალოგისტიკა წარმოადგენს ზღვარს ექსტრემალური ლოგისტიკისკენ.

გადაზიდვების – ანუ ტრანსპორტის ამოცანებს განაპირობებს ტექნოლოგიური და ეკონომიკური მოთხოვნები და განსაზღვრავს ტვირთის ქრონოლოგიურ, სივრცით და ადგილმდებარეობის ცვლილებებს. ტვირთის ადგილმდებარეობის ცვლილებებს გადასაზიდი მექანიზმები ახორციელებენ. მონაცემები გადასაზიდი ტვირთის, ტვირთის სასურველი რაოდენობის, გზის სახეობის და სიგრძის სტრუქტურული და სივრცითი მდგომარეობის, დამზადების და საწარმოო ხარჯების შესახებ არის ამოცანის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოგისტიკური პროცესების მართვა - ეს არის სფერო, რომელიც წარმოადგენს უმეტესად წარმატებული კომპანიების კონკურენტული უპირატესობების ფორმირების ძირითად წყაროს. კონკურენციის ზრდასთან ერთად მომხმარებელთა მოთხოვნები უფრო იზრდება, უფრო მეტი საწარმო ეძებს ინსტრუმენტებს ლოგისტიკური მომსახურების გასაუმჯობესებლად. ლოგისტიკური ოპერაციების ოპტიმიზაცია, წარმოების და ფინანსური ციკლის შემცირება, წარმოების მომსახურების მოცულობის გაზრდა, მარაგების მართვა და ხარჯების მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა - ეს არის ის ამოცანები, რომლის წინაშეც აყენებს წარმატებული კომპანიის მენეჯერებს საბაზრო ეკონომიკა. ამ პრობლემის გადაჭრა მატერიალური ნაკადების მართვის ოპტიმიზაციასა და ინტეგრირებული მართვის სფეროშია, ლოგისტიკური პროცესები მრავალი ბიზნესსაწარმოს ურთიერთქმედებაა, რომლის ეფექტურობის შეფასება შესაძლებელია ლოგისტიკის ეკონომიკური საფუძვლების ცოდნის გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. „Экономические основы логистики и управления цепями поставок“, проф. В.М. Свистунов, 2010, Москва
2. „Логистика и управление цепями поставок“ проф Б.С. Борисович, 2010,

*Giorgi Sisvadze
Ketevan Urushadze
Rezo Tedoradze*

OPTIMIZATION OF MANAGEMENT OF MATERIAL FLOW IN THE ENTERPRISE

Summary

Optimization of management of material flow is required for the perfect functioning of enterprises. Therefore, in this article "Optimization of management of material flow in the Enterprise" is considered material flow as material resources in motion (movement), incompleting products and prepared products in connection with problems and ways to solve them arising in loading, unloading, placing in the tare, packaging, sorting, consolidation, splitting, selling and other processes.

This area is the main source of formation of competitive advantages of most successful companies. With the growth of the competition is increasing customer demand and more enterprises are looking for tools to improve logistical services: Optimization of logistical operations, reduction of production and financial cycle, Increase the volume of production services, management of inventory and Introduce modern methods of cost management.

The main topic of discussion in this article - "Optimization of management of material flow in the Enterprise" is the production logistics of which aim is to achieve optimal interaction between human, techniques, management and information. Their task is the economic planning, flow, management and control of the flow of material, goods and products, as well as the flow of information from the supplier to the enterprise, in the enterprise and from the enterprise to the client.

*გოდერძი ტყეშელაშვილი
ნათია ასლამაზაშვილი*

ინვესტიციების მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ანოტაცია. ინვესტიციები თანამედროვე ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, მსოფლიო ეკონომიკის განვითარება წარმოუდგენელია ინვესტირების გარეშე. მისი წყაროა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ინვესტიციები. ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან, ხასიათდებიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი ექსპორტის დიდი მოცულობებით. ითვლება, რომ უცხოური ინვესტიციების მოცულობები პროპორციულად აისახება სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებულობაზე.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესი არადაამაკმაყოფილებელია, მის გასააქტიურებლად უპირველესად მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატრეპაა საჭირო, რაც გამოიხატება შემდეგ მიმართულებებში: საბაზრო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე; საგადასახადო გარემო, მისი

ლიბერალურობა და სიმარტივე; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სტაბილურობა.

აღნიშნული მიმართულებები უნდა გახდეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გენერალური ხაზი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი ტემპების მიღწევა შეუძლებელია.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, ინვესტიცია, უცხოური ინვესტიცია, ბირჟა, მაკროეკონომიკური ფაქტორები.

შესავალი

ინვესტიცია წარმოადგენს ნებისმიერი სახელმწიფოს მაკროეკონომიკური განვითარების აუცილებელ ატრიბუტს. “ინვესტიციის” შინაარსში ესმით, როგორც “ნებისმიერი სახის კაპიტალის განთავსება ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში სამომავლოდ მოგების (სარგებლის) მიღების მიზნით”¹, ან “ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობათა განთავსება სამეწარმეო და სხვა ეკონომიკის სფეროებში მოგების ან სხვა ეფექტის მიღების მიზნით”², ანდა „კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით“³. მიუხედავად იმისა, რომ აქ მოყვანილი ენციკლოპედიური განმარტებები ერთმანეთს სრულად არ ემთხვევა, მით უმეტეს მეტი აცდენებია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, შინაარსობრივად ისინი მაინც ხასიათდებიან საერთო ნიშნებით, ანუ იგულისხმება, რომ ინვესტიცია – ეს არის რაიმე სახით წარმოდგენილი კაპიტალი, რომლის ასახვაც შესაძლებელია ფულადი ფორმით და განკუთვნილია დასაბანდებლად მომავალში ეფექტის (მოგების) მისაღებად. აქედან გამომდინარე, რამდენადაც ინვესტიციის განხორციელება და მოსალოდნელი შედეგობრივი სიდიდეები დროში ერთმანეთს არ ემთხვევა და შედეგის დადგომა ზოგჯერ რამდენიმე წლით განისაზღვრება, ინვესტირების პროცესი გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული და ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ შედეგის ფაქტობრივი სიდიდე განსხვავებული იქნება თეორიულად გაანგარიშებულისაგან.

* * *

ინვესტიცია გამოიყენება არაფინანსურ აქტივებში კაპიტალის გაზრდის ან ახალი კაპიტალის ფორმირებისათვის. ითვლება, რომ რაც უფრო მეტია ინვესტიციების მოცულობა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში, მით უფრო მიმზიდველია ამ ქვეყნის სამეწარმეო გარემო. საქართველო ამ მხრივ ბოლო პერიოდისათვის მზარდი დინამიკით ხასიათდება, რასაც ადასტურებს ქვემოთ მოყვანილი ოფიციალური სტატისტიკაც (იხ. ცხრილი 1).

¹ ინგლისურენოვანი ვიკიპედია. <https://en.wikipedia.org/wiki/Investment>. გადამოწმებულია. 28.10.2017.

² რუსულენოვანი ვიკიპედია.

<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BD%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8>. გადამოწმებულია 28.10.2017

³ ქართულენოვანი ვიკიპედია.

<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>. გადამოწმებულია 28.10.2017

**ინვესტიციები ძირითად კაპიტალში
ინსტიტუციური სექტორების მიხედვით⁴, მლნ ლარი**


დასახელება	2011	2012	2013	2014	2015
არაფინანსური კორპორაციების სექტორი	3 275.8	4 107.1	3 657.2	4 981.8	5 985.9
ფინანსური კორპორაციების სექტორი	112.7	144.5	132.7	154.3	162.6
სახელმწიფოს მართვის სექტორი	1 298.0	1 219.0	1 014.9	1 082.3	1 479.0
შინამეურნეობების სექტორი	763.9	1 001.2	1 062.1	1 289.4	1 376.6
შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების სექტორი	23.9	24.9	25.9	26.9	27.9
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში – სულ	5 474.3	6 496.8	5 892.7	7 534.7	9 032.0

2011 წ-დან 2015 წ-მდე საქართველოს ძირითად კაპიტალში ინვესტიციების საერთო მოცულობა 65 %-ით გაიზარდა და ცხრა მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, თუმცა ეს ციფრი მაინც ძალიან მცირეა. შედარებისათვის სინგაპურის მოსახლეობა 5.6 მლნ კაცია, ხოლო მხოლოდ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 2015 წ-ს შეადგინა 62.5 მლრდ \$. თუ საკუთარ ინვესტიციებსაც გავითვალისწინებთ, ეს ციფრი გაცილებით მაღალი იქნება, თუმცა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს იგი 50-ჯერ აჭარბებს⁵.

მსოფლიოს სახელმწიფოები ერთდროულად გვევლინებიან ინვესტიციების გამტან და შემომტან ქვეყნებად. 2015 წ-სთვის უცხოური ინვესტიციების შემოდინება ცალკეულ სახელმწიფოების მიხედვით ასახულია პირველ ნახაზში, ხოლო ინვესტიციების გატანა – მეორეში.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2016. თბ., 2017. გვ. 176.


⁵ იხ. Ведущий корпоративный портал оффшорной индустрии на русском языке. საიტი: <https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/>. გადამოწმებულია 20.10.2017



**ნახაზი 1. ინვესტიციების შემოტანა
ზოგიერთ სახელმწიფოში. მლრდ \$⁶**

აშშ, წარმოადგენს რა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, გამორჩეულია ინვესტიციების მოზიდვითა და გატანით. მოყვანილი მონაცემების მიხედვით, ამ სახელმწიფომ 2015 წ-ს უცხოეთიდან მოიზიდა 380 მლრდ \$, ხოლო სხვა ქვეყნებში გაიტანა – 300 მლრდ \$. ინვესტიციების მოზიდვით მეორე ადგილზეა ჩინეთი 175 მლრდ \$, ინვესტიციების გატანის მხრივ – მესამე ადგილზე (175 მლრდ \$). აღნიშნულ ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს, რამდენადაც ინვესტიციების მოცულობა ისედაც დაბალია, მით უფრო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. მონაცემები ასახულია მე-2 ცხრილში.

⁶ Конференция Организации Объединенных Наций по торговле и развитию. Доклад о мировых инвестициях. 2016. p., 5. saiti: file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf.



ნახაზი 2. ინვესტიციების გატანა ზოგიერთი სახელმწიფოდან. მლრდ \$

ცხრილი 2

უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (ათასი ლარი)⁷

წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	449.8	89.4	105.9	75.6	178.9
2006	1 190.4	146.0	306.9	280.7	456.7
2007	2 014.8	421.4	401.5	489.1	702.9
2008	1 564.0	537.7	605.4	134.7	286.2
2009	658.4	114.0	177.2	173.2	194.0
2010	814.5	166.5	208.3	225.6	214.1
2011	1 117.2	209.7	248.3	316.6	342.6
2012	911.6	261.2	217.7	199.0	233.7
2013	941.9	252.3	207.9	254.8	226.9
2014	1 758.4	309.5	196.2	726.0	526.7
2015	1 564.5	291.5	462.7	483.2	327.1
2016	1565.9	390.1	404.3	501.3	270.2
2017*	751.0	404.4	346.6		

უცხოური ინვესტიციები ბოლო პერიოდში 2014 წ-ს იყო ყველაზე მაღალი – 1,7 მლრდ ლარი, რაც მაშინდელი ლარის კურსის გათვალისწინებით დაახლოებით

⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. იხ. საიტი: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017.

0.7 მლრდ \$. თუ შევადარებთ ზემოთ მოყვანილ სახელმწიფოთა მონაცემებს, სხვაობა ძალიან დიდია და ინვესტიციების მოზიდვის არახელსაყრელ პროცესზე მიუთითებს.

ინვესტიციების ზრდის მიმართულებით აუცილებელია ქვეყანაში ბიზნესის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ფაქტორების გაუმჯობესება, რომლებიც შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს. ესენია: საბაზრო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების დონე; საგადასახადო გარემო, მისი ლიბერალურობა და სიმარტივე; ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა; ბიზნესის სამართლებრივი ბაზის სტაბილურობა.

მოკლედ შევეხეთ თითოეულ მათგანს.

საბაზრო ინფრასტრუქტურაში იგულისხმება ბაზარზე აგენტების, ბაზრის მონაწილე სუბიექტების თავისუფლება და ორგანიზებული ბაზრების (ბირჟების) ქსელის ფუნქციონირება. “საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული საერთო სიძნელეების დაძლევასთან, სამეურნეო სისტემის გარდაქმნის პრობლემის გადაჭრასა და საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა ხელს უშლის ამ პროცესს.”⁸

საქართველოს ბაზარი არ გამოირჩევა თავისუფლების მაღალი დონით. ბაზარზე მრავლადაა როგორც მონოპოლიები (ბუნებრივიც და ხელოვნურად ვშექმნილიც), ასევე ოლიგოპოლიები (მაგალითად, ნავთობის და წამლების ბიზნესი, სამედიცინო მომსახურება და ჯანმრთელობის დაზღვევა და ა. შ.).

საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებას ყველაზე უკეთ საბირჟო ქსელის განვითარება და ამ ბირჟებზე წარმოებული ოპერაციების მოცულობები ახასიათებს. არსებული ოთხი ტიპის ბირჟებიდან – სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და შრომის – ჩვენთან სრულყოფილად მხოლოდ სავალუტო ბაზარი ფუნქციონირებს. რაც შეეხება დანარჩენს, ისინი ან საერთოდ არ არსებობს, ან მათი ფუნქციონირება სიმბოლური ხასიათის მატარებელია (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზარი). საქართველოში მრავლადაა დარეგისტრირებული სასაქონლო ბირჟები, მაგრამ ვერც ერთი ვერ ფუნქციონირებს, რაც უარყოფითად მოქმედებს არსებულ საწარმოთა ლოგისტიკური ამოცანების გადაჭრაზე, შესაბამისად, მოქმედი საწარმოები, განსაკუთრებით სამრეწველო, ვერ გამოირჩევიან ეფექტურობით, ხოლო მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ხშირად არაკონკურენტუნარიანია. ქვეყანას, თავისი გეპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ შეუძლია გახდეს ლოგისტიკური ცენტრი ამიერკავკასიისათვის, თუ ამ მხრივ მუშაობა გააქტიურდება, ერთი სასაქონლო ბირჟის ამოქმედება მაინც მოხერხდება.

რაც შეეხება შრომით ბირჟებს, საქართველოში კლასიკური სახით იგი საერთოდ არ არსებობს. ამინდს ვერ ვხედავთ ცალკეული დასაქმების საიტები. შედეგად, შესაბამისი შრომითი რესურსებით ბიზნესის უზრუნველყოფა გართულებულია. უფრო მეტიც, ჩვენ ვერ ვახერხებთ უმუშევართა და სამუშაოს მაძიებელთა სრულყოფილ აღრიცხვასაც კი და ვიღებთ აბსურდულ სტატისტიკას, როცა ჩვენთან უმუშევრობა გაცილებით დაბალია ვიდრე, ვთქვათ, ევროკავშირის

⁸ ასლამაზაშვილი ნ. ინვესტიციების პრობლემები საქართველოში. ჟურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” № 2(39). 2017. გვ. 270.

სახელმწიფოებში. რეალობა კი სულ სხვაა. მაღალია შრომითი რესურსების მი-
მიგრაცია განვითარებულ ქვეყნებში.

საქართველოში საგადასახადო გარემო შესაბამისობაშია ან ახლოსაა ევრო-
კავშირის განვითარებული სახელმწიფოების საგადასახადო გარემოსთან, მაგრამ აქ
გასათვალისწინებელია ჩვენი ეკონომიკის ჩამორჩენილობა, ამიტომ ქვეყანა უნდა
ისწრაფოდეს გადასახადთა ლიბრალიზაციისაკენ. ზემოთ მოყვანილი სინგაპურის
მაგალითი რომ ავიღოთ, იქ მოქმედებს მხოლოდ კორპორაციებისათვის შემო-
სავლებზე გადასახადი (მოგების გადასახადი), რომელიც ერთიანია რეზიდენტი და
არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის და 18%-იანი განაკვეთით განისაზღ-
ვრება, გარდა ამისა, როგორც კომპანიები, ასევე მოსახლეობა იხდის ქონების
გადასახადს 4%-იანი განაკვეთით, არსებობს აგრეთვე “გერბის მოსაკრებელი”,
რომელიც უფრო სიმბოლური ხასიათისაა. აღნიშნულის გარდა არავითარი გადასა-
ხადი ქვეყანაში არ არსებობს⁹.

საქართველოში კი დღგ-ს გადასახადის განაკვეთი 18%-ია, მოგების – 15%,
ქონების კორპორაციებისათვის - 1%, საშემოსავლო – 20%, აქციზი – სხვადასხვა
აქციზური საქონლისთვის და ა.შ., რაც უნდა ჩაითვალოს მაღალ გადასახადებად
და, ბუნებრივია, ამით ხელი არ ეწყობა ინვესტიციების მოზიდვის პროცესს.

საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემაზე არ ხასიათდება სტაბილუ-
რობით. გარდა იმისა, რომ საქართველოში კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი
რამდენჯერმე მაღალია, ვიდრე იგივე ევროკავშირის სახელმწიფოებში, კრედიტების
გაცემის სისტემაზე რთულია და “უზრუნველყოფის” მაღალი საფასური
მოითხოვება. ამასთან ეროვნული ვალუტა – ლარი მკვეთრად გამოხატული
არასტაბილურობით ხასიათდება, რომ არაფერი ვთქვათ მის არაკონვერტაბე-
ლურობაზე. ლარის გაცვლითი კურსი კონვერტაბელურ ვალუტებთან მიმართებაში
არაპროგნოზირებადად იცვლება მისი გაიაფების, კურსის ვარდნის მიმართულებით
(იხილეთ ცხრილი 3 და ნახაზი 3).

ცხრილი 3

ლარის კურსის ცვლილება აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში¹⁰

პერიოდი	საშუალო \$-თან	საშუალო €-თან
2014	1,8636	2,2656
I 15	2,2275	2,4139
II 15	2,2483	2,4992
III 15	2,3816	2,6736
IV 15	2,3949	2,6169
2015	2,3949	2,6169
I 16	2,3679	2,6795
II 16	2,3423	2,5976
III 16	2,3297	2,6132
IV 16	2,6468	2,7940


⁹ იხ. Экономика Сингапура. Экономическая модель развития Сингапура.

საიტო: <http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm>. გადამოწმებულია 03.11.2017.

¹⁰ იხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები.

საიტო: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017.

2016	2,6468	2,7940
I 17	2,4452	2,6266
II 17	2,4072	2,7444



ნახაზი 3. ლარის გაცვლითი კურსის გრაფიკი¹¹

მოყვანილი სტატისტიკური მასალის შემდგომ პერიოდში ლარის მერყეობა კიდევ უფრო დიდი ამპლიტუდით ხასიათდება, რასაც განაპირობებს ერთის მხრივ ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირებისათვის გაცემული სესხების მაღალი სიდიდე (მლრდ. ლარს აჭარბებს) და მეორეს მხრივ ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა და სახაზინო ვალდებულებების რეალიზაცია.

ბუნებრივია, ლარის კურსის ასეთი მერყეობა უარყოფითად მოქმედებს არა მარტო მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, არამედ სამეწარმეო აქტივობაზეც, რაც, საბოლოოდ, ხელს არ უწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, არის ის, თუ რამდენადაა დაცული ჩადებული ინვესტიცია. აქ ორი ძირითადი მიმართულებაა: პოლიტიკური სტაბილურობა და ინვესტიციების სამართლებრივად დაცვის მდგომარეობა. სამეურნეო საქმიანობაში ხშირია დავის წარმოშობა, როგორც პარტნიორებთან, ასევე მომხმარებლებთან და დასაქმებულებთან. აღნიშნული დავები უნდა გადაწყდეს ოპერატიულად და სამართლიანად, დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორისათვის ორივე ამ შემადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტორი კაპიტალის დაბანდებას არ გარისკავს. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა და სამოქალაქო დავები იხილება საერთო სასამართლოების მიერ, კერძოდ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებში, სადაც საქმის განხილვა სამივე ინსტანციის სასამართლოში წლობით ჭიანჭურდება, ამასთან, სასამართლოები არ გამოირჩევიან ობიექტურობით და მათ მიმართ ნდობა არასაკმარისია. ბუნებრივია, ასეთი მდგომარეობა აფერხებს ინვესტორთა დაინტერესებას. საქმეს ვერ შველის კერძო საარბიტრაჟო

¹¹ იმავე საიტზე.

სასამართლოები, რომელთა არსებობა კანონმდებლობით დაშვებულია, მაგრამ მათ მიმართ ნდობის ფაქტორი ძალიან დაბალია, თანაც, კერძო საარბიტრაჟო სასამართლოების გადაწყვეტილებები არ არის შესასრულებლად სავალდებულო.

დასკვნა

აქ მოყვანილი მაკროეკონომიკური ხასიათის პრობლემების აღმოფხვრა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობ გენერალურ მიმართულებად უნდა იქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სასურველი ტემპების მიღწევა შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ინგლისურენოვანი ვიკიპედია. <https://en.wikipedia.org/wiki/Investment>;
2. რუსულენოვანი ვიკიპედია.
<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BD%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8>.
3. ქართულენოვანი ვიკიპედია.
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2016. თბ., 2017.
5. Ведущий корпоративный портал оффшорной индустрии на русском языке. საიტი: <https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/>.
6. Конференция Организации Объединенных Наций по торговле и развитию. Доклад о мировых инвестициях. 2016.
საიტი: file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. იხ. საიტი: http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=2230&lang=geo. გადამოწმებულია 03.11.2017.
8. ასლამაზაშვილი ნ. ინვესტირების პრობლემები საქართველოში. ჟურნალი “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” № 2(39). 2017.
9. Экономика Сингапура. Экономическая модель развития Сингапура. საიტი: <http://www.gecont.ru/articles/econ/singapur.htm>.
10. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები.
საიტი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo.
11. Wikipedia, the free encyclopedia. <https://en.wikipedia.org/wiki/Investment>;
<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%98%D0%BD%D0%B2%D0%B5%D1%81%D1%82%D0%B8%D1%86%D0%B8%D0%B8>;
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>;
12. NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA. STATISTICAL YEARBOOK OF GEORGIA 2016. Tb. 2017;
13. THE LEADING CORPORATE PORTAL OF THE OFFSHORE INDUSTRY IN THE RUSSIAN.

[https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/;](https://offshorewealth.info/offshore-investments-abroad/singapore-top-country-kearney-index-trust-direct-foreign-investments/)

14. UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT. REPORT ON WORLD INVESTMENTS LANGUAGE.

file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf;

15. Aslamazashvili N. Investments in Georgia. Journal "Transport and Machine Building" # 2 (39). 2017;

Goderdzi Tkeshelashvili

Natia Aslamazashvili

MACROECONOMIC FACTORS OF INVESTING IN THE GEORGIAN ECONOMY

Summary

Investments are an integral part of the modern economy. Economic development in the modern world is unimaginable without investing. Its source is both local and foreign investments. The countries that are outlined by high rate of economic development are characterized by large amounts of attracting foreign investments and their export. It is considered that the volume of foreign investments will be proportionate to the economic development of the states.

The process of attraction of foreign investments in Georgia is unsatisfactory and first of all requires macroeconomic measures to be activated that is expressed in the following directions: market infrastructure and its development level; tax environment, its liberality and simplicity; monetary policy and national currency stability; stability of business legislative base.

The mentioned directions should become the general line of support for economic development of the country. Otherwise, it is impossible to achieve the desired economic growth of the country.

ნატალია ჭანტურია

მარიამ ხიზანიშვილი

ანა ჯიქია

საკომუნიკაციო (სოციალური) ქსელები როგორც

ადამიანური კაპიტალის შერჩევისა და მართვის თანამედროვე საშუალება

ანოტაცია. გლობალურ ეკონომიკაში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები, რაც გულისხმობს ერთიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. საკომუნიკაციო სოციალური ქსელები გლობალიზაციის პროცესის ნაწილია. იგი იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად: მან წაშალა გეოგრაფიული, ენობრივი და პროფესიული ბარიერები. სოციალური ქსელური მედია ქმნის ადამიანური კაპიტალის მოზიდვისა და მართვის ინოვაციურ ინსტრუმენტებს, რომელსაც სულ უფრო ხშირად და წარმატებით მიმართავენ ორგანიზაციები.

საკვანძო სიტყვები: საკომუნიკაციო სოციალური ქსელები, ადამიანური კაპიტალის მართვა, რეკრუტინგი, ღრუბულური ტექნოლოგიები

შესავალი

მსოფლიო ეკონომიკაში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები, რაც გულისხმობს ერთიანი, გლობალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას. გლობალიზაციის პროცესის ნაწილია საკომუნიკაციო სოციალური ქსელები, რომელიც იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად. სოციალური ქსელური მედია ქმნის ადამიანური კაპიტალის მოზიდვისა და მართვის ინოვაციურ ინსტრუმენტებს, რომელსაც სულ უფრო ხშირად და წარმატებით მიმართავენ ორგანიზაციები.

* * *

დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები და კომპანიები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწარმოებლებისგან ახლებურ აზროვნებასა და ინფორმაციის ყველა დონეზე გაფილტვრას უკავშირდება [1: 20].

საკადრო საქმისწარმოების HR-ტექნოლოგიები წარმოადგენს ახალ ტრენდს პერსონალის მართვის სფეროში. კომპანიები, რომლებიც წარმატებულად იყენებენ და ავითარებენ აღნიშნულ ტექნოლოგიებს, იძენენ კონკურენტულ უპირატესობას შრომით ბაზარზე პროფესიონალების გამოვლენისა და მოზიდვის საქმეში [2].

სოციალური ქსელები წარმოადგენს ღრუბელური ტექნოლოგიების¹² ნაირსახეობას, რომლის გამოყენებაც სულ უფრო მოსახერხებელი ხდება ადამიანური კაპიტალის მართვისთვის.

HR-ტექნოლოგიები მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიების ექვს ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს, როგორცაა მონაცემთა ბაზა, ბიზნესანალიტიკა, ბიზნეს-თანამშრომლობა, ღრუბელური გამოთვლები¹³, მობილური ტექნოლოგიები და სოციალური ქსელები. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და მართვის თვალსაზრისით, დიდ ინტერესს იწვევს ღრუბელური გამოთვლები, ღრუბელური IT-ტექნოლოგიები და სოციალური მედია [4].

სოციალური ქსელები უზრუნველყოფს ორგანიზაციებს კორპორაციული კლასის მომსახურებით: გავლენას ახდენს პერსონალის პირად და პროფესიულ ქცევაზე, ამყარებს შიდასაწარმოო კომუნიკაციას, თანამშრომლობს მომხმარებლებთან და მწარმოებლებთან. ქსელური ტექნოლოგიების მეშვეობით, ორგანიზაციები ახორციელებენ ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და მართვას:

- პერსონალის რეკრუტირებას - მოძიებას, შერჩევას, მოზიდვას;
- ახლადდაქირავებული პერსონალის ადაპტაციას და მოტივირებას;
- საკადრო აღრიცხვას;
- სამუშაო დროის აღრიცხვასა და სახელფასო ანაზღაურების გაანგარიშებას;

¹² ღრუბელური ტექნოლოგიები მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგიებია, სადაც კომბინირებული კომპიუტერული რესურსები (როგორცაა სერვერები, აპლიკაციები, ქსელები, შენახვის სისტემები) ინტერნეტმომხმარებელს ონლაინსერვისის სახით მიეწოდება, პროვაიდერთან კომუნიკაციის გარეშე [8].

¹³ ღრუბელური გათვლები (Cloud Computing) არის ინტერნეტისა და ინტრანეტსერვისების სახით გარე ინფორმაციისა და კომპიუტერული რესურსებისადმი წვდომის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლების - კომპიუტერის მეშვეობით - დისტანციურ, ავტომატურად განაწილებულ წვდომას საძიებელ რესურსებსა და სერვისებზე (მონაცემები, პროგრამები, დრო და მეხსიერება) [8].

- ოპერატიულ და სტრატეგიულ დაგეგმვას;
- პერსონალის სწავლა-განვითარებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ტრენინგს;
- ინოვაციური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობას;
- ტალანტების გამოვლენას, განვითარებას და მართვას;
- პერსონალის ანალიზსა და მონიტორინგს;
- ანგარიშგებას და ვიზუალიზაციას;

სოციალურ-საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით უზრუნვეყოფილი ადამიანური კაპიტალის მართვის ინსტრუმენტების ერთობლიობა იძლევა თანამშრომლების უნარ-ჩვევების, გამოცდილების, კარიერული წინსვლის ვიზუალიზაციისა და მოტივაციის მართვის საშუალებას.

ადამიანური კაპიტალის წარმატებული მენეჯმენტისათვის HR-მენეჯერმა უნდა შეძლოს ისეთი პარამეტრების გაკონტროლება, როგორცაა [4]:

- თანამშრომელთა განათლების დონე და კვალიფიკაცია;
- სამუშაოსთან უშუალოდ დაკავშირებული პროფესიული უნარ-ჩვევები და ცოდნა;
- ფსიქომეტრიული მახასიათებლები;
- პროფესიული მიდრეკილებები;
- ჯანმრთელობის მდგომარეობა.

პერსონალის მოძიებისა და შერჩევისას სოციალური ქსელების უპირატესობა მდგომარეობს დასაქმების მსურველთა დიდი აუდიტორიის დაფარვის, ქსელებთან წვდომის მობილურობის, ინფორმატიულობის, კანდიდატის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიების სიმარტივესა და სისწრაფეში. თავის მხრივ, პოპულარულ სოციალურ ქსელებში ორგანიზაციებს გააჩნიათ საკუთარი გვერდი, პროფაილი და ანგარიში (ექაუნთი), რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება რიგი HR-ამოცანების გადაჭრა: ვაკანსიის პოტენციური მაძიებლებისათვის, დროისა და სხვა რესურსების დანახარჯის გარეშე, დამსაქმებლის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, რაც გაუმარტივებს მათ გადაწყვეტილების მიღების პროცესს გამოცხადებულ ვაკანსიაზე რეაგირებისას.

სოციალურ ქსელებში საკუთარი ექაუნთის (ანგარიშის) შექმნით კომპანიები უზრუნველყოფენ საკუთარი HR-ბრენდის ცნობადობის გაზრდასა და აღიარებას, შრომით ბაზარზე ვაკანსიის მაძიებელთა ინტერესს და ამასთან, წარმოებული პროდუქციის წინ წაწევას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკომუნიკაციო სოციალური ქსელები იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად: მან წაშალა გეოგრაფიული, ენობრივი და პროფესიული ბარიერები.

საკადრო HR-ტექნოლოგიები წარმოადგენს ახალ ტრენდს ადამიანური კაპიტალის მართვის სფეროში. კომპანიები, რომლებიც წარმატებულად იყენებენ და ავითარებენ აღნიშნულ ტექნოლოგიებს, იძენენ კონკურენტულ უპირატესობას შრომით ბაზარზე პროფესიონალების გამოვლენისა და მოზიდვის საქმეში. თუმცა, აღნიშნული ტექნოლოგიების წარმატებული ფლობა HR-მენეჯერებისაგან მოითხოვს ისეთი უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, როგორცაა [6]:

- საორგანიზაციო დიზაინი;
- ვაკანსიების, თანამდებობრივი მოვალეობების ზედმიწევნითი აღწერა;
- კანდიდატების შეფასება;

- ტალანტების გამოვლენა;
- პერსონალის რეგლამენტირების პროცესი;
- მმართველობითი ვერტიკალის აგების უნარი.

სოციალური ქსელები წარმოადგენს ერთგვარ გლობალურ მონაცემთა ბაზას დამსაქმებლების და სამუშაოს მაძიებლების შესახებ - ორგანიზაციის კორპორაციულ ქსელს. პროფესიული სოციალური ქსელების სტრუქტურა აგებულია ისე, რომ კანდიდატს საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გამოყენებით, ქსელში შეუძლია განათავსოს საკუთარი ვირტუალური პორტრეტი - პირადი ინფორმაცია, რომელიც, როგორც წესი, მოცემულია რეზიუმეშიც: განათლების დონე, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები, მიღწევები და სხვა. დამსაქმებელი კი განათავსებს ინფორმაციას მის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების შესახებ.

ქსელში განთავსებული პროფაილის საშუალებით ხდება თანამოაზრეების, პოტენციური კოლეგების, პარტნიორების, საჭირო კონტაქტების გამოვლენა-მოძიება. საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით ხორციელდება საკუთარი ბრენდის ხელშეწყობა-განვითარება, წინ წაწევა.

საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ქართულ ინტერნეტსივრცეში მოქმედი ვებ-რესურსების პოპულარობა ვაკანსიების, ტრენინგების, გაცვლითი პროგრამების, გრანტებისა და სატენდერო განცხადებებისთვის, როგორცაა Jobs.ge, Hr.ge, saqme.ge და სხვა. პერსონალის მოძიებისა და მოზიდვისათვის კომპანიები იყენებენ ყველაზე პოპულარულ სოციალურ ქსელებს, როგორცაა Facebook.com, Linkedin.com, Twitter.com., «Одноклассники».ru, Google+ და კიდევ უამრავ თემატურ სოციალურ ქსელებს, ბლოგებს და მიკრობლოგებს, ქმნიან ფორუმებს, რომლებზეც ხდება HR-მენეჯერებისათვის მეტად საინტერესო და ღირებული ინფორმაციის თავმოყრა, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს ადამიანური კაპიტალის ნაკადების ფორმირებაში, აუტოფლეისმენტისა¹⁴ და კოუჩინგის¹⁵ სესიებისა და ტრენინგების მოწყობაში, კომპანიაში ერთიანი კორპორაციული კლიმატის შექმნაში.

ადამიანური კაპიტალის - მათ შორის ტალანტის გამოვლენა, განვითარება და მართვა, შრომის ბაზარზე კომპანიების კონკურენტუნარიანობის აუცილებელი პირობაა, ვინაიდან მაღალპროფესიული, კრეატიულად მოაზროვნე პერსონალი უზრუნველყოფს ბიზნეს-კომპანიების ეფექტურ ფუნქციონირებას და ლიდერის პოზიციაზე დამკვიდრებას. შესაბამისად, ტალანტების მოსაზიდად ორგანიზაციები არ იშურებენ ძალ-ღონეს და მიმართავენ თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემებს, როგორცაა შააშ ტექნოლოგიები (სერვისულ-პროგრამული უზრუნველყოფა¹⁶) და Cloud Computing – ღრუბელური გათვლები. Cloud ტექნოლოგიები SaaS-ის პროდუქ-

